


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

28 აპრილი 2006 №9



ჩვენი დროის ათი მცნება

კაფე შარდენზე

ამბავი ერთი გენოსისა

ახალი გოგებაშვილის მოლოდინში

რა აოკებს უმრავლესობის ტირანიას

ვის უვალობს ჩიორა

დეტექტივის თავგადასავალი

შინაარსი

პრეზანი	2	ესეც ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკის ეპოქაში
პეისტოლე	4	გივი ალხაზიშვილი რაც დღეს ყველაზე ძალიან გვესაჭიროება (ლია წერილი ვერჯილ ნემოიანუს)
ჩვენი ყოფა, ნუთისოვანი	6	ალექსის დე ტოკვილი რა ამოკებს შმრავლენსობის ტირანისა შეერთებულ შტატებში
	7	სტივენ შნეკი ქალაქი და სოფელი
პროზა	12	ბექა ქურხული ორი ნოველა
პოეზია	17	სიდონია დიალოგი გულთა მწვერვლებიდან
	20	დათო მაღრაძე კაფე შარდენზე და სხვა ლექსები
	22	შოთა ქავთარაძე შემოდგომის დღიური
ესეისტიკა	24	როსტომ ჩხეიძე ინჰების ზეცა, ამაუტა და ათი მცნება
ლიტერატურული ზღაპარი	26	ართურ შნიცლერი ამბავი ერთი ბენიოსისა
დილოგი	28	„დაი იყოს გაჭირვება, ოლონდაც ნუ იძება უსამსობა“ (ლია მეტრეველს ესაუბრება იზა ორჯონიკიძე)
პეისონაჟი და პოტოტივი	31	დენის ბრაიენი ინვის მზაც
ფიქრები	35	ვახტანგ დავითაია ცხოვრების ფურცლები
თვალის ერთი გაღვლეებით	38	ნიკა თევზაძე დეტექტივის თავგადასავალი
რეპორტაჟი	42	თამარ კოტრიკაძე გომებაშვილის მოლოდინში ნუ დავდუმდებით! (განვიხილოთ სასკოლო სახელმძღვანელოები)
ქრიტიკა	45	პატა ჩხეიძე შეხვედრა („ვენერა და ადონისის“ ქართული თარგმანი)
	48	ტრისტან მახაური ვის უგალობს ღობეზე შემომჯდარი ჩიტი
ახალგაზრდავო, ან კი თქვე	50	თამუნა გურგენიძე მინიატურები
თარიღები	53	ეკა ბუჯიაშვილი ქართული გზებით მსოფლიოსაკენ
გამოსაუარება	54	გიორგი გამსახურდია განსვენებული ფიქრი
უსწორი ნოველა	56	იუკო მისიმა პატრიოტიზმი
ნაქვანები	61	მასვილსიტყვობის ნიმუშები
მოზაიკა	63	სუციდი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაბაში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
საარქიტექტო, თბილისი, საჩხაიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ნინო ზაალიშვილი, ილუსტრაცია იუკო მისიმას ნოველისათვის

ზაალ სულაკაური, მეგობრული შარჟი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 12 მაისს

ესეც ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკის ეპოქაში

შედეგმა იმ გამოკითხვისა, რომლის მიხედვითაც სენსაციურად დასრულდა გალაკტიონ ტაბიძის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტის გამოვლენა, კიდევ უფრო გამაოგნებლად იმოქმედა საზოგადოების ფსიქიკაზე, ვიდრე მოველოდით.

გამორკვევამ იმისა, რომ პოპულარობით გიგო ხეჩუაშვილი აჭარბებდა თვით გალაკტიონსაც, არამცთუ იოსებ გრიშაშვილს, გიორგი ლეონიძეს, ლადო ასათიანსა თუ სხვებსა და სხვებს, ისეთი დაბნეულობა გამოიწვია, რომ ამ ახალი გამოკითხვისას მკითხველი მეტისმეტად ფრთხილი გახდა.

სხვა შემთხვევაში თუ თამამად დაასახელებდნენ ან თვითონ აკაკის, ან ილია ჭავჭავაძის, ან ვაჟა-ფშაველას, ან გრიგოლ ორბელიანს, ან თუნდ რაფიელ ერისთავს, ახლა ბარათში თუ ტელეფონით შეხმიანებისას უკან დასახევ გზას იტოვებდნენ:

მანაც აკაკი, მაგრამ... იქნებ სწორედ ის იყოს, ვინც ჩამონათვალში არც ხსენებულა, ჩვენ კი ვერ მოგვიგონებია.

ვაჟა-ფშაველა, მაგრამ იქნებ სულ სხვაც იყოს.

გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ უეცრად იოსებ დავითაშვილი რომ გამოდგეს, ალბათ არ უნდა გაგვიკვირდეს.

რაფიელ ერისთავი, მაგრამ მოსალოდნელია, რომ რედაქციის პასუხმა სახტადაც დაგვტოვოს.

ალექსანდრე ყაზბეგი, რაკილა მაშინდელი ესტრადის სათავეში სწორედ იგი იდგა, მაგრამ...

იქნებ... იქნებ სიმონ გუგუნიავა, „თამარიანის“ გამლექსავი, თითქოს საკმაოდ პოპულარული უნდა ყოფილიყო.

არაერთმა დაასახელა მამია გურიელი, ოღონდ ამ არჩევანს ასეთი განმარტება მოაყოლა: ჩამონათვალში ყველაზე ნაკლებ პოპულარული იგი გვგონია და გული გვიგრძობს, რომ ყველაზე პოპულარული სწორედ დავინწყებული ლექსების ეს ავტორი აღმოჩნდესო.

ასე უნებურად მიუახლოვდნენ სიმართლეს.

მიუახლოვდნენ და არა მიაგნეს, რადგანაც მამია გურიელი მთლად ვერ აჭარბებდა აკაკი წერეთელს ტაშისა და ოვაციის მოხვეჭით, მაგრამ კვალში კი ჩადგომოდა და ეტოლებოდა კიდევ.

– მამია იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც მისი დროის მკითხველთა უფრო მოსწონთ, ვიდრე სხვა დროის ჩამომავალთა. ათასში ათი მწერალი არ არის, რომელზედაც ეს არ ითქმოდეს, მაგრამ თუ მამიას შესახებ ვიმეორებთ ამას, ეს იმიტომ, რომ მამია იყო შესანიშნავი მკითხველი ქართული ლექსებისაო, – ამას იონა მეუნარგია გვამცნობს ამ პიროვნებისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ ნარკვევში და, როგორც



გრიგოლ აბაშიძე

უამრავჯერ შემსწრე მისი ტრიუმფისა, დაბეჯითებით გვიცხადებს:

– ისეთი, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს ჩვენს სცენას და ამ კითხვის მომაჯადოებელი გავლენის ქვეშ სჯიდა მამიას თანამედროვე საზოგადოება მის ლექსებზე. თბილისში და ქუთაისში – ამ ჩვენი ქვეყნის პეტერბურგსა და მოსკოვს, – საცა იზადება ჩვენი მწერლების სამწერლო რეპუტაცია, მამიას არაერთხელ წაუკითხავს საჯაროდ მისი თუ სხვისი ლექსები და ეს მშვენიერი კითხვა შნოს და აზრს აძლევდა თვით ყველაზე უფრო უმნიშვნელოსა და უაზრო მის ლექსებს.

იონა მეუნარგიაც აღტაცებულია მამია გურიელის საჯარო გამოსვლის ხელოვნებით, მაგრამ მის გონებას, სხვათაგან განსხვავებით, ისე არ ეკიდება ხიბლი, რომ მამიას პოეზიის ნამდვილი რაობა ვერ იგრძნოს და არ აღიაროს, რომ: როცა მისი კითხვის

ხსოვნა გაქრება მის თანამედროვე ნაცნობ-მკითხველებთან ერთად, მის ნაწერთა შემოქმედებაც იკლებსო.

საგულისხმოა ნიკო ნიკოლაძის ის ფრაზაც, ამავე ნარკვევში რომ არის დამონებული:

– მამიას ნათარგმნი „დემონი“ ჩვენ იმიტომ მოვიზონეთ, რომ თვითონ მამიამ წაგვიკითხა ეს თარგმანი.

ეს პოპულარობა იყო, რომ მამია თავის წარმოდგენაში აკაკი წერეთელსა თუ სხვა ქართველ პოეტებს კი აღარ შეემეტოქებოდა, არამედ... ლორდ ბაირონს, იმასთან შეტოვება მოენდომებინა და კიდევ ბაირონობდა, როგორც იონა მეუნარგიაც აღნიშნავს. იმას ეს უკვირდა, ბაირონობს, მაგრამ წვრილმან სულიერ მოძრაობას, რაც შეადგენს ლირიკული პოეზიის სიმშვენიერეს, შემოუხაზავად ტოვებსო. არადა, ეს ის ბაირონია, ვინც ილია ჭავჭავაძის თვალში მიუწვდომელ სიმაღლედ გამოიყურება და მასთან გაჯიბრებას არც არასოდეს იფიქრებდა.

საიმისო ცნობა არ შემონახულა, გაურბოდნენ თუ არა აღიარებული პოეტები მამიასთან ერთად წარდგომას ლიტერატურულ თავყრილობებზე, თუმც ვარაუდით კი შეიძლება ივარაუდო, რომ მის ჩრდილში მოქცევა ან თანაბრად მოხვეჭილი ტაში დიდად ვერ აამებდათ.

აკაკი წერეთელს ვაჟა-ფშაველას სახელის გახმინება გააღიზიანებდა და იმისი ხმაური მოკრძალებულად გამოიყურებოდა მამია გურიელის ტრიუმფალური გამოსვლების ფონზე.

და კიდევ ერთი პოეტის – გრიგოლ აბაშიძის – მიერ აზანზარებული დარბაზების ფონზე.

გრიგოლ აბაშიძე ჩვენმა მკითხველმა ერთი იცის ქართული ლიტერატურის ისტორიაში – მეოცე საუკუნის პოეტი, ბე-

ლეტრისტი და მთარგმნელი (1914-1994), „ლაშარელას“ ავტორი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნესაც ჰყავდა თავისი გრიგოლ აბაშიძე (1866-1903), გაზეთ „ივერიიდან“ რომ გამოჩნდებოდა სალიტერატურო ასპარეზზე 90-იანი წლებში და მისი პოპულარობის ანარეკლი იქნებოდა ისიც, რომ მისი ცალკეული პოეტური ნიმუშები სიმღერებადც გავრცელდებოდა – ვანო სარაჯიშვილისა და დები იშხნელის რეპერტუარში საკმაოდ მკვიდრად მოიპოვებდა ადგილს.

სიმღერაზე მეტად კი მისი დეკლამატორული ოსტატობა ჭრიდა და თანდათან მსმენელის აღფრთოვანება იქამდე მიღწევდა, გრიგოლ აბაშიძის დანახვისთანავე ერთმანეთს არ აცლიდნენ ტამისცემასა და გამაყრუებელ შეძახილებს.

რასაც კოკი აბაშიძე აღწერს, მისი ერთ-ერთი ბიოგრაფოსი, ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ მაშინდელ სამწერლო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

– ქუთაისის თეატრი. სცენაზე გამოდის შავ ჩოხაში სადად გამოწყობილი პოეტი. დიდხანს ვერ ახერხებს იგი ლექსების წაკითხვას – არაჩვეულებრივი ოვაციის გამო. არ მახსოვს, რა ლექსი წაიკითხა პოეტმა; არც მისი მანერა კითხვისა, არც ხმის ინტონაცია. მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი ოვაცია, ვაშას ძახილი, საზოგადოების აღფრთოვანება.

ხედავთ? ზღვარსაც კი გადაცვილებია გრიგოლ აბაშიძის პოპულარობა – გრიალებს დარბაზი, გრიალებს და გრიალებს.

ასეთი ტრიუმფისათვის არც აკაკი წერეთელს მიუღწევია და არც მამია გურიელს.

არც ასეთი ეფექტი მოუხდენია არავის გამოჩენას თუნდ რაფიელ ერისთავის იუბილეზე, თავისთავად საკმაოდ პოპულარული პოეტისა, ვინც – ცხადია – თვითონ უნდა იყოს თავისი ზეიმის გმირი. მაგრამ, აი, მისასალმებელი განყოფილების დროს დარბაზში შემოვა გრიგოლ აბაშიძე და, მოჰკრავენ თუ არა თვალს, კიდევ ატყდება დამსწრე საზოგადოებაში არაჩვეულებრივი ოვაცია და ყვირილიც მოჰყვება:

– გრიშა აბაშიძე, გრიშა აბაშიძე სცენაზე, გზა მიეცით. გრიგოლ აბაშიძე სასწრაფოდ ასულა სცენაზე და იუბილარისათვის ექსპრომპტით მიუმართავს, იქვე სახელდახელოდ გადაუკეთებია რაფიელ ერისთავის იმთავითვე გახმაურებული ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ – პოეტისადმი შებრუნებული მიმართვით: სადაც შობილხარ, გაზრდილხარ და გისროლია ისარი, სად მამა-პაპა გეგულვის, იმათი კუბოს ფიცარიო, – და ასე ჩასდევდა ბოლომდე.

რაფიელ ერისთავის იუბილე გრიგოლ აბაშიძის ტრიუმფად იქცაო, – აღიარებდა თვითონ აკაკი წერეთელიც.

ხანი რომ გავიდოდა, ახალგაზრდა შემოქმედთა საჯარო გამოსვლებს ამ თვალსაზრისითაც დაუკვირდებოდა, ნეტა რომელი პოეტი შეძლებს ისე მშვენივრად ლექსის წაკითხვას, გრიგოლ აბაშიძე რომ გაგვახსენოსო.

ერთხელაც ძალიან გაუნანყენდებოდა აკაკი კიტა აბაშიძეს და ის ფრთიანი ფრაზაც მაშინვე მოედებოდა ხალხს, კიტას დასაძრახად თქმული: კაცხში ხე არ იზრდება სწორი და კაცი როგორ გაიზრდებაო. მიუხედავად ამისა, ვერ უარყოფდა მის ორატორულ ნიჭიერებას – მანერას, ტემპერა-

მენტს, ქართული ენის ღრმა განცდას – და არაერთხელ გაიმეორებდა:

– ამ სიტყვის წარმოთქმელი კიტა რომ არ იყოს, გეგონებათ დიდ ორატორს უგდებთ ყურსო.

ამ ჩანაწერში ეს სიტყვები რა გასახსენებელი იყო?

რა და, ამ ფრაზისათვის მაშინვე უნდა მოეყოლებინა:

– კარგი ორატორია, მაგრამ გრიშა აბაშიძეს მაინც ვერ შეედრებო.

და მოჯადოებული ალაპარაკებოდა გრიგოლ აბაშიძეზე. მოიგონებდა სხვადასხვა შემთხვევებს და, მათ შორის, იმ სახალისო ეპიზოდსაც, თვით აკაკი რომ დაეტოვებინა სახტად. სხვებმა უკვე იცოდნენ გრიშას ეს არაჩვეულებრივი უნარი და მისი უზომო პოპულარობა ამით კიდევ უფრო იზრდებოდა, „განთიადის“ შემოქმედს კი ახლა საკუთარ თავზე უნდა ენვინა ბეჟან წერეთლის ოჯახში სტუმრობისას:

– ერთხელ ერთ ოჯახში თავმოყრილი იყვნენ ყმანცილები და მთხოვეს, რომ ახალი ლექსი წამეკითხა მათთვის. მეც წავიკითხე ახალთახალი ლექსი. ყმანცილებმა სიცილი დაიწყეს; კარგია, მაგრამ ეგ ხომ გრიშასიაო. მე, რასაკვირველია, ვარწმუნებდი, რომ შემცდარი იყვენ... ამ დროს შემოვიდა გრიშა. ერთმა ჩემმა მონინალმდეგეთაგანმა უთხრა: გრიშა! გუშინ რომ ლექსი წავკითხე, თან ხომ არა გაქვს? არაო, მაგრამ ზეპირად ვიციო! და მოჰყვა ზეპირად იმ ჩემ ლექსს. მეც გავეტყინე, და აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა!.. თურმე რა იყო: მე რომ ვკითხულობდი, ის კარებზე ყოფილა წამოყურებული და ერთი ყურის მოკვრით ისე დაესწავლა ის მრავალტაქიანი ლექსი, რომ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა.

გარდა პოეტური კარიერისა, კერძო ვექილის პრაქტიკისთვისაც მიუყვია ხელი და კვლავ კოკი აბაშიძეს რომ დავესხობო:

– იგი უპირველეს ყოვლისა პოეტი იყო და თავის ახალ პროფესიამაც შეიტანა სინამდვილე და აღფრთოვანება შემოქმედებისა. მას უფრო შეურაცხყოფილთა და უფლებამულახულთა დაცვა, სიტყვაში შეჯობრება იტაცებდა, ვიდრე ხელფასზე, ჰონორარზე ზრუნვა და ფიქრი.

გული უგრძნობდა, ნაადრევად რომ დაასრულებდა სიცოცხლეს, მაგრამ ის კი ველარ წარმოედგინა, სულით ავადმყოფობის ნიშნები თუ გამოაჩნდებოდა. საზოგადოება მას სამკურნალოდ გაგზავნიდა პეტერბურგის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და იქიდან ველარც გამოაღწევდა – სულიერ ნამებას ვერ გადაიტანდა და თვითმკვლელობით მოისწრაფებდა ამქვეყნიურ არსებობას.

შეიქმნებოდა დამკრძალავი კომიტეტი, რომელიც ქუთაისში აცნობებდა პოეტის სიკვდილს, იქიდან კი უდებუებდნენ: მიცვალებული დროებით, ვიდრე სამშობლოში გადმოვასვენებთ, მანდ დასაფლავებთო. მის ცხედარს უპატრონებდა მხოლოდ პეტერბურგის ქართველობა, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობა.

ვოლკოვის სასაფლაოზე დაკრძალვდნენ, საფლავს გაუკეთებდნენ უბრალო რკინის მოაჯირს, რკინისავე დაფას და... მიიფიცებდნენ.

მანამდე კი სამარის პირას ნიკო თავდგირიძე გამოსათხოვარ სიტყვას რომ წარმოთქვამდა, არც ამ გულისტკივილს დაფარავდა:

– ჩვენი ცხოვრება ამ უკანასკნელ ხანებში ისეა მოწყობილი,

სამშაბათს, 2 მაისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება
როსტომ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა
„ყაზგაჰიანა“
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

რომ საზოგადოებას კერძო პირზე ცუდი, მავნებელი გამ-
ხრნელი გავლენა უფრო მეტი აქვს, ვიდრე აღმზრდელი, კე-
თილისაკენ მიმართული. ამიტომაც გასაკვირველი არ არის,
თუ ჩვენში ბევრი სხვა ქვეყნისათვის სანატრელი ნიჭი უნაყო-
ფოდ, თითქოს უსარგებლოდ ჰქრება, იკარგება.

პეტერბურგში ყოფნისას აკაკი წერეთელი მონიხულუბ-
და გრიგოლ აბაშიძის საფლავს და საშინლად შეწუხდებოდა
და აღელდებოდა, როდესაც რკინის დაფის გვერდით ვილა-
ცის მინაჯღაბნსაც ამოიკითხავდა: **Грузо голпятый**. და თან-
მსლებთ სთხოვდა:

– თქვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე დაუბრუნოთ
სამშობლო მინას პოეტის გვამი.

1913 წელს ამ საფლავს გარს შემოერთებოდა პეტერბურ-
გში მყოფი ქართველი საზოგადოება და მოსწავლე-ახალგაზ-
რდობა. მგრძნობიარე სიტყვებით მიმართავდნენ გრიგოლ
აბაშიძის ნეშტს და კიდევ ერთხელ გამოითქმოდა სურვილი
პოეტის ცხედრის გადასვენებისა საქართველოში.

და კოკი აბაშიძის მოწმობით:

– ეს იყო უკანასკნელი გახსენება პოეტისა ქართველი სა-
ზოგადოების მხრივ.

ცისფერყანწლები მონიდომებდნენ გრიგოლ აბაშიძის
პიროვნების გაზღაპრებასაც და სახელთა მაგიაში მისი სახე-
ლის აღბეჭდვასაც – ტომას ჩატერტონთანაც კი გააიგივებ-
დნენ გატანჯული ცხოვრებითა და თვითმკვლელობით. ვა-
ლერიან გაფრინდაშვილი გამოიდებდა განსაკუთრებით
თავს და, ამ ლიტერატურულ ორდენს მოღვაწეობა რომ დას-

ცლოდა, შარავანდით შეიმოსებოდა გრიგოლ აბაშიძის სახე-
ლიც, მსოფლიო სახელებს გატოლებული... ახლა კი საფლა-
ვივით უპატრონოდ დარჩებოდა მისი ნაწერებიც და ბიოგრა-
ფიაც და ლიტერატურისმცოდნეობაში ჟამიდან ჟამზე გაელ-
ვებული მისი სახელი უკვე აღარაფერს ნიშნავდა მკითხვე-
ლისათვის.

სწორედ დღეისდღის ეს განწყობილება აისახა იმ ჩამო-
ნათვალში, აკაკი წერეთლის ეპოქის პოეტთა სილუეტებმა
რომ გაიელვებს და გრიგოლ აბაშიძე არც ხსენებულა, მაგრამ
გამოკითხვის ჩამთავრების შემდეგ უკვე ზუსტად და მიუკერ-
ძობლად უნდა აღდგენილიყო მაშინდელი სამწერლო ცხოვ-
რების რეალობაც. გრიგოლ აბაშიძის ყოველი გამოჩენისას
ტაშითა და ოვაციით დანგრეული დარბაზები, ყველა სალა-
მოს თავის ტრიუმფად რომ გადააქცევდა ხოლმე.

გრიშა აბაშიძეს ვერავინ შეედრებოა, – ირწმუნებოდა
აკაკი წერეთელი და გუნებაშიც ჩალიმებოდა: მასხარაობა
ჩემი მოგონილია და მაშინ როგორ გამამახსხრაო!..

* * *

ჩვენი მკითხველებიდან ერთადერთი კაცი გაიხსენებს
გრიგოლ აბაშიძეს, როგორც ყველაზე პოპულარულ პოეტს
აკაკის ეპოქისა, გაიხსენებს სრულიად დაბეჯითებით –
სწორედ ამ მემუარულ ცნობებზე დაყრდნობით:

ელგუჯა თავბერიძე.

ერთადერთი, მაგრამ ყველაზე სარწმუნო კი ის აღმოჩნ-
დება.

რაც დღეს ყველაზე კალიან გვესაჭიროება

*

ლია წერილი პერჯილ ნემოიანუს

ბატონო ვერჯილ ნემოიანუ!

„სიყვარულმა სიშორე არ იცის, ვისაც ადგილი აშო-
რებს, მას ეპისტოლე აახლოებს“. ამ ფრაზით იწყებს თა-
ვის „ნიგნს“ (ეპისტოლეს) რომის პაპი, წმინდანად და ეკ-
ლესიის მოძღვრად შერაცხული გრიგოლ დიდი (590-604).
ეს ეპისტოლე, „რომელიც ქართლის ეკლესიის მეთაურის,
მცხეთის კათოლიკოსის, კირიონ პირველისთვის მიუწე-
რია პაპ გრიგოლ პირველს, გასაგები მიზეზების გამო სა-
ქართველოში არ შემონახულა და მისი ერთი ასლი წმიდა
საყდრის არქივშია დაცული (მერაბ ლალანიძე, ჟურნალი
„დილოგი“, 2(3)), რომელიც მოიძია და თავის ნიგნში („ის-
ტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“), სხვა მრავალ
მასალასთან ერთად, გამოაქვეყნა მამა მიქელ თამა-
რაშვილმა.

ერთი შეხედვით, თითქოს უადგილოა მრავალი საუკუ-
ნის წინანდელი ამბის გახსენება, მაგრამ თქვენს ყურადღე-
ბას მივაპყრობ უმნიშვნელოვანეს დეტალს, ანუ ქრისტესმი-
ერი სიყვარულით გამსჭვალული ეპისტოლეს პირველ ფრა-
ზას, მანძილს რომსა და მცხეთას შორის რომ ასე იოლად გა-
დალაზავს და საუბრის ტონალობასაც იმ სამყაროში გადავ-
ყავართ, დღეს რომ გაგვიქრა ან სულაც ფრაგმენტულად
შემორჩა. ამ შორი მანძილის „ფიქრით გავლა“ მაგონებს იო-
ჰან სებასტიან ბახის გერმანიის ქალაქებში ფეხით სიარულს
ერთადერთი მიზნით, რომ სხვა ორგანისტებისთვის მოეს-
მინა, რათა რაიმე შეესწავლა მათგან. ასეთ „მოგზაურო-
ბებს“ იგი, იმის გათვალისწინებით, რა მანძილი უნდა გაე-
ვლო, რამდენიმე დღეს ან კვირას ანდომებდა.

დღეს ხელის ერთ განვდენაზეა საინფორმაციო ბანკე-
ბი, „იმეილი“, ნებისმიერი ჟანრის ლიტერატურა, მაგრამ,
მიუხედავად ამისა, აშკარაა ღრმა სულიერი კრიზისი, რომ-
ლის შედეგითაა უღიმღამო პოსტმოდერნული ცდები, მეო-
რადი ლიტერატურის თხზვით თავის შექცევა, კულტურო-
ლოგიური ჩხირკედელაობა, ახალი იდეოლოგიის ჩამოყა-
ლიბების ცდა – ლოგოსის (ლოგოცენტრიზმის) დეკონ-
სტრუქცია და ა. შ.

ეს აღარაა მხოლოდ კულტუროლოგიური ძიებანი და იგი
მოიცავს დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში მიმდინარე
პროცესებსა და ტენდენციებს კულტურასა და პოლიტიკაში
და ახალი იდეოლოგიის ავტორები დაბეჯითებით უარყო-
ფენ, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვა, – „საზოგადოების ერ-
თგვარ ღიაობას ტრანსცენდენტისადმი“, ეჭვს ქვეშ დგება
„ურთიერთობა ადამიანის პიროვნებასა და ღმერთს შო-
რის“, რაც „არსებითია და აუცილებელი“, რადგან „კულტუ-

რა“, როგორც საყოველთაოდ ცნობილია და თქვენც ამასვე ამბობთ, „წარმოქმნილია რელიგიისგან, დაკავშირებულია რელიგიასთან“. ცხადია, რომ ახალი კულტურა ტრანსცენდენტს უარყოფს, იგონებს ნეგატიურ რელიგიას, და თავისივე გამონაგონით საზრდობს.

„ამხილე რამდენიც გინდა თანამედროვე ამერიკულ კოლექტა სასწავლო პროცესში არსებული დომხალი, ჯერაც პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რა უნდა ვასწავლოთ დომხალის სანაცვლოდ. აღშფოთება არ კმარა კოლექტა სასწავლო გეგმის უხემ სეკულარიზაციასთან დასაპირისპირებლად.“

ცხადია, ჰუმანიტარული დარგები წარმოიშვა ქრისტიანობის წიაღში და კანონით ჯერაც ქრისტიანული რელიგიის ტრადიციის საკუთრებაა.

სწორედაც რომ დამკვიდრებული კანონის უარყოფამ, დაკნინებამ წარმოიშვა ის დომხალი, რაზეც თქვენ მიუთითებთ და უაღრესად ზუსტად დაასკვნით, „რომ დღეს განსაკუთრებით გვესაჭიროება ქრისტიანული ჰუმანიზმის კურსები“.

მსგავსმა პრობლემებმა ქართულ სინამდვილეშიც წამოყო თავი. რასაც თქვენ უწუნებთ ამერიკულ კოლექტებსა და უნივერსიტეტებს, სწორედ მსგავსი პროგრამების დამკვიდრებას ცდილობენ ჩვენში განათლების სისტემის რეფორმატორები.

„რა სურთ განათლების სისტემის მესვეურებს საქართველოში. ძალიან ზოგადად, ესაა განათლების ახალი ტიპის დანერგვა, რომლის საფუძველი იქნება არა ჰუმანიტარული, არამედ სამოქალაქო აღზრდა... „ახალი განათლების“ წარმატების მიზეზი მარტივია – „ძველი“, ჰუმანიტარული აღზრდა ნაციონალური კულტურის კანონს ეყრდნობა, რომლის ცენტრი ლიტერატურა, ფილოსოფია და ხელოვნების ისტორიაა. თავისი არსით ეს დისციპლინები „ელიტურ აღზრდას“ გულისხმობს, მაშინ, როცა სამოქალაქო განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი, ე.ი. გასაგები და იაფი უნდა იყოს და, რაც უმთავრესია, ხელს უნდა უწყობდეს საშუალო ადამიანის ფორმირებას.“ (ზაზა შათი-რიშვილი, ჟურნალი „დილოგი“, 2 (3))

ბატონო ნემოიანუ, ღრმად ჩამაფიქრა თქვენმა წერილმა („ჩვენი მწერლობა“, 7, 2006 წ.), ამერიკულ საზოგადოებაში გაჩენილმა აზრმა, რომ „დღეს განსაკუთრებით გვესაჭიროება ქრისტიანული ჰუმანიზმის კურსები.“ თქვენ ჩამოთვლით ქრისტიანული ჰუმანიზმის ჭეშმარიტად აღიარებულ და უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებს აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობისა (ცხადია, ეს ორი ნაკადი ჩემთვისაც განუყოფელია და ერთობლიობაში მოიაზრება), რომელთა უდიდესი ღვაწლი და ზოგადად ქრისტიანული ჰუმანიზმის მემკვიდრეობის უმთავრესი ნაყოფი უცხოა დღევანდელი ამერიკელი (და არა მხოლოდ) სტუდენტების უმრავლესობისათვის და ამიტომაც, თქვენი ნება რომ იყოს, უპირველეს ყოვლისა თქვენ მიერ ჩამოთვლილ ავტორთა შემოქმედებას აუცილებლად ასწავლიდით. თუმცა, იქვე აღნიშნავთ, რომ „ზოგიერთი სტუდენტი უთუოდ არ ენდობა ჰუმანიზმის ამგვარ სწავლებას, უფრო მეტი უნდობლად მოეკიდება ქრისტიანობის სწავლებას.“ თქვენი დაეჭვება თუ ვარაუდი, სამწუხაროდ, საფუძვლიანია და რეალობას ვერსად გავეცქევით.

„ჰუმანიტარული დარგების“ გაყალბება, „კულტურული განათლების პოზიტიური პროგრამის“ არარსებობა უკვე

იმას ნიშნავს, რომ გაიოლებული „დომხალი“ და ზედაპირული ცოდნა, „საშუალო ადამიანებს“ რომ აყალიბებს, იქცა ნორმად ცივილიზებულ სამყაროში.

ცივილიზაციამ სერიოზული კულტურა აქცია ზედმეტ ბარგად, უბრალო ეტიკეტად, ზედმეტ ატრიბუტად, რომლის გარეშეც თავისუფლად შეიძლება იყო ცივილიზებული, თუ რა თქმა უნდა, კარგად იცი კონსტიტუცია, საერთოდ სამართალი და, რაც მთავარია, გაგაჩნია „სამოქალაქო აღზრდა“. სულიერი გამოფიტვის უმთავრესი მიზეზი ქრისტიანული ჰუმანიზმის იგნორირება და უარყოფაა. როგორც ჩანს, შესაძლოა უარყო ის, რაც არ იცი, მხოლოდ იმის გამო, რომ არ იცი და თანაც გამოანგარიშებული გაქვს, რომ ქრისტიანული ჰუმანიზმი არაფერში ჭირდება „სამოქალაქო საზოგადოებას“, და მეტადრე მასკულტურას.

ისწავლიან კი „უკეთეს მომავალზე“ ორიენტირებული სტუდენტები ბასილი დიდსა და გრიგოლ ნაზიანზელს, გრიგოლ ნოსელსა და იოანე ოქროპირს, მაქსიმე აღმსარებელს, ნიკოლოზ კუზანელს, თომას მორს, პიუს II-ს და ბალთაზარს?!

გეთანხმებით, რომ „არ არსებობს ქრისტიანობისათვის უცხო ან შეუთავსებელი მშვენიერება, განათლება თუ სიკეთე“, თუმცა, სამწუხაროდ, არსებობს განათლების სისტემები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ქრისტიანული ჰუმანიზმი.

ქრისტიანული ჰუმანიზმის უდიდესი მემკვიდრეობის გაუთავისებლად შეუძლებელია ლიტერატურასა და ხელოვნებაში რაიმეს მიღწევა, და არა მხოლოდ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. – „თქვენ ჩემში დარჩით, მე კი – თქვენში. როგორც ლერნი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩება, ისე თქვენ, თუ ჩემში არ დარჩებით“ (იოანე, 15, 4).

სულაც არ არის გასაკვირი, რომ ორ, სხვადასხვა კონტინენტზე მოღვაწე, სხვადასხვა მასშტაბის ფილოლოგი ერთგვარად ფიქრობდეს ერთსა და იმავე საკითხზე. თუმცა, სიტყვა – საკითხი – სულაც არ გამოხატავს ჩემს სათქმელს: იმ გარდაუვალ აუცილებლობას, ვგულისხმობ, ქრისტიანული ჰუმანიზმის სათავესთან და მის უწყვეტ დინებასთან რომ გვაახლოებს, რომლის გარეშეც ცივილიზაციის მომავალი უფრო და უფრო ემგვანება ბაბილონის გოდოლს, დიდი ხნის მერე ხელახლა რომ ააშენეს. თქვენი წერილის დასკვნითი ნაწილი მეტად ძვირფასია და ლოგიკური ჩემთვის, ალბათ, ჟურნალის მკითხველისთვისაც: „მაგრამ უფრო დიდი მიზანი იქნებოდა გვეჩვენებინა და დავხმარებოდით (სტუდენტებს), თვითონ აღმოეჩინათ მთელი ჰუმანიზმის საფუძველი ქრისტიანულ რწმენაში.“

ბატონო ნემოიანუ, მომავალშიც, თუ ამის შესაძლებლობა მექნება, დიდი ინტერესით გავცნობი თქვენს ოპუსებს. ვიმედოვნებ, ჩემი მეგობარი და კოლეგა პაატა ჩხეიძე, რომელიც ამჟამად თქვენთან მოღვაწეობს ამერიკაში, უთუოდ დამეხმარება.

ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩენა თანამოაზრის პოვნა, მეტადრე შორეულ კონტინენტზე, და მწამს, რომ „ვისაც მანძილი ამორებს, მას ეპისტოლე აახლოებს“.

პატივისცემით,

გივი ალხაზიშვილი

ალექსის დე ტოკვილი რა აქვს უმრავლესობის ტირანის შეერთებულ შტატებში

*

ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის არასახეობა

უმრავლესობა პრეტენზიას არ აცხადებს ყველაფრის მოგვარებაზე. ქალაქებისა და მხარეთა ხელისუფლებას პასუხისმგებლობა აკისრია, განახორციელოს თავისი სუვერენული სურვილები.

უკვე წარმოვანიერებულ განსხვავებას ორი ტიპის ცენტრალიზაციას შორის, ერთს სამთავრობო ვუნოდ და მეორეს – ადმინისტრაციულს.

ამერიკაში მხოლოდ პირველი არსებობს, მეორეს თითქმის არ იცნობენ.

ამერიკის საზოგადოების წარმმართველ ძალას ეს ორივე სამთავრობო იარაღი ხელთ რომ ეპყრას, ერთიანი, კანონიერი ძალით, უფლებამოსილებითა და მისთვის ჩვეული წესით რომ წარმართავდეს ყველაფერს და ეს ყველაფერი დაფუძნებული იყოს მთავრობის ზოგად პრინციპად, შედიოდეს მისი წვრილმანი საქმიანობის სფეროში და ქვეყნის უმთავრეს ინტერესთა მოწესრიგებაში და თვით პიროვნულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებამდე დადიოდეს, მაშინ თავისუფლება სწრაფად განიღვებოდა ახალი სამყაროდან.

მაგრამ შეერთებული შტატების უმრავლესობას, თუმცა დესპოტის გემოვნებასა და ინსტინქტებს ხშირად ამჟღავნებს, მაინც არ გააჩნია ტირანის ეს ყველაზე დახვეწილი იარაღი.

ცენტრალური ხელისუფლება ამერიკის თვითებულ შტატში ისე ცოტას საქმიანობს, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ყურადღების გამოჩენით ამოიწურება. ის არ ცდილობს ჩაერიოს საზოგადოების მეორეხარისხოვან საკითხებში და არაფრით ამჟღავნებს, რომ ამგვარი სურვილი აქვს. უმრავლესობამ, თუნდაც ასე მზარდად აბსოლუტურმა, არ გააფართოვა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა; მხოლოდ ყოველსშემდეგ აქცია თავისი სფერო. ასე რომ, დესპოტიზმი, თუნდაც ერთი მხრივ ასეთი დამორგუნველი, ყველაფერს ვერ მოიცავს.

გარდა ამისა, უმრავლესობა რაც არ უნდა გაიტაცოს მგზნებარე სულისკვეთებამ პროექტების განხორციელებისა, ვერ შეძლებს ყველგან და ყოველთვის ერთნაირად დაუმორჩილოს მოქალაქენი თავის ნებას. უმაღლესი ბრძანებანი ცენ-

ტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი უნდა განხორციელდეს იმ აგენტთა მეშვეობით, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებაზე არ არიან დამოკიდებულნი და ყოველ წუთში ვერ წარმართავ შენს ნებაზე. მუნიციპალური ორგანიზმები და სამხარეო ადმინისტრაციები ჰგვანან დაფარულ რიფებს, რომლებიც ანელევენ და ანანილებენ სახალხო ნების მდინარებას. თუნდაც კანონი დამორგუნველი იყოს, თავისუფლება მაინც იპოვნის თავშესაფარს კანონის აღსრულების დროს და უმრავლესობა ვერ გაერკვევა, როგორ უნდა ჩაერიოს წვრილმანებში, და ვერ შეძლებს, თუ შეიძლება ასე ვუნოდო, ადმინისტრაციულ ცელქობას. რა თქმა უნდა, ის არც კი გაიფიქრებს ასეთ ქმედებას, რადგან მთლიანად არ შეუცვნიას საკუთარი ძალა; მხოლოდ ბუნებრივი სიძლიერის შესახებ იცის და ვერ წარმოუდგენია, როგორ გაიფართოვოს სივრცე.

ღირს ამ საკითხზე ჩაფიქრება. თუკი შეერთებული შტატების მსგავსი დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა დაფუძნდეს ქვეყანაში, სადაც მანამდე ერთი კაცის ხელში იყო თავმოყრილი ცენტრალიზებული ადმინისტრაცია და მისაღებად იყო მიჩნეული ჩვეულებისა და კანონის ძალით, უყოყმანოდ ვიტყვი, რომ ამგვარ რესპუბლიკაში დესპოტიზმი უფრო აუტანელი გახდება, ვიდრე ევროპის, რომელიც გნებავთ, აბსოლუტურ მონარქიაში. ნავიდეს ვინმე აზიაში და მოძებნოს რამე, შესაძარებლად რომ გამოდგეს.

ჩადაქციისაგან:

ალექსის დე ტოკვილი ანუ ალექსის შარლ ანრი კლერელ დე ტოკვილი (1805 – 1859) ფრანგული, ნორმანდიული, არისტოკრატიული გვარის ჩამომავალია. მამა თავისი დროის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ; არჩეული იყო ქალაქ მეცის მერად სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მხარეთა პრეფექტად და მუშაობდა. ტოკვილმა კარგი განათლება მიიღო ჯერ კერძო მასწავლებელთან, მერე მეცის სკოლაში და შემდეგ კი სამართალი შეისწავლა პარიზში.

იყო მოსამართლის თანაშემწე, ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოთა დეპუტატი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი და გამორჩეული კანონმდებელთა შორის; ერთხანს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრადაც მუშაობდა. 1841 წელს საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს. 1848 წლის იანვარში მომავალი რევოლუცია იწინასწარმეტყველა და სასტიკად გააკრიტიკა ამ რევოლუციის გამომწვევი, ფრანგული პოლიტიკური სისტემის შეზღუდულობა. 1851 წელს საკანონიერ კი ამოჰყო თავი, სხვა 50 დეპუტატთან ერთად, რადგან ლუი ნაპოლეონის ჩამოგდება შეეწინააღმდეგა და სახელმწიფო გადატრიალება დაგმო. ციხიდან რომ გამოუშვეს, არ დატყდა, ლონდონში წერილი გამოაქვეყნა და გადატრიალება კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. სწული კაცი იყო, ფილტვებით დაავადებული, და შუა ხნისა გარდაიცვალა, კანში. თავის სოფელში დაკრძალეს, ტოკვილში. მამის სიკვდილის შემდეგ გრძობდა ერგებოდა, მაგრამ ეს ნოდება არასოდეს უტარებია.

ოცდახუთი წლის ტოკვილმა მეგობართან ერთად ამერიკაში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი ორიოდ წელიწადში დიდ წიგნად აქცია.

ალექსის დე ტოკვილი რამდენიმე წიგნის ავტორია, მაგრამ მათ შორის გამორჩეულია: „დემოკრატია ამერიკაში“ (1835-40) და „ქველი რეჟიმი და რევოლუცია“ (1856). ამ წიგნებმა საფრანგეთის აკადემიის პრემია მოიპოვეს.

„დემოკრატია ამერიკაში“ ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების უმთავრეს წიგნთა შორის შედის. მას დღესაც კითხულობენ და ეყრდნობიან არამარტო აკადემიურ ნრეებში, არამედ როგორი მკითხველებიც, რადგანაც წიგნში წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ღრმა ანალიზი და, მეორე

მხრივ, სადა და ყველასათვის მისანდომი სტილითაა საუბარი რელიგიის, პრესის, ფულის, კლასობრივი სტრუქტურის, რასიზმის, მთავრობის როლის თუ სასამართლო რეფორმის შესახებ. წიგნის კითხვისას გრძნობ, რომ არათუ ამ თემებს არ დაუკარგავთ აქტუალობა XXI საუკუნეში, არამედ ტოკვილის მოსაზრებებიც ცოცხალია და მისი პოლიტიკური ფილოსოფია კვლავაც შთააგონებს და აფრთხილებს პოლიტიკოსებსა და რიგით ამერიკელებს.

ტოკვილი პირველ რიგში თავისუფლებისა და შემდეგ დემოკრატიის მოსარჩელეა. დემოკრატიასა და გათანაბრებას იგი მხოლოდ თავისუფლებით განონანსწორებულს ხედავს. პიროვნებაზეც ზრუნავს და თემზეც, მაგრამ ფიქრობს, რომ გადაჭარბებული სოციალური გათანაბრება იზოლაციამდე მიგვიყვანს და, ამრიგად, ხელისუფლებას მეტი შესაძლებლობა ექნება ჩაერიოს ადამიანების ცხოვრებაში, რაც თავისუფლებას საფრთხეს შეუქმნის.

ამერიკაში დღეისათვის ტოკვილს კონსერვატორებიც ეყრდნობიან და ლიბერალებიც. მისი ორტომეული ყოველი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გამორჩეულ ადგილას ძევს და სასწავლო პროგრამების აუცილებელი, შემადგენელი ნაწილია.

რასეულ კერკი მიიჩნევს, რომ ტოკვილი ედმუნდ ბერკის მოწაფე იყო და მისი წიგნიდან როგორც ყველაზე ღირებულს, დემოკრატიის დესპოტიზმის ანალიზს გამოჰყოფს: „დემოკრატიული დესპოტიზმის ანალიზი მისი [ტოკვილის], როგორც პოლიტიკის თეორეტიკოსის, სოციოლოგის, ლიბერალისა და კონსერვატორის უმაღლესი მიღწევაა. „მე არ ვუპირისპირდები დემოკრატიას, – სწერდა იგი მ. ფრესლონს, 1857 წელს, – ის შესაძლოა იყოს დიადი, შესაძლოა იყო ღვთის ნების გამოხატულება, თუკი თავისუფალი იქნება. ის კი არ მამწუხრებს, რომ ჩვენი საზოგადოება დემოკრატიულია, არამედ ის ნაკლოვანებანი, ნამეკვიდრევი თუ შეძენილი, რაც გვიძნელებს შეძენასა თუ შენახვას კარგად მონესრიგებული თავისუფლებისა. და არ მეგულება არაფერი ისე შესაბრალისი, როგორც დემოკრატიია თავისუფლების გარეშე“ (რასელ კერკი, „კონსერვატული გონი“, 1953, გვ.179).

რათა შთაგონებული და მხოლოდ ადგილს უცვლის პოლისის იდეას. დასავლეთში ამ ორპოლუსიანმა არისტოტელიზმმა განსაზღვრა ინტელექტუალური სფერო, რომელშიც ქალაქის იდეაა მოაზრებული.

პოლისი დაუინებით ისწრაფის და ეჭიდება აკადემიურ აზროვნებას და დაკავშირებულია თვით ადამიანური ყოფის მრავალ ინტერპრეტაციასთან. არისტოტელეს ძიონ პოლიტიკონისათვის ქალაქის კედლების მიღმა არ არსებობს პიროვნება; ქალაქგარეთ მხოლოდ მხეცები და ღმერთები ცხოვრობენ. პიროვნებად ყოფნა ნიშნავს იყო ნაწილი პოლისის კორპორატიული მთელისა. არს-სასრულობა პიროვნებისა არ მყოფობს ინდივიდში; ის არ წარმოიშობა განყენებული პირის განვითარების შედეგად და ვერც ოჯახში განვითარდება ბავშვის ძმად და მამად გადაქცევით. არისტოტელეს მიხედვით, პიროვნება ვერ გაჩნდება ვერც სოფელში, ვერც იმპერიულსა და ვერც კოსმოპოლიტურ ყოფაში. მხოლოდ პოლისში შეიძლება იარსებოს პიროვნებამ, რადგან ბუნება პიროვნებისა პოლიტიკურია. ეს შეხედულება ქალაქებსა და პიროვნებაზე ემპირიული მტკიცებულება არ გახლავთ: თანამედროვე ქალაქთა არისტოტელური მიმოხილვა ისეთი უაღრესი მრავალფეროვნებით წარმოაჩენს ქალაქების პანორამას, როგორც მისი შეხედულება გახლდათ პოლისზე. ფილოსოფოსები გვეუბნებიან, არისტოტელე ამის ჩვენებისას არც იდეტურ გზას არ მიმართავს – თითქოს რაღაც იდეალური პოლისი არსებობდეს, რომელიც ელის, როდის აღმოაჩენდნენ და სწორად უჩვენებენ მის ნამდვილ სახეს. არისტოტელეს პოლისი გამოხატავდა სასრულს (ტელოს), რასაც მოითხოვდა ცვალებადი ყაიდის ქალაქები და ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაბმული ხალხი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანური ცხოვრების დინამიკაში აშკარაა მიმართულება პიროვნებად ყოფნის უცვლელ, უნივერსალური სასრულისაკენ. ამ ტელეოლოგიური ბუნებით პიროვნება პოლიტიკურია. პოლისის პოლიტიკური ცხოვრება პიროვნების ყოფის განსაზღვრელი პირობაა.

თუ ფიქრებს ასე წარვმართავთ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ აკადემიური მიდგომა ქალაქთა კრიზისისადმი ადამიანურ კრიზისს გულისხმობს, რადგან პოლისის ცხოვრება ნორმატიულ გარემოში მიედინება. ამ აზროვნების რიტმის მიღმა იმალება არისტოტელე, ვინც მიიჩნევს, რომ უქალაქოდ (მისი კორპორაციის, ჰარმონიის, ღვთაებრივის სასრულობისა და ასე შემდეგ) პიროვნების არსებობა შეუძლებელია. ინტელექტუალური სივრცის ამ პოლუსზე ქალაქთა ნორმატიულობას მტკიცე საფუძველს უქმნის უმაღლესი დანიშნულება: ისინი შესაძლებლობას ჰქმნიან ადამიანად ყოფნისა. კარგი ქალაქები შეესაბამება პოლისს. და, ამრიგად, თუ ჩვენი დღევანდელი ქალაქები არ შეესაბამება, მამასადამე ქალაქი კრიზისს განიცდის.

არისტოტელეს ინტელექტუალური სივრცის მეორე პოლუსზე პოლისის საპირისპიროს ვხვდებით, რასაც „ლიბერალ-რომანტიკულს“ უწოდებენ. რაკი პოლისის საპირისპიროა, ისიც არისტოტელედან მომდინარეობს. რა თქმა უნდა, ის უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ არისტოტელეს აზროვნების საპირისპირო რამ, საპირისპირო ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის არისტოტელური შეხედულებისა. ლიბერალ-რომანტიკული თვალსაზრისით, ბუნება, შორეული სასრულის ნაცვლად, დაკარგულ საწყისად წარმოგვიდგება. ესეც ადამიანური საქმიანობის ნორმათა საზომია, მაგრამ თანამედროვე ადამიანური საქმიანობა საწყისთან მიმართებით უფრო იზომება, ვიდრე ტელეოლოგიურ ბუნებასთან. საზომი მი-

სტივენ შნეკი

ქალაქი და სოფელი

არისტოტელური კონცეფცია

მდუმარი არისტოტელიზმი სჭარბობს უმთავრეს აკადემიურ კონცეფციებში ქალაქის შესახებ და შემოსაზღვრავს აკადემიურ სივრცეს, სადაც „ქალაქის“ საკითხი წყდება. სივრცის ერთ პოლუსზე არის პოლისი, თვით არისტოტელეს მიერ ოსტატურად დახატული იერარქიული კორპორაცია, რომლის წესრიგიც მინიშნებს ღვთაებრივ ტელოსზე. სივრცის მეორე მხარეს კი კერძო ინტერესების მქონე პიროვნებათა საზოგადოებაა. ეს მოსაზრებაც, ცხადია, არისტოტელეს მიე-

მართულია იქით, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი და არა – თუ როგორი უნდა იყოს. ამგვარ აზროვნებაში უკუსვლა იგულისხმება. მიგვანიშნებენ, რომ რაკი ადამიანები სულ უფრო მეტად უცხოვდებიან თავიანთი საწყისი ყოფისაგან, ისინი გადაგვარდნენ. უფრო მეტიც, რადგან ჩვენი ყოფა ქალაქებიდან არ იწყება, ქალაქი ორმაგად გადაგვარებულია. ლიბერალ-რომანტიკოსთა აზრით, ადამიანის გადაგვარებასა და ადამიანის საცხოვრებელი პირობების დაშორებაში საწყისი მდგომარეობისაგან, ქალაქია დამნაშავე. უარი თქვი ურბანულ ცხოვრებაზე, იცხოვრე სოფლად თუ შეგიძლია; და თუ არ შეგიძლია, სოფლური ყოფა გადმოიტანე ქალაქში, გარდაჰქმენი ქალაქური ცხოვრების ურბანული ყაიდა.

ქალაქის გამო გავრცელებული აკადემიური დამოკიდებულება შემოსაზღვრულია იდეით პოლისის შესახებ და აზრით – მისი გადაგვარების გამო. ერთი უკიდურესობა, ქალაქის აღქმა, როგორც პოლისისა, განდევნის სოციალური მთელის კოორდინირებული ჰარმონიის ხატს, რომელიც შთააგონებს მეზობლობისა და ერთობლივი ცხოვრების მადიდებელ ლიტერატურას. მეორე უკიდურესობა, ქალაქის წარმოდგენა გადაგვარების ადგილად ბანს აძლევს ზოგიერთ ეგრეთნოდებულ პროგრესულ დამოკიდებულებას ქალაქის იდეისადმი. მაგრამ არ შეიძლება ითქვას იმ მიმართებაზე ქალაქისადმი, ამ დიქტომიის დაძლევა რომ ცდილობს, ან დიქტომიის, პოლისისა და გადაგვარების სინთეზით გადალახვაზე რომ მიუთითებს? ტოენისისეული ანალიზი Gemellshaft-ისა და Gesellschaft-ისა, მაგალითად, შეიცავს ამგვარ სინთეზს. მაქს ვებერის ბიუროკრატიული საზოგადოება, ჰეგელის სახელმწიფო და კარლ მარქსის კომუნისტური საზოგადოება უფრო ახლოსაც მიდიან ქალაქის უამრავი თანამედროვე მოდელების საწყისებთან. და მაინც, განა გვიჩვენებენ პოლის – გადაგვარების დიქტომიის დაძლევა? ან განა ამ ორი პოლუსის თავისებურებებს აერთებენ, ჯერაც არისტოტელეს მიერ შთაგონებულ საზღვრებში რომ მდებარეობს? რამდენად განსხვავდება შეხედულებანი ბიუროკრატიულ საზოგადოებაზე, კომუნისტურ საზოგადოებასა და სახელმწიფოზე – პოლისის კორპორატიული იერარქიისაგან? ალბათ ჩვენი მოსაზრებანი ქალაქის შესახებ უფრო მეტს ამბობს ინტელექტუალურ ისტორიაზე არისტოტელესეული გავლენის გამო, ვიდრე თვითონ ქალაქზე.

ქალაქი, როგორც თავისუფლების ადგილი

თუ უფრო მეტ ინტელექტუალურ სივრცეს გადავშლით ქალაქის იდეის განსახილველად, ანალიზის ხაზი ჩვეულებრივი მსჯელობის საზღვრებს გასცდება. პოლისისა და გადაგვარების ნაცვლად მსჯელობა მივმართოთ „ქალაქისა“ და „სოფლისაკენ“; პირდაპირ მივადგებით მე-15 საუკუნის გლეხის აპოკრიფულ გამონათქვამს, – „Die Stadluft mact frei!“ („ქალაქის ჰაერი თავისუფლებას გვანიჭებს!“), ჩავუფიქრდეთ აქ გამჟღავნებულ დამაბულობას, იმ დამახასიათებელ ნიშნებს შორის, რაც უკვე აღქმულ სოფლურ ცხოვრებასა და მოსალოდნელ ქალაქურ ცხოვრებას შორის მოჩანს. სოფელი წარმოდგენს მჭიდრო, შეზღუდულ თემს. თვითეული სოფელის სულში ამოჭრილია ერთგვაროვანი გემოვნება, სტილი და სურვილები იმ უბოდიშო ფამილარობით, აკვნიდანვე რომ იწყება. სოფლის ცხოვრება შინაურული ყოფაა, განსაზღვრული საყოველთაო საჯარო ძალაუფლებით. ქალაქი კი

ჩვენს გლესს სთავაზობს მრავალფეროვნებას, ანონიმურობასა და კერძო სივრცის პოვნის შესაძლებლობას, დაცული რომ იქნება საყოველთაო, უბოდიშო შეჭვრეტისაგან, რასაც სოფლურ ცხოვრებაში ხვდებოდა. ქალაქური ცხოვრების იდეალი გლესისათვის ოთახია, კერძო სარგებლობისათვის და არა შინაურული თუ პიროვნული, არამედ ფორმალური ძალაუფლება. გლესისეული აზროვნება ინტრიგის გამომწვევია. თუ die Stadluft mact frei, მაშინ არისტოტელეს პოლისი აღარაა ქალაქის საზომი. უფრო ნათლად რომ გამოვთქვათ, ის აღარ არის ქალაქი – გამოცდილების ადგილი. წარმოვიდგინოთ ათენი ალექსანდრეს იმპერიის დაღმასვლისას; დავაკვირდეთ მანძილს მის მაცხოვრებელთა გამოცდილებასა და არისტოტელეს „პოლიტიკის“ პოლისს შორის. იმ 75 000 ათასმა ადამიანმა, ვინც თავისი სოფლები და თემები მიატოვა ათენის პირეოსის Stadluft – ისათვის, ქალაქურ ცხოვრებას იმიტომ კი არ მიმართა, რომ კორპორატიულ იერარქიაში და საერთო ცხოვრების ადგილზე მოხვედრა სურდა. ქალაქში ეს ხალხი იმდენად საზოგადოებრივ სივრცეს არ ეძებდა, რამდენადაც პირადულ სივრცეს. მათთვის ქალაქურ ცხოვრებაში სასურველი იყო სივრცე, რომელიც თავაზობდა თავისუფლებას სოფლური ცხოვრების თემურ, შეზღუდულ ყოფასთან შედარებით. მეორე მხრივ, პირეოსის არჩევა არ ნიშნავდა ცივილიზაციისაგან გაქცევას, რაც დამახასიათებელია ლიბერალ-რომანტიკული პოლუსისათვის.² ასე რომ, როგორც პირეოსელთათვის, ისე ჩვენი აპოკრიფული გლესისათვის გამოცდილების ქალაქები არც პოლისსა ჰგავს და არც გადაგვარებას.

თუ ეს მსჯელობა დამაჯერებელია, მაშინ მრავალი ურბანეთორეტიკოსის მიერ გამოტირებული, ეგრეთნოდებული „ქალაქთა კრიზისი“ მცდარია. ესე იგი, მცდარია, თუკი წარმოდგენილ კრიზისს განვსჯით უკმარი სოლიდარობისა (პოლისი) და კაცობრიობის ბუნებასთან პიროვნული ჰარმონიის სტანდარტებით (გადაგვარება). ჩვენი გლესის განსჯით, ქალაქის აზრი არ უკავშირდება სოლიდარობის განცდას. ქალაქის აზრი უფრო მეტად გვიჩვენებს ღია ადგილსა თუ სივრცეს, რაც შედარებით თავისუფალია გამოხატვის ჰეგემონიისა და იმ გემოვნებისაგან, რასაც კაცი სოფელში ხვდება. ჩვენი გლესისათვის ქალაქი არც პიროვნული ბუნებისა და ბუნებრივი მდგომარეობისაგან გაუცხოებას უკავშირდება. კრიზისი არ ნიშნავს არც თემისა და არც ბუნებრივი მესგან გაუცხოებას. თუკი გლესისათვის ქალაქის აზრი პირადულ სივრცეშია – მრავალფეროვნებითა და ანონიმურობით გახსნილ პირადულ სივრცეში – მაშინ ქალაქის კრიზისი ამ სივრცის დაკარგვას ნიშნავს. ქალაქის კრიზისი, გლესის განსჯით, გულისხმობს მრავალფეროვნებისა და ანონიმურობის ეროზიას და ურბანული ცხოვრების კეთილგონივრულობის დაგინროვებას. გლესს სწყურია შეჰქმნას ცხოვრება საკუთარი პასუხისმგებლობით და არა ისეთი – იდილიური, ბუნებრივი ადამიანისა და ტრადიციული თემობრივი სტანდარტებით რომ იზომება. ალბათ ამიტომაც ქალაქების კრიზისი ამგვარი პასუხისმგებლობის სივრცის შევიწროვებაა ორივე ფრონტზე.

თანამედროვე ქალაქთა გამოცდილების გათვალისწინება ნდობით განგვანყოფს გლესის ანალიზისადმი. ურბანული ცხოვრების გამო გამოთქმულ წუხილში, იშვიათად მოჩანს სოლიდარობის მონატრება. ამის ნაცვლად, წუხილი მონატრებული სიცოცხლისუნარიანობისა და მრავალფეროვნების გარშემო ტრიალებს. ქალაქები ჰკარგავენ თავისუფალ სულს. კითხვები, თუ რატომ და როგორ ჰკარგავენ, წარმოაჩენს არარსებულ ხაზს ჩვენი გლესის მსჯელობაში, რადგან

გლახმა არ იცოდა წარმართული სახელმწიფო-საზოგადოების თაობაზე, შეზღუდული მაკრო-სოფლის გემოვნებათა, ღირებულებათა და გამოხატულებათა შესახებ, რომლის წინააღმდეგაც ქალაქი ვერაფერს გააწყობდა.

ახლა გასაგებია, რომ როგორც მრავალფეროვნებისა და ანონიმურობის კრიზისი (პიროვნული შემოქმედებითი სივრცის, პასუხისმგებლობისა და განსხვავებულობის კრიზისი), ასევე კრიზისი ქალაქისა, წუხილი დაკარგული თავისუფალი სულის გამო ეგრეთწოდებული „სახელმწიფო-საზოგადოების“ შემოტყვის შედეგია. „სახელმწიფო-საზოგადოება“ ისე ყოვლისმომცველად და ბეჯითად ჩაეჭიდა თანამედროვე პიროვნების სულს, რომ ერთ დროს ქალაქის მიერ ფართოდ გახსნილი იდეა დაიკარგა. მაგრამ რას წარმოადგენს ეს შემოჭრილი „სახელმწიფო-საზოგადოება“?

თანამედროვე მსოფლიოსათვის სახელმწიფო-საზოგადოება ადამიანური გამოცდილების პარადიგმული სოციალობაა. ის განსაზღვრავს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყიდის სურველებსა და მიზნებს. ვინმე შეიძლება შეგვეკამათოს, არსებობს სახელმწიფო-საზოგადოების ორი იდეა: სახელმწიფოთი წარმართული და საზოგადოებით წარმართული. მაგრამ ორს შორის არსებულ მარად ხელიდან გამსხლტომ განსხვავებისათვის ჩაჭიდება მხოლოდ იმაში დაგვეხმარება, რომ კიდევ უფრო გააბუნდოვანებს სახელმწიფო-საზოგადოების მეტად ფუნდამენტურ თავისებურებას (ვთქვათ, შეიძლება საკამათო იყოს, რომ შაბათის დილის პროგრამას ბავშვებისათვის NBC-ის არხზე და მაოსტურ ოპერას მეტი გავრცელება სჭირდება, ვიდრე ისინი სწვდება). თუ ასე განვაზოგადებთ, მაშინ სახელმწიფო საზოგადოება უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი გლახის გაზრდილი და უნივერსალობამდე მიღწეული სოფლად. სოფლის იდეა გულსხმობდა შემზღუდველ ფამილარობასა და პიროვნების დამომძღვრავ ტრადიციულ სახალხო წესრიგს. ქალაქის იდეა, ამისდა საპირისპიროდ, გვიხსნის ფამილარობისა, დამომძღვრისა და მონოლითური სახალხო წესრიგისაგან; მის შუაგულში დგას მრავალფეროვნება ანონიმურობისა. სახელმწიფო-საზოგადოება შეაღწევს ქალაქის მიერ გახსნილ სივრცეში, სოფელივით უპირისპირდება განსხვავებულობასა და პლურალიზმს; პიროვნული პასუხისმგებლობისა და შემოქმედების სივრცეს საზოგადოებრივი თვალთვალის არეში აქცევს.

და მაინც, არსებობს განსხვავება სახელმწიფო-საზოგადოებასა და სოფელს შორის; იქ, სადაც სოფელი გვთავაზობს საზოგადო მრავალფეროვნებასა და ფამილარობას, და სადაც ქალაქის იდეა გვთავაზობს პიროვნულ, კერძო მრავალფეროვნებასა და ანონიმურობას, სახელმწიფო-საზოგადოება ჯადოსნური შელოცვით ხტავს სურათს ერთფეროვნების ანონიმურობისა. სახელმწიფო-საზოგადოების სახალხო წესრიგისათვის დამახასიათებელი ხელმძღვანელობა აკნინებს პიროვნებას და ერთგვარ გაცვლა-გამოცვლის საგნად აქცევს, მკაცრი, საზოგადოებრივი თვალთვალის რომ დაწესება.

სახელმწიფო-საზოგადოების იდეას, ალბათ, ქალაქისა და სოფლის იდეებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ისტორია აქვს. სოფელი, ქალაქი და სახელმწიფო-საზოგადოება ქალაქის იდეისადმი ტრადიციული მიდგომის არისტოტელურ სფეროშია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, სოფელი არ არის ჰეგელის „თემი“ ქალაქი არ არის მისი „სამოქალაქო საზოგადოება“ და (ყველაზე უფრო აშკარად) სახელმწიფო-საზოგადოება არ არის მხოლოდ „სახელმწიფო“. ამრიგად, ჰეგელი კი არა, ტოკვილი გვთავაზობს უკეთეს თვალსაზრისს ქალაქის კრიზისზე.

ტოკვილის ახალი ინგლისის ქალაქი და ამერიკა

ალექსის დე ტოკვილის „დემოკრატია ამერიკაში“ გვთავაზობს სახელმწიფო მოწყობის სამ სურათს, რაც თანხვედბა ჩვენს შეხედულებებს სოფელზე, ქალაქსა და სახელმწიფო-საზოგადოებაზე. ახალი ინგლისის დაბა ტოკვილისათვის სოფელია. მისი ამერიკული იდეალი რთული ყაიდისაა და მასში დისტოპიაც მოჩანს და უტოპიაც – ან, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალაქიცა და სახელმწიფო-საზოგადოებაც. ტოკვილის ნაშრომი ამერიკის შესახებ შეიძლება აღვიქვათ, როგორც საყვირი, სახელმწიფო-საზოგადოების ძალ-ღონეს რომ გვაცნობს. იგი პირველია, ვინც იმ საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს, ქალაქს რომ ემუქრება. და მაინც, ალბათ უნებურად, იგი სოფლის იდეას იცავს სახელმწიფო-საზოგადოებისაგან.

ამ კონტინენტის მწერლებს დიდხანს აოცებდათ და აცბუნებდათ ტოკვილის შეცდომები, რაც მას ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებისა და კანონთა ანალიზისას მოსდიოდა. განცვიფრებას ალბათ უფრო ინვეს ტოკვილის განზრახვის უკან მიღვევება, რადგანაც კანონები და ხელი-სუფლება უნდა აღვიქვათ, როგორც მისი თხრობის შემადგენელი ნაწილები. ტოკვილისეული ამერიკის საფუძველი ხალხის ძალუფლების პრინციპია. ხალხის ფაქტობრივი მმართველობა, აცხადებს იგი, უნივერსალურია ყოველი ადამიანური ინსტიტუტისათვის. საგულისხმოა, რომ შეერთებულ შტატებში ეს უნივერსალური მოვლენა ხალხისაგან დამალული არ არის: საჯაროდა და სახალხოდაა ცნობილი პოლიტიკისა და პოლიტიკური საქმიანობის ყველა ინფორმაცია. და მაინც, შეუსაბამობა ჩახლართულა, ტოკვილის მსჯელობაში სახალხო ძალაუფლების თაობაზე. ამერიკის დისტოპიის შესახებ თავისი შემდგომ მტკიცებულებათათვის საფუძველს რომ ამუშავეს, იგი მიიჩნევს, რომ ხალხის ძალაუფლება ამერიკაში, არ არის გამოხატული „ხალხის ერთიანობით“ ან „ხალხის გენით“, ან „ხალხის სულით“. მის ამერიკაში სახალხო ძალაუფლება გამოხატულია ინდივიდთა რიცხობრივი უმრავლესობით.³

რატომ აირჩია ეს უტილიტარული ფორმულა და არა უფრო არისტოკრატული, მონტესკიესეული ვერსია, რაც ტოკვილის ახალი პოლიტიკური მეცნიერების შთაგონებადაა მიჩნეული? გულწრფელად რომ ვთქვა, ამ შემთხვევაში ტოკვილს თივით გატენილი კაცის ფიტულები გამოჰყავს სცენაზე. მისეულ ამერიკაში მცხოვრები ხალხი, ა პრიორი რადიკალი ინდივიდები უნდა იყვნენ, თვითთულს თანასწორი პოლიტიკური ძალმოსილება უნდა ჰქონდეს, რათა მასობრივი საზოგადოებრივი სპექტრი – ტოკვილის დისტოპია – უფრო თავზარდამცემი გახდეს. ანარქია, ქაოსი და ანომი, პოტენციურად აღმოცენებულ სახელმწიფოში თერაპიას საჭიროებს, რასაც ტოკვილი გვთავაზობს. სხვა სიტყვებით, აქ ჩაყრილია ამერიკის, როგორც ჩამოუყალიბებელი დემოკრატის დისტოპიის, საფუძველი. ამ საძირკველზე აღმართავს იგი პოლიტიკურ შენობას, რომელსაც რეალურად სახალხო მოგათვალის რიცხობრივი რაოდენობა მართავს. ეს არის თავდაყირა პოლიტიკა, რაც შედეგია ვრცელი, თანმიმდევრული ჰო და არას შემცველი ტაბულებისა, რაც ერთგვარი და რადიკალურად თანასწორ ინდივიდთა პოლიტიკური ქმედებისაგან მომდინარეობს.

ტოკვილის ქალაქის ამ დისტოპიური პერსპექტივიდან, ამერიკა წარმოგვიდგება საგზაო ნიშნად, რომელიც უელის

ფრანკენშტაინივით უბატონო და უზედამხედველო პოლიტიკაზე მიგვანიშნებს. ტოკვილის მიზანი ნათელია: თუ ამერიკის საფუძველი ასეთია, ნართაულად იკითხავს იგი, ხომ არ უნდა დავმოძღვროთ და გავანათლოთ ეს ურჩხული ყრმობიდანვე, რათა დავაკოთ მისი გონება და გულისწადილები?

აღწერილ ფედერალიზმს თუ გავყვებით, დაბები ყველაზე უფრო ახლოსაა საძირკვლებთან ტოკვილის წესრიგისა. „დაბებში, როგორც სხვაგან ყველგან,“ განმარტავს იგი, „ხალხი ძალაუფლების წყაროა; მაგრამ არსად ახორციელებენ ისინი თავიანთ ძალაუფლებას უფრო უშუალოდ, ვიდრე აქ.“⁴ დაუოკებელი, თითქმის საშობი, ხალხის ნების წინაშე მდგომმა დაბებმა უნდა უზრუნველყონ უპირველესი და ყველაზე ეფექტური ფენის ჩადება იმ ჭურჭელში, რაც აგროვებს და მერე დემოკრატიულ ადამიანთა ნაკადად გადმოადინებს მათ. ტოკვილი წერს, რომ დაბა, „ცენტრი ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ურთიერთობისა,“ ეხმარება მისეულ ამერიკას, „როგორც ადგილი, სადაც სურთ სახალხო შეფასდეს მღელვარე ინტერესთა ნებაცა და ხელისუფლების ძალაუფლებისა და პოპულარობის მადაც.“ ამ შემთხვევაში, აგრძელებს იგი, „ემბრიონული დემოკრატიული საზოგადოების ვნებანი ხასიათს იცვლის, როცა გამწმენდი მილი ასე ახლოსაა საოჯახო კერასა და ბუხართან.“⁵ დაბებსა და სოფლებში შესაძლებელი ხდება გულისწადილისა და ჩვეულებების ზედმინვენითა და ეფექტურად დაუფლება. დაბები „ჩვეულებრივი და სრულყოფილი მთლიანობაა: ისინი ძველია, გამაგრებული კანონითა და უფრო მეტად ადათებით თემისა, სადაც მათ განსაცვიფრებელი გავლენა აქვთ.“⁶

გარდა ამისა, ტოკვილი თავისი თეორიის ამ ნაწილში გულისხმობს არა ზოგადად დაბას, არამედ კონკრეტულ დაბას ახალი ინგლისისა. ახალი ინგლისის დაბა, სახელგანთქმული თავისი საყოველთაო „თემობრივი ადათით“, პიროვნებათა ყოფაცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში რომ იჭირებდა, შესაფერისი საპირნონეა ტოკვილისეული ქალაქის საქმიანობისა. წარმოვიდგინოთ მას და გავგახსენებოთ ნორმან როკუელის ილუსტრაციის სცენა: უბრალო მუშა რომ ნამომდგარა სიტყვის სათქმელად საქალაქო კრებაზე. „საქალაქო კრებები იგივეა თავისუფლებისათვის, რაც დანყებითი სკოლები მეცნიერებისათვის,“ გვეუბნება ტოკვილი, „ისინი უშუალოდ მიდიან ხალხთან და ასწავლიან ადამიანებს, თუ როგორ მოიხმარონ, გამოიყენონ და ისარგებლონ მისით.“⁷

და მაინც, წარმოსახვა მიგვანიშნებს, რომ როკუელის საქალაქო კრება კი არა, არტურ მილერის „ხათაბალა“ უფრო უახლოვდება ტოკვილის პოზიციას. ნაცვლად პოლიტიკურის ძალის მოხელეებისა, ინდივიდთა დამოძღვრა და კრიტიკული განსჯა ხდება სათემო მეთვალყურეობის ფონზე და ტოკვილის თეზისში ეს უფრო მნიშვნელოვანია. მართლაც, ახალი ინგლისის პურიტანული წარსულის საქალაქო კრებები ზუსტად შეესატყვისება ტოკვილის ნაგულისხმევ მიზნებს. პურიტანების დროინდელი საქალაქო კრებები ნაწილობრივ იმასაც ემსახურებოდნენ, რომ თემის ინტერესებისათვის უფრო მეტად დაექვემდებარებინათ პიროვნებანი და უფრო პოლიტიკური მიზნები კი ის იყო, რომ ბრალი დაედოთ მათთვის, ვინც ურჩობას გაბედავდა.

და, შესაბამისად, ტოკვილიც შენიშნავს:

„მჯერა, რომ პროვინციული ინსტიტუტები გამოსადეგია ყველა ერისათვის, მაგრამ არა მგონია სადმე ისე საჭირო იყოს, როგორც დემოკრატიულ ქვეყნებში. არისტოკრა-

ტიის დროს წესრიგი თავისუფლების შუაგულშია შენარჩუნებული და, რადგანაც მმართველებს ბევრი რამ აქვთ დასაკარგი, წესრიგი დიდად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მაგრამ დემოკრატიის დროს, პროვინციული ინსტიტუტების გარშე, ამგვარი ბოროტებისაგან თავს ვერ დაცავ. როგორ შეძლებს მოსახლეობა, რომელიც სრულიად მიუჩვეველია თავისუფლებას, ისწავლოს მისი ზომიერად დაუფლება დიდი მოვლენების დროს? რა წინააღმდეგობა შეიძლება გაუწიო ტირანის ქვეყანაში, სადაც თვითეული ინდივიდი სუსტია და სადაც მოქალაქეები არ ერთიანდებიან საერთო ინტერესთა შესაბამისად? ვისაც აშინებს ბრბოს თვითნებობა და ვინც უფრთხის აბსოლუტურ ძალაუფლებას, უნდა სურდეთ თანდათანობით განვითარება პროვინციული თავისუფლებისა.“⁸

ტოკვილის ქალაქი წარდგენილია სახელმწიფოს ტექნოლოგიისათვის, როგორც იავთი პოლიტიკური რხევისა, დემოკრატიის ძლევამოსილ ძალთა ზედამხედველობის ზღვარზე. დანაპირებიცა და მოსალოდნელი რისკიც უთუოდ წარმოდგენილია ისევე, როგორც მაკიაველის „მთავარი“ გვიჩვენებს ბილიკს ქაოსისა და მარცხისა ან წესრიგისა თუ წარმატებისაკენ.

„ჩემი აზრით, მთავარი ნაკლი შეერთებული შტატების დემოკრატიული ინსტიტუტებისა მომდინარეობს, როგორც ევროპაში აღნიშნავენ, არა მათი სისუსტის, არამედ მათი დაუოკებელი ძალისაგან. ამ ქვეყანაში გამეფებულ უსაზღვრო თავისუფლებაზე უფრო მეტად ტირანიის წინააღმდეგ შექმნილი არაადეკვატური მექანიზმები გაფხიზლებს.“⁹

კანონები და მთავრობები საკმარისი არ არის დაუოკებელი ძალის შესაკავებლად. კანონები და მთავრობები მეტად ზოგადია და ფორმალური, რათა უზრუნველჰყოს ხალხის, როგორც ინდივიდთა, კრიტიკული მიზნებისა და კონკრეტულ მოთხოვნათა შესრულება. იმ კანონებსა და მთავრობებს კი, ვინც დიდადაა დაშორებული ხალხისაგან, მხოლოდ ის თუ შეუძლიათ, რომ უხეშად მიმართონ პიროვნული სურვილები შესაბამისი ბილიკებისაკენ. სწორედ ამ მიზეზით ტოკვილი თავისეულ ამერიკაში ფორმალურ და ზოგად კანონთა ადმინისტრირებას ფხიზელ ჯგუფებსა და მოხალისეთა ასოციაციებს ავალებს. მოსაწესრიგებელ და გასაძლოდობიერებებთან ახლოს მყოფ მოხალისეთა ჯგუფებს და მის საყვარელ რაზმებს შეუძლიათ უფრო მართებულად გაიაზრონ კანონი და, შესაბამისად, მეტი შედეგიც მოიპოვონ.

ასეთი მცდელობანი ხალხის ძალაუფლებით მანიპულირებისა სინამდვილეში კანონის ხასიათიდან არ მომდინარეობს. ტოკვილს, ბუნებრივია, ესმის ეს და მისი გამოკვლევის უდიდესი სიახლეც ესაა. კანონებსა და მთავრობებს, ფორმალურსა და ზოგადს – საჯარო პოლიტიკურ ინსტიტუტებს – აკლიათ შესამთავრობო ხელისუფლებისათვის საჭირო ეფექტურობა და ქირურგიული სიზუსტე. ტოკვილის კონცეფციაში, ამერიკის შესახებ რაღაც მეტია საჭირო ინდივიდის დასამოძღვრად ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებში. როგორც იგი წერს:

„ამერიკული კანონები კარგია და მას უნდა მივანეროთ დიდი წილი იმ წარმატებებისა, რასაც ამერიკის დემოკრატიული ხელისუფლება აღწევს; მაგრამ არა მჯერა, რომ ეს არის

წარმატების მთავარი მიზეზი; და თუნდაც მივიჩნიო, რომ მან მეტი გავლენა მოახდინა ამერიკელთა სოციალურ კეთილდღეობაზე, ვიდრე ქვეყნის ბუნებამ, მაინც რჩება მიზეზი მჯეროდეს, რომ კანონთა ეფექტი მეტად მოკრძალებულია იმასთან შედარებით, რასაც ხალხის ჩვეულებები იძლევა.¹⁰

ტოკვილი მიუბრუნდება ჩვენს ყოველდღიურ საოჯახო და სამუშაო ძალაუფლებას, ჩვეულებათა, ქცევათა, პიროვნებათა ძალას და გულიდან წამოსულ წეს-ჩვეულებათა მოძღვრებას, როგორც უმაღლეს მექანიზმს ხალხის საშიში ძალის საზედამხებდევლოდ. საჭიროა რაღაც ყველგანყოფილი ხელი სოფლური ცხოვრებისა, რაც ეფექტურად აღწევს მოქალაქეთა პირად, ყოველდღიურ ცხოვრებაში, არტახებში რომ შხვევს და აწესრიგებს მათ ცხოვრებას აკვნიდან მოყოლებული მიხრწნალებამდე. ეს შინაურული ძალა წარმართავს პერსონულ სურვილთა დინებას და მოძღვრავს გულის ჩვეულებებს. ეს არის მონესრიგება გემოვნებისა, ღირებულებათა და გონებისა, საუკეთესოდ რომ არის დაუფლებულ-წარმართული ახალი ინგლისის დაბის – ამერიკული სოფლის – შემზღვეველ შინაურულობაში.

ცხადია, ტოკვილი დემოკრატიული ქალაქების მეგობარი არ არის. ერთგვარი შევებითაც შენიშნავს, ამერიკული სახელმწიფო-საზოგადოება წარმატებით იმიტომ მუშაობს, რომ ძირითადი გეზი ახალი ინგლისის ქალაქისაკენ აქვს აღებული. „ახალი ინგლისის პრინციპები“, სიხარულით ამბობს იგი, „მთელს კონფედერაციას სწვდება“. სახელმწიფო-საზოგადოებაში ისევე, როგორც სოფელში, მიშელ ფუკოსი არ იყოს: „მომრიგებელი მოსამართლეები ყველგან არიან. ჩვენ ვიმყოფებით საზოგადოებაში მასწავლებელ-მოსამართლის, ექიმ-მოსამართლის, „სოციალურ მუშაკ“ მოსამართლისა; მათზეა დაფუძნებული უნივერსალური ძალაუფლება ნორმატიულობისა; და ყოველი ინდივიდი, სადაც უნდა იმყოფებოდეს, ამგვარ საზოგადოებას უმორჩილებს სხეულს, მიმოხვრას, ქცევას, მიდრეკილებებსა და წარმატებებს.“¹¹

სახელმწიფო-საზოგადოება და ქალაქი

ფუკოსაგან ციტირებულ ნაწყვეტს იქით მივყავართ, ჩემი მოსაზრება რომ არის ქალაქის შესახებ. სახელმწიფო-საზოგადოება, როგორც სოფელი, სადაც შემოღობილია გემოვნებიანი, ღირებულებანი და აზროვნება, ძირში ჭრის მრავალფეროვნებასა და ანონიმურობას, რითაც ქალაქის ჰაერია თავისუფალი და ქალაქს აქვს „ქალაქის“ თვისება. ქალაქის კრიზისი გულისხმობს სახელმწიფო-საზოგადოების ზრდას იქამდე, რომ ადამიანური ყოფის პირობებს თითქმის მთლიანად განსაზღვრავს; ქალაქის თვისებათა აღდგენა, თუნდაც მცირე ზომით, სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. მე გხედავ ჰეგელის (გერმანელ მანდარინთა ბატონის) ხელის აჩრდილს იმ აკადემიური წრეებში, ქალაქზე რომ წერდნენ. „სამართლის ფილოსოფიაში“ ემბრიონული სახით ბევრი რამ არის **Gemeinschaft**-ისა და **Gesellschaft**-ის შესახებ. ჰეგელი ხედავს ადამიანურ საზოგადოებათა საბოლოო სინთეზს, როდესაც კორპორატიული სოლიდარობა და საზოგადოებრივი ინდივიდუალობა ერთმანეთს შეერწყმის და შედეგად მივიღებთ საზოგადოებას, სადაც ორივე იქნება – ქალაქიცა და სოფელიც. ჰეგელი და აკადემიური წრის წარმომადგენლები მართლებიც არიან და, სამწუხაროდ, ცდებიან კიდევ. სახელ-

მწიფო-საზოგადოება სძლევს ორივეს, სოფელსაც და ქალაქსაც, და ისე, რომ ორივეს თვისებათაგან უარესი დაგვრჩება: ერთგვაროვნება, ორთოდოქსულობა, შემზღვეველი შინაურულობა სოფლისა და ანონიმურობა ქალაქისა.

ტოკვილი უფრო დახვეწილია, ვიდრე გერმანელები: „დემოკრატია – ამერიკაში“ განმარტავს სახელმწიფო-საზოგადოების წარმოშობას და მის მიერ ძლევას ქალაქის თვისებისა. უფრო მეტიც, ტოკვილი გვიჩვენებს სახელმწიფოს ტექნოლოგიების ადამიანურ განზრახვას – შექმნიან სახელმწიფო-საზოგადოება, სადაც გერმანელები ხედავენ მხოლოდ **Gang Gottes in der Welt**. ქალაქის წყვევლა სახელმწიფო-საზოგადოების მიერ მარადიულ მარწუხებში მოქცევა თავისი მოქალაქეებისა, საზოგადოების თითების ჩაყოფა თვითეულ ჯამსა და ჭურჭელში. ფუკო თავის „წესრიგსა და სასჯელში“ საუბრობს შედარებითობის პრობლემაზე, რაც კარგად ეხმაურება ჩემს მსჯელობას; იგი განიხილავს ანტიკურ ქალაქებს მანამდე, სანამ სახელმწიფო-საზოგადოება გაჩნდებოდა. საუბრობს ათენზე, არა როგორც არისტოტელეს პოლისზე, არამედ როგორც ქალაქზე. ანონიმურობის მრავალფეროვნება ქალაქში ინდივიდებს სანახაობრივ სივრცეს უტოვებდა. იგი წერს, რომ ამის საპირისპიროდ:

„ჩვენს საზოგადოებაში გამეფებულია არა სანახაობა, არამედ თვალთვალის; ხატების ზედაპირს მიღმა, სიღრმეებში სხეულებია მოთავსებული: გაცვლა-გამოცვლის დიადი აბსტრაქციის უკან გრძელდება წერილმანი, კონკრეტული წერთა საჭირო ძალებსა; კავშირურთიერთობათა ჯაჭვი ეხმარება ცოდნის დაგროვებასა და ცენტრალიზაციას: ნიშანთა თამაში განსაზღვრავს ძალაუფლების სიმტკიცეს: და ინდივიდის მშვენიერი სრულყოფილება არ იჩნება და ითრგუნება, არამედ, სოციალური წესრიგისაგან სახეცვალეული, ამავე წესრიგში ფრთხილად მოთავსდება სხეულთა საერთო ტექნოლოგიის თანახმად. ჩვენ გაცილებით ნაკლებად ვართ ბერძნები, ვიდრე გვეგონია.“¹²

მაშ რა გვეშველება? ურბანულ დაგეგმარებაზე, არქიტექტურასა თუ სოციალურ სამსახურებზე ვერაფერს მოგახსენებთ და სჯობს არც არაფერი ვივარაუდო. მაგრამ თუკი ქალაქის კრიზისმა უნდა გააძლიეროს „ქალაქის თვისება“, მაშინ, ვფიქრობ, შეცდომა მოგვედის, განხილვას სოფლიდან რომ ვიწყებთ (ან კეთილშობილი ბარბაროსის ან ორივეს დაუხვეწავი ნარევისაგან). ქალაქები ერთგვარი სიმაგრენი უნდა იყვნენ და იცავდნენ გემოვნებას, ღირებულებასა და აზროვნებას, სახელმწიფო-საზოგადოების დამოძღვრა-დათრგუნვისაგან. ქალაქური ცხოვრებისათვის აუცილებელი სტრუქტურები საჭიროა ანონიმურობის მრავალფეროვნების გასაძლიერებლად, რისთვისაც **Stadtluft**-ი თავისუფლებას გვანიჭებს. ქალაქებს აღარ სჭირდებათ ზედმეტი სოციალური ნებო, მათ უნდა მოგვანოდონ მექანიზმები დახვეწილი და ყოვლისგამჭოლ ინსინუაციათა მოსაგერიებლად, რითაც სახელმწიფო-საზოგადოება პიროვნებებს უფსკრულში მიათრევს. თუ ეს განსჯა ღირებულია, ქალაქებმა სახელმწიფო-საზოგადოების მიერ დანერგული კრიზისის პლურალიზმისა და განსხვავებულობის განდიდებით უნდა უპასუხოვნ.

შენიშვნები

1. განსაკუთრებული მადლობა პროფ. პოლ პიჩის, ვინც ავტორს ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილებინა.

2. ეს განსხვავება საქალაქო ცხოვრებასა და თემს შორის შთამბავთა ჰანა არენდტის მიერ ნაჩვენებმა განსხვავებამ საზოგადოება და კერძო შორის მის ნაშრომში „ადამიანური პირობები“. განსხვავების ჩვენებისას არენდტი მიიჩნევს, რომ ცხოვრება საზოგადოებრივ სფეროში ღიაა და თავისუფალი მაშინ, როდესაც კერძო ყოფა საჭიროების სფეროა. ადამიანური ასოციაციები შესაძლოა საზოგადოც იყოს და კერძოც. კერძო ასოციაციები ის იქნება, რასაც „თემს“ ვუნოდებთ; არენდტი საუბრობს ოჯახსა და სოფელზე, როგორც კერძო სფეროზე. სახალხო ასოციაციებს აქვთ ქალაქის ხასიათი. სამწუხაროდ, არენდტი პოლის-ს განიხილავს, როგორც სახალხო საზოგადოებას და არისტოტელესაც მოუხმობს ამ კონცეფციის საილუსტრაციოდ. მე არისტოტელეს პოლის-ს განვიხილავდი, როგორც კორპორაციულ იერარქიას, ოღონდ მარგინალურად განსხვავებულს სოფლის ცხოვრებისაგან. იხ. „ადამიანური პირობები“ (ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959), განსაკუთრებით II თავი – სახალხოსა და კერძოზე.

3. ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, წიგნი I, თარგმანი რივისისა, (ბოსტონი: ინგმანი, 1868) თავი IV გვ. 46

- 4. იქვე, წიგნი I თავი V გვ.50
- 5. იქვე, გვ. 53
- 6. იქვე, გვ. 50
- 7. იქვე, გვ. 49
- 8. იქვე, თავი V, გვ. 69-70
- 9. იქვე, თავი XIV, გვ. 150
- 10. იქვე, თავი XVI გვ. 93
- 11. მიშელ ფუკო, „ნესრიგი და სასჯელი: ციხის შექმნა“ (ნიუ იორკი: ვინთიჯ, 1979, გვ. 304)
- 12. ფუკო, გვ. 219

რადიქალიზაცია
სტივენ შნეკი ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორია, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ექსპერტი პერსონალიზმისა და ცნობილი პოლიტიკური კონსულტანტი ვაშინგტონში.

იგი არის ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის, „სი-ცოცხლის ციკლის ინსტიტუტის“, დირექტორი და ამავე უნივერსიტეტის პოლიტიკის კათედრის გამგე. მისი წიგნებიდან გამოირჩევა, „პიროვნება და პოლიტიკა“.

პროზა

ბექა ქურხული

ორი ნოველა

ათასი სიტყვა

გულაღმა გადმობრუნდა და ავტომატი ხელით მოსინჯა. AKM გველივით შემოეხვია მაჯაზე.

თვალებდაჭყეტილი უცებ წამოხტა. ოთახში ყველაფერი თავის ადგილას იყო – თვითონ იყო სხვაგან. მატრიოშ-

კასავით გრძნობდა თავს, რომ გახსნი კიდეც რომ გახსნი და ბოლოს სულ პატარა მატრიოშკა გაგილიმებს.

ცოტა ხანს ოთახი ათვალიერა. ცდილობდა ყველაფერი დაენახა და დაემახსოვრებინა. იმახსოვრებდა კიდეც, მაგრამ არ შეელოდა... ძალიან მაგრად იყო...

ისევ გულაღმა გადაწვა. ავტომატს ხელს არ უშვებდა. AKM ხელზე აღარ შემოხვევია. თავისთვის იღო. „გავალ ეზოში და გადავატარებ“...



ბექა ქურხულის მოთხრობები რამდენიმე წელია იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში. მისმა პროზამ გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველსაც დაამახსოვრა იგი.

ბექას მისამართით ვერ გაიმეორებ ასეთ ტრაფარეტულ აქსიომებს – ახალგაზრდა კაცი აკვირდება და სწავლობს სამყაროს, რომ მის ჭკვიან მზერას არ გამოეპარება უმნიშვნელო დეტალებიც კი და ა.შ. და ა.შ.

შეფასების ეს აკადემიური მანერა მის მწერლური დახასიათებისათვის ისევე არაბუნებრივი და მოსაწყენი იქნება, როგორც ამ ახალგაზრდა კაცისათვის ერთ ადგილზე მუდმივად ყოფნა...

ბექას მისამართით ალბათ თავისუფლად შეიძლება გაიმეორო ოტია პაჭკორიას მიერ ოდესღაც გურამ რჩეულიშვილზე ნათქვამი – „ჭაბუკი ადგილზე გარბოდა“. ეს სიტყვები, პირადად ჩემთვის, მთელი თაობის შეფასების უზუსტეს ფორმულად იქცა ქვეყანაში, რომელშიც ყველაზე დიდ კონტრაბანდად დღემდე რჩება ხსოვნა და თავისუფლებისადმი ლტოლვა.

რაც თავი მახსოვს, მუდმივ „გაქცევაშია“ ბექა ქურხული. გამუდმებით „ცხელი წერტილებისაკენ“ მიუწევს გული, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ საგანგებოდ დაეძებს ხიფათს,

მუდმივი საფრთხეების განაღმვას ცდილობს... იქნებ იმიტომ, რომ ადამიანის არსის გახსნა და მთელი სისრულით წარმოჩენა სწორედ ექსტრემალურ სიტუაციებშია შესაძლებელი.

ამ „ცოდნის ნადილით“, „გარღვევის“ სურვილით მართლდება მის მოთხრობებში ყველა შემთხვევა და სიტუაცია. არა მხოლოდ ადამიანური ურთიერთობები, არამედ თვით კაცისა და იარაღის ურთიერთობაც ბილწისიტყვაობით შერყვნილ ამ მღვრიე, ჭრელ გარემოში ქვემეცნეულად უმთავრეს მიზანს ემსახურება – ისეთი ოპოზიციური წყვილები, როგორიცაა, შავი და თეთრი, დღე და ღამე, ბოროტი და კეთილი, სავესე და ცარიელი, წარმავალი და მარადიული კლდის ნაშალივით მოულოდნელად ჩამოიშალოს, გული აგიჩქროლოს, თითქოს შეგაშინოს და საფრთხის გავლის მერე ასევე მოულოდნელად ჩაგამშვიდოს, რადგან მღვიმეში დანთებული სანთელივით ასე ერთბაშად რომ შთანთქავს წყვილიაღს, მიუხედავად ყველაფრისა ცოდვაში ჩაძირული და ბნელი სამყარო ჟამიდან ჟამზე, იმ პანაი სანთლისა არ იყოს, ღირსების გრძნობითაც ნათდება.

მაკა ჯონხაძე

ეზოში ისხდნენ და სვამდნენ. „გავალ ეზოში და გადავატარებ... რატომ უნდა გადაატარო, ამერიკელი სექტანტი ხარ, რა პონტია“... ავტომატის „პრედახრანიტელი“ ჯერზე გადაიყვანა. გრძნობდა თითებსა და „პრედახრანიტელს“, რომელიც ქვევით რუსულ „О“-სთან იყო გაჩერებული. „გავალ ეზოში და გადავატარებ“...

ეზოში მაგიდასთან ისხდნენ და სვამდნენ. „არ იქნება სწორი საქციელი. არ შეიძლება“. თავში განუწყვეტილად უტრიალებდა: „გავალ ეზოში და გადავატარებ“... ეგრე მთავრდება სიცოცხლე. ჯერ შენი სვლაა და გადაცხრილავ, მერე შენც გადაგცხრილავენ. ეზოში რომ სვამენ, იმათთვის უცებ მოვა სიკვდილი – „Конец фильма“... და ტიტრები. მერე საფლავის ქვაზე, დაბადების და იმ ერთ მშვენიერ დღეს შორის, როცა ვიღაც ტიპი შენთვის არხინად სუფრასთან მჯდომს AKM-ის ჯერით გამოგემშვიდობება, პატარა ტირე ჩაჯდება. მოყომარდები იმ ერთ ტირეში, სულ ადვილი რამეა ეგა, საკმარისია ადგე, ეზოში გახვიდე, ჩახმახს თითი გამოსდო და ნელა, თანაბრად მოზიდო.

ავტომატი თბილი იყო. თითებს მაგრად გრძნობდა. თავი წამოსწია და დააჩერდა. კარგა ხანს უყურა. „პრედახრანიტელი“ ამოსწია, ხელს არ უშვებდა, ეშინოდა თავისით არ გადატენილიყო. თითები ევანტებოდა, მაგრამ სხეულს ჯერ კიდევ იმორჩილებდა. „გავალ ეზოში“... ვერაფრით იშორებდა ამ სიტყვებს. იცოდა არ იზამდა. მაინც მართავდა სადღაც შორს წასულ და იქვე მყოფ საკუთარ თავს, თითქოს პულტით მართავდა, მაგრამ ეს პულტი ყოველ წამს შეიძლება გაფუჭებულიყო.

სროლა ისმოდა. ყრუდ მოდიოდა „ადინოჩის“ ხმა: დუგ!.. დუგ!.. მერე ჯერის ხმად გადაირბინა. „ადინოჩის“ ყოველი გასროლა ძალიან ახლოს მოდიოდა. „ზავოდობაზე“ დალეული თბილი არაყივით უვსებდა ძარღვებს ცხელი ღურმანით და იქვე ცივდებოდა.

ჯერის ხმა მოსვლას ვერ ასწრებდა. ჰაერში იკარგებოდა. ეზოში სვამდნენ.

არც ისე ადვილია სიკვდილი... ვითომ რა უნდა არაფერი...

როგორც ჭიშკრიდან გახვიდე, მაგრამ არა, ერთხელ რაც ხდება ყველაფერი ძნელია. ერთხელ იბრძიდები, მართო ერთხელ, მანამდე უნდა იცხოვრო... სიკვდილთან ვერ მიხვალ, თვითონ მოვა... მანამდე უნდა იცოცხლო...

თვალედახუჭული ინვა. საკუთარ შუბლს შიგნიდან ხედავდა. რალაც ფიგურები გაიჩინებენ. რამდენჯერაც თვალს დაახამხამებდა, იმდენჯერ იცვლებოდნენ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ შხუილით.

შიგნიდან დაინახა, როგორ იდიმებოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ... მაგარი რამეები, თან არეულად კი არა, მონესრიგებულად. ზმანებები არა, რა ზმანებები, თვალს რომ გაახელდა, ფანჯრის მტერიან რაფას ხედავდა.

მოულოდნელად ლაზერისფერი, ძაბრისებური, გრძელი სპირალი გაიჩინა. მოძრაობდა თუ არა, ვერ გაარჩია, სამაგიეროდ თვითონ დაკატავდა და წავიდა. „კოსმონავტი ვარ?“ – გაიფიქრა.

ლაზერისფერი სხივი მაგრად ახურებდა. სროლის ხმას მიაყურადა. ისე ისმოდა დუგ!.. დუგ!.. მაგრამ ხმა მასთან აღარ მოდიოდა. მერე თავის გოგოებზე დაიწყო ფიქრი.

გოგოები შიშვლები იყვნენ. განათებულ ატრაქციონზე კარუსელზე ისხდნენ. წრეზე დაშვოდნენ და ქარში თმა უფრიალებდათ.

ძალიან ლამაზები იყვნენ. საყვარლად იცინოდნენ. ერთად კისკისებდნენ. ყველას ხმა ზუსტად და ცალ-ცალკე ისმოდა. ოღონდ ისინი სხვაგან იყვნენ თვითონ სხვაგან. მთვარიდან დედამიწას რომ გადმოხედავ და უკან დასაბრუნებლად ძირგახვრეტილი კოსმოსი დაგხვდება.

შეეშინა. საკუთარი თავის თუ ფიქრის ექოდ იქცა. რასაც გაიფიქრებდა, ორ-სამჯერ უმეორდებოდა. ცდილობდა აღარ ეფიქრა, მაგრამ არავინ აღარ ეკითხებოდა. უპატრონო მოხუცი რომ გარდაიცვლება და მერე მეზობლები თავის ნებაზე შედი-გამოდიან. ყველა თავისას ჩალიჩობს, ეგრე დატასაობდნენ სიტყვები...

მერე სხვა რამე მოვიდა, როგორც ელექტროგაყვანილობის მავთულში შეგამსერონ. მთელი სხეული აზრიალდა. ყველაფერი ზრიალებდა სხეულის გარშემოც. გრძნობდა კიდევაც სად მთავრდებოდა ეს ბიოველი, ელექტროველი თუ რალაც ველი. ხედავდა...

წამოფხდა. თვალები გაახილა: ოთახი, მაგიდა, ორი ფანჯარა, ორი კარადა, დივანი, ყანწები, დიმიტრი გულიას პატარა კრებული. ყველაფერი ისევე იქ ეწყო. იქ იდო ჭადრაკის დაფაც არეული ფიგურებით.

ეზოში ქეიფობდნენ. სადღეგრძელოები ისმოდა. გვერდზე „რაჟოკში“ ოცდაათი სიკვდილით ამოტენილი AKM ედო. ყველაფერს ხედავდა. არაფერი შეცვლილიყო. თვითონ იყო სადღაც, სხვაგან, განზე... ხუთას ვოლტიანი გადამცემი ხაზივით ზოოდა. ზრიალის ხმა მკაფიოდ ესმოდა. ზრიალიც და ხმაც ზუსტად იმ რადიუსში მთავრდებოდა, საიდანაც დაიწყო. „მანამდე რა ხდებოდა?“ სიტყვები მეორდებოდა. დუგ!.. დუგ!.. სროლის ხმა არ წყდებოდა, მაგრამ ხმა იკარგებოდა. მაგრად უნდოდა ისევე გაეგო, კალაშნიკოვის ბათქუნი. კალაშნიკოვის ბათქუნი თუ შემოარღვევდა ამ წყეულ ზრიალს. ვერა ვერ იღებდა კალაშნიკოვი, ვერ ერეოდა.

დიმიტრი გულიას პატარა კრებულს გადასწვდა. ხმამალა დაიწყო კითხვა. ტუტანჰამონის მუმიამ რო ბაზარი დაიწყო ზუსტად ისეთი ხმა ჰქონდა. წიგნი მოისროლა.

ინვა გულალმა და ზრიალებდა. უცებ წამოხტა და ავტომატის დამლა დაიწყო. „რაჟოკი“ მოხსნა და ლულიდან ტყვია ამოაგდო. მერე „კროშკა“ მოაძრო, „ზატკორი“ და „პრუჟინა“ მოხსნა. ისეთი სისწრაფით დაშალა AKM თითქოს თავდასახსნელ შიფრს ხსნიდა. დაშლილი ავტომატი გამოშიგნულ და დაფეშხობულ ნადირს ჰგავდა. ცოტა ხანს უყურა ნაწილებად ქცეულ იარაღს, ფეხმორთხმით მჯდომარემ და საკუთარ თავს მიყურადებულმა. ძალიან პანიკური სისწრაფით მოძრაობდა.

არ უშველა. შუქი მოვიდა და მაგნიტოფონი ჩართო. მუსიკამ ფერები წამოიღო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფერად ნათურაში ჩასვეს და აანთეს. „ქინქლა ვარ რა!“

იჯდა ლოგინში. წინ დაშლილი AKM ედო. ისევე ავტომატის აწყობა დაიწყო. ხელები თავისთვის მოძრაობდნენ. ტყვიები ჭახუნით ცვიოდნენ „რაჟოკიდან“ და წკარუნით გროვდებოდნენ ერთ ადგილას.

„ნადი შენი!“ – უთხრა AKM და გადასული წამალივით შეაგდო ლოგინის ქვეშ.

ეგდო ეგრე კოდორის ხეობის მიკარგულ სოფელში და ზრიალებდა. ტყვიები წივილით მიდიოდნენ ცისკენ. ფან-

ჯრიდან რომ ქედი მოჩანს, იმ ქედს იქით ტყვარჩელია და მტრები ცხოვრობენ...

საკუთარი ფიქრების გაკონტროლებას ცდილობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ტირში მოძრავ სამიზნეს ესროდა.

ვერ არტყამდა. „კაიფი ისე უნდა გააიასნო, ნარკომანი კაიფში შენს ნაწერს კითხულობდეს“. ეგ ისეთი პონტია აი: შეხედე მთა!.. რა ლამაზია!..

ლამაზია მა რა!.. ალპურ ზონაში რო მიფორთხავ ორი დღის მძიერი, კლდეებში ჩაკარგულ გზას რომ დაეძებ, მზე ბეჭებშია გადგას დამიზნებულებით და ფრიალოზე გალურსმავს. სისუსტისა და დაღლილობისაგან ცივი ოფლი გასხამს, კბილს კბილს ვერ ამორებ შიშით... როცა აღმართი აღარ მთავრდება და საშველი არ ჩანს, როცა მეჯოგეების კარვებთან მიალწევ, მიხვედი რა, იქა ხარ, და ამ დროს თითქოს იქაურობა ვიღაცამ მისწი-მოსწიაო კიდევ ერთი ახალი, ლამაზი მთა გადაგიდგება გზაზე თავისი ალესილი ფაფხებით. ატეხილი ჭიუხებით, საცალფეხო ბილიკით და იმ ბილიკზე დანასავით ბასრი ნაშალით, მტკრითა და ნისლით... უყურებ მერე ტყვედჩავარდნილებით საიდანლაც ამოყრილ კლდეებს, უყურებ, უყურებ და შეეყუდები ისევ, აღმართზე თოკივით დაკიდებულ ბილიკს...

ბინდებოდა. ადგა და კოდორზე წავიდა საბანაოდ. მდინარის ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

მზე ხმაურით ჩადიოდა. ტყვარჩელს გამოსცდა და სოხუმისკენ წავიდა.

გზის დასასრული

ნითელი ხიდი მზეს ირეკლავდა. გზის გაყოლებაზე თათრები ბენზინს ჰყიდდნენ.

ცხელოდა. აღმური ასდიოდა ყველაფერს.

აქედან რომ მიდიხარ, ხიდი მარცხნივ რჩება, იქიდან პირდაპირ ბაზრობას ერჭობა.

ხილზე გადაიარა და ბაზარში შევიდა. ბაზრის თავზე ჭრელი დროშა ეკიდა რვაქიმიანი ვარსკვლავით და ნახევარმთვარით. ცალმხარეს ამოჩაჩული დედამისის საყვარელი პერანგი ეცვა. თვითონ არ ევასებოდა ეს პერანგი, მაგრამ დღეს ჩაიცვა. დედა როცა არ იყო, მაშინ უფრო უჯერებდა...

ცხელოდა. დნებოდა ყველაფერი. დაალაჯუნებდა ბაზრის მტვერში, უნდოდ აყოლებდნენ თვალს ფეხმორთხმული, ოქროსკბილებიანი სოვდაგრები. აღმოსავლეთში არ უყვართ ავარდნილ მტვერში გამოჩენილი უცხო სახეები. რა იციან, ვინა ხარ? სანდო კაცი კითხვებს არა სვამს...

ზის თავის ყიზილბაშურ სიჭრელეებში, ვაჭრობს, ორ კაპიკს შოულობს, რომ თავის მამედასა და ზულფიას მაგრად ჩააცვას და შავ „24“-საც ახალი ვერცხლისფერი კანტი დაარტყას. მალაზიამი ინდოელი მსახიობების ბედნიერსახიანი პლაკატები აქვს გაკრული. მათი შემყურე საკუთარ ბედნიერებასაც იჯერებს, ამ დროს ადგები დაღლილი, მტკრიანი, თვალზე გეტყობა ამკარად გშურს მათი ბედნიერების და ავ სიფათს ტყუილად აფარებ შინაურულ და გულუბრყვილო ღიმილს...

ყაზახში კაცი ჰყავდა მოსაძებნი. მისამართი სჭირდებოდა. ხელებს ასავსავებდნენ, არ ვიცითო. დადიოდა ეგრე წრეზე. ბაზრის ცენტრში მრგვალ აუზთან გაჩერდა. აუზში ამომვერილ უანგიან მილს უყურებდა და ფიქრობდა.

დიდ დაჩუქურთმებულ სარკეში დახლთან მჯდომი ხუთი-ექვსი ყიზილბაში და ერთი ფაშფაშა ოქროსსაყურებიანი დეიდა დაინახა. დეიდა გაცხარებული ელაპარაკებოდა კაცებს და აუზისკენ იქნევდა თავშლიან თავს. კაცები ჩაის სვამდნენ და მის ზურგს უბლვერდნენ.

ცხელოდა. ბული ადიოდა. აეგრე ავარდა ციციანოვის კეფას ბოლი, როცა ბაქოს ციხის კედლებთან დამბაჩა დაახალეს ბეჭებშია. უყვართ ამათ ეგეთი ხუმრობა.

დეიდა სულ უფრო გააფთრებით იქნევდა ხელებს. ხმა-საც აუნია. მერე მისკენ გამოიხედა შემფოთებულმა.

სარკეს უყურებდა. მაგარი გამყიდველია სარკე. ვითომ არაფერი, ვითომ თავისთვის დგას დაჩუქურთმებული. ქალმა კიდევ გამოიხედა და ხელის ზურგით ტურჩები მოინმინდა. მოულოდნელად ლამაზი სახე ჰქონდა...

სული მოითქვა. კაცები ჩუმად ისხდნენ. ჩუმად უბლვერდნენ. თვალეები დავინროვებოდათ. „ჰაა, გურჯ გელდი“ – გაეცინა. მერე თვითონაც დაუბლვირა სარკეს. გამშრალ აუზში გადააფურთხა და მათკენ წავიდა. კაცებმა გვერდზე გაიხედეს. ქალმა შეხედა და გაუღიმა. კალთაზე ხელები დაირტყა, ადგა და სადღაც გაქრა.

კაცები არ განძრეულან. დაბალი მაგიდის გარშემო ისხდნენ ტაბურეტებზე. მაგიდაზე კანფეტებით სავსე პატარა ბროლის ვაზა იდგა. მივიდა, მიიყოლა გრძელი, მტვერზე განოლილი ჩრდილი...

აზირას მისამართი იკითხა. თვალს არიდებდნენ. ყველა სხვადასხვა მხარეს იყურებოდა. დროდადრო როგორც რწყილი ჭიანჭველას ბანარს, ისე უგდებდნენ ერთმანეთს სიტყვას. ეს თავისას უბერავდა. მისამართს კითხულობდა. – ნე ზნაემ. აია, ეთა გრუზია, ყახაზ თამ ვაზერბაიჯანი!..

ბიძები მყავს თენგიზა და ფარიზაო – იხვენებოდა.

თათრები ისევ ბანზე უგდებდნენ სიტყვას. ეს არ ეშვებოდა. ექიმი აზირა ჰქვიაო.

ვერ მოიშორეს თავიდან. ცოტა არ იყოს დაიბნენ.

– ა შთო ვ თბილისი დოქტორა ნეთ შთოლი? – ვეღარ მოითმინა ახალგაზრდა თათარმა.

კეპკიანმა თვალეები გადმოუქაჩა:

– ჩაი ბუდეშ? – ისევ სცადა სხვაგან წასვლა ბებერმა თათარმა.

ულვაშები სომოსას ოფიცერივით ჰქონდა. რაღაც ფორმა მიცემული ეგრე და მერე ეგრე... ეგეთი ულვაშები ლათინოსებში და კავკასიელებში იყო მოდაში და აქა-იქ, ბალკანეთზეც.

– სარაიევო!..

– პივა ბუდეუ.

კეპკიანს ულვაშებში ჩაეცინა.

– გრუზინ ჩაი ნე ლუბით.

წელში გამოყვანილი პატარა ჭიქებით სვამდნენ ჩაის. ცალ ხელში ლამბაქები ეჭირათ. მოსვამდნენ ქაფქაფა ჩაის და ერთი ამბით დადგამდნენ ლამბაქზე. მთელს ბაზარში ტკბილი სუნე იდგა.

– თეზოლ აია! – გასძახეს ლუდეზე წასულს.

იოლი ხალხია, ხვდები, რას ფიქრობენ, როდის გატყუებენ და ეშმაკობენ, რატომ შეიძლება გიმტრონ. ჩვენთან კაცს ალაღად უყვარხარ და ალაღად გიმეტებს. ვერ გაიგებ – ჩვენთან ძნელია.

ლუდი ცივი იყო. სიამოვნებით მოიყუდა. თათრები ერთმანეთში თათბირობდნენ. დროდადრო გამოიხედავდნენ სიციხისა და ოთხმოცდამეშვიდე ჭიქა ჩაისაგან აღუ-

ღებული, აპრილებული თვლებით. ისე უნდოდ აღარ უყურებდნენ.

– ვ თბილისი აფიათ ბესპარიადოკ შთოლი. თელევიზორ სკაზალ...

ვაჭრები არიან. არეულობა უნდათ? – დარდობენ.

– ქაქ გრანიცუ ფერედიომ, ფასფორთ იესთ? ფაქაჟემ ფრაფუსთიათ. ყახაზ ფრიდიომ, დოქთორა არზანა სფროსიმ, ქამსამოლსკაია ულიცა ადინაცათ. ხარომი დოქტორ პამოჟეთ ი მნოგო ნე ბერიოთ სქოლქა ადდამ, რადი ალაჰა ონ დელაეთ, თოლქა დომა ბილ, ვადითელ, გრუზავიკ ვოზით...

– შოფერია ტო?

– შოფერია. ლუდია მ სკოლკო ფამოგ, იშო ევო პრადედ თაქ დელალ, რუქამი მასაჟ. ვაბშე ხარომი დოქტორ...

– სალამ ალეიქუმ – დაემშვიდობა.

– ვა ალეიქუმ სალამ – ფამოჟეთ, ხარომი დოქტორ...

მიდიოდა. მტკერში ნაფეხურებს ტოვებდა.

ყიზილბაშურმა სიმღერებმა ბაზრის კარამდე გამოაცლია. მანქანა ხიდს იქით გზაზე ელოდებოდა, წითელი „ადინაცატი“, უკან სკამზე წელგაშემებული ლეეჩა ინვა.

– რა ქენი, გაიგე რამე? – ჰკითხა მიშამ, „ადინაცატის“ ვადილამ – აშკარად არ უნდოდა აზერბაიჯანში გადასვლა.

ლეეჩა ინვა. უაზრო, გაფითრებული სახე ჰქონდა. უყურებდა და ხმას არ იღებდა.

– ნავედით! – მოკლედ მოჭრა ინდიელების ჭრელ ცხენზე შემჯდარი კოვბოივით და მანქანაში შეძვრა.

მიშამ ხენეშით დაქოქა მანქანა და სანყალი სახით დაინყო მობრუნება.

– ახლა იქ ვიპოვით, აი ეგ არი საქმე?!..

– ვიპოვით!..

– შარში არ გავეხვითო! – მიშა უკვე ნანობდა – ნეტავ ვიპოვით მაინც, ამ კაცს რამე ეშველოს.

– ვიპოვით!

ყოველთვის პოულობდა ვისაც ეძებდა. ათას ცხრაას ოთხმოცდარვიდმეტში ღამის ორ საათზე ჩაბნელებულ გლდანის მეორე მიკრორაიონში გოგო იშოვა: მეცხრე სართულზე, კართან, ფეხის სანმენდზე პატარა, წითელი ნავთის ღამპა ციმციმებდა.

მანქანაში მესაზღვრემ შემოიხედა:

– შენ რა გჭირს?

– დისკოზი აქვს.

– აზირასთან მიგყავთ?

– იცი ეგ აზირა?

– მა რა ვიცი. ერთი წელია აქა ვდგევარ. – მესაზღვრემ ფანჯრიდან თავი გაყო და გამომშვიდობების ნიშნად მანქანის სახურავს ხელი დაჰკრა.

გადაჰყავდა აზერბაიჯანის საზღვარზე ვენაზე „კალოდეც“ დარტყმული ლეეჩა და თითები უკანკალებდა. არაფერი ეგრე არ ევასებოდა, როგორც ეგა, რომ არ უნდა ნასულიყო და მაინც მიდიოდა. ეგეთ დროს ყოველთვის თითები უკანკალებდა. თითებმა რა იცინან, რო მავარი ბიჭი ხარ, სხეული ხო შენი არ არი, ნათხოვარია, „პრაკატი“ გამოტანილი...

– ლეეჩა ჰუ თეიფ და? თეიფ ჰუდა?

ლეეჩამ წვალეებით გაიღიმა.

– მაისთო.

აზერბაიჯანელ მესაზღვრეებთან მივიდნენ.

– სლუში შტო ტი ზდეს ხოდიშ? – ჰკითხა მესაზღვრემ ჩხრეის შემდეგ. ლეეჩასაკენ არც კი გაუხედავს.

უთხრა სადაც მიდიოდნენ.

– და ნუ ნე ზნაიუ ვაფშე თა... გაუშვებდა. უკვე უშვებდა. რა ექნა, ცოტას ბლატაობდა.

გარშემო ყველაფერი გუგუნებდა. ერთმანეთში ირეოდა და სანვავის გამონაბოლქვში ირეკლებოდა.

– ა სკოლკო ვრემენი ვი პრაბუდეთე?

ლეეჩას წითური წარბები მაღლა ეწევა ტკივილისაგან და აღშფოთებული თვალეებით უყურებს მესაზღვრეს.

ამასობაში მეორე მესაზღვრეც მოვიდა.

– შთო ზდეს ფრაისხოლით?

ცოტა ხანს ითათბირეს: ფუსთი ვერნუთსა ფათომ ფაგავარში.

პირველი სოფელი გამოჩნდა. სიგარეტს მოუკიდა და მიშას გადახედა. მიშა ნაყინით დნებოდა. მიშამ კბილები გამოაჩინა. ვითომ ყოჩაღათა ვარო, მაგრამ შუბლზე ეწერა, რომ სუ ამათ კეთილებში სეირნობდა. სიცილი ვერ შეიკავა.

– რაო მიშა დაგცხა?

– მა რა მამივიდა, მაგათი დედა ვატირე, ხედავ ხალხი გაჭირვებულია, ექიმთან მიდის, გაუშვი რა...

წინ მტვრიანი გზა იყო გაშლილი, გზის აქეთ-იქით სახლები.

– პირველადა ხარ აქეთ?

– არა ტო, რა პირველად. რაც მე აქ თევი დამიჭერია კომუნისტების დროს, როცა მშვიდობა იყო. ნამოვიდოდით ბიჭები სამი-ოთხი დლით, ჯერ კუმისის ტბას დავარტყამდით, მერე ჯანდარას, აქეთაც ბევრჯერ გადმოვსულვართ. ხუთკილოიანი საზანიც დამიჭერია, ჩაესმა ბურანში. დაინახა გუბურაში ჩაკიდებული ანკესი, ტივტივამ უცებ ჩაყვინთა, წყალზე რგოლები გაიშალა, „ლესკა“ დაიჭიმა და ეგრე გაკრულმა, გა-



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ძაბულმა დაიწყო სრიალი. მერე ამოიკრა და ხუთკილოიანი საზანი ამოტყლაშუნდა. ამოიყოლა მსხვილი მკვრივი წვეთები. ქედანას ტბა იყო, თევზიც ქედანამ დაიჭირა. უკან გადავადოთ, პატარააო – ქედანამ რა პატარა, ხუთკილოიანიო – უთხრა. დახედეს მინაზე მოფართხალე თევზს. ხუთკილოიანმა საზანმა უცებ დაპატარავება დაიწყო. დაპატარავდა, დაპატარავდა, ლიფსიტის ხელა გახდა. – შენ დაპატარავეო, აუხტა ქედანას, ჟმოტი ხარ, განგებ დაპატარავეო...

- ეტა კაკაია დერევენია, – მიშას ხმა ჩაესმა.
- შხლ.
- შტო?
- შხლ.

სოფელში შესულიყვნენ. მიშას მანქანა ტურტლიან, განებოლ „ბუტკასთან“ მიეყენებინა და სარკმლიდან თავგამოყოფილ გაბურძნულ თათარს ეკითხებოდა:

- ამ სოფელს რა ჰქვია?
- შხლ, აია შხლ, ვოთ თრაფარეთ ნაფისანა, ფასმატრი და...

შეხედა. მართლა შხლ ეწერა.

- აზირა ზნაემ, დოქტორა?
- ნწ.
- ვ ყაზახ ჟივიოტ, დისკო სტავით პალცამი...
- შთო სთავით? – თვალეები დააჭყიტა.
- სკოლკო კილომეტროვ ატსუდა დო ყახაზა?
- ნე ზნაიუ.

ცოტა ხანს ჩუმად უყურეს ერთმანეთს.

– ნამო, ნამო, რა არი, ცხოვრებაში მაგ ბუტკიდან არ გადმოსულა, ტო! – შეუკუთხა მიშამ.

- რა ძალა ადგას, რაზე უნდა გადმოვიდეს, რო...

ყაზახში შევიდნენ. ხოშიანი, დაწკრიანებული გარადოკი იყო. პირველივე შემხვედრმა მიასწავლა აზირას სახელი. კიდევ კარგა ხანს იწრიალეს. ხან სად გაჩერდნენ, ხან სად. ქუჩა კი არა, ჩიხი აღმოჩნდა.

შესახვევთან თავჩაქინდრული ცხენი იდგა. მოგლეჯდა ბოგირთან ამოსულ წვერმემხმარ ბალახს და ეგრევე ლეჭავდა თავჩაკიდებული. ფაფარი თვალეებზე ჩამოჰყროდა. ნაბლა იაბო იყო. ზურგი და ფერდები ღია ჰქონდა გავასთან და კისერთან მუქი ფერი გადაჰკრავდა. ძუა მინამდე უწევდა. დაბალი იყო, მუცელი მინისკენ ჩამოშვეროდა. მარცხენა წინა ფეხს მინაზე არ დგამდა. ფლოქვი შიგნით ამოეხარა ან ნატკენი ჰქონდა, ან ფეხს ასვენებდა. თვალეები დაელულა და ქუთუთოებზე დახვეულ ბუზს ზანტად, თავის ქნევით იშორებდა. ბებერი, ნაჯაფარი ცხენი იყო. მალე დაკლავდნენ და საყასბოს ჩააბარებდნენ.

ამ ქვეყნად არაფერი, არაფერი არ ქრება უკვალოდ ცოცხალი არსების გარდა. „თოთხმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თოთხმეტი წლის ვიყავი. დანგრეული კედლის საძირკველში ჩაშენებული ქვასავით ჯიუტად იყო ჩარჩენილი ეს თოთხმეტი წელი, მგლისგან დამფრთხალი კურდღელი თოვლში რომ კვალს ურევს და სულ ერთ წრეს ხლართავს, თოთხმეტი წრე... საიდან გამობტნენ ეს წლები, მოულოდნელად დაგიყარეს წინ, როგორც მაგარ ნასეკარზე სამი ტუზი. სამ ტუზზე სეკა აღარ გამოდის, ცხრიანი ჯვრით კეფა უნდა მოიფხანო და ეგ არი...“

ფრთხილად წვიმდა. მიკანკალებდა მიშას „ადინაცატი“ ბორჩალოს ოღრო-ჩოღრო გზაზე.

„უღელტეხილზე წვიმს“ – გაიფიქრა კრიჭაშეკრულმა და გუნება წაუხდა.

აზირას სახლს მიადგნენ. ჭიშკარი ღია იყო. ეზოში ხალხი ირეოდა. სახლის უკანა კედელი მოენგრიათ და კიდევ ერთ ოთახს აშენებდნენ. სამი კაცი მუშაობდა: ერთი ჭალარა, წინსაფრიანი კალატოზი, ორიც დამხმარე, პატარა თოთხმეტი-თხუთმეტი წლის შავი, მურიანი ბიჭი ცალ მუხლზე ჩაჩოქილიყო, ხელით მინას დაყრდნობოდა და მოკლეთარიანი დიდი, მძიმე უროთი ქვებს ამტვრევდა. კისერი ნაეგრძელებინა, თავი ახლოს, თვალისჩინდაკარგულივით მიეტანა ქვასთან, ურახუნებდა, სახეზე ქვის ნამსხვრევები ეყრებოდა. ურო ცუდად იჯდა ტარზე. სადაცაა გასძვრებოდა.

– თავში გაირტყამ! – უთხრა ქართულად.

ბიჭმა ამოხედა, ეშმაკივით ცისფერი თვალეები ჰქონდა. მოულოდნელად ცისფერი, თითქოს სხვისიაო, უცნაურად ენთო, როგორც ცარიელ ოთახში ნათურა. ხმა არ ამოუღია, ისევ ჩალუნა თავი და დასცხო. ზუილით იშლებოდა ნამსხვრევი.

კარგი ეზო ჰქონდა აზირას. მწვანე ბალახზე ყვითლად ანათებდა „კამაზი“. ყველაფერს პატრონის ხელი ეტყობოდა.

პატრონი არ ჩანდა. უკან მობრუნდა. მიშა აღარ დახვდა. ცოტა ხანში ბალჩიდან ამოძვრა. ცალი ხელით ატმები აეხუტებინა გულზე – მაგარ ადგილებში ცხოვრობენ, ნახე, რა მიწაა...

აზირა გამოჩნდა. ბალჩის ბოლოდან მოდიოდა ვერცხლისფერი თუნგით ხელში. სპორტულები ეცვა და კეფიდან ნამოლებული თმა ეგვენი პეტროსიანივით გამოენასკვა შუბლთან. ჯეელობდა... გამოვიდა დარბაისლურად, გადაიბანა ხელეები, მათკენ არ გამოუხედავს, ყიზილბაშური ღირსებით ეჭირა თავი.

მივიდა. მიესალმა. უთხრა რაც გასჭირვებოდათ.

– ეხ, ქაქოე ვრემია ფრინოდითსა ყით – თქვა აზირამ მოულოდნელად. კაი მამაძალდი თათარი ჩანდა. ერთი ხუთი კილო ოქრო მაინც ექნებოდა გადანახული თუ მეტი არა. მიშამ ისევ ბალჩისკენ გაუტია.

– ონ კტო ტებე? – ჰკითხა აზირამ.

– დრუგ. კსტატი ონ ტოჟე მუსულმან – ახარა. გაჭრა.

აზირა მანქანისკენ წავიდა.

– ოლლუმ მუსულმანმისან? – ჰკითხა ლეეჩას.

ლეეჩამ – რა უნდაო...

– მუსულმანი ხარო – გეკითხება.

ლეეჩამ თავი დაუქნია და მანქანიდან ძლივს გადმოფოფხდა.

აზირას კაბინეტის კარი თეთრად იყო შეღებილი. ოთახში ხალიჩა ეფინა. ხალიჩაზე ნიკელის საწოლი იდგა. შევიდა აზირა, შეითრია ლეეჩა და კარი მოხურა.

კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ეზოს სიღრმეში ფრინველივით გაიშხულია წითელხალათიანმა, გრძელშავთმიანმა თათრის გოგომ და ეგრევე გაქრა.

პატარა ბიჭი, ქვას რომ ამტვრევდა, კალატოზს უყურებდა ცარიელი, ცისფერი თვალეებით და ხელში შერჩენილ ხის ტარით მინაში წათხრილ რკინის უროს უჩვენებდა.

პროზა

სხვა ურო მოუტანეს. ისევ გაიშალა ნამსხვრევი.

იჯდა თავჩაღუნული. ენეოდა და საკუთარ ფეხსაცმელს უყურებდა. უცნაურად წამოუვლიდა ტასკა. არც ზაფხულის გამო ხდებოდა ეგა და არც ზამთრის... საკუთარ ბეჭს ვერავინ ხედავს და არავინ ერთი არ არის. რამდენიმე ხარ და ყველა თავის ჭკუაზე გატარებს, გისტვენს, გიტყუებს როგორც ჭინკები წუნისის ტყიდან. არ იცი, როგორ მოიშორო, რა სიტყვა უთხრა. ყველაზე მთავარი სიტყვა არ არსებობს არც ერთ ენაზე. რაღაც ყველაზე მთავარი უსახელოდ არის დარჩენილი. მისი მნიშვნელობა სიჩუმეში და არარსებობაშია.

თავი აწია. იყურებოდა ეზოს სიღრმეში. იმ წითელხალათიანი გოგოს გამოჩენას ელოდა.

ალარ გამოჩენილა.

ქალი ყოველთვის ლამაზია. თუ უცებ ჩაივლის, გაქრება და ალარ გამოჩნდება.

იყოს შორს. ახლოს ყველაფერი იშლება. როცა შუალამისას მთვრალი, მოღრიალე შპანა შემოგეყრება, უცნაური სიტყვებითა და სიმსუბუქით გრძნობ საკუთარ სხეულს, მაგრამ მერე ზედ რომ მოვლენ, შეხედავ და დაინახავ, რომ ისინიც შენნაირი გამოსირებულები არიან და არც არაფერი...

„ესეც ყაზახი“ – დაბოლმილი იყურებოდა ეზოს სიღრმისკენ. გოგოს გამოჩენას ელოდა და საკუთარ თავს

ურევდა. „ესეც ყაზახი“. ვერ იტანდა დასასრულს. განსაკუთრებით გზის დასასრულს. ნადირივით ღიზიანდებოდა.

ყველაფერი მთავრდება და ყოველთვის შუა გზაზე.

ალარც ის გოგო გამოჩნდება – „რა მინდა აქ“. სადღაც გამქრალი ქვის მსხვრევის ხმა მობრუნდა...

ადგა, შარვალი გაიბერტყა და... ეგრევე დარჩა. გოგო გამოჩნდა. წითელ ხალათზე თაიგულივით მიეხუტებინა შავი ბადრიჯნები.

იღგა გაკვირვებული, როგორც სუბუდაი ბალათური კასპიის ზღვის პირას.

* * *

კარი გაიღო და ლეეჩა გამოვიდა. გაიღმა და მანქანისკენ წავიდა ფრთხილი ნაბიჯით. აზირა კარში იღგა და ატმის ხეებისკენ იყურებოდა. იქიდან მიშა მოდიოდა დახუნძილი.

* * *

მზე ჩადიოდა. დღე მთავრდებოდა. ისეთი მთვრალი იყო, საკუთარ, მთელ სიგრძეზე გაშლილ ხელსაც ვერ უწვდებოდა თვალს. სადღაც შორს, თითებში გაჩრილი სიგარეტი ელავდა წითლად. წამოვიდოდა ეს წერტილი შორიდან, მოფრინავდა ნელ-ნელა...

ლოტო მსუქან, გატანჯულ დეიდას ეპრანჭებოდა – არაყსა სთხოვდა.

ჰოეზია

სიღონია

დიალოგი გულთა მწვერვალაჰიდან

– მერე რა, თუკი იცეკვებს სხივი და შენს მზერაში ელვას ჩახლართავს... შენ მაინც ძალგის დანახვა წვიმის, მაშინ, როდესაც მზეა ჩახჩახა. ამბობ, რო თუმცა უცხო ნათელმა გზა გაპოვნინა ცისკენ სავალი – მაინც განვალებს იდუმალება ქარით დამტვრეულ იასამანის. რო დაჰქირქილებს შენშივე ვილაც ამაოების მოშლილ ესტრადას და საკუთარი სიცილის ტვირთმა რო წაგაქცია უცებ, ერთბაშად... თქვი: – „ღვთის გარეშე დაერჩით მარტონი და ამიტომაც აქ სულ მარტია!“ და აღგებეჭდა შუბლზე ნაოჭნი, ვით სილამაზის ეპიტაფია... მერე რა, თუკი იცეკვებს სხივი და შენს მზერაში ელვას ჩახლართავს... შენ მაინც ძალგის დანახვა წვიმის, მაშინ,

როდესაც მზეა ჩახჩახა!

– რად გიკვირს?

ჩვენ დავიბადეთ იმისათვის, რათა მტრულად მოქცეოდით წუთისოფელს და სამწუხაროდ, შევურიგდით რატომღაც! საპასუხო დარტყმამაც არ დააყოვნა – ჩვენი საუკუნე, რახანია,

ნებაყოფლობითი მთვრლების საუკუნედ გადაიქცა, ხოლო

აქა-იქ შემორჩენილი

ჯერ კიდევ ფხიზელნი –

ყველანი წამებულნი არიან!

– იმარცვლებიან ჩქარი წუთები და შენ კი, სულო, როგორ დაობდი! დღეს ქანდაკება თავისუფლების აღმართულია შუა ჭაობში. დაემალეები ცდუნებებს განა და წუთისოფელს, ესოდენ მარტივს? სადაა ნეტავ შვეების ქვეყანა, სადაც ულმოზლად

არ ჭკნება ვარდი?

– სინათლის (შვეების) ქვეყანაში

ყველა ლამაზია და ნელში გამართული.

აქ

საკუთარ „მე“-ზე

გამარჯვებულები ცხოვრობენ.

აქ

ალარც დრო გარბის

ქედმაღლური იერით

(პირიქით, შეჩერებულია სამარადისოდ).

აქ

არასოდეს ემუქრება არავის

ის უბედურება,

საკუთარი თავის სიყვარული რომ ჰქვია!

და რაც მთავარია,

არავინ ეძებს გააფთრებით სილამაზეს

ნაგავსაყრელზე!

აქ ჩვენი მართალი წინაპრები
ცხოვრობენ,
ღვთისადმი
და
ერთმანეთისადმი
ფხიზელი სიყვარული რომ სჩვეოდათ,
(ამავე დროს ძლიერი იმდენად – ლამის გასავათებამდე!)
აქ
უცვალელებელი სიხარულის ქვეყანაა –
ანუ
დიადი პლანეტა უფლის!
შვების ქვეყნად ხო გაზაფხულია, აქ აღარაა ყინვა და
თოში. აქ მზეც სხვაგვარად
განაბულია აგიზგიზებულ ბურუსში მყოფი...
– ჩვენ კი, ჯერჯერობით, წუთისოფლის მღვრიე
ტალღებზე

ვტივტივებთ
და რაც უფრო მეტად შევიცნობთ მას,
მით უფრო
გვემატება მონყენილობა.
თუმცაღა,
მონყენილობის ქრონიკულ სენს
ისიც იწვევს,
რომ
არასდროს ვცდილობთ ვეძიოთ
სიძულვილში სიყვარული!
და
კიდევ უფრო მეტად არასდროს –
წუთისოფლის
მღვრიე
ტალღებში
შევიწარჩუნოთ თავისთავადობა!
ბოლოსდაბოლოს, ისევ თენდება კითხვებით: როდის?
რათა? ეგების? და ვმეორდებით
გაუმართლებლად შეცდომებში და დამარცხებებში...
– საითაა ხსნა?
– ქართული ტაძარი,
(მსგავსი იმ შეგრძნებისა,
ღამეულ ცაზე მოულოდნელად რო
გაიელვებს!)
გუნდი გალობს.
უცებ
უცხო, მაღალი ხმა
ერწყმის გუნდის გალობას –
ხმა უხილავი ანგელოზისა...
გაფრთხილებაა ეს ხმა,
და ნუგეშიც, რასაკვირველია,
რომ ეს ტაძარია გემი,
რომელმაც
სინათლის ქვეყნისკენ
მიმავალი
საიდუმლო გზა იცის
და შენც
იმ სიხარულს გრძნობ,
რომელიც
ძალიან ჰგავს

შუალამისას, დაბურულ ტყეში გზადაბნეულისათვის
ტოტებში
გამომკრთალ
ფარნის
შუქს...
– ჩვენ დავიბადეთ იმისათვის,
რათა მტრულად მოვქცეოდით
წუთისოფელს,
და
სამწუხაროდ,
შევურიგდით რატომღაც!
საპასუხო დარტყმამაც
არ დააყოვნა –
ჩვენი საუკუნე, რახანია,
ნებაყოფლობითი მთვრალეების
საუკუნედ გადაიქცა.
ხოლო
აქა-იქ შემორჩენილი
ჯერ კიდევ ფხიზელი –
ყველანი წამებულნი არიან!

* * *

ან უკვე იცის, ყოფნა რაც არის – მარადიულის მახინჯი
ასლი! მაინც, კაშკაშა შუქურასავით ნისლებში მოჩანს
ძვირფასი
სახლი. ზანტი ზამთარიც, როცა მზის სხივებს თვალის
მოფშვნეტა
ეზარებოდათ, ასე ჰგონია, იქვე ციმციმებს და არ წასულა
მისი ეზოდან.
არც გაზაფხულის მჭახე ფერების არ შეწყვეტილა
წკრიალა სოლო: – „ნუ შეშფოთდით
უცხო ბგერებით, ეს ხო ყვავილთა სუნთქვაა მხოლოდ!“
ჰო, ასე იყო...
გზას მიჰყვებოდა და ქარიშხლები მოჩანდა ბოლოს და
წუთისოფლის ცოდვებისაგან
ჭრელი ბავშვობა იცავდა მხოლოდ! ან ნაღდად იცის,
ყოფნა რაც არის:
– მარადიულის მახინჯი ასლი... მაინც, ჯერ კიდევ,
შუქურასავით, ნისლებში მოჩანს ძვირფასი სახლი.

* * *

ისე შეშფოთდა მოხუცი თელა, რო გაუშეშდა ტოტები
ლამის... გაიშრიალა
ღრუბლებში ელვამ და უცაბედად დადუმდა ჟამი.
იმზირებოდა სიჩუმე ისე,
რო შეიგრძნობდი უხილავ მიჯნას... შეაზანზარა ქუხილმა
სივრცე და ჩაიჩხა
ჰორიზონტს მიღმა. კრთოდა სანთელი მართალ
მლოცველის, იფანტებოდა შუქი
ელდებად... და ჰგავდა სიზმარს წუთისოფელი, რო
ისხენებ და არ გახსენდება.

ჰოეზია

* * *

ძველმა სიმღერამ მბჟუტავ ფერებით ჩაგიარა და სადღაც
ნავიდა... ან ყოველ
დილას ჩემად შესცქერი სულის სხვადასხვა
ჭუჭრუტანიდან. ირეალურის ბაცი სილურჯე
კვლავ გაგიტყუებს ფერებ-ფერებით... და გიკვირს,
როგორ მოხვდა ყინულზე
ფერად-ფერადი ქრიზანთემები! გადასწევ ფარდას
ჩვეული რიდით და გადახედავ
ცინიკოს ქუჩებს – იმ ბავშვის მზერით, ჩვეულებრივში
უჩვეულოს რომ პოულობს
უცებ! და გახსენდება ნაცნობი შუკა, შორეულ დღეთა
ლიმილი თოთო...
რო ინახავდი წიგნში სათუთად ქარის ნაჩუქარ ოქროსფერ
ფოთოლს. სულ სხვა
ფერები ჩანდა ფანჯრიდან, ისმოდა სულ სხვა ხმები
ეზოდან! ეს ის დრო იყო,
როცა ძალგიძდა სულ უდარდელად გაგცინებოდა...
კვლავ დაბრუნდები ანმეოს
ბილიკზე და გულისმიერ, სათუთ ლოცვამდე – უხმობ
ნასულთა ნათელ
ლიმილებს და ჩამომარცვლავ კრიალოსანზე...

* * *

არ აბრალებდა საკუთარ ცოდვას, წუთებს – ჟამთასვლის
გულცივ ფარეშებს. ის
ყოველივეს ისედაც გრძნობდა, მიზეზთა ჩუმი პოვნის
გარეშე. შემორჩა მარტოდ –
(როგორ რცხვენოდა!) – მრავალჭირნახულ და ერთგულ
საძმოს. თუმც არაფერი
დავიწყებოდა, მაინც, როგორღაც, ხანგრძლივად გაძლო!
... გრილი ხელებით ეხება მხარზე, მანუგეშებელ
ჩურჩულით ინვევს – ლურჯი წარსული,
ლამის ათასჯერ დაკარგული და ნაპოვნი ისევ! და როცა
იგი (წარსული!) მიდის,

განიფინება მის ირგვლივ სრული იდუმალება, მუდამყამს
მშვიდი, წარინჯისფერი
და მედიდური... თქვა: – „მართალი ვარ ღმერთთან? რა
ვიცი!“ და გაუშეშდა
თვალი შორეთზე – „ფანტასტიკურად მიყვარს დაისი, თუ
შექლებთ, ამ
დროს მომიგონებდეთ!..“ მერე გავიდა მარტო ეზოდან და
უხმო
ლოცვით გაჰყვა თავის გზას. (ის „მე“-ს რაიმეს კი არ
ერჩოდა, უბრალოდ, სულ
მთლად გადაავიწყდა!) ბოლო ჟამს წუხდა: – „ცოლონი
ხართო... უსინანულოდ ფეთქავთ რამდენნი!!!“
და მიიცვალა უკანასკნელი არისტოკრატის შარავანდედით.

* * *

„წუთისოფელმა – თქვა – გადამაგდო... აქ ნაღდის
ნაცვლად სიყალბე შემრჩა...“
დააბოტებდა ის მუდამ მარტო, თუმც რალა მარტო –
სევდასთან ერთად! თქვა: – „ბირჟაობას
ანმეოსთან ერთად, გადათვლას მისგან ნაჩუქარ ხურდის,
თვით უსათუთეს
მოგონებებსაც ქირქილით უნდა ვაქციო ზურგი! რადგან
მოძველდა ყველა სიმღერა
და ბგერის ყველა აზრი ფარული და შიკუმშა ჟამიც
იმდენად, მოსწრებაზეა ან
სინანული... მე კი – სიფხიზლის ნაცვლად მოვმჩვარდი,
თუმც მაჯანჯლარებს ისევ
ფეთებით წუთისოფელი – დიდი ოსტატი სურნელოვანი
კომპლიმენტების! ან ბრძოლის ველზე მივდივარ“. –
თქვა და გამოიხურა კარი ოფისის. ის უდაბნოში წავიდა,
რათა სილა გაეწნა
წუთისოფლისთვის. რა დიდებულად ჩანდა ცის კარი (სულ
ოდნავ ღია!)
კლდეთა ქვაბიდან... მან გადაყლაპა დუმისის აბი და
საკუთარ ჩრდილს გადააბიჯა.

პროზა

14 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში
მწერლისა და მეცნიერის, პოლიტიკური პარტიის „თავისუფლე-
ბის“ დამაარსებლისა და ლიდერის კონსტანტინე ზ. გამსახურდი-
ას ახალი წიგნის „წერილები უცხოეთიდან“ პრეზენტაცია გაი-
მართა.

ჩვეულებისამებრ პრეზენტაციები რეგლამენტირებული ზეი-
მურობით ჩათავდება ხოლმე. ამნაირ დროს, სიხარულით თანაზი-
არობის გამოსაჩენად თავს არავინ იზოგავს. საზოგადოებას კი
ერთად ყოფნის თუნდაც ეს გაიშვიათებული, სიმბოლური წუთე-
ბი სასიამოვნო მოგონებად აღებეჭდება.

იმდღევანდელ პრეზენტაციაზე, გადაუჭარბებლად უნდა ით-
ქვას, ფართო სპექტრით წარმოჩნდა ინტელიგენციისა და სხვა-
დასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა. შესაბამისად
გადაჭედული დარბაზი იკრებდა უმცირესთაგანთ, უკვე რომ გას-
ცნობოდნენ ახალ წიგნს და შთაბეჭდილებებსაც ალფრთოვანე-
ბინათ. აგრეთვე იმათ, ნაშრომის შექმნის და წაკითხვის საშუა-
ლება ცოტა მოგვიანებით რომ მიეცემოდათ, მანამდე კი სიტყვე-
ბით გამომსვლელებს მიაპყრობდნენ ყურს.

კონსტანტინე ზ. გამსახურდიას ახალი წიგნი „წერილები უც-

ხოეთიდან“ პოეტმა რატი ამაღლობელმა წარუდგინა საზოგადო-
ებას.

სიტყვით გამომსვლელებმა: ლაშა ხეცურიანმა, მაკა ჯოხა-
ძემ, თენგიზ კიკაჩიშვილმა, როსტომ ჩხეიძემ, თინათინ
მღვდლიაშვილმა, ირაკლი კაკაბაძემ შთამბეჭდავად ისაუბრეს
წიგნსა და მის ავტორზე.

აღინიშნა, რომ შვეიცარიაში ემიგრანტად მყოფსა და მოღვა-
ნეს კონსტანტინე ზ. გამსახურდიას არცერთი წუთი არ უცხოვ-
რია უსამშობლოდ. შესაბამისად ამან ასახვა ჰპოვა ახალ წიგნში,
სადაც უცხოეთიდან დანახული საქართველოა 1994 წლიდან 2005
წლამდე გაშუქებული.

ითქვას ისიც, რომ ამ ახალი კრებულით, კიდევ ერთხელ წარ-
მოჩნდება ავტორის დიდი განათლება, თვალთახედვის ფართო დი-
აპაზონი, აზროვნების სიღრმე, და ყოველივე ეს, სრულებით არ ინ-
ვევს გაკვირვებას, რადგან ამ მშვენიერი წიგნის ავტორი ერისათ-
ვის დიდად საამაყო ოჯახის ტრადიციების რჩეული მემკვიდრეა.

კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ მადლობა გადაუხადა შეკრე-
ბილ საზოგადოებას თანადგომისათვის და წაკითხა ახალი ესეი
„ჩემი შვეიცარიული დრო“.



ზომიერების თანდაყოლილი გრძნობისა და დახვეწილი „პოეტური სმენის“ წყალობით დათო მალრაძე ქმნის ლექსებს, სადაც საზოგადო ჭირვარამს კონკრეტული ტკივილი გადაჭდობია და მშვენიერ სტრიქონებად აკინძულა. ეს ლექსები იმდენად არის ტრადიციული, რამდენადაც თანამედროვე. ამბივალენტური ბუნება გამოარჩევს მათ მოდური მიმდინარეობების ასე მოძალბებული დინებებიდან, რომელთა ავტორებიც მკითხველს თავს ახვევენ საკუთარი ტვინის ხვეულებში დაღეჭილ ხელოვნურ დანაშრევებს, რასაც საერთო არაფერი აქვს გარესამყაროს ემოციურ, ადამიანურ აღქმასა და წრფელ გრძნობებთან.

გულწრფელობასთან ზომიერად შეზავებული ინტელექტუალიზმი დავით მალრაძის პოეზიის ღირსება და უმთავრესი ნიშან-თვისებაა. პოეტი უტყუარად გრძნობს იმ მარცვალს, რომელმაც ადამიანებში სიკეთე უნდა გააღივოს, სიცოცხლის სიყვარული შთაბეროს და სინათლის შუქურა აცემიციმოს. ამიტომაც უყვართ დათო მალრაძის ლექსები პოეზიის ჭეშმარიტ გურმანებს.

დათო მალრაძე

როცა მოღვატზე პეიზაჟის მყურძობას არღვევს პოეტი

მზე ჩამოშლის თაველს
შენი მკლავების სხივებს,
ნიაფი დაბმულ ნავეებს
ნაპირთან ატივტივებს.

მიმოფანტულა წლებად
ძაფგანყვეტილი მძივი.
წყალზე ბრჭყვიალებს თველებად
ნავეებს ამცდარი სხივი.

როგორც შენს ბაგის ყვავილს
ჩემგან აცდენილ სუნთქვას
ლექსად მოწყვეტილ ნავით
თავის სათქმელი უთქვამს

და ოცნებების ვამპირთ
წლებს ულოკიათ ლამი,
ვემშვიდობები ნაპირს,
დღესასწაულის წამით.

შორს ჰორიზონტი დნება
წყალსა და ზეცას შორის,
მიყვარდე, მომეც ნება,
ცაზე გავაკრა ქორი.

მითოკილი აქვთ ვნება
თოკზე გამობმულ ნავეებს,
ნიაფი ნაოცნებარს
ნავეებით ანანავეებს.

თეთრი მკლავების სხივი
წლების გაფანტავს სეკდას,
წამი – მარცვალი მძივის
შენს გულისპირზე წვეთავს.

შენ ერთს მოგიძღვნი სტრიქონს
დღესასწაულის წამო,
მოდი, რაც იყოს, იყოს,
უკვდავებისკენ წამო!

ცალი ფრთა

მოვიქნევ ცალ ფრთას, როგორც მარაოს,
თუმცა საფრენად ცოტაა, მაგრამ
ნაკვერჩხალივით წარამარაობს
ცეცხლი, რომელიც შენს თვალში ჩაქრა.

ცალი ფრთით მცნობენ ძველი უბნები,
ის არის ჩემი გემბანის აფრა,
სიტყვაა, რასაც შენ გეუბნები
და გადმოვდივარ სტრიქონით ნაპრალს.

ხან სტუმრად მისულს სკამს მთავაზობენ,
წესს მთავაზობენ, რაც არის სწორი,
მე კი ცალი ფრთით ასჯერ გავზომე
მანძილი მიწას და ზეცას შორის.

– საფრენად ცალი ფრთა არ კმარაო,
მითხრეს და ფითრმა თეთრად გამლება
და ვიქნევ აფრას, როგორც მარაოს
და თვალში ვანთებ მიმქრალ ნალვერდალს.

რაც ვიუარე, ველი უარესს,
თუმცა ირაოს არიას ვმღერი.
წლებმა იარებს გადაუარეს
და აურიეს ოცნებას ფერი.

და ხან მივენდე ახალ ვარაუდს,
ხან ისევ ძველმა წამართვა ძილი
და შეშურდება ლამის ყარაულს,
რაც მე ფიქრებთან დავიდე წილი.

გამღვიძებია ლამით ნალვინევს,
სამგლოვიარო მესმოდა მესა...
და ზენარივით თოკზე გავფინე
ეს აღსარება ნათქვამი ლექსად.

ვარსკვლავის ციმციმს მივანდობ ლოგოსს,
მიწაზე მიმძიმს, იმ ვარსკვლავს ვფიცავ,
– ზეცა! – შეეცახებ
და ისმის როგორც
გეზდაკარგული გემიდან – მიწა!

ხან მიფიქრია, – მოდი, სიკვდილო,
ეს ფრთაც მომწყვიტე დაცდილი თარსად,

რომ იქნებ ველარ გავიმშვიდდილო,
რადგან საშველი აღარ ჩანს არსად.

იქნებ სიკვდილსაც უნდა სიკვდილი,
სადმე დააგდოს ერთგული ცელი,
მე კი სიცოცხლე – სიკვდილმისჯილი
სიკვდილის სიკვდილს ამაოდ ველი.

მინყალე ღმერთო,
ხმელთა და ცათა...
და თუ ავანთე მისი თვალები,
მომეცი ქალი – მეორე ფრთა და
მოვიფრენ ფეხით ნანანალები.

* * *

გუმბათის ყელში – გუმბათის მტრედო,
შენი ფათქუნი მომესმის მუდამ,
როცა სტრიქონის ფრთას უნდა ვენდო,
ხორხიდან როცა გაფრენა უნდა.

სულ შენ გეძახი და ვცვლი სახელებს,
უცხო ქალების პასუხით ვთვრები
და დაჭლექილი როცა ვახველებ, –
თითქოს გატკინე დახრილი ფრთები...

სადღაც შორს სამბას რიტმით თვრებიან,
მერე შეცვლიან სამბას რუმბათი,
ჩემი სამშობლო შენი ფრთებია,
შენი სამშობლო ტაძრის გუმბათი.

შენ იცი,
ჩემში ფართოდ შევეუშვი
წუთისოფელის ზათქი და ზარი,
და ისე მიდგას სული სხეულში,
როგორც გუმბათის ფრესკაზე ბზარი.

შენ ხარ ნუგეში, ჩემი მცველი და
ვერ მიმატოვებ შენითვე შეშლილს,
... ვის წამოაგდებს სარეცელიდან
შენი ფათქუნი გუმბათის ყელში.

კაჟე შარდენჯი

მიტო მანჯგალაძეს

თბილისი. საღამო. შარდენის 12.
შარდენის ორდენის კავალერს
– საღამო!
მოდინა ლოთები დადგენილ ნორმებით,
დანერილ ნოტებით არ სუნთქავს არავინ.

თბილისი. საღამო. შარდენის 12.
დაჰქრიან ლანდები ეტლით და ფორნებით...
კედელზე ფოტო და ფოტოზე კორნეტი,
ბებუის მამიდა დაგვყურებს ლორნეტით.

მათ უთხრეს სიცოცხლეს,
სიცოცხლეს – ნახვამდის,
ღირსებას – საღამო!
და მასებს – უარი!
და სულის კედელზე შემორჩა ნახატი,
გაქრა ის ხალხი და ის აქსესუარი.

მე ჩემი ვარსკვლავი
დღეს რასაც მავალეებს, –
ლანდს ვხედავ პოეტის და წინამორბედის...
– საღამო, შარდენის ორდენის კავალერს!
თბილისი. საღამო. შარდენის 12.

* * *

ახლა ღამეა და მინდა შევესვა
მოსაგონარი ღამისმთეველთა,
მცვივა სამოსი და მესმის მესა
შენი მუხლების საკურთხეველთან.

– შემახე ხელი,
და შემიცვალე
ანმყო, მერმისი, გინდა წარსულიც.
ეჭვებით სავსე ყოველ ცისმარე
ვარ ჯამბაზივით თოკზე გასული.

რა წრფელი იყო წყაროს სათავე,
როცა ვისმენდი ქრისტეს იგავებს...
და სულს სხეულში ველარ ვაკავებ,
და სხეულს წყალზე ველარ ვიკავებ.

სახლის ფანჯრიდან თუთუნს ვაბოლებ
და კვამლს მივყვები ოცნების აფრით,
რადგან გულს ველარ გადავყავლებ,
თიხის ქოთანში მივარდნილ აპრილს.

შემახე ხელი, ჩემგან ქებული
და შემიცვალე თუნდაც წარსული,
რადგან ვარ, როგორც შეეჭვებული
მოციქულივით წყალზე გასული.

მომხვიე შენი თეთრი მკლავები,
რომ გათამამდეს სიტყვა და ცრემლი...
და მთვარის შუქში ნაბანავები
ცვარივით წვეთავს სტრიქონი სველი:

– გახსოვს, შუამთას ჭრელი ემოსა
და გთხოვ, ნურასდროს ნუ შევეჭვდებით,
იქ, ხმელ ფოთლებზე ცის ანგელოსმა
დატოვა თითის ანაბეჭდები.

ყაზვების ქუჩა №14

და იყო სახლი, იყო მაგიდა,
იყო თოვლივით ქათქათა სუფრა.

და აღარასდროს აღარ წავიდა
დღესასწაული მოსული სტუმრად.

არ დარჩენილა არავინ უბრადა
და გამოებნენ მაგიდას თოკით.
და იყო დედა – ქათქათა სუფრა
და იყო მამა – სუფრაზე დოქი.

იყო სახელიც... და უსახელოც,
როგორც სჩვევია ხალხმრავალ ბაქანს,
და იყო დედა – თეთრი საყელო
და იყო მამა – პერანგზე ლაქა.

დგებოდა დილა
ლამის ნარჩენით,
ისმოდა ლურჯი მონასტრის ზარი,
დედა – გახსნილი ფართოდ ფანჯრები,
მამა – ოთახში ორპირი ქარი.

და მერე, როცა ღრუბლიან სამანს
მიუახლოვდა სნეული სევდა,
კედელზე გაჩნდა ღიმილი – მამა,
ღიმილთან ცვილის სანთელი – დედა.

და იყო სახლი.

ჟამი

ლექსი მოდაში,
კვამლი ოდაში,
ჟამი საშიში,
შიში პატივში,
თქვენთან ბოდიში, მაგრამ ბადეში
ვერ გავებმები, როგორც ბადიში.

შენ!

შენ, არეულო სამზარეულო
და ნამწვავებით საესე თეფშებო,
შენ გაკეცილო ლექსის რვეულო,
თქვენი მდინარის წყალზე ვეშვები.


მიმოფანტულო ჩემო სამოსო,
ყელსმოხვეულო ნაზო მკლავებო,
თეთრო სტუმარო ამ საღამოსი
გრძელ ღამეებთან განამკლავებო,

შენ, ოქროს სხივო, ამ დილის მეკვევე,
ფანჯრებს მოაფშენი ოქროსფერ ქვიშას,
თქვენით ვირწმუნე, რაც მოხდა ბეთლემს,
თქვენით ვატარებ სიცოცხლის ნიშანს.

შოთა ქავთარაძე – სამოცდაათიანელთა პოეტური თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი მუდამ ჩრდილში დგომას ამჯობინებდა და საკუთარ თავსა და ლექსებზე მეტად თითქოს ყოველთვის თავისი მეგობრების ლექსთა პოპულარიზაცია უფრო აინტერესებდა. არადა, თვითონ მისი ლირიკული ინტონაცია და გულწრფელობა არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლავთ ამ თაობის პოეტურ რეგისტრსა და იმ სიახლეთა რკალში, რაც ქართულ მწერლობაში სწორედ სამოცდაათიანელთა თაობამ მოიტანა.

თითქოს ბევრიც არ უწერია: რამდენიმე ორიგინალური კრებული და ჩინებულად თარგმნილი ეპიგრამათა ნიგნი. თუმცა ამ ტიპის – უჩინო, მოკრძალებული, მაგრამ მართალი და საქმისათვის თავდადებული პოეტების არსებობა მაინც ძალზე მნიშვნელოვანია საერთო სალიტერატურო პროცესებისათვის.

შოთა ქავთარაძის ახალ ლექსებს სწორედ ამ იმედით ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველს.



შოთა ქავთარაძე

**შემოდგომის
ღღიჟრი**

ღრუბლები ბრუნდებიან

წვიმაა, ქარია, ღრუბლებია,
მიდიან ღრუბლები, მერე ბრუნდებიან.
ზამთრდება, დღეები მოკლდებიან,
როდისმე ეს ხეებიც მოკვდებიან.
ნატვრაა, ოცნებაა, ფიქრებია,

ვიდრე ხარ, ეს ფიქრებიც იქნებიან.
ნისლები, თითქოს აფრებიან,
შენ წახვალ, ფიქრებიც გაქრებიან.
წვიმაა, ნისლია, ღრუბლებია,
მიდიან ღრუბლები,
ღრუბლები ბრუნდებიან.

გზიდან გადასვლა სცაღე

არ იცი, დღეს რას განიცდი,
გუშინ რა განიცადა,
მოგწყინდა ხეტიალი და
გზიდან გადასვლა სცაღე.
შეეშვი ლექსის წერას და
კალამი განზე დადე.
შემოგეხვია უეცრად

მთვარის ყვითელი ბადე
გამოიგლოვე წარსული,
დაჰყევი ღამის ლანდებს,
ალარ მოელი გაზაფხულს,
არც ამალლებას – ცამდე.

გადავიდა ქედზე მგზავრი

ალარ იცი, ვინ სად იყო,
რა ჯობდა და რა არ ჯობდა,
კი იცოდი, ბალის ბოლოს
შემოდგომა გდარაჯობდა,
კი იცოდი, ნოემბრის მზე
სხივებს ველარ მოგანწვედა.
ეს ქარი და ეს წვიმები
თავს როდისმე მოგანწყენდა,
არც დღეს იცი, ვინ სად არი,
გამოღმა თუ გაღმა ჯობდა,
გადავიდა ქედზე მგზავრი –
შემოდგომავ, გამარჯობა!

ცდა

უნდა გავწირო სიყვარული, უნდა დავამხო,
აბა, ჰე! აბა, ჰო!
ეყოფა, რაც თავის ნებაზე მატარა,
ხან ბერად დამყუდა,
ხან შეშლილს მადარა
ციხე მაგებინა,
ლოდები მათრევიანა,
ყივჩალთან შემყარა,
სისხლი მანთხევიანა,
სადღაც, ჭიუხებში, ღამე მათევიანა,
მაცეკვა, მამღერა,
ლექსი მათქმევიანა.
უნდა გავწირო, სიყვარული,
უნდა დავამხო...
თუმცა... არ იქნება
ხანდახან არ ვნახო!

ცოტაც მოიცადოს მთვარემ

ცოტაც მოიცადოს მთვარემ,
ცისკარს შევეგებო ბარემ,
ჩრდილები აკრიფოს დილამ,
შაშვმა იგალობოს ტკბილად,
შენსკენ შემოვალბე კარებს,
ცოტაც მოიცადოს მთვარემ.

ბავშვობის კერა

გადაიარა ჩემმა ღრუბელმა,
განიბნა, ქარმაც ველარ უშველა.

რამდენი ღამე გამოვიგლოვე
რამდენი სიტბო დავტოვე გაღმა,
იმ დღის ნათელი ველარ ვიპოვენი,
ლოზე გადაწვა,
ჭერმები გახმა.
დავდივარ უკვე ხელის ცეცებით,
ხშირად ვბორძიკობ, ხშირად ვეცემი
და მაინც სულის ხსნად და იმედად
ღმერთმა ეს კერა გამოიმეტა.

უერთმანეთოდ

გვინდოდა, ეს დრო სხვაგვარად გვეგრძნო,
სხვა იმედების ცეცხლი დაგვენთო...
რა ვიცი,
იქნებ როდისმე შევძლოთ,
ცხოვრება ასე, უერთმანეთოდ.

ვეღრება

ჯერ ნუ ჩაცხრები, გაზაფხულო,
იყავ გაზაფხული!
ჯერ ეს მგზავრობა დავასრულო,
წყნარი დასასრულით.
სახლი შამოვიწყე,
უნდა გადავხურო,
დავჯდე აივანზე,
სოფელს გადავყურო
კედლები შელამოს
სურნელმა ცაცხვების...
ჯერ ნუ ჩაცხრები, გაზაფხულო,
ჯერ ნუ ჩაცხრები.

ზამთრის ეტიუდი
რკინის მძიმე რელსებს გაჰყვა
მატარებლის რომანტიკა,
გაიზარდა მთვარის ლაქა,
გულგრილობამ მოგაკითხა.
დილა ალარ ფანტავს იებს,
წყარო ალარ ისვრის შხეფებს,
ეგ ხელები დედოფლისთვის
ყორივარდებს ალარ კრეფენ.
მონატრების ელდა გაქრა,
წყალში ჩაიკეცა აფრა.

რატომ?!
მარტო შენი სახელის ხსენება კმარა,
რომ ჩავიქცე, ჩავიქოლო,
რომ ამიფეთქდეს დღე და გადაბუგოს ყველაფერი.
რატომ, ძმაო, რატომ?
რატომ არ იფიქრე, რომ ეგ ტყვია
ჩვენს გულელებშიც გაივლიდა,
რომ შენი შვილიშვილი,
ნაადრევად გადავიდოდა ბავშვობის ბილიკიდან.

ჰოჯია

რატომ, ძმაო, რატომ?

ვის არ გვტყვიან გული,
ვისი ოცნების გემი არ ჩაძირეს მღვრიე ტალღებმა,
მაგრამ ხომ ვცოცხლობთ, ხავსის ძაფებს

ვებლაუჭებით,

რომ შევაშველოთ აღმართებში ერთმანეთს ხელი.

ჩვენ ხომ ისეც დამარცხებულები ვართ,

ჩვენ ხომ ისეც განწირულები ვართ

რად მიუმატე მუგუზალი ჩვენს ტანჯვის კოცონს.

სადა ხარ ახლა, რა წყლებში ტოპავ,

რა მიმწუხრში დაიარები...

არ გადავა ეს ტკივილი, ეს ღამე, ეს წუხილი,

არ გადავა...

რატომ, რატომ, რატომ?!

ადრეული გაზაფხული

გაიგიჟა მარტმა თავი,

ხევში ჩამოშვავდა ზვავი,

დანრიალებს წყალში წავი,

როგორც მუგუზალი – შავი.

გაიგიჟა მარტმა თავი,

ქარი ქვითინებს და ჰგოდებს!

ტყეში ყვავს გასძახის ყვავი:

მაგრად მოეჭიდე ტოტებს.

ესეისტიკა

როსტომ ჩხეიძე

ინკუბის ზეცა, ამაუტა და ათი მცნება

ხელოვანის ათი მცნება.

მასწავლებლის ათი მცნება.

აქვს გაბრიელ მისტრალს ამ სახელწოდების მინიატურები – სახარებისეული ათი მცნების პოეტური ვარიაციები, დადასტურება და არა უარყოფა თუ გაბაზრუება მისი ღრმა ეთიკური მრწამსისა, კვლავ იმ რკალში ტრიალი, კვლავ იმ სივრცეში შეღწევის მძაფრი ნადილი, კვლავ სწრაფვა იქითკენ, რომ ქრისტიანული მოძღვრება ტვირთით კი არ გადმოგილოცონ წინამორბედებმა, არამედ შენ თვითონვე აღმოაჩინო, შენივე ძალ-ღონით შეითვისო და გაქვავებული წამის იდუმალი სუნთქვაც იგრძნო.

„აღსარებასავით გულწრფელი გაბრიელა“ – ეს მეტაფორა, რომელიც ასე ზუსტად, ლაკონურად და ხატოვნად წარმოსახავს ამ შემოქმედის პოეტურ მრწამსსა და სულიერ ხედვასა და სიმაღლეს, მოხდენილად ჩაერთვის მანანა გიგინეიშვილის წინათქმაში იმ კრებულისა – „პოემები პროზად. მოთხრობები“ („საარი“, 2003) – თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშად რომ წარმოგვიდგება და დიადი ხილვების შინაგან მუხტს, ექსპრესიასა და ფაქიზ ლირიზმს ხელშესახებდა განგვაცდევინებს.

აღსარებასავით გულწრფელიო...

ეს განსაკუთრებული სინრფელია, უფალს რომ შესთხოვს: ნუ მიწყენ ამ ნაღვლიანი წიგნისთვისო, – და იმ ადამიანებსაც მიტყუებას ევედრება, რომელთათვისაც სიცოცხლე მხოლოდ საამოვნებაა.

ეს მცირე კრებული, ძალდაუტანებლად რომ მოანდომებს ჩვენს მკითხველს გაბრიელა მისტრალის პოეტურ სამყაროში უფრო ღრმად შეღწევას, სამყაროში, რომელსაც ინკუბის ზეცა გადახურვია – არა მითიურ კოლორიტად, არამედ გულისხმულში გამოტარებულ განცდად, სხვაგვარადაც შეიძლება დასათაურებელიყო, თუნდაც ასე: „ქებანი და მცნებანი“,

რადგანაც ეს ორი რკალი ჰკრავს მის კომპოზიციურ ქარგას და იქ, სივრცეში ერთიანდება კიდევ:

ათი მცნება – ორი მინიატურის სათაურად გატანილი – სხვა ლირიკულ ქმნილებათა სულისკვეთებასაც მსჭვალავს და თავისებურ რკალადაც ამიტომ იკვეთება, ოღონდ ქართველ მკითხველს ის იმ მხრივაც შეუძრავს გულს, რომ ამავე სახელწოდების ნიმუში ჩვენს სინამდვილეშიცაა შექმნილი: „ჩვენი დროის ათი მცნება“.

დაინერა 1924 წლის 19 დეკემბერს.

და ხელს მიხეილ ჯავახიშვილი აწერს.

იქ კი, ჩილეში:

შეიყვარე მშვენიერება. იგია სამყაროში განფენილი ჩრდილი ღვთისაო, – ხელოვანის ათ მცნებათაგან პირველს ასეთ პოეტურ ფორმულაში მოაქცევდა გაბრიელა მისტრალი და ჩამოჰყვებოდა და ჩამოჰყვებოდა:

ულმერთოდ არ არსებობს ხელოვნება. ღმერთი რომც არ აღიარო, ის მაინც გნამს, რაკი შენც შემოქმედი ხარ მის მსგავსადო;

მშვენიერება არ არის გრძობებისთვის სატყუარა, იგი საზრდოა სულისათვისო;

აეხორცობას ერიდე, ნურც ფუჭ დიდებას დახარბდე.

ეცადე, ღვთაებრივი ღვანლი აღასრულოო;

მშვენიერებას ნუ ეძიებ ზეიმსა და ლხინში, შენს ქმნილებებსაც ნუ მიუძღვნი მათ. მშვენიერება უზინოა და ის, რაც ზეიმში და ლხინია, არ არის მშვენიერებაო;

მთელი გულით მიენდე შენს სიმღერას და უზენაესის მიერ განწმინდებო;

შენი მშვენიერება კაცთათვის იქნება გულმონყალეზაც, რადგან იგი ნუგემს მოჰგვრის ადამიანთა გულსო;

შენი პირმშო რომ შეიქმნა, ისე შექმენი შენი ნაწარმოები: საკუთარი სისხლი ჩატოვე შიგო;

მშვენიერებამ ჰაშიშივით კი არ გაგაბრუოს, დიდებულ ღვინოსავით უნდა აგანთოს და აგამოქმედოს. მაშინ არც კაცი იქნები, არც ქალი, – იქნები ხელოვანიო;

შენს ყოველ ქმნილებას კრძალვით შეეგებე, რადგან იგი ნაკლებია შენს ოცნებაზე, რომელიც არის ღვთაებრივი უბრალოებაო.

ამ სტრიქონების გადაკითხვა გარწმუნებს, თუ რატომ არ შეიძლებოდა მათ დარქმეოდათ რჩევები – ეს მხოლოდ გააფერმკრთალებდა, გაამარტივებდა ამაღლებულის იმ იდეალს, რასაც უფლისაკენ ლტოლვა შთაგაგონებს, და წინასწარვე ხვდები, რომ მასწავლებლის ათი მცნებაც ვერ ჩამოქვეითდებოდა რჩევებამდე თუ მასწავლებლის ნებსებამდე, როგორც წინარე საფეხური, ადამიანში შემოქმედის გამოღვიძებისა. ზოგი გადა-

ლახავს ამ ზღვარს, უმეტესობა მის ზღურბლზე რჩება, მაგრამ – იდეალური განზომილებისას – უნდა დარჩეს პოეტური სულით გასხივოსნებული და დაე ფურცელზე ნუ გადაიტანს შერთიმულსა თუ შეურთიმავ სტრიქონებს. პოეტური სულით კი ის მასწავლებელი გაასხივოსნებს, ვისაც იდუმალი ძახილი შეაგონებს, რომ: უნდა უყვარდეს მთელი გულითა და სულით. და თუ სიყვარული არ შეუძლია, არც უნდა ასწავლოს ბავშვებს.

ესეც ის პირველი მცნება, და ქვაკუთხედი ამჯერადაც სიყვარულია.

ასწავლე სადად, უბრალოდ, ისე, რომ მთავარი არ გაგეფანტოსო, – ამის გაცხადებასაც არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ისევე, როგორც ამ მისტიკური აქტისას:

გაიმეორე, როგორც ბუნება იმეორებს, ვიდრე სრულყოფილებას მიაღწევდესო;

ცხადია, მშვენიერებისაკენ სწრაფვა მასწავლებლის კოდექსშიც აუცილებელ ადგილს იკავებს:

ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესო.

და დანარჩენი მცნებანი კი:

„ნ. იყავი გულანთებული, ლამპრები რომ აანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.

6. სული შთაბერე გაკვეთილს. ყოველ გაკვეთილს სული უნდა ედგას ცოცხალ არსებასავით.

7. იზრუნე შენი სულის ამაღლებაზე. რომ გაცეცე, უნდა გქონდეს.

8. გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არა, – ღვთისმსახურებაა.

9. ყოველდღე, გაკვეთილის დაწყებამდე, საკუთარ სულში ჩაიხედე, წმინდა თუ გაქვს გული.

10. იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა“.

ხელობა კი არა, ღვთისმსახურებააო...

და თუმც ასეთი მუხლი უშუალოდ არ არის აღნიშნული ხელოვანის კოდექსში, სტრიქონსა და სტრიქონს შუა საკმაოდ გამჭვირვალედ ამოიკითხება.


ხოლო მოწაფეს, ყმანვილს რა ევალება, მას რა მცნებანი აქვს შესათვისებელი ქრისტიანული კოდექსის თავისებურ ვარიაციადა?

მიხეილ ჯავახიშვილს ეს ფიქრიც რომ აეკვიცატებოდა, თავის ქალიშვილს ჩაუნერდა რვეულში – ქეთევანს, და მისი სახით იგულისხმებდა მაშინდელ ყმანვილებსაც და ახალი თაობის მარადიულ წრებრუნვასაც, და პირველივე მცნება ამ გადასახედიდან ამიტომაც შეიქმნებოდა:

„შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული ნევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი“.

მინიატურა არასოდეს ყოფილა მიხეილ ჯავახიშვილის ჟანრი, ევინროებოდა მისი არტახები და ვერც ამჯერად იფიქრებდა, თუ სწორედ ამ ყაიდის ნიმუშს ქმნიდა. სააღბომოდ სხვანი ლექსებსა თუ ლექსისმაგვარ ნიმუშებს თხზავდნენ, ამას ეს ორიგინალური ხერხი მოეფიქრებინა, მხოლოდ იქ, ალბომში ჩასატოვებლად, და „ჩვენი დროის ათ მცნებას“ ამიტომაც ვერ მოეძებნებოდა ადგილი მწერლის თხზულებებს შორის, არამარტო განცალკევებით დარჩებოდა, არამედ საერთოდაც ჩამოაცილებდნენ მის ნოველებსა და რომანებს. პირველი პუბლიკაციის დროსაც ფოტორეპროდუქციის სახით გამოქვეყნდებოდა მისი ავტოგრაფი.

ეს პირველი პუბლიკაცია განახლებული „ცისკრის“ ფურცლებზე მოხდებოდა: 1957 წლის 1 ნომერში, ნოველასთან –



„მინის ყივილი“ – ერთად, რეაბილიტაციის შემდგომ პირველად ჩნდებოდა მისი თხზულებანი და, როგორც ვახტანგ ჭელიძე გაიხსენებდა („ცისკრის“ პირველი რედაქცია, პირველი ავტორები და პირველი ნომერი“), ამ საარქივო მასალებს ძალიან გაუღიზიანებია მწერალთა ერთი ჯგუფი: რეაბილიტაცია მოხდა მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც მოქალაქის და არა როგორც მწერლისო, თავგამოდებით ამტკიცებდნენ, და რედაქციას ბრალად სდებდნენ ამ „გაუმართლებელ სითამამეს“...

ეს რეალიაც არ უნდა მიყრუებულყო, თუ როგორ მითქმა-მოთქმაში მოექცეოდა „ჩვენი დროის ათი მცნების“ ავტოგრაფის გამომზეურება.

შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარია, – ესეც ამ კოდექსის მეორე მცნება, ყოველი ახალი თაობა რომ უნდა უგდებდეს ყურს შორიდან და შორიდან ექოდ გახმინებული მწერლის შეგონებებს:

ყოველივე, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მოვალე და განუყრელი შვილიო;

მიეცი მას ნრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივესო;

მანაც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელიო;

განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ყინი, კერპი გული და ურჩი სურვილებიო;

გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცულღუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უექველად დაჰლუპავნიო;

სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ყინს და გულის ზრახვას ნუ აპყვებიო;

თავმოყვარეობა შეიძინე და შენი თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ: არ გაამაყდეო;

ბოლოს და ბოლოს ყოველივეს სჯობს სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე – შრომა, და მესამე – ისევე შრომაო.

ავგისტო-სექტემბრის სისხლის ღვარები სულ ახალი ჩავლილია და ჯერაც მის ტალღებზე ტორტმანებს ქვეყანა – კიდევ ერთხელ სახელმწიფოებრიობაწართმეული.

ამიტომაცაა ზედაპირზე ამოზიდული ის, რასაც მიხეილ ჯავახიშვილი სხვა რეალობაში მხოლოდ იგულისხმებდა და გაბრიელა მისტრალისათვის სწორედ სტრიქონებს შუაა გაეღვებოდა, ისევე, როგორც „ჩვენი დროის ათ მცნებას“ მარტოდენ იდუმალად გასდევს ის ეთიკური ფორმულა: მოვალეობა კი არა, ღვთისმსახურებააო.

ისე ნეტა სხვას კიდევ ვის აქვს შექმნილი ათი მცნების პოეტური ვარიაცია?!

ინკების ზეცა გადახურვია – არა მითოსურ კოლორიტად, არამედ გულისგულში გამოტარებულ განცდადო...

მისტრალისათვის მახლობელი გახლდათ ინკების „ბრძნული და რთული იმპერიის“ ყოველი მხარე, თვით უწვრილმანეს დეტალებამდე, მაგრამ განსაკუთრებით აცვიფრებდა ღირსებით აღსავსე მოხელეთა გაერთიანება, რომელთა მსგავსიც არც ბერძნებს გააჩნდათ და არც რომაელებს.

ამ მოხელეთ ამაუტა ენოდებოდათ და მრავალმხრივი მოვა-
ლეობაც ეკისრებოდათ: მათ უნდა დაენერათ ქალაქის ცხოვ-
რების ქრონიკები ანუ ჟამთააღმწერლური მისია აღესრულე-
ბინათ; ინდიელთა თეოკრატიის შესაფერისად რელიგიური
მოდღვარნიც უნდა ყოფილიყვნენ; მხატვრული კითხვის ოს-
ტატნიც ისინი იყვნენ და ხშირად თვითონვე თხზავდნენ
ლექსებს.

რა შესანიშნავი საქმიანობაა, რა მშვენიერი ხელობააო, –
ყველა შესაძლო ხელობათაგან მხოლოდ ამაუტასი შეეხარბე-
ბოდა მისტრალს, რადგანაც: ამაუტა იყო შთამაგონებელი და
წარმმართველი სახალხო დღესასწაულებისა და ზეიმებისა.
სიხარულს საზრდოდ აწვდიდა ხალხს და სამსუხარო გახ-
ლდათ, რომ ეს საპატიო და მიმზიდველი ხელობა აღარ არსე-
ბობდა.

შეხარბებოდა და... ახალ დროში მათ სულიერ ჩამომავ-
ლად მაინც იგულებდა თავს, იმ სივრცის თავისებურ ანას-
ხლეთად, როდესაც „რკინისებურ სახელმწიფო წყობას თან
ახლდა სიკეთე და სიქველე, ჰქონდა ჟამი შესვენებისა და ჟა-
მი უზენაესი ნეტარებისა“.

მიელტვოდა ამ შესვენებისა და უზენაესი ნეტარების
ჟამს, დაეძებდა მის ნამცეცებს, იღვრებოდა სევდად და მიტე-

ვებას ითხოვდა ყველასაგან, სიცოცხლე მისთვის ნაღველს
რომ გაიგივებოდა და არა სიამოვნებას.

და თუ ინკების ზეცის ქვეშ ისედაც სუფევდა სიკეთე და
სიქველე, ბარემ ათი მცნების კოდექსიც დამკვიდრებულიყო.

მიხილ ჯავახიშვილის მხატვრული სამყაროც იმ ზეცის
მონატრებაა, უფრცეს არეალზე რომ გადაჭიმულიყო, ვიდრე
ორ ზღვას შუა შემოვიჭედებოდათ და ეს ზღვები ჩვენი დამ-
ცრობილი ტერიტორიის ხვრას შეუდგებოდნენ, იმ ძველთუძ-
ველესი ზეცისაკენაა იღუმალი ლტოლვა, რომელსაც რეალო-
ბაშიც უნდა მოეძევებოდე სახელმწიფოებრივი წყობა და მის
მოქალაქეებს მარადიული არსებობის შეგრძნება ჰქონდეთ –
თუკი თვითმყოფადობა შენარჩუნდება და არაფერი გადაგ-
ვარდება, შენი ალიკვალი კიდევ უამრავჯერ განმეორდება.

ავგისტო-სექტემბრის ტრაგიკული სურათები კიდევ უფ-
რო მძაფრად მოგანდომებდა მარადისობის აუცილებლობას.

ამაუტასი ეხარბებოდა გაბრიელა მისტრალს.

ნეტა მიხილ ჯავახიშვილს ვილასი ეხარბებოდა, ყველა
შესაძლო ხელობათაგან რომელი მიაჩნდა ყველაზე მშვენიე-
რად და მიმზიდველად, ვის გაჰყურებდა საუკუნეთა მიღმა?..

ლიტერატურული ზღაპარი

არტურ შნიცლერი (1862-1931) – ავსტრიელი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი) ასახავდა მისი თანამედროვე ავსტრიული
საზოგადოების ცხოვრებას. დიდ ყურადღებას უთმობდა პერსონაჟთა ფსიქიკის არაცნობიერ მხარეს, ააშკარავებდა წინააღმდე-
გობებს ადამიანთა აზროვნებას, გრძნობასა და ქმედებას, აგრეთვე საჯარო ქცევასა და მისწრაფებას შორის.

შნიცლერს მიაჩნდა, რომ სინამდვილე მოუხელთებელია და მხოლოდ წამიერად შეიძლება მისი წვდომა. „ნუ ლაპარაკობ
მარადიულობაზე“ – ამბობს მისი ერთი პიესის პერსონაჟი. ამავე პერსონაჟს სჯერა მხოლოდ იმ განწყობილებისა, რომ „ალბათ
არსებობს მომენტები, რომლებიც ირგვლივ მარადისობის სურნელს აფრქვევენ“, თუმც ალბათ ესეც მხოლოდ მოჩვენება და
შთაბეჭდილების მცდარობაა.

არტურ შნიცლერს დიდად აფასებდა ნიკო ლორთქიფანიძე და მისი გავლენაც განიცადა შემოქმედების პირველ ეტაპზე.
შემდგომ, ცხადია, დაძლია ეს გავლენა, რასაც ჯერ კიდევ 1934 წელს აღნიშნავდა ტიცციან ტაბიძე.

არტურ შნიცლერი

ამჟამი
ერთი
გენიოსისა

„აი, მგონი, ქვეყანასაც მოვევლინე“, თქვა პეპელამ,
რამდენიმეჯერ შემოუფრინა ყავისფერ ტოტს და არე-მა-
რე მოათვალიერა. პარკს მარტის რბილი მზე დასთამა-
შებდა, გადაღმა სერებს ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ შერჩენო-
და თოვლი და ქვევითკენ მიმავალი სველი შარაგზა მზის
სხივებს ირეკლავდა. პეპელა რკინის მოაჯირის ორ გი-
სოსს შორის გაძვრა და გარეთ აღმოჩნდა. „ესეც სამყა-
რო“, გაიფიქრა პეპელამ, მთლიანობაში ყურადღების
ღირსად მიიჩნია იგი და გზას გაუდგა. ცოტა არ იყოს,
სციოდა, მაგრამ თანდათან დასთბა, რადგან ისე გამაღე-

ბით მიფრინავდა, რო-
გორც კი შეეძლო, და
თან მზეც სულ უფრო
ზევით მიიწევდა.

თავიდან გზაზე
ერთი სულიერიც არ
შეხვედრია. მოგვიანე-
ბით თვალი მოჰკრა
ორ პატარა გოგონას,
რომლებმაც, შენიშნეს
თუ არა, გაცეცებისგან
ტაში შემოჰკრეს.

„ეჰეი“, გაიფიქრა

პეპელამ, „ხალხი აღფრთოვანებული მეგებება, ეტყობა
არც მთლად ურიგო შესახედი ვარ.“ მერე შემოხვდნენ ცხე-
ნოსნები, კალატოზის შეგირდი ბიჭები, ბუხრის მწმენდავ-
ნი, ცხვრის ფარა, მოსწავლეები, მანანალები, ძაღლები,
მოახლე გოგოები, ოფიცრები, ახალგაზრდა ქალბატონე-
ბი; ცაში კი ათასგვარი ჩიტები დასტრიალებდნენ თავზე.

„დედამინაზე ჩემისთანა არსება ბევრი რომ არ იქნე-
ბოდა, აქამდეც ვხვდებოდი“, ფიქრობდა პეპელა, „მაგრამ
ერთადერთი თუ აღმოვჩნდებოდი, ნამდვილად არ მეგონა
– ეს ჩემს მოლოდინსაც აღემატება.“



ფრენა განაგრძო, ცოტა დაიღალა, ცოტაც მოშივდა და მიწაზე დაეშვა; მაგრამ საკვებს ვერსად მიაგნო.

„სრული ჭეშმარიტებაა“, გაიფიქრა, „სიცივისა და სხვა გასაჭირის ატანა მართლაც გენიოსთა ხვედრი ყოფილა. მთავარია მოთმინება, და თავსაც უეჭველად გავიტან.“

ამასობაში მზე ამოიწვერა, პეპელას დასთბა და ძალა-მოკრებილმა ფრენა განაგრძო. ახლა მის წინ ქალაქი ამოიზარდა. პეპელა კარიბჭეში შეფარფატდა და გადაუფრინა მოედნებსა და ქუჩებს, რომლებზეც მიღეთის ხალხი ირეოდა; ვინც კი თვალს მოჰკრავდა, გაკვირვებას ვერ ფარავდა და კმაყოფილი ილიმებოდა: როგორც იქნა, გაზაფხულიც გვედირსაო. პეპელა ქუდზე ჩამოაჯდა ახალგაზრდა გოგონას – ხავერდის ვარდმა მიიზიდა, მაგრამ აბრეშუმის მტვროვანა სულაც არ ეგემრიელა. „სხვებმა მიირთვან“, გაიფიქრა, „მე კი ჩემდათვად მანამ ვიშიმშილებ, სანამ ჩემ საკადრის საკბილოს ვიპოვნიდე.“

ზემით აფრინდა, გამოღებული ფანჯარა შენიშნა და შეფარფატდა ოთახში, სადაც მამა, დედა და სამი ბავშვი მაგიდას უსხდნენ.

წვნიანით სავსე ჯამს რომ გადაუფრინა, უფროსი ბიჭი პეპელას გამოენთო და ფრთებზე წაავლო ხელი.

„ეტყობა, ესეც საკუთარ ტყავზე უნდა გამომეცადა“, გაიფიქრა პეპელამ და ერთბაშად დაეუფლა სიმწარისა და სიამაყის გრძნობა: გენიოსებს ხომ მუდამ სდევნიანო. ეს გარემოება მისთვის ისევე ცნობილი გახლდათ, როგორც ყველაფერი დანარჩენი: ის ხომ გენიოსი იყო და, ამდენად, სამყაროს წინასწარ განჭკვრეტის უნარიც ჰქონდა.

მამამ ბიჭს ხელზე დასცხო და მანაც გაუშვა პეპელა, რომელიც იქაურობას სასწრაფოდ გაშორდა მტკიცე განზრახვით, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მეფურად დაესაჩუქრებინა თავისი მხსნელი.


ქალაქის კარიბჭის გავლით კვლავ სოფლის შარაგზისკენ წაფრთხილდა. „დღეისათვის კმარა“, გაიფიქრა. „ჩემი სიყრმე იმდენად სავსე იყო შთაბეჭდილებებით, რომ დროა, მემუარების კარნახს მივყო ხელი.“

შორს, ძალიან შორს, მშობლიური ბაღის ხეები შრიალელებდნენ. პეპელას სულ უფრო მძაფრად ეუფლებოდა სურვილი, სადმე ეპოვნა თბილი კუთხე და ყვავილის მტვერი. უცებ თვალი მოჰკრა რალაცას, რაც მისკენ მიფარფატებდა და, კაცმა რომ თქვას, ზუსტად მისნაირი იყო. წამიერად შეცბა კიდეც, მაგრამ უმაღლეს გონს მოეგო და თქვა: „ამ ერთობ უცნაურ შეხვედრას სხვა ალბათ ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ჩემთვის კი ის იქცა საბაბად აღმოჩენისა, რომ, შიმშილითა და სიცივით გამოწვეულ

ერთგვარად აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფს, სივრცეში საკუთარი გამოსახულების დანახვა შეგიძლია.“

ვილაც ბიჭმა ახალ პეპელასთან მიირბინა და ხელით დაიჭირა. პირველმა პეპელამ ღიმილით გაიფიქრა: „რა სულელები არიან ეს ადამიანები! აი, იმ ბიჭს ახლა ჰგონია, რომ დამიჭირა, სინამდვილეში კი ხელში მხოლოდ ჩემი გამოსახულება უჭირავს.“

თვალეები აუჭრელდა და ფრთებიც თანდათან დაუძიმდა. სულ რომ ველარ შეძლო ფრენა, თვალის მოსახუჭად გზის ნაპირას მიწვა. აცივდა, მოსალამოვდა, პეპელას ჩაედინა. ჩამოლამდა, ყინვამ იგი თავის საბურველში გაახვიო. მზის პირველი სხივის გამოჩენისთანავე ერთხელ კიდეც გამოეღვიძა. და უცებ დაინახა მშობლიური



ბაღის მხრიდან მომავალი არსებანი, ჯერ ერთმა ჩაუფრინა... მეორე მეორემ... მესამემ... სულ უფრო მეტმა და, თანაც, ყველა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მას. თავი ისე ეჭირათ, თითქოს მას ვერც კი ამჩნევდნენ. პეპელამ დაქანცული მზერა ალაპყრო ცისკენ და ღრმა ფიქრებს მიეცა. „საკმარისად მონიფული ვარ“, გაიფიქრა ბოლოს, „რათა საკუთარი შეცდომის აღიარება შემეძლოს. რა გაენყობა, ყოფილან ამქვეყნად ჩემი მსგავსი არსებანი, გარეგნულად მაინც.“

მინდორში ყვავილები ჰყვავოდნენ, პეპელეები ბუტკოებში ისვენებდნენ, გემრიელ საკვებს შეექცეოდნენ, შემდეგ კი ფარფაცით განაგრძობდნენ გზას.

ბებერი პეპელა მიწაზე იწვა. ნელ-ნელა ეუფლებოდა განბილების გრძნობა. „თქვენ რა გიჭირთ“, ფიქრობდა. „რალა დიდი მიხვედრა იმას სჭირდება, ქალაქისკენ რომ უნდა გაფრინდეთ. გზა მე გაგიკვლიეთ და ახლა ჩემი სურნელი გკარნახობთ, საით წახვიდეთ. მაგრამ ეგ არაფერი. ერთადერთი თუ არა, პირველი ხომ მაინც ვიყავი. ხვალ კი თქვენც გზის ნაპირას იწვებით, ჩემსავით.“

წივამ დაუბერა და საცოდავი ფრთები ერთხელ კიდეც, სუსტად აუშოძრავა. „მაინც რა კარგი ყოფილა დასვენება“, დაასკვნა გახარებულმა. „ერთი მაცადეთ, ხვალ ზუსტად ისევე გადაგიფრენთ თავზე, დღეს თქვენ რომ გადამიფრინეთ.“ უცებ შენიშნა უზარმაზარი, შავი საგანი, რომელიც მას უახლოვდებოდა. „ეს რალაა?“ დაფრთხა პეპელა. „ო, ვიცი, რაც არის. ჩემი აღსასრული მოსულა. ულმობელი ბედისწერა მიახლოვდება, რათა აღმგავოს პირისაგან მიწისა.“ და სანამ ლუწვის საზიდი ურმის ბორბალი გადაუვლიდა და მის სულს საიქიოს გზას გაუყენებდა, ამის გაფიქრებლად მოასწრო: ნეტავ ძეგლს სად დამიდგამენო?

გერმანულიდან თარგმნა
დავით კაკაბაძემ

„დაე იყოს გაჭირვება, ოღონდაც ნუ იქნება უხამსობა“

*

**ლია მატრაქველს
ესაუბრა
იზა ორჯონიკიძე**



ტულობს უმუშევრობა და გაძვირდა ცხოვრება. ნარკომანია ეროვნული გენოციდით გვემუქრება. მომრავლდნენ ვარდების რევოლუციას ამგზავრებული მედროვენი – უვიცი და არაკომპეტენტური კადრები – განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების ეშელონებში. უკიდურესად მძიმეა მატერიალურად შეჭირვებული და სულიერად დათრგუნული „გამოტოვებული“ და „გაუქმებული“

უფროსი თაობის, სწორედ იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც ყველა ფორმაციის დროს უანგარო შრომით, ღვანლითა და პატიოსნებით გამოიჩინებოდნენ.

ჩემი ღრმა რწმენით სამშობლოს პრივილეგია არ შეიძლება! სამშობლოს უნდა მოვუაროთ, იგი თითქმის ხელახლა უნდა შევექმნათ, მაგრამ სამშობლომაც უნდა მოუაროს, აცოცხლოს და ადამიანური ცხოვრების საშუალება მისცეს თავის შვილებს, – უკლებლივ ყველა მოქალაქეს!

სამშობლომ არავინ უნდა განიროს, არავინ გაიმეტოს და სიცოცხლე ჯოჯოხეთად არავის უნდა უქციოს. დღესდღეობით კი მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა განწირულიც არის და გამეტებულიც, რადგან საკუთარ ქვეყანაში ემიგრანტით ცხოვრობს.

გაუსაძლის პირობებში ცხოვრება ადამიანს აკნინებს, სულიერების მიღმა ტოვებს და სასოწარკვეთილს გაპირუტყვებს არაფერი უკლია. როცა ბავშვებიდან დაწყებული, ასაკოვანი ადამიანების ჩათვლით, ყველა მხოლოდ არსებობისათვის იბრძვის, დამეთანხმებით, რომ ამაღლებულ იდეალებზე საუბარი მკრეხელობაც კია!

რაც მოგახსენეთ საიდუმლო არავისთვის გახლავთ. თქვენს მიერ დასახელებულ ჩემს წერილში უფრო მძაფრადაც ვთქვი ჩემი გულისტკივილი. დავსძენ, რომ ჩასაფრებულის პოზიციიდან არც დღეს მითქვამს რამე, რადგან მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს თავისუფლებისათვის როგორც შემეძლო ისე ვიპრობე, ვიბრძოლე კიდეც. დიდი ბოროტება იქნებოდა ჩემი დიდი გულისტკივილით ნათქვამის გაუკუღმართება.

საქართველოს ყველა გულშემატკივარს უნდა აწუხებდეს ჩვენი საშინაო პრობლემები და პირუთვნელად, საერთო საქმის სასიკეთოდ აზრის გამოთქმისაც არ უნდა ეშინოდეს.

გარდა სოციალური პრობლემებისა ზნეობრივი და ადამიანური არსებობისათვის აუცილებელი, უმნიშვნელოვანესი საკითხებიც არსებობს, რომელთა გაუთვალისწინებლად და მოუგვარებლად ვერც ღირსეული თავისუფალი საზოგადოება აშენდება და ვერც ახალი საქართველო!

საზოგადოების სულიერებაზე, მის ზნეობრივ საყრდენებსა და ფასეულობებზე ფიქრი და ზრუნვა ხელისუფლებასთან ერთად თავად საზოგადოებასაც მოეთხოვება. ჩვენ თავად უნდა ვიზრუნოთ და ვიბრძოლოთ კიდეც არა მარტო არსობის, არამედ საკუთარი სულის პურის მოსაპოვებლადაც.

– როგორ შეაფასებდით უახლეს ქართულ ლიტერატურას?

– როგორც არ უნდა იყოს ჩემეული შეფასება, მაინც სუბიექტური იქნება, რადგან თავად გემოვნება გახლავთ სუბიექტური რამ.

– 2000 წელს გაზეთ „ახალ ეპოქაში“ ორ ნომერში (15-17 და 17-27 დეკემბერი) თქვენ გამოაქვეყნეთ დიდი წერილი – „მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეული, საქართველოს არჩევანი და ქართული მარაზმი“. ამ წერილში არ დაინდეთ ან უკვე ყოფილი ხელისუფლება, თვით პრეზიდენტი შევარდნაძეც კი და საქართველოს მოქალაქეთა მიმართ მმართველი წრეების დამოკიდებულებას უფულო და დანაშაულებრივი, ჩვენს ყოფას კი მარაზმატული უნოდეთ. ამავე წერილში თქვენ პირველმა წარმოთქვით „კმარა!“ შეგახსენებთ: „დღევანდელი ქართული სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა ცინიკური, უსულგული და ხალხის სიყვარულისაგან დაცლილი პოლიტიკაა! ხელისუფალთა ნდობის კოეფიციენტი ნულია! მორიგი ტყუილის თქმა ხელისუფლებას შეიძლება უკვე აღარც კი დაცადონ!.. კმარა! ამ ჭაობიდან სწრაფად თუ არ ამოვედით, ყველა ერთად ჩავიხრჩობით შიგ!“

გამართლდა თქვენი პროგნოზი, შევარდნაძის ხელისუფლებას ახალი ტყუილის თქმა აღარ აცალეს.

როგორ ფიქრობთ, შეიცვალა ახალი ხელისუფლების ხალხისადმი დამოკიდებულება ანუ ქვეყნის საშინაო პოლიტიკა, თუ ბევრი რამ ისევ ძველებურად არის?

– ძირეული ცვლილებების განსახორციელებლად ორი წელი ძალიან მცირე დროა, მაგრამ ტენდენციებზე ლაპარაკი უკვე შეიძლება.

ხელისუფლება ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელებას ესწრაფვის, საგარეო პოლიტიკა საგრძნობლად გამოცოცხლდა, გააქტიურდა, შემტევი და მოტივირებული გახდა. ისტორიული მნიშვნელობის საქმე დაიძრა – 2008 წელს რუსის ჯარი სამუდამოდ დატოვებს საქართველოს! თანმიმდევრულად და მიზანსწრაფულად შენდება ქართული ჯარი, შეიქმნა პატრული, კარგია გზების მშენებლობა, საქართველოს დიდი ქალაქების იერ-სახეზე ზრუნვაც, მაგრამ ჩემი ნება რომ ყოფილიყო, მე ადამიანებზე ზრუნვით დავინყებდი.

თქვენს კითხვაზე ჩემი პასუხი გულწრფელი მაშინ იქნება, თუ არც პრობლემებზე ლაპარაკს მოვერიდები. უმძიმეს დღეშია ქართული სოფელი, არც პერიფერიაში მცხოვრები ქალაქების მოსახლეობას ულხინს. საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებობს. მა-

სამწუხაროდ, პირუთენელი, პროფესიული კრიტიკა საქართველოში თითქმის არასოდეს არსებულა, დღეს კი საერთოდ აღარ არსებობს და მიმდინარე ლიტერატურული პროცესიც ცალკეულ, მეტ-ნაკლებად კომპეტენტურ ლიტერატორთა ფრაგმენტული გამომხატურებებით შემოიფარგლება. ლიტერატურული ცხოვრებაც ქაოტურია, სკანდალური და ეპატაჟური ექსცესებით მდიდარი!

მოგეხსენებათ, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა უასაკოა, დროს არ ემორჩილება და სჯაზნის კიდევ მას. უახლესი ლიტერატურაც უნდა დაძველდეს, დროით უნდა გამოიცადოს, მხოლოდ ამ გამოცდის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი რა შეიქმნა ღირებული ამჟამად.

ზოგადი სურათი კი არც ისე მანუგეშებელია! კვლავაც ბევრია მეორეული ანუ უცხოელ მწერალთა მიზანმიმართული შექმნილი ნიგნი (ალბათ, გახსოვთ, ლათინოამერიკულმა რომანმა ჩვენს ნიადაგში ძალიან კარგად იხარა და წარმატებით იბარტყა კიდევც!) დღეს უფრო თანამედროვე ევროპელ მწერლებს ბაძავენ. ახლა უფრო ადვილია მკითხველის გაცუცურაკება და ანგაჟირება, რადგან ახალგაზრდობა ძირითადად თანატოლების ნაწერებს კითხულობს და ასე ჰგონია, რომ ქართული მწერლობა № პროზაიკოსითა და № პოეტით იწყება! ღირებული ნიგნი ცოტაა, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, თითოთროლა მაინც არის. შეგნებულად არ დავასახელებ ამ ნიგნების ავტორებს, რომ დანარჩენებს გული არ დაგწყვიტო. მხოლოდ ერთს დავსძენ: მწერალს სათქმელი უნდა ჰქონდეს, ისეთი სათქმელი, რომელიც მხოლოდ მას არ ადევლებს! თუ ღირებული სათქმელი არსებობს, ის ფორმასაც შესაფერისს მოძებნის და აუცილებლად ექნება გამოძახილიც, რადგან ხელოვნების გზა ჩვენს გულზე გადის, ჩვენს შეგრძნებებსა და გრძნობებს ეხება და მკითხველს თანამოაზრედ, თანამგრძნობლად და თანამონანილედ აქცევს.

– როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა შემოქმედი, ხელოვანი ზნეობრივი ადამიანი და ხომ არ მოხდა ცნებების „ზნეობისა“ და „ზნეობრივის“ გაუფასურება?

– თქვენი ნებართვით ბოლოდან დავიწყებ!

„ზნეობისა“ და „ზნეობრივის“ სინონიმები „სვინდისი“ და „სვინდისიერება“ გახლავთ. ამ ცნებათა მნიშვნელობა მარადიულია. ამ მნიშვნელობათა გაუქმება ან გაუფასურება არც დღემდე მომხდარა და არც ოდესმე მოხდება.

თქვენ გინდათ თქვათ, რომ ზნეკეთილი ადამიანის ფასი დაეცა, ანუ სვინდისიერებას ძალიან უჭირს ჩვენში! სამწუხაროდ სვინდისიერებას ყველგან და ყველა დროში უჭირდა, რადგან ზნეობრივად ცხოვრება ადვილი არ არის. წარსულში ასეთ ადამიანებს ეკლესია წმინდანებად შერაცხავდა და ხოლმე. წმინდანებად შერაცხულნი არიან არა მხოლოდ წამებულნი და საეკლესიო მოღვაწენი, არამედ საერო პირნიც, ჩვენს დროშიც მოხდა ეროვნულ მოღვაწეთა ცხოვრების წესის სამაგალითოდ დასახვა და წარმოჩინება (ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი). როგორც ხედავთ ზნეობრივი, სინდისიერი ცხოვრება პიროვნების არჩევანია, ყოველდღიური, ყოველწამიერი და ამაოებას განრიდებული სულის განუხრელი არჩევანი! შემოქმედის, ხელოვანის თავად ირჩევს ცხოვრების წესს, ცხოვრების მიზანსაც და ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელ საშუალებებსაც. ზნეობრივი ღირსება ანუ სვინდისიერება ადამიანის (შემოქმედის!) შინაგანი თავისუფლების, სულიერების, მსოფლგანცდისა და რწმენის ჰარმონიული ურთიერთგანწონვით მიიღწევა. ეს ყველაფერი თავის შეცნობის, ფიქრისა და ტანჯვის, დაიხ, ტანჯვის ფასად მოგვეცემა.

ყოველივე რაც ჩამოგივალთ იმ მიზნებს ემსახურება, რომელთა განხორციელებასაც ადამიანი (შემოქმედიც!) ესწრაფვის და თავისსავე ცხოვრებას უმორჩილებს.

მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც დასახული მიზნების მისაღწევად არაფერს ერიდებიან, ყოველგვარ, თუნდაც საძრახის, საშუალებებსაც იყენებენ და მათი შინაგანი ხმა, ანუ სვინდისი დუმს.

მაგრამ არსებობს ადამიანთა სხვა კატეგორიაც, რომელთათვის საშუალებანი, რომლითაც მიზნის მიღწევა შეიძლება, აუცილებლად ზნეობრივი, სვინდისიერი და მათი ღირსების შესატყვისი უნდა იყოს! ასეთია მათი შინაგანი კონსტიტუცია და მათ სხვაწიარად ცხოვრება არ ძალუძთ!

საშუალებანი, რომლითაც ჩვენ მიზანს ვაღწევთ, ყოველთვის ცხადად მეტყველებენ ჩვენსავე ვინაობაზე. მოდური სიტყვა რომ ვიხმაროთ, ჩვენი ნამდვილი (და არა პიარ-კამპანიით შექმნილი!) იმიჯი სწორედ იმ საშუალებებით იქმნება, რომლებსაც ჩვენ მიზნის მისაღწევად ვიყენებთ და მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ცხოვრების წესით განისაზღვრება. სწორედ ამიტომ ზნეკეთილი, სვინდისიერი ადამიანისათვის მიზანზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი დიახაც ის საშუალებებია, რომლებსაც იგი მიზნის მისაღწევად მიმართავს.

საზოგადოებამ ყოველთვის ზედმიწევნით, დეტალურადაც კი იცის ვინ როგორ და რა საშუალებებით აღწევს მიზანს და ამ ცოდნის საფუძველზე ქმნის კიდევ კონკრეტული ადამიანის, მოღვაწისა თუ შემოქმედის პორტრეტს.

ზნეობრივი, სვინდისიერი ცხოვრების წესსა და შეუღალავ ღირსებას მაგიური ძალა აქვს. ასეთი ადამიანები (შემოქმედნი!) საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობენ. მაგრამ არც საზოგადოება გახლავთ ერთგვაროვანი (ზნეობრივი ცხოვრების წესის მიმდევართა რიცხვი ყოველთვის მცირეა!) საზოგადოება „დიდნილად „ადამიანი-მასისგან“ (ხოხე ორტეგა ი გასეტის ტერმინია!) შედგება.

„ადამიანი-მასა“ – შეიძლება ინტელექტუალიც იყოს, ლექსის მწერალიც და წარმატებული პოლიტიკოსიც. ერთი სიტყვით, საზოგადოება ჭრელია და იგი მხოლოდ იმიტომ კი არ აღიარებს ზნეობრივი ცხოვრების წესით გამორჩეულებს, რომ ისინი მისაბაძნი და სამაგალითონი არიან, არამედ იმიტომაც, რომ აღიარება მას ხელს აძლევს! („ადამიანი-მასა“ ფარისეველია, ყოველთვის ზნეწაყვლილი, პრაგმატული და მედროვეა, მიზნის მისაღწევად ყველაფერს იკადრებს). საკუთარი ნაკლები ბუნებისა და მწირი სულიერი შეძლების დასაფარავად „ადამიანი-მასა“ დაუფიქრებლად აღიარებს სხვათა ღირსებას და ამ აღიარებით საკუთარ თავთანაც და სხვათა წინაშეც იმაზე ბევრად უკეთესი წარმოჩინდება, ვიდრე არის!

ზნეობრივი ცხოვრების წესს, როგორც უკვე ვთქვი, პიროვნება ირჩევს და ამ არჩევანზე პასუხს აგებს საკუთარი შინაგანი ხმის – სვინდისის ანუ ღვთის წინაშე – მას მეტი მსაჯული არა ჰყავს!

ჭეშმარიტი შემოქმედი ხელდასხმულია! დიდი ნიჭი ღვთიურია და დიდი სიკეთეც არის. არ შეიძლება ქმედითი სიკეთე სვინდისიერებასთან მწყრალად იყოს! შემოქმედებაც ხომ აღმასვლაა, ეს აღმართი კი ნუთისოფლიდან სიყვარულით, მიტევებით, თანალმობით, თანადგომითა და თანაზიარებით გასვლისა და ღვთიურთან მიახლოების მძიმე გზაა!

სწორედ ამიტომ არის დიდი შემოქმედება, დიდი ხელოვნება არა მხოლოდ მომავლის, არამედ მარადიულის კუთვნილებაც.

ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვა თავდადებულთა მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ზნეობრივი ცხოვრება უძნელესიც არის და ტრაგიკულიც.

– საქართველოში ფეხს იკიდებს დასავლური, უფრო კი ამერიკული კულტურა. ემუქრება თუ არა საფრთხე ეროვნულ კულტურას?

– საქართველო არასოდეს ყოფილა იზოლირებული და-ნარჩენ მსოფლიოში მიმდინარე კულტურული პროცესებისაგან, ჩვენი ეროვნული კულტურა ევროპული და ქრისტიანული კულტურის განუყოფელი ნაწილია, თუმცა როგორც ყველა თავისთავადი კულტურა, ისიც უამრავ მინარევს, პლასტსა და შრეს მოიცავს, რომელთა გამოყოფა და შესწავლა მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში და სხვა მეზობელ კულტურებთან შეხების გათვალისწინებით უნდა მოიაზრებოდეს და მოიაზრება კიდევც.

დასავლურ-ევროპული და, გნებავთ, ბევრად ახალგაზრდა ამერიკული კულტურაც, და საერთოდ, რომელიც გნებავთ კულტურა, არ შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ქართულ ან რომელიმე სხვა კულტურას. კულტურათა შეხება მხოლოდ ამდიდრებს ამ კულტურებს!

საფრთხეს ევროპასაც, ამერიკასაც და საქართველოსაც ფსევდოკულტურა და ე.წ. მასკულტურა უქმნის, იგი ფასეულობათა, ღირებულებათა ნიხრს ცვლის, რყვნის გემოვნებასა და ადამიანს საკუთარი ინსტინქტებისა და უსულო სხეულის ამარა ტოვებს.

ქართულ კულტურას ქართველთა გარდა სხვა ვერვინ და ვერაფერი დაემუქრება იმდენად თვითმყოფადი და თავისთავადია ის, რაც წინაპარმა გვიანდერმა, ხოლო რაც შეეხება დღევანდელობასა და სამომავლო პერსპექტივას, ჩვენი ნიჭისა და უნარის საქმეა, რას შევქმნით დღეს, ხვალ, როგორ მოვიხმართ უმდიდრეს მემკვიდრეობას და რა კრიტიკურიუმებით ვიხელმძღვანელებთ სამომავლოდ – მიმბაძველებად გადავიცევით თუ წინაპართა გამოცდილების კვალდაკვალ ვიშრომებთ და ვისწავლით – ყველაფერი ჩვენს ხელთ არის! იაპონელებმა და ჩინელების მაგალითსაც თუ გავითვალისწინებთ, თუ გავფრთხილებით ჩვენს ენას, ტრადიციას, კულტურასა და შევქმნით ახალი, თავისუფალი ქვეყნის ხელოვნების ისეთ ნიმუშებს, რომლებიც ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის უტყუარი ნიშანით იქნებიან ალბეტდლინი და გამორჩეულნი, არაფერი გაგვიჭირდება! ქართული კულტურის – კინოს, თეატრის, სახვითი ხელოვნების, ხალხური და პროფესიული მუსიკისა თუ ქორეოგრაფიის, – ამ ყველაფერის მყარი საძირკველი არსებობს, ზედ ახალი, თავისუფალი ქვეყნის კულტურას როგორ დავამყენებთ, იმის მიხედვით განგვსჯიან შთამომავალნი.

– ორიოდ სიტყვით გვითხარით ქართული ლიტერატურის მუზეუმის სამომავლო გეგმების შესახებ.

– ორიოდ სიტყვით სამომავლო გეგმებზე საუბარი გამიჭირდება, მაგრამ შევეცდები ის მაინც გითხრათ, რაც ახალ – 2006 წელს უნდა გაკეთდეს.

2005 წელს დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის (სულ 26 წიგნი უნდა გამოიცეს!) 8 წიგნი. პირველ მაისამდე კიდევ ხუთი წიგნიც გამოვა.

მაღე წიგნის ბაზარზე გამოჩნდება ბ-ნი თამაზ ჩხენკელის თარგმანთა კრებული „ინდური ლოტოსი“ და „ძველი ჩინური, იაპონური და კორეული პოეზია“. სტამბაში გასაგზავნად მზად გვაქვს გიორგი ლეონიძისეული „ლიტერატურის მატთანის“ ორი წიგნის რეპროდუქციული გამოცემა და გრ. რობაქიძის სამტომეული, მზადდება ლადო ასათიანის, მირზა გელოვანისა და ოტია პაჭკორიას მემკვიდრეობათა საარქივო გამოცემები; მე-20 საუკუნის ოცნანი წლების ლი-

ტერატურული ჟურნალების ორ წიგნად დასტამბვაც განვიზრახეთ.

ამას გარდა, თუ დროულად მოვაგვარეთ გათბობის პრობლემა, მრავალ შეხვედრასა და ლიტერატურულ საღამოს გავმართავთ, გპირდებით, რომ ეს შეხვედრები და საღამოები ძველებურად საინტერესო იქნება.

რამდენიმე საგულისხმო გამოფენაც მოეწყობა 2006 წელს. მაგალითად – ძალიან საინტერესო იქნება მწერალთა მემორიალური ნივთების დიდი გამოფენა. გამოჩენილი მხატვრის ლევან ცუცქერიძის მრავალი ნამუშევარი ინახება ჩვენს იკონოგრაფიულ ფონდში. გვიანდა მხატვრის იუბილე ამ ნამუშევართა გამოფენით აღვნიშნოთ. ჩვენს „ლიტერატურულ თეატრთან“ შეხვედრებზეც გეპატიჟებით.

აი ის მცირედი, რაც უცებ გამახსენდა, თორემ 2006 წლის გეგმა გაცილებით ვრცელიც არის და მრავლის მომცველიც.

– ხშირად გაგვიგონია იზა ორჯონიკიძის პოეზია მამაკაცური შემართებითა და გონებით არის გამორჩეული. თქვენ თუ მოგისმენიათ ამგვარი შეფასება და ხომ არ გწყენიათ?

– არ ვიცი ვისგან გაგიგონიათ, მაგრამ ეგ აზრი ქალებს არ უნდა ეკუთვნოდეთ, რად უნდა მწყენოდა?! გამცინებია კი. მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი მხოლოდ ქალია, სწორედ ამიტომაც ჩამაცვეს ჩოხა-ახალუხი და ნელზე ქამარ-ხანჯალიც შემომარტყეს. შემაქეს, მაგრამ ის კი არ უფიქრიათ, რომ რაც მე შევიძელ იმას ვერც ერთი მამაკაცი ვერ შეიძლებდა – ქალის სათქმელს კაცი ვერ იტყვის! ამ სათქმელსაც მხოლოდ ქალი თუ გამოთქვამს ისე, როგორც ითქვა! ჩანს მართლაც დავაფიქრე კაცები! ეს კი დიდი რამ არის ჩვენს სინამდვილეში!

– რას უსურვებდით ახალ საქართველოს, ჩვენს სამშობლოს, ჩვენს კულტურას ჩვენს ახალგაზრდობას?

– მხოლოდ მოყვასის სიყვარულით, გულისხმიერებითა და პატიოსანი შრომით მოპოვებულ გამარჯვებებს ვუსურვებდი ყველას! გამუდმებულად საკუთარი საქმიანობით დაუკმაყოფილებლობის გრძნობის ქონასაც, – რადგან სრული კმაყოფილება დიდი უხამსობა და ზედაპირული, სულიერებისაგან დაცლილი არსებობის საწინდარია! ჩვენს კულტურას ქველმოქმედთა მომრავლებასა და სიყვარულთან მიზრუნებას, ხოლო კულტურის მსახურთ შიშისა და სხვა დამამცირებელი ფობების დაძლევას ვსურვებდი! ახალგაზრდობას კი ვურჩევდი ერთმანეთისაგან განესხვავებინოთ კულტურა და ცივილიზაცია!

კულტურა მუდამ უხამსობას უპირისპირდება, რადგან კულტურა ცხოველმყოფელი შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა!

„ცივილიზაციას კი ერთი მეტად საბედისწერო თვისება აქვს – იგი უხამსობისა და უხამსთა მშობელია, სულმდაბალი კმაყოფილების მშობელიც არის, რომელიც სპობს ორიგინალურობას, ინდივიდუალობას და აშრობს სიცოცხლის წყაროს. ცივილიზაციის სული მემწანური სულია, ის ღვივდება და ფეხს იკიდებს წარმავალსა და ხრწნად საგნებში, მას მარადისობაც არ უყვარს... უხამსობა... კაცობრიობის აღსასრულის მომასწავებელი ერთ-ერთი ნიშანია.

ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი იმპერატორი ის არის, რომ არ დაეუშვათ მოძრაობა ამ დასასრულისაკენ და უხამსობა ძირშივე აღვეკვეთოთ!“ დაე იყოს... გაჭირვება, ოღონდ ნუ იქნება უხამსობა“ (ნიკოლოზ ბერდიაცივი).

და ბოლოს სიყვარულს ვუსურვებ ჩვენს ახალგაზრდობას, რადგან სიყვარული ახალი ცხოვრების შემოქმედი და თავად არის შემოქმედება!

დენის ბრაიენი

ინვის მზაც

*

**ფრაგმენტი ნიგნიდან
„უტყუარი ცნობები:
იარსებთ ჰემინგუეის ინტიმური პორტრეტი“**

დენის ბრაიენი (ბიოგრაფი და რომანისტი. მუშაობდა ჟურნალისტად ინგლისსა და შეერთებულ შტატებში): საზოგადოება ხელში რომ აიყვანა, ჰემინგუეიმ გადაწყვიტა, ცოტათი შეენჯღრია იგი. ადგა და ჩიკაგოში დაბადებული რომანი უტყუარად მიატოვა, თანახმად თავისი მრწამსისა: უნდა წერო ის, რაც კარგად იციო. მიუხედავად მდუმარე საუბრებისა, მას სწყუროდა საუბარი გერტრუდა სტაინთან თავისი ახალი რომანის ბედზე. ეს ნაწარმოები ამიშვლებდა მისი მეგობრების ინტიმურ ცხოვრებას და

აღწერდა მათ მოგზაურობას ესპანეთში – კორიდის საყურებლად. შეთხზული პერსონაჟები ისე გამჭვირვალედ შენიღბა, რომ თამამად შეეძლო მათი ნამდვილი სახელებით გამოყვანა რომანის ფურცლებზე. გერტრუდა სტაინმა ამოიცნო ყველა პროტოტიპი, არც ჰედლის გასჭირვებია. ჰემინგუეიმ დაარქვა რომანს „აღმოხდების მზე“.

ჰედლი მოურერი (ერნესტ ჰემინგუეის პირველი ცოლი. დედა მისი ვაჟისა, ბემბის რომ ეძახდნენ): ამ რომანის შექმნის უშუალო მომწე ვიყავი და ყველაფერი შემიძლია გავიხსენო. რამდენადაც მასხოვს, დიალოგები და სიტუაციები ზუსტად შეესაბამება სინამდვილეს. ჩემთვის ეს ზაფხული ძალზე უსიამო იყო. არ ვიცი, რატომ იყო ასე, რადგან ერნესტისა და ჩემი გაყრა ჯერ არც კი დაწყებულიყო. იმხანად ყველანი განუწყვეტლივ ლოთობდნენ და ყველანი განუწყვეტლივ არშიყობდნენ. ეს არ მეჭაბნიკებოდა. ჰაროლდ ლებს დიდებულ რომანი ჰქონდა დაფტვისდენთან, საოცრად მომხიბლავ ინგლისელ ქალთან, ბერის მნახველი რომ იყო და სექსუალურ ვნებათა ჩახშობა არა სჩვეოდა. ჰაროლდი და დაფი ერთად ჩავიდნენ ესპანეთში, ქალაქ პამპლონაში კორიდის სანახავად. ფიქრობდნენ, რომ ერნესტს რომანი ჰქონდა დაფთან. არა, იგი

თავდაპირველად დაარქვა „ფიესტა“ (ესპანურ ენაზე ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს ჰქვია), მაგრამ მერე დაინუნა, არ სურდა უცხო სიტყვა გამოჰიმულიყო რომანის სათაურად. ბოლოს და ბოლოს რომანის ეპიგრაფად ნამძღვრებულ ციტატაში (ეკლესიასტეს ტექსტიდან) ამოარჩია „აღმოხდების მზე“, მაგრამ ხშირად „ფიესტაც“ ტრიალებს მიმოქცევაში.

რომანი გამოქვეყნდა 1926 წლის ოქტომბერში და დიდი წარმატება მოიპოვა. პირველ თვეში გაიყიდა შვიდი ათასი ეგზემპლარი. კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა ჰემინგუეის პირველ რომანს, თუმცა ზოგიერთს არ მოსწონდა ამ რომანის გმირები.

რომანმა უჩვეულო მითქმა-მოთქმა გამოიწვია პარიზში. „ფიესტას“ გმირებში სცნობდნენ მთელი პარიზისათვის კარგად ნაცნობ ადამიანებს, რომლებიც რომანის პერსონაჟთა პროტოტიპები იყვნენ.

განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ჰაროლდ ლები (რომანში – რობერტ კონი).

დაფ ტვისდენი (რომანში – ბრეტ ეშლი) თავდაპირველად ასევე გაჯავრდა, მაგრამ მალე გადაუარა ბოლმამ და ერნესტს რომ შეხვდა, უთხრა, არაფერიც არ მიგრძენიაო და დასძინა, ამ წყეულ მატადორთან მართლაც არ ვწოლილვარო.

პარიზში გაჩნდა ხუმრობა პროტოტიპთა განრისხების თაობაზე. იტალიელი დრამატურგის ლუიჯი პირანდელოს იმხანად პოპულარული პიესის სათაური „ექვსი გმირი დაექებს ავტორს“ ასე გადააკეთეს: „ექვსი გმირი, ექვსივე თოფით ხელში, მოსაკლავად დაექებს ავტორს“.

მაგრამ ხუმრობა, ცხადია, ხუმრობად დარჩა. ჰემინგუეი სწერდა სკოტ ფიცჯერალდს: „არც ერთ ტყვიას არ გაუზუზუნია“.

როგორც აღნიშნავენ, ერნესტ ჰემინგუეისა და დაფ ტვისდენს შორის წარმოიქმნა თავისებური ურთიერთობა – ეს იყო მეგობრობა, რომლის მიღმა იყო რაღაც მეტი, რასაც თავად ისინი ერიდებოდნენ. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ერნესტის პირველ ცოლს ჰკითხეს ამის შესახებ, ჰედლიმ თქვა: „დაფი! ის მშვენიერი იყო. თამამი და მშვენიერი. ნამდვილი ლედი იყო და მრავალ მამაკაცს ხიბლავდა. ყოველმხრივ კარგი იყო... ჰქონდა თუ არა რომანი ერნესტთან? შესაძლოა, ჰქონდა. მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი. ეს ის თემა არ გახ-

ლავთ, რაზედაც ქმრები ლაპარაკობენ თავიანთ ცოლებთან, არა? ვფიქრობ, ყოფილა სხვადასხვა შემთხვევები, მაგრამ საერთოდ – ქალები გიჟდებოდნენ ერნესტზე. ვგონებ, დაფსაც ძლიერ იზიდავდა ერნესტი... მამ ჰქონდათ თუ არა რომანი? არა მგონია. მაგრამ რა შეიძლება იცოდეს საბრალო ცოლმა?“

თავად დაფ ტვისდენმა საკმაოდ ბუნდოვანი პასუხი გასცა ამ შეკითხვას. როდესაც ჰემინგუეი გააიგივეს რომანის გმირთან – ომში დასახიჩრებულ ჯეიკ ბარნსთან და ქილიკობდნენ მისი მამაკაცური არასრულფასოვნების თაობაზე, დაფი ღიმილით ამბობდა: „ჰემინგუეის უძღურება – ესაა მისი ცოლი და შვილი“.

ამერიკელი კრიტიკოსის მალკოლმ კაულის სიტყვით, იმ ზამთარს ნიუ-იორკში ჰემინგუეის პირველი რომანი საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცა. სადაც კი თავს მოიყრიდნენ ახალგაზრდა ინტელექტუალები, ყველანი ლაპარაკობდნენ იმგვარად, შემდგომში ჰემინგუეის მანერა რომ უნოდეს – ხისტად, მშრალად და განდობილად. დროდადრო რომელიმე მათგანი ზეზე წამოდგებოდა, პიჯაკს გაიხდიდა და ხართან შერკინებულ მატადორის ილეუმის დემონსტრაციას ახდენდა.

კაული წერს: „ახალგაზრდები ცდილობდნენ დათრობას ისევე უდრტვიწველად, როგორც ჰემინგუეის გმირები, ხოლო კარგი ოჯახიშვილი გოგოები ქადაგებდნენ რომანის გმირიქალის ნიშფომანისას“.

მაგრამ მინაურ მღვდელს, თურმე, ამერიკაშიც არა ჰქონია შენდობა.

ერთი ლიტერატორის ენამოსწრებული გამოთქმით, ჰემინგუეის მშობლები ისეთ შოკში ჩავარდნენ, ბორდელში მოხვედრილ მონაზვნებს რომ დაემართებოდათ. დედამ წერილ გაუგზავნა ერნესტს: მოხარული ვარ, რომ წიგნი ასე კარგად სალდება, მაგრამ ჩემთვის საეჭოე პატივია შექმნა „წლის ყველაზე ბინძური წიგნისა“. ნუთუ ჩემს შვილს არ აინტერესებს ისეთი ნიშან-თვისებანი, როგორიცაა ერთგულება, კეთილშობილება, ლირსება? გარდა „კახპისა“ და „წყეულისა“ შენ სხვა სიტყვებზეც ხომ უნდა იცოდეო!

ჰემინგუეიმ ძალიანაც კარგად იცოდა „სხვა სიტყვები“, მაგრამ ცხოვრებას ასახავდა – შეუღლამაზებლად, დაუსახიჩრებლად, დეზინფექციისა და კასტრაციის გარეშე.

მთარგმნელი

მხოლოდ აღმერთებდა დაფს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რომანი არაა ჰქონიათ.

ჰაროლდ ლები (რომანისტი. მისი მეგობრობა ერნესტთან დამთავრდა, როდესაც ჰემინგუემ იგი გამოიყვანა „ფიესტაში“ რობერტ კონის სახით): შესაძლოა, მას უყვარდა დაფი; არ ვიცი, არა მგონია, რომანი ჰქონოდათ.

დენის ბრაიენი: კიტი კანელი იმდენად აღშფოთდა ჰემინგუეის მიერ დახატული მისი პორტრეტით, რომ სამი დღე ლოგინად იყო ჩავარდნილი. და, მისი აზრით, ერნესტმა ჯვარს აცვა ჰაროლდ ლები.

ჰედლი მოურერი: ჰაროლდ ლები ველარასოდეს განიკურნა გულისტიკვილისგან, ამ ნიგნმა რომ მიაყენა. მთელი ერთი საათი ვუმტკიცებდი, ერნესტს კრებითი ხასიათების შექმნა საოცრად ემარჯვება-მეთქი. ვუსხნიდი, რომ თითქმის არც ერთი მისი პერსონაჟი არ გახლავთ პირწმინდად, ვთქვით, ლები ან პირწმინდად – თქვენ ანდა პირწმინდად – მე. ერნესტი ქმნის სახეთა ისეთ ნაზავს, რომელიც მიესადაგება მონათხრობს. მაგრამ ვერაფრით ვერ გადავარწმუნე ჰაროლდი.

დენის ბრაიენი: მეც მაგას ჩავჩიჩინებდი ლებს. ვეუბნებოდი: რომანში თითქმის ყველა პერსონაჟი განა კრებითი ხასიათი არაა-მეთქი?

ჰაროლდ ლები: ჩვენ ვნერთ იმას, რაც ძალზე კარგად ვიცი. რომანის პირველ მონახაზში გმირად გამოყვანას მიპირებდა. ვიდრე პამპლონაში ჩავიდოდით, ლამის შემეყვარდა. მერე რაღაც მოხდა, არ ვიცი, რატომ აიყარა გული ჩემზე – დაფი მოსწონდა თუ რა იყო? მან დახატა პამპლონაში ფიესტაზე ჩასულნი და შექმნა რომანი. მე ებრაელი ვარ და ყოველდღე ვეთამაშებოდი ჩოგბურთს. ასე რომ, ბუნებრივია, მკითხველი გამაიგივებდა რობერტ კონთან.

დენის ბრაიენი: თქვენ მართლა დანერეთ ნიგნი და გაემგზავრეთ ნიუ-იორკში და ნიგნმა გვარიანი წარმატება მოიპოვა – როგორც რობერტ კონზე არის ნათქვამი რომანში?

ჰაროლდ ლები: მე მგონი, ეს იყო ჩემი პირველი ნიგნი...

დენის ბრაიენი: ჰემინგუეი წერს „მზეში“, რომ კონი გაანებივრა პირველმა ნიგნმა. ეს თქვენ გეხებათ?

ჰაროლდ ლები: არა, ნამდვილად არა. ჩემს ნიგნს არაა ჰქონია დიდი წარმატება. ერნესტის რომანი გამოქვეყნებიდან კარგა ხნის შემდეგლა წავიკითხე თავიდან ბოლომდე და მაშინლა მომხვდა თვალში ის მონაკვეთები, სადაც გამოყვანილია რობერტ კონი. ლამის ვავიწყდი, რადგანაც ყველაფერი მოგონილი იყო. მაინცდამაინც არა მწყენია, თუმცა, გვონებ, დიდი საზიზღრობაა. წყენა მხოლოდ ერთი დღე გამყვა. გარწმუნებთ, კონი არაფრით არა მაგავს.



ერნესტ ჰემინგუეი

არასოდეს მიფიქრია, რომ ჰემინგუეი ქმნიდა პორტრეტს. ეს უნდა მეფიქრა. საწყენია, რომ ფონად გამოიყენა. ეს არაა აუცილებელი. ხომ შეეძლო მისი შეცვლა. პრინსტონი და ჩემი ოჯახი ფონად გამოიყენა. რობერტ კონი პრინსტონის მოკრივეთა გუნდის წევრად გამოიყვანა. პრინსტონში კი მოკრივეთა გუნდი საერთოდ არ არსებობდა. სინამდვილეში პრინსტონის მოჭიდავეთა გუნდის წევრი ვიყავი. აღნიშნავს ჩემს ქორწინებას და ჟურნალის გამოცემას, მაგრამ მერე ისეთი ბუნებით მამკობს, რომ ჩემს თავს ვერა ვცნობ.

დენის ბრაიენი: როდესაც ვნერდი რომანს, რომელიც ჩემი ძმის ცხოვრებას ეფუძნებოდა, იგი გამუდმებით მიმეორებდა: ამას არ ვიზამდი, ამას არ ვიტყოდიო. მაშინ ვუთხარი: „მისმინე, შენ მხოლოდ მასალა ხარ, მე ძალმიძს ჩემი წარმოსახვით შევასხა ხორცი მასალას“. რასაც კი დავწერდი, ყველაფერს კრიტიკული თვალით უყურებდა, თუკი ვერ იგრძნობდა – ამას გავაკეთებდი, ამას ვიტყოდიო.

ჰაროლდ ლები: ნაწილობრივ მეც ასე მგონია. ერნესტი წერს, თითქოსდა მამაჩემის ოჯახი ერთ-ერთი უმდიდრესი ებრაული ოჯახი იყო ნიუ-იორკში და დედაჩემის ოჯახი – ერთ-ერთი უძველესი. სინამდვილეში კი მამაჩემი უფულო კაცი იყო. იგი მაკლერად მუშაობდა გუგენჰეიმებთან. დედაჩემი იყო გუგენჰეიმი – აი, ეს არის სიმართლე. მაგრამ „უმდიდრესნი“ რომ უწოდო, ნაღდად გაზვიადება იქნება.

დენის ბრაიენი: როდესაც ლებმა ჰკითხა ჰემინგუეის, რატომ დახატე რობერტ კონი, როგორც ქალაჩუნა, გამუდმებით რომ ტირისო, ჰემინგუემ მოუჭრა, შენ სულაც არა ხარ ამ პერსონაჟის პროტოტიპი და დასძინა, თუკი

შენ რობერტ კონი ხარ, მაშინ მე ჯეიკ ბარნსი ვყოფილვარ; და შენ გგონია, ტყვიამ სირი წამგლიჯაო? – ჰკითხა, ცოტა არ იყოს, რიტორიკულად. მერე უთხრა: სხვათა შორის, ვაჟკაცის კვალობაზე, შენ საშინლად ბევრს ტირიო.

ჰედლი მოურერი: მე არ მომწონს, რაც ერნესტმა გაუკეთა ჰაროლდს. მართლაც ძალზე იოლი იყო მისი ბედნიერების დამსხვრევა. და არც ის მომწონს, შემდგომში რაც გაუკეთა შერვუდ ანდერსონს თავისი სატირით „გაზაფხულის ნიაღვრები“.

დენის ბრაიენი: რატომ გგონიათ, რომ ჰემინგუეიმ ლების უარყოფითი პორტრეტი დახატა?

ჰედლი მოურერი: ჰაროლდს, ასე ვთქვათ, ეხერხებოდა სისულელეების ჩადენა. სხვა ბიჭები, უხეშნი და გაუთლენი, ამით სარგებლობდნენ. ასე რომ, ერნესტის რომანში ძალზე საწყალობლად გამოიყურება.

ჰაროლდ ლები: წლების განმავლობაში ამას არ შევუნუხებია. და თუკი ჩავუკვირდებით, ეს რომანი დიდი ხვითო არ უნდა იყოს. რაც შეეხება მტრობას, მას შეიძლე-

ბა ჰქონდეს სამი მიზეზი. პირველი: ხარს თავზე შემოვაჯექი და აღტაცება მოგვკარე იმ მატადორს, რომელიც ერნესტს მოსწონდა. მეორე: მომკალით და არ მიყვარს ეს კორიდა. მესამე: მე შევბლალე მისი პურიტანიზმი, როდესაც დაფი გავიტაცე [სუიკენდი ერთად რომ გაეტარებინათ]. ეს ჩემი ვარაუდებია. დღემდე ვერ გამირკვევია, რომელი მათგანია სწორი.

დენის ბრაიენი: განა ჰემინგუეი იმ საზოგადოებაში არ გაიზარდა, სადაც ლამის მოდაში იყო ანტისემიტიზმი?

პაროლდ ლები: ყველა, ვინც კი ესწრებოდა პრესბიტერიანულ ანდა ანგლიკანურ საეპისკოპოსო ღვთისმსახურებას, ანტისემიტად არის აღზრდილი. ერნესტი კი იზრდებოდა ოუკ-პარკში, საკმაოდ პურიტანულ ოჯახში.

არჩიზალდ მაკ-ლიში (ჰემინგუეის ახლო მეგობარი. პულიცერის პრემიის სამგზის ლაურეატი – დრამატურგიასა და პოეზიაში): ერნესტის მიერ ლების მასხრად აგდება იმდენად ანტისემიტური როდია, რამდენადაც ანტილესბური. ვიცი, რომ ერნესტი ლაპარაკობდა ხოლმე „ყიურ ადვოკატებზე“, მაგრამ ეს იმხანად ნორმალური ფრაზა იყო. ასე ეძახდნენ მათ ამერიკის შუა დასავლეთში. აღნიშნულ სიტყვას ამჟამად სხვა მნიშვნელობა აქვს. ჰიტლერის დროიდან ამგვარ რამეებზე უფრო მგრძობიარენი გავხდით.

არნოლდ ჯინგრიჩი (ჟურნალ „ესკვაიერის“ გამომცემელი): ჰემინგუეის ანტისემიტიზმი საკმაოდ უწყინარი იყო. გულში ნატარებს არ ჰგავდა. იმ დროსა და იმ მიდამოებში დამამცირებელი მეტსახელებით ვიხსენიებდით ზანგებს, პოლონელებს, იტალიელებს, მექსიკელებს... „ყიური“ და „ურიკელა“ ჩვენთვის ჩვეულებრივად ჟღერდა, ცუდს არაფერს ნიშნავდა. ებრაელი იყო ერნესტის ადვოკატი მორის სპეისერი. ეს მეტსახელები უფრო სიტყვის მასალა გახლდათ.

დენის ბრაიენი: ჰემინგუეის დაარქმევდით ანტისემიტს?

პაროლდ ლები: ვეჭვობ. მას, როგორც წესი, ერთი-ორი ებრაელი მეგობარიც ჰყავდა ხოლმე. არასოდეს მსმენია, რომ ცუდი ეთქვას მათზე. კიტი კანელის სიტყვით, ფლეიშმანს „ყიურს“ ეძახდა. არ ვიცი, მე არა მსმენია.

დენის ბრაიენი: კარლოს ბეიკერი ჰემინგუეის ბიოგრაფიაში ამბობს, თითქოსდა თქვენ გნახეს თოფით ხელში ჰემინგუეის რომ ეძებდით. ერნესტმა პასუხად გარშემოყოფთ აუწყა, შუადღის ორი საათიდან ოთხამდე ლიპის რესტორნის წინ ერთი კვირა ვიჯდებით. ბეიკერი აღნიშნავს, რომ ჰემინგუეიმ თავის მძრახველთა ლაჩრობად მიიჩნია, რომ ტყვია არავის უსვრია.

პაროლდ ლები: ეს მთლად ბელეტრისტიკაა და მეტი არაფერი. იგივე შეიძლება ითქვას ჰოტჩინერის მონათხრობზე ნიგნში „მამილო ჰემინგუეი“, სადაც იმონებებს ერნესტს – თითქოსდა ვემუქრებოდი, მოგკლავ-მეთქი. ნიგნის გამოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ გადავეყარე. ლიბთან ვიჯექი, როცა ჰემი ბართან მივიდა და დასალევი

შეუკვება. გვერდით რომ ჩამიარა, ორივეს პირი დაგველმიჭა. ჩემკენ ზურგით იჯდა და თვალი მოვკარი, როგორ უწითლდებოდა კისერი. მერე გავიდა. ერთმანეთისთვის ხმა არ გავციცია.

ჯორჯ სელდესი („ჩიკაგო ტრიბიუნის“ და „ნიუ-იორკ პოსტის“ კორესპონდენტი ევროპაში, XX საუკუნის 20-იან წლებში): დაფ ტვისდენი იკვებნიდა, „აღმოსავლეთის მზეში“ გამოყვანილი ძუკუნა „ლუდი ბრეტი“ მე ვარო.

პაროლდ ლები: დაფი თავს იკატუენებდა, ვითომდა დიდად არ აწუხებდა, ჰემინგუეიმ რომანში რომ გამოაჭენა. მაგრამ სხვებისგან მსმენია, ძანაც აწუხებდაო. დაფი სრულიად სხვა ვინმე იყო. ჰემინგუეიმ კი კახხად გამოიყვანა. არაფერი ამის მსგავსი. იმან კი გამოიყვანა ქუჩის ქალად, ლოთად. როგორ უნდა დაეთანხმო?! დაფი, თავისებურად, დახვეწილი ქალი იყო.

დენის ბრაიენი: ქუჩის ქალი არ იყოო, როცა ბრძანებთ, იმას გულისხმობთ, რომ იგი არ დაწვებოდა კაცთან, თუკი არ მოსწონდა?

პაროლდ ლები: დიახ, ეგრე მგონია, მაგრამ ვერ დავასაბუთებ.

გაზეთი „ჩიკაგო ტრიბიუნი“, მადრიდი, 1924 წ. 8 ივნისი: ორ ამერიკელ

მწერალს, მაკდონალდ ოგდენ სტიუარტს და ერნესტ ჰემინგუეის, ხარმა ურქინა ხარების არენაზე პამპლონაში, სადაც ისინი ჩავიდნენ ფიესტაზე დასასწრებად. მისტერ სტიუარტს გატეხილი აქვს ორი ნეკნი და მისტერ ჰემინგუეი მაგრად არის დაჟეჟილი. ორივე ბენეზე გადაურჩა სიკვდილს. მისტერ სტიუარტი, მისტერ ჰემინგუეი, ჯონ დოს პასოსი და რობერტ მაკ-ელმონი, პარიზში დამკვიდრებულ ამერიკელი მწერლები, ჩავიდნენ ესპანეთში, ქალაქ პამპლონაში ტრადიციულ დღესასწაულზე. იქაური ჩვეულებბაა, რომ ჩახერგონ გვერდითა ქუჩები და სადგომიდან არენისკენ გაატარონ ხარები დღისით დანიშნული ბრძოლისათვის. ტორეადორები ზურგზე ახტებიან და კულში მისდევენ პირუტყვს. პამპლონაში ახალგაზრდების დალოცვის ფორმად მიღებულია გადმოგდება თვალახვეული ხარიდან. მისტერ სტიუარტი და მისტერ ჰემინგუეი პირველ დღეს წარმატებით მონაწილეობდნენ გართობაში, მაგრამ მეორე დღეს ხარმა გადმოაგდო მისტერ სტიუარტი. ეს მოხდა მამინ, როდესაც მან თქვა, შემოდია ხარს მოვახტე ზურგზე, თვალეებში შევაბოლო და მერე ნაჯექი-ოო. მთავარმა ტორეადორმა აღისფერი მოსასხამი მიართვა მისტერ სტიუარტს, მან ვერ იუარა. მაყურებელს მისალმების ნიშნად ხელს უქნევდა და ამ დროს ხარი დაეტაკა, ნაჯექია მისტერ სტიუარტი, რქებით მალლა აიტაცა, მერე ჰაერში აისროლა და ლამობდა რქენას. მისტერ ჰემინგუეი გაიჭრა მის გადასარჩენად და ხარმა მასაც ურქინა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა, რადგანაც ხარს რქები შესვეული ჰქონდა.

დენის ბრაიენი: თავის ანგარიშში, უფრო აკურატული რომ ჩანს გაზეთთან შედარებით – თავისი გვარი მაინც დაუნერია სწორად – დონალდ ოგდენ სტიუარტი კრინტსაც



დაფ ტვისდენი

არა ძრავს, ჰემინგუეი ჩემს გადარჩენას ლამობდაო. ჰემინგუეის საამებლად მან წინააღმდეგობა გაუწია დაჟინებულ მოთხოვნას – გაეკრიტიკებინა კორიდა, როგორც სისასტიკე. თუმცა ეჟინოდა, მაინც ხალისიანად შეუერთდა ბრბოს, რომელსაც ხარები მისდევდნენ პამპლონას ქუჩებში. ხარმა ორჯერ აისროლა იგი და ორი ნეკნი გაუტყდა. მაგრამ ეიფორიით შეპყრობილს ეს არაფრად ჩაუგდია, მით უმეტეს, რომ ერნესტმა მოწონებით მოუთათუნა ხელი ზურგზე.

სტიუარტი, რომელსაც „საშინლად“ უყვარდა ჰემინგუეი, თავის წიგნში ამბობს: კორიდა რომ მივატოვე და ჰოლივუდში გავემგზავრე, ჰემინგუეიმ ამითვალწუნა, რატომ მიღალატეო.

არნოლდ ჯინგრიჩი: ადამიანები მის გარშემო რომ ტრიალებდნენ, თაყვანსა სცემდნენ და აღმერთებდნენ, ისინი უქმნიდნენ სახელსა და დიდებას, თუკი ისინი არ იქნებოდნენ, გამოჩნდებოდნენ სხვები. ჩემი აზრით, ესაა საშინლად მორცხვი პიროვნება, საშინლად დაექვებული, რომელიც ხან უკანდახევას ფიქრობს, ხანაც შემობრუნდება და მძვინვარებს. ერთიც და მეორეც ამჟღავნებს საოცარ მიუსაფრობას.

მალკოლმ კაული (პოეტი, კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი, გამომცემელი. ჰემინგუეი გაიცნო პარიზში): ლებს საკმაოდ კარგად ვიცნობდი. ის დიდხანს იყო გაჯავრებული და გულნატკენი. ჰემინგუეიმ დაუნდობლად დახატა. ჰაროლდ ლები არა ყოფილა რობერტ კონივით უმსგავსო. ჯეიკი („აღმოხდების მზე“), რომელიც უნდა გავაიგივოთ ჰემინგუეისთან, იმაზე მეტად არის დაბოლილი, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო.

დენის ბრაიენი: დაფ ტვისდენის გამო?

მალკოლმ კაული: შესაძლოა ასეც იყო. ჰემინგუეიმ სასტიკად გაათათხა ყველა. ერთობ ბილნი ენა ჰქონდა.

ჰედლი მოურერი: ერნესტი სრულყოფილი პიროვნება არა ყოფილა. როგორც მოგესხენებათ, მის თაყვანისმცემლებს ეჭაშნიკებოდათ მისი გაიდება.

დენის ბრაიენი: დაფ ტვისდენს ეძახდა ლოთ ნიფომანს. ქალები უყვარდა?

ჰედლი მოურერი: მაინცდამაინც არ ესმოდა მათი; ქალების ცოდნით თავს ვერ მოიწონებდა ზოგიერთი მამაკაცისთვის. მაგრამ თუკი მეკითხებით, ჰემინგუეი ქალებს მოსწონდათ თუ არაო – ამას ნუ მკითხავთ (იცინის).

ჯორჯ სელდესი: ვიზიარებ ჰაროლდ ლებისა და ჰემინგუეის გრძნობებს, დაფ ტვისდენი რომ აჯადოებდათ. დაფი გავიცანი პარიზში, როცა ვმუშაობდი „ჩიკაგო ტრიბიუნში“ და ვცხოვრობდი ორდოლარიან ნომერში, ოტელ „ლიბერიაში“. ტელეფონიც კი არ მქონდა. კონსიერჟი კიოდა ხოლმე ჩემს დასაძახებლად. სწორედ მაშინ გავიცანი ორი ქალბატონი. ერთი გახლდათ გრაფის მეუღლე მოდიჩი, რომში მყოფი ჟურნალისტის ვინსენტ შინის მეგობარი. გამაცნო, ეს დაფ ტვისდენი არისო. დაფმა მითხრა: ჩვენთან და კაპიტან პატერსონთან ერთად ღამის კლუბში ხომ არ წამობრძანდებითო? მოდიჩის დიდი რომანი ჰქონდა კაცთან, ლამანშის გადაღახვას რომ აპირებდა კანჯოთი – ეს დიდებული ამბავია. დაფმა ძალზე მომხიბლა და ვფიქრობდი, პატრის დამდებს, თუკი თავის წვეულებაზე მიმიპატიჟებდნენ. როცა მოსალამოვდა, ძვირადღირებული შამპანურის მესამე ბოთლი დაილია და ორივე ქალი გაეშურა ქალების საპირფარეოში. ეს არ გამკვირვებია. მერე კაპიტანმა პატერსონმა თქვა, მამაკაცთა საპირფარეოში უნდა გავი-

დეო. ეულად დავრჩი. ეს ძველისძველი ოინია. მაგარი ჟურნალისტი მეგონა თავი, მაგრამ ამგვარ დავიდარაბაში მანამდე არასოდეს ჩავვარდნილვარ. გავიდა ნახევარი საათი და ოფიცინტმა მომართვა ანგარიში. დაახლოებით 50 დოლარი იქნებოდა ფასი შამპანურისა, ჩემს მისვლამდე რომ დაელიათ. არც ერთი მათგანი შემდგომში აღარ შემხვედრია. აი, ასე გამაცურა დაფ ტვისდენმა. ასე გავიცანი ლედი ბრეტი. დაფი ისეთი გოგო იყო, ზიგველდის რევიუს მოცეკვავესავით ყველას რომ აცდუნებს. ისინი გამოირჩევიან იმით, რომ მამაკაცებს ანდამატივით იზიდავენ.

დენის ბრაიენი: საბოლოოდ დაფ ტვისდენი ცოლად გაჰყვა მხატვარ კლინტონ კინგს და ორმოცდახუთი წლისა იყო, ტეხასში რომ გარდაიცვალა ჭლეკით. ჰემინგუეიმ უთხრა ჰოტჩინერს, დაფის კუბო მის საყვარლებს მიჰქონდათო. ერთ მათგანს ეკლესიის კიბეზე ფეხი დაუცდა, კუბო ხელიდან გაუვარდა და გადაიხსნა. სიმართლეს ჩამოგავს. დაფის ცხედარს კრემაცია გაუკეთდა.

ჰაროლდ ლები: ლიპის რესტორანში ჩვენი ხანმოკლე, მღუმარე შეხვედრის შემდეგ აღარასოდეს მინახავს ჰემინგუეი და მასთან არავითარი ურთიერთობა არა მქონია. კონტაქტები მქონდა ჰედლისთან.

დენის ბრაიენი: ჰემინგუეიმ „აღმოხდების მზე“ მიუძღვნა თავის ცოლსა და შვილს, მაგრამ ვიდრე დაიბეჭდებოდა 1926 წლის შემდგომზე, იგი გაეყარა ჰედლის მის მეგობარ პაულინა პეფიფერთან რომანის გამო. „მზემ“ სახელი გაუთქვა ჰემინგუეის.

ჯორჯ სელდესი: ჩემი ცოლი ამბობდა ხოლმე ჰემინგუეიზე: „ყველაფერი უნდა მიუტეოთ, ის ანგელოზივით ნერს“.

დენის ბრაიენი: ჰემინგუეის დედა სრულიად სხვაგვარად ფიქრობდა – „მზეს“ მიიჩნევდა წლის ერთ-ერთ უბინძურეს წიგნად. ჩემი აზრით, თავის ცხოვრებაზე პარიზში ჰემინგუეის მეტი უნდა დაენერა „განუყრელ დღესასწაულში“. რა იყო ეს – ფაქტი, დანახული მარმამს მიღმა ან მრუდე სარკეში, თუ უბრალოდ – ჰემინგუეის სიმართლე?

კარლოს ბეიკერი (ჰემინგუეის ბიოგრაფი. ავტორი ნიგნისა „ერნესტ ჰემინგუეი. ცხოვრების ისტორია“): ჰემინგუეის შესხედლებით, სიმართლე ლიტერატურული ცნებაა და სიმართლე მისთვის ის იყო, თუ როგორ ხედავდა მას გარკვეულ დროსა და გარკვეულ სივრცეში. სურდა მოეხელთებინა და სამუდამოდ შეენახა თავისი მესხიერების საკუჭნაოში. მაგრამ ჩემი აზრით, ის იქნება პირველი ან მეორე მაინც, ვინც ფიქრობდა, რომ მისი ნაგულისხმევი სრულიადაც არ იყო უნივერსალური ჭეშმარიტება არისტოტელური გაგებით.

დენის ბრაიენი: ჰემინგუეი დაუსაბუთებლად ტრაბახობდა, თავისი ხაფანგივით მესხიერება მაქვსო. მაგრამ ამტკიცებდა, რომ მოგონება წარსულისა არის გამონაგონი. მამ რატომღა შევამონმოთ იგი? ეგებ თავის მართლება სჭირდებოდა, „რადგანაც გრძნობდა, რბილად რომ ვთქვათ, უღირსად იყო დახატული ზოგიერთი თანამედროვის მიერ“. ანდა, როგორც ერთმა მისმა უდიდესმა ფანმა – დოროთი პარკერმა დაწერა: „შესაძლოა, არც ერთ სხვა ცოცხალ ადამიანზე ამდენი მონაწილბი არ დაწერილა და არ თქმულა“.

ინგლისურიდან თარგმნა
თამაზ ნატროპილია

ყოველი ადამიანის ცხოვრება ისტორიის ნაწილია. ეს მოკრძალებული ცხოვრება-ბიოგრაფიები ასახავენ ქვეყნის ხასიათს და პრობლემებს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, ამიტომ, თუ შესაძლებელი იქნება, ეს „ისტორიები“ არ უნდა დაიკარგოს. ესაა ყოველდღიური ჩანაწერები, „ცხელ გულზე“, ამიტომ „ცხოვრების ფურცლები“ ყველაზე ზუსტად გამოხატავენ მის არსს. მომავალ წიგნსაც, ალბათ, ასეთი სახელი ექნება. პრინციპი ქრონოლოგიას, ისე როგორც დღიურებშია, აქ ყველაფერია, რაც თავს გადამხდენია, სასიამოვნოც და უსიამოვნოც.

გამახარა „ჩვენი მწერლობის“ გაცოცხლებამ, მისმა წინამორბედმა გაზეთმა „ჩვენმა მწერლობამ“, თავის დროზე, უდიდესი კულტუროლოგიური როლი შეასრულა. დარწმუნებული ვარ, „განახლებულიც“ ისეთივე ინტელექტუალური და პროფესიული იქნება, როგორც მისი წინამორბედი.

დიდი კმაყოფილებით მივიღე რედაქტორის შემოთავაზება გამეგრძელებინა „ცხოვრების ფურცლების“ პუბლიკაცია, რომლის ნაწილი, 2001-2003 წლებში, 10 ნომერში გამოქვეყნდა.

ვახტანგ დავითაია

ცხოვრების ფურცლები

13. VII. 1987. გენიოსის და ჩვეულებრივი მოკვდავის ყოფა მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს. მათი სიკვდილის შემდგომი ცხოვრებაა დიდად განსხვავებული.

* * *

გარდაცვლილებზე ლეგენდები ჩქარა იქმნება, ჩქარა ვრცელდება, ჩქარა იფერებენ.

* * *

ახალგაზრდობა (ასაკი), ისევე როგორც ხანდაზმულობა, ქცევის გასამართლებლად ვერ გამოდგება.

14. VII. 1987. ახლა ქალაქები და საცხოვრებელი მასივები სწრაფად შენდება. ყველა მათგანს ახასიათებს ერთფეროვნება. ზოგი ამ ერთფეროვნებას „ახალი არქიტექტურის“ თვისებად მიიჩნევს. საქმე სულ სხვა რამეშია, წინათ ქალაქები და სოფლები საუკუნეობით შენდებოდა, მათ სხვადასხვა ოსტატი, სხვადასხვა არქიტექტორი აშენებდა, სწორედ ეს „ისტორიულობა“ განსაზღვრავს არქიტექტურულ-მხატვრულ მრავალფეროვნებას. დღეს ქალაქები 20-30 წელიწადში შენდება. ასეთი ტემპის პირობებში ისტორიზმი და მემკვიდრეობითობა გამორიცხულია, ხოლო ერთფეროვნება გარდუვალა.

ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რომელიც განაპირობებს საბჭოთა ქალაქების და საცხოვრებელი რაიონების ერთფეროვნებას, არის ერთიანი „სამშენებლო ნორმები და წესები“. ავიღოთ ძველი თბილისი, იქ მყუდროებაა, მასშტაბური, ადამიანური გარემოა, საინტერესო ხედები. კოლეგებთან ერთად ქ. ფოთში მცირესართულებიანი საცხოვრებელი განაშენიანების „პალიასტომის“ პროექტს რომ ვამუშავებდით, ვეცადეთ ჩავწვდომოდით ძველი თბილისის განწყობილებას და ატმოსფეროს საიდუმლოებას. მსგავსი ატმოსფეროს შექმნის უფლებას ჩვენი „სამშენებლო ნორმები და წესები“ არ იძლევიან. თბილისის ძველ უბნებში დღევანდელი სამშენებლო ნორმებით მკვეთრი გადახრაა სახლებს შორის მანძილში, განაშენიანების სიმჭიდროვეში, ინსოლიაციის რეჟიმში, ქუჩების სიგანეში, დარღვეულია ხანძარსა-წინააღმდეგო ნორმები, მაგრამ მაცხოვრებლები არ ჩივიან, პირიქით, ძალზე ბევრია მსურველი იცხოვროს ამ უბანში,

მზად არიან გაცვალონ კიდევ „იზოლირებული“ ლოჯიები კოლექტიურ აივანში.



18. VI. 1987. დილით შედგა პარტიული ჯგუფის კრება. ცკ-ის მშენებლობის განყოფილების გამგემ, მელნიკოვმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე წარმართა კრება, ყველას მისცა გამოსვლის საშუალება. 11.00 სთ-ზე განახლდა კამათი, გამოვიდა მხოლოდ ორი არქიტექტორი ანდრეი ბოკოვი და ანდრეი კოსინსკი. არჩევნების სხდომა მიჰყავდა ბელორუსიის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს, მისკის მთავარ არქიტექტორს ევგენი კოვალსკის. როგორც ჩანს, მას კრების „სასურველი“ მიმართულებით ნაყვანის დიდი გამოცდილება აქვს. განისაზღვრა თუ არა გამგეობის შემადგენლობა 200 კაცით, ის პირდაპირ გვარების კითხვაზე გადავიდა, როდესაც ჩამოთავრა, იკითხა, ხომ არ გავაგრძელოთ დასახელებამო (დემოკრატიასთან გათამაშება). ამაზე გამგეობაში დასახელებულმა 200 კაცმა იყვირა არა, არ გვინდაო. ასე რომ, ფელიქს ნოვიკოვმა, რომელიც გამგეობაში ასარჩევზე მეტის დასახელებას ითხოვდა, სიტყვის ამოღება ვერ მოასწრო. პოლიანსკი ნერვიულობს, რაღაცას უმტიკიცებს მელნიკოვს და კოშკინს (ცკ-ს ინსტრუქტორი). აცხადებენ არჩევნების შედეგებს. პოლიანსკიმ მიიღო 388 წინააღმდეგი, ეს 50%-ზე დიდად მეტია. ეს სენსაციაა, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე გამგეობაშიც კი ვერ ხვდება. იყო მეორე სენსაციაც. მე და ერთმა ესტონელმა არქიტექტორმა ხმების 100% მივიღეთ, ვილაცამ დარბაზში წამოიძახა „Святой Вахтанг“. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, საქართველოს მრავალრიცხოვანი დელეგაციიდანაც რომ არ აღმოჩნდა ერთი კაცი წინააღმდეგი. ვეუბნები გვერდზე მჯდომ პლატონოვს, დროა კაბინეტის ფორმირებას შეუდგე-მეთქი (დარწმუნებული ვარ თავმჯდომარედ ის გავა). ცოტა დაბნეული ჩანს. Какие будут предложения? იღებს ბლოკნოტს. По-моему, Гнедовский должен остаться Секретарем, коммуникабельный, интеллигентный. – Конечно, конечно, без сомнения, тсл рпмухт. Я бы всё в секретариат молодого Андрея Бокова тоже-მეთქი. შემოგვიერთდა ფელიქს ნოვიკოვი და ანდრეი კოსინსკი. დაიწყო აზრთა გაცვლა. საცაა დაიწყება არქიტექტორთა სახლის ანსამბლის „რეისშინა და კოხინორის“ კონცერტი. ეს ძალზე პოპულარული კოლექტივია, ყოველთვის აქვს სიუპრიზები. ერთ-ერთი ნომერი ასე გამოაცხადეს – Выступает группа монументалистов-хищников во главе с Зурабом Цере-

тели. ტაში კანტიკუნტად. უტაქტო ხუმრობა გამოვიდა. კონცერტის შემდეგ დაპატიჟებული ვარ საშა კუდრიავეცევთან სახლში. გუშინწინ აირჩიეს მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტის რექტორად და ამ თარიღს აღნიშნავს. იქ ძალიან ვინრო წრე დამხვდა, ლიტველები გედმინას ბარავიკასი და ალგერდას ნასვიტისი, ილია ლეჟავა, ესტონელი ირინა რაუდი, სლავა გლაზიჩევი, ლენინგრადელი საშა კრივოვი. ვახშამი საოცარი კეთილგანწყობილებითა და ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა. საშას ოჯახი ძალზე ტრადიციული, არისტოკრატიული ოჯახია.

19. VI. 1987. დილის 8 საათზე შედგა არქიტექტორთა კავშირის პირველი პლენუმი, თავმჯდომარის პოსტზე დაასახელეს ოთხი კანდიდატი: ვალოდია კუბასოვი, აბდულა ახმედოვი, ვალოდია კრასილინიკოვი და იური პლატონოვი. კიდევ ხომ არ დამატებთ ვინმესო, იკითხა მელნიკოვმა, არცვინ გრიგორიანო, წამოიძახეს დარბაზიდან. არცვინმა კი განაცხადა: „Я не помню Ереван на Москву“.

– ჭკვიანია. დაიფსა თავი, მაინც არ აირჩევენ და მოხსნა თავისი კანდიდატურა. შემდეგ წამოაყენეს საშა კუდრიავეცევის კანდიდატურა – ამაზე მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები წავიდნენ წინააღმდეგი – ილია ლეჟავამ განაცხადა, რომ კაცი გუშინწინ რექტორად ავირჩიეთ, უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობაა და არ იქნება სწორი მისი თავმჯდომარედ არჩევა. საშა კუდრიავეცემა განაცხადა: ილია გიორგივიჩი მართალიაო, ამ ორი თანამდებობის შეთავსება წარმოუდგენელიაო და მოხსნა თავისი კანდიდატურა. კენჭისყრის შედეგები ასეთია: ახმედოვი 36 მომხრე, 131 წინააღმდეგი, კრასილინიკოვი 4 მომხრე, 163 წინააღმდეგი, კუბასოვი 28 მომხრე, 139 წინააღმდეგი, პლატონოვი 106 მომხრე, 61 წინააღმდეგი. პლატონოვმა კეთილად მოიხსენია პოლიანსკის საქმიანობა, მაგრამ ის დარბაზში უკვე აღარ იყო.

18. VIII. 1987. დილით დარეკა წყალტუბოს ქალაქკომის პირველმა მდივანმა გივი აბზიანიძემ. ნაშუადღევს ჩამოდიან ელცინი მეუღლით და პატიაშვილიო, ელცინი მიუსერაში ისვენებს, იქიდან ფოთში ჩამოვა, ქუთაისს და წყალტუბოს მოინახულებენო, წყალტუბოს მღვიმეების კეთილმოწყობის, ასევე საჭადრაკო კლუბის და მემორიალ „ლოდინის“ პროექტების პლანშეტები და მაკეტები გვჭირდებაო. „რაფი“ უკვე წამოვიდა და ყველაფერს წამოიღებს, შაბათი დღეა, იქნებ ჩამოსვლაც შესძლოო. მანქანა დაეჭირეთთე პლანშეტებით, მაკეტებით და გავემგზავრეთ. კულტურის სასახლის ფოიეში მოეწყო გამოფენა, რაც კი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პროექტი შექმნილა წყალტუბოსათვის, ყველაფერი გამოფენილია. 7 საათისათვის სტუმრები მობრძანდნენ. ელცინი საკმაოდ დეტალურად ეცნობოდა პროექტებს. ქვილიშორის კარსტული მღვიმეების პროექტთან ბ-ნმა ჯ. პატიაშვილმა განუმარტა – ეს მღვიმე რამდენიმე წლის წინათ აღმოაჩინეს, ერთ-ერთი ულამაზესია მსოფლიოშიო. Неужели красивее чем Ново Афонская? იკითხა სტუმარმა. Залы не такие большие, как в Ново Афонской пещере, но в целом намного красивее, – უპასუხა ამ მღვიმის ერთ-ერთმა აღმომჩენმა ჯუმბერ ჯიმკარიანმა. ჩემი პროექტების – საჭადრაკო კლუბის და სკულპტურული კომპოზიცია „ლოდინის“ ნახვის შემდეგ სტუმრები წყალტუბოს მთავარმა არქიტექტორმა სულიკო გაგუამ „გადაიბარა“ და სხვა პროექტების გაცნობა გააგრძელეს.

– Где разрабатываются эти проекты? – იკითხა სტუმარმა.

– У меня в проектном бюро, – მიიწერა საქართველოს საპროექტოების მთელი ნამოღვაწარი სულიკომ. კითხვა:

– Сколько сотрудников в Вашем бюро? – Около двадцатипяти.

– У меня в Моспроекте-1 и Моспроекте-2 около пяти тысяч сотрудников и они не могут поднять такой объем, забрал бы я Вас в Москву – შესთავაზა მოსკოვში მოღვაწეობა ბორის ელცინმა სულიკოს. – Оттуда и переехал недавно, работал у Белопольского, – დაურტყა ცივი უარი სულიკომ, რამაც დიდი გამოცოცხლება გამოიწვია.

შემდგომ, სტუმრებმა პარკში გაისეირნეს. მათ დამსვენებლები შემოეხვივნენ. Как Вам здесь отдыхается? იკითხა ზრდილობისათვის ბ-ნმა ელცინმა. „Очень хорошо, прекрасно, замечательно“. გაისმა ადგილებიდან, მხოლოდ ერთმა ლამაზმანმა გამოთქვა „შენიშვნა“: спортивных площадок мало – ყველანი გაიტრუნენ.

– Милая дамочка, вы захватили спортивные трусы с собой? – ეკითხება ელცინი.

– Да, конечно, а как же?

– Бегайте на здоровье, какая прекрасная природа, для чего вам стадион, не скрывайте Ваши прелести, – ელცინის ამ რჩევას ხარხარი მოჰყვა.

16. VIII. 1987. წევა. მომაკითხა კაკულიმ. ავიდეთ „იარმურკაზე“, ფეხბურთი წავითამაშოთ, გავისენოთ ახალგაზრდობაო, ნახე რამდენი ბავშვი მომყვებაო. ორმა, მათ შორის ერთ-ერთმა ნახევარსაუკუნეს გადაცილებულმა, ხოლო მეორემ ნახევარ საუკუნეს მიღწეულმა „ფეხბურთელმა“ გავიყავით პატარები, 10-12 წლის ბიჭები, თითოს 8-8 გვერგო. წევაში, ძირითადად გაჩეჩილაძეები ცხოვრობენ. ამიტომ ყველა ოჯახს დამატებითი სახელი აქვს – ლობიოები, დოქები, მენურბლები, თომაშვილები, ოთიაშვილები, ლუთუნები – თამაშის დროს სწორედ ეს „სახელები“ ისმოდა. 20 წუთის შემდეგ მე და კაკული ფეხზე ძლივს ვიდექით, ამიტომ შესვენება გამოვაცხადეთ. ორივე „გუნდი“ ერთად მოვკალათდით ხის ქვეშ. პატარა ფეხბურთელები ხმას არ იღებენ. მე დავარღვიე სიჩუმე. გახსოვს კაკული, ახალგაზრდები რომ ვიყავით, როგორ ვთამაშობდით, ამ არემარეში ჩვენი მომგები არავინ იყო-მეთქი, ზოგიერთ გუნდთან ასეთი პირობით ვთამაშობდით, ჩვენთვის მხოლოდ თავით გატანილ ბურთებს მივითვლიდით. პატარებმა ყურები დაცქვიტეს. ახლა კაკულიმ განაგრძო, გახსოვს ქვედა წევას რომ ვეთამაშეთ ასეთი პირობით: ჩვენ მხოლოდ თავით ვთამაშობდით, ისინი კი ჩვეულებრივად, მაინც მოვუგეთ. ბავშვები ამაზე მთლად გადაირივნენ. შემდეგ კიდევ რამდენიმე „საგმირო ეპიზოდი“ მოვყვიეთ, ზედმეტი მოგვივიდა – ბავშვები ხვდებიან და ხარხარებენ, მაინც არ გვაკადრეს ეთქვათ, არც ახალგაზრდობაში იქნებოდით დიდი ბედოვლათებითო. შემდეგ, ყველაზე პატარამ: თქვენ არ იყავით ბასკებს რომ მოუგეთ აქ, წევის მოედანზეო. ეს იმდენად მოულოდნელი და ზუსტი რეაქცია იყო ჩვენს თავგასულ ზღაპრებზე, კინაღამ სიცილით გავიგუდეთ. შემდეგ პატარებმა მეორე ტაიმის თამაში შემოგვთავაზეს. დიდი ხალისი რომ ვერ შეგვატყვეს, გვითხრეს, კარებში მაინც ჩადექითო.

17. VIII. 1987. იმისთვის, რომ ადამიანს ტირანის ბრალდება წაუყენოთ, არაა საკმარისი ის ფაქტი, რომ ის ჩიტების გალიების ოსტატია.

სხვა ერის კულტურაზე, ისტორიაზე მსჯელობის უფლება მხოლოდ მაშინ გაქვს, თუკი ამ ერის კულტურას და ისტორიას ისევე კარგად იცნობ, როგორც საკუთარი ერისას.

ხელოვნებაში ავანტიურა დასაშვებია, არქიტექტურაში – არა.

29. VIII. 1987. წევა. არის პერიოდები, როდესაც ხელოვნების თუ მეცნიერების ესა თუ ის დარგი განსაზღვრავს ერის ზოგად „სახეს“, მის პრესტიჟს. თანამედროვე ქართულ კინოზე თუ თეატრზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. მწერლობას ქართულ სინამდვილეში სრულიად განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა და აქვს. ღმერთო შეგცოდე, ხანდახან კი ვფიქრობ, ნეტა არ ეთქვა ილიას: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“. „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. განა ყოველთვის ჰყავს კარგ მთქმელს კარგი გამგონი, ამიტომ მოიხელთებს თუ არა მავანი და მავანი მწერალთა კავშირის წიგნაკს, უკვე თავი ერის მამა ჰგონია.

30. VIII. 1987. წევა. ჩვენი ეზოდან ხელისგულზე ჩანს ახლო-მახლო სოფლები: ილეში, წიფლავეაკე, შოროპანი, ზესტაფონი, იმერეთის დიდი ნაწილი. გუშინ საღამოს იწვიდა, დღეს ჰაერი ისე გამჭვირვალეა, რომ „სამყაროს“ თვალსაწიერი უკიდევანოდ გაიზარდა, ზღვაც კი ჩანს. როგორ გამოიკვეთა წვეის წმ. გიორგის ეკლესია! როგორ უხდება ეკლესია სოფელს! იგი არა მხოლოდ არქიტექტურული აქცენტია, არამედ განსაკუთრებულ შინაარსს, თვისებას და აზრს ანიჭებს მთელს არემარეს. ჩემი ღრმა რწმენით, ეკლესიანი და უეკლესიო სოფლის მცხოვრებლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეკლესია სიმბოლოა, ნიშანია, გავლენას ახდენს ადამიანთა განწყობილებაზე, ქცევაზე.

17. IV. 1988. საღამოს „ვრემიას“ შემდეგ მოსკოვმა უჩვენა ქართული ფილმი „მოცურავე“. ჩვენებს ნინ უძლოდა კინომოცოდნის გამოსვლა. მან თქვა: 10 წლის წინათ გადაღებულ ფილმს პირველად მხოლოდ დღეს გიჩვენებთ, იგი აკრძალული იყო, რადგან ამ ფილმმა 10 წლით გაუსწრო იმას, რასაც ახლა ვწერთ, ვამბობთ და ვაკეთებთ. ბრწყინვალე ფილმია. სიამოვნებით ვნახეთ, უკვე მესამეჯერ.

23. VI. 1988. ტატლინს III ინტერნაციონალის ძეგლის მეტი რომ არაფერი შეექმნა, ის მაინც დარჩებოდა XX საუკუნის ერთ-ერთ მწვერვალად.

სამყაროს ობიექტური კანონზომიერება, რომელიც განაპირობებს სიცოცხლეს ჩვენს პლანეტაზე, ისაა, რომ დაბადება მეტია სიკვდილზე, სიკეთე – ბოროტებაზე, სიხარული – სევდაზე, მოყვარე მტერზე.

ჩვენი საზოგადოება ჩიხში შეჰყავს იმას, რომ არსებობს ორი კანონი, კანონი მასებისათვის და კანონი პარტიული

და ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ელიტისათვის. უფრო სწორად, ამ უკანასკნელისათვის არავითარი კანონი არ არსებობს.

სინდისი კონკრეტული ცნებაა. ის ახასიათებს მხოლოდ ინდივიდს. გაუგებარია „კოლექტივის სინდისი“, „ხალხის სინდისი“, „ერის სინდისი“. კანონი, რომელიც არ იცავს პიროვნების უფლებას, ეს უსამართლობის კანონია. ადამიანის, ინდივიდის თავისუფლება გარანტიანია საზოგადოების თავისუფლებისა.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ხვალინდელი დღე იქნება უფრო ადვილი. ცხოვრების დიალექტიკა კი სულ სხვა რამეს მიანიშნებს, ხვალ იქნება უფრო ძნელი, უფრო რთული, უფრო მრავალფეროვანი.

25. VII. 1988. ავედი აღმამენებლის ქუჩაზე ელგუჯას სახელოსნოს მშენებლობაზე, როგორც ყოველთვის, ჩემი და მშენებლის ალბერტ სიორიძის შეხვედრა ჩხუბით დამთავრდა. დღეს მაინც ზედმეტი მოგვივიდა ორივეს, ძლივს გაგვაშველეს. გული მიგრძნობდა, ასე რომ იქნებოდა, ძალიან არ მიწოდდა დღევანდელი დღე მშენებლობით დამეწყო. მშენებლობიდან ძეგლთა დაცვის სამმართველოში მოვედი, ვნახე დირექტორი საკავერაშვილი, დამთანხმდა ფოტოების დაბეჭდვაზე.

– კიდევ რა ფოტოები დაგრჩათ დასაბეჭდიო, იურა პინავეს რასაც არ დაავალებენ ყველას ეუბნება დავითაიას სამუშაოს ვაკეთებო, ბოლო დღეებში სულ გათავხედდა, ვეუბნები ბატონი ირაკლი ციციშვილი ზეგ მოსკოვში მიემგზავრება და ამ ხუთი ძეგლის ფოტო სჭირდება-მეთქი, ჩამონათვალი მივეცი, ვერ გავაკეთებო, დავითაიას საქმე მაქვს დასამთავრებელიო. ოხ, იურა, იურა!

26. VII. 1988. წევა. საცოდაობაა სახლი და კარ-მიდამო ადამიანის გარეშე. ყველა და ყველაფერი გრძნობს უკაცობას, მცენარე, მწერი, ფრინველი, ცხოველი. ეზოს ბალახი მორევია, ბილიკები ბალახს დაუფარავს. გავალეთ სახლის კარები, სინოტივის სუნი დგას, გავანიავეთ ოთახები... გადმოვიდნენ ბიძია თომა და ბიცოლა, ერთად ვივანშმეთ, მოვიგონეთ ნათელას მშობლები, არჩილი და გალინა გრიგორიენა, ამ ოჯახის ბურჯები, ახლა არც ერთია და არც მეორე. როგორ უყვარდათ აქაურობა, დიდი გეგმები ჰქონდათ...

27. VII. 1988. წევა. დღეს კვირიკობაა. ხალხმრავლობა იქნება წმიდა გიორგის ეკლესიაში. ახლომახლო სოფლებიდან მთელი ოჯახებით, ღამის თევით მოდიან, მოჰყავთ შესანიერი, ფრინველი, ცხვარი, დეკეული, მოზვერი, შესანიერს სამჯერ შემოატარებენ ეკლესიას, შემდეგ აუშვებენ. არის ერთი ზედახორა ბავშვების, ვინ დაეპატრონება შეწირულს.

30. VII. 1988. განსხვავებული ისტორია, განსხვავებული კულტურა და ტრადიციები, განსხვავებული გარემო და კლიმატური პირობები, განსხვავებული რესურსები და საშუალებები, განსხვავებული ფსიქოლოგია – როგორ შეიძლება არქიტექტურა იყოს ინტერნაციონალური.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნიკა თევზაძე

დეტექტივის თავგადასავალი

„დეტექტივი ყველაზე პოპულარული ჟანრია. დეტექტივები ყველას უყვარს, მაგრამ ზოგიერთი რატომღაც მალავს ამას“, – წერდა ცნობილი ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი როჟე მარტენ დიუ გარი.

დეტექტივს თავისი თავგადასავალიც აქვს.

XIX საუკუნეში ტექნიკურ პროგრესთან ერთად თავი იჩინა დამნაშავეობის ზრდამ. შედეგად მთავრობამ შექმნა რეგულარული პოლიცია, გაჩნდა სისხლის სამართლის პროცესი და ა.შ. რაც მთავარია, საზოგადოებაში თავი იჩინა მოთხოვნილებამ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ასახვისა ლიტერატურაში. იმ პერიოდისათვის პოპულარობით სარგებლობდა გოტიკური რომანი; მაგრამ მკითხველთა ინტერესებს ის უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა. საზოგადოება მოელოდა რაღაც სხვას, რაც მთლიანად დამნაშავეობასთან ბრძოლისადმი იქნებოდა მიძღვნილი. 1841 წელს საზოგადოებას ემცნო ახალი ჟანრის დაბადება. სწორედ მაშინ გამოქვეყნდა „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“, რომლის ავტორიც იყო ედგარ ალან პო (1809-1849).

აღსანიშნავია, რომ ახალ ჟანრს სახელწოდება კრიტიკოსმა უილ ჰენრიმ შეურჩია. მან დაწერა, რომ მოთხრობის მთავარი თემაა დანაშაულის გახსნა, გამოაშკარავება, ანუ ლათინურად დეტექტიო. გამომდინარე აქედან, ამ ჟანრის ნაწარმოებებს დეტექტივები ეწოდა, ედგარ პო კი სამართლიანად ითვლება ჟანრის დამაარსებლად. მიმართულებას, რომელსაც ედგარ პომ ჩაუყარა საფუძველი, კლასიკური დეტექტივი ეწოდება. მისი ძირითადი მახასიათებლებია: დახვეწილი ინტრიგა, სოციალური პრობლემებისადმი გულგრილობა, აპოლიტიკურობა. კლასიკური დეტექტივის სქემა მარტივია: საიდუმლოებით მოცული დანაშაული და გენიალური კერძო მაძებარი, რომელიც აღწევს წარმატებას იქ, სადაც უძღურია ოფიციალური ხელისუფლება. ედგარ პოს კალამს ასეთი ჟანრის ბევრი თხზულება ეკუთვნის: „მოტაცებული წერილი“, „მარი როჟეს საიდუმლოება“, „გაუხსნელი საქმე“ და ა.შ.

კლასიკური დეტექტივი

კლასიკური დეტექტივი უმალ გავრცელდა მთელს მსოფლიოში. საფრანგეთში თავიანთი რომანები გამოაქვეყნეს ემილ გაბორიომ, გასტონ ლერუმ; ინგლისში – უილიკოლინზმა („მთვარის სუკალი“, „ქალი თეთრებში“). დეტექტიურ ჟანრში სცადეს ბედი ონორე დე ბალზაკმა („ბნელი საქმე“) და ჩარლზ დიკენსმა (რომანები „ედვინ დრუდის საიდუმლო“, „ცივი სახლი“ და ა.შ.), თუმცა ყველაზე დიდი ღვაწლი კლასიკური დეტექტივის განვითარებას დასდო ინგლისელმა მწერალმა სერ არტურ კონან დოილმა (1859-1930).

როგორც ცნობილია, განათლებით ექიმი კონან დოილი დიდხანს ამოვად ცდილობდა ლიტერატურაში თავის დამ-

კვიდრებას; მის პირველ ისტორიულ-ავანტიურულ რომანებს („განდევნილი“, „ბრიგადირ ჟერარის გმირობანი“ და ა.შ.) წარმატება არ მოჰყოლია. აღიარება მოგვიანებით, 1887 წელს მოვიდა, როდესაც დოილმა გამოაქვეყნა „ალისფერი კვალი“. ამ მოთხრობიდან საზოგადოებას პირველად მოეწონა გენიალური მაძებარი შერლოკ ჰოლმსი. წარმატება გრანდიოზული იყო. დოილმაც დაწერა გაგრძელება „ოთხთა ნიშანი“, რასაც მოჰყვა „ბასკერვილების ძალი“ და „საშინელებათა ველი“ (სადაც ჰოლმსი მასონურ ლოჟას ებრძვის). ინგლისში დიდი თუ პატარა ჰოლმსზე ალაპარაკდა. დოილს ეს უკვე აღიზიანებდა: „ვინ ვინ და მე კარგად ვიცი, რომ ის, რასაც მე ვწერ, არ არის ლიტერატურა. ეს არის მხოლოდ საკითხავი, განკუთვნილი მკითხველის გასართობად“. გაბრაზებულმა კონან დოილმა ბოლო-ბოლო „მოკლა“ ჰოლმსი („ჰოლმსის უკანასკნელი საქმე“). ამან მთელს ინგლისში გლოვა გამოიწვია. მკითხველები დაჟინებით მოითხოვდნენ: დაგვიბრუნეთ ჰოლმსი. კონან დოილმაც დათმო (მოთხრობა „უკაცრიელი სახლი“). შემდეგშიც კონან დოილმა არაერთგზის სცადა მოეშორებინა ჰოლმსი და მკითხველთა პროტესტის შედეგად იძულებული ხდებოდა კვლავაც დაბრუნებოდა გენიალურ მაძებარს.

დეტექტივის შემდგომი განვითარება

შერლოკ ჰოლმსზე დაწერილმა მოთხრობებმა პოპულარობა მოიპოვეს მთელს მსოფლიოში. კარგა ხნის მანძილზე ისინი რჩებოდნენ ეტალონად, რომლის მიხედვითაც უნდა დაწერილიყო ყველა დეტექტიური მოთხრობა. ასე გრძელდებოდა საკმაო ხნის მანძილზე. თუმცა დეტექტიურ ჟანრში იღვწოდნენ ნიჭიერი მწერლები: ედგარ ულონესი („სამართლიანთა ექსეუელი“), ვან დაინი („ბენსონის საქმე“), ჯონ დიქსონ კარი („იმპერატორის საბურნუთე“, „მიტოვებული ნისქელი“). გარკვეულად ნოვატორული ხერხი მხოლოდ ფრანგმა მწერალმა მორის ლებლანმა გამოიყენა. დეტექტივის ფუნქციები მან პროფესიონალ ქურდს დააკისრა („არსენ ლიუპენი“, ქურდი ჯენტლმენი“ და ა.შ.). ეს არის ერთადერთი ნოვატორობა.

კლასიკური დეტექტივის შტამბები დაარღვია აგატა კრისტიმ (1891-1975), ინგლისელმა მწერალმა ქალმა, რომელიც ლიტერატურაში სრულიად შემთხვევით მოვიდა. თავისი პირველი მოთხრობა „საიდუმლო შემთხვევა სტაილზში“ კრისტიმ (ქალიშვილობის გვარი მილერი) ნიძლავზე დაწერა. წარმატება სახეზე იყო და კრისტიმ არა მარტო მოიგო ნიძლავი, არამედ მწერლის პროფესიაც აირჩია. რომანით „როჯერ ეკროიდის მკვლელობა“ მან დეტექტიურ ჟანრში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. ჯერ ერთი აბსოლუტურად მოულოდნელია კვანძის გახსნა. მთავარი დამნაშავე აღმოჩნდება დოქტორი შეპარდი, ვისი პირითაც მიმდინარეობს თხრობა. ამასთან კრისტიმ გადაჭრით განაცხადა უარი ჰოლმსის დედუქციურ მეთოდზე. მისი გმირები ერკიულ პუარო ან ჯეინ მარპლი უპირატესობას ფსიქოლოგიურ ანალიზს ანიჭებენ. სწორედ ამამია აგატა კრისტის რომანების პოპულარობის საიდუმლო („ენდშაუზის საიდუმლოება“, „კატა მტრედებს შორის“, „ჭვავით სავსე ჯიბი“, „სარკე გატყდა“ და ა.შ.). ეს რომანები დაწერილია სხარტი ენით, სიუჟეტი ვითარდება დინამიურად, კვანძის გახსნა კი მკითხველისათვის ყოველთვის მოულოდნელია. ამრიგად, აგატა კრისტიმ კლასიკური დეტექტივი ახალ საფეხურზე აიყვანა. მას უმალ გამოუჩნდა მიმდევრები (პატ-

რიცია მოიხსი, ჟოზეფინა ტეი და ა.შ.). აგატა კრისტი ერთსულოვნად იქნა აღიარებული დეტექტიური ჟანრის დიდოსტატად. კრიტიკოსებმა მას დეტექტივის დედოფალი უწოდეს. გასაოცარია, მაგრამ საბჭოთა კავშირში აგატა კრისტის რომანები მხოლოდ 60-იან წლებში თარგმნეს. სტალინის მმართველობის ხანაში კრისტის შემოქმედებას აკრძალვის ტაბუ ედო. ამის მიზეზი მწერალთა კავშირის ტრიბუნადან ახსნა ალექსანდრე ფადეევი: „დასავლეთში ძალზე გავრცელებულია კრიმინალური რომანი. მისი ერთ-ერთი წარმომადგენელია ვინმე აგატა კრისტი. უიდეოა, აპოლიტიკურობა, თითოეული გამონოვლილი სიუჟეტები, აი, ეს არის აგატა კრისტის შემოქმედების ძირითადი მახასიათებელი. ასეთი „ლიტერატურა“ ანაგვიანებს მკითხველის, განსაკუთრებით მოზარდი მკითხველის გონებას, უმახინჯებს ლიტერატურულ გემოვნებას“. კომენტარები აქ, რა თქმა უნდა, ზედმეტია. ასეთი „შეფასება“ ძალაში იყო სტალინის მთელი მმართველობის მანიძილზე.

„მაცრი“ სკოლა

აგატა კრისტის რომანები მსუბუქი სენტიმენტალურ-გასართობი ხასიათისაა. მკითხველს კი სჭირდება ნაწარმოები, სადაც ნაჩვენებია იქნებოდა რეალური ცხოვრება, გამოძიების ნამდვილი დეტალები. ასეთი ნაწარმოები გამოქვეყნდა აშშ-ში ჟურნალში „ბლეკ მესი“ („შავი ნილაბი“). რომანის სათაური ფრიად დამაინტრიგებელი იყო: „ნითელი მკა“. მისი ავტორი გახლდათ სამუელ დემილ ჰემეტი (1899-1960); ყოფილი კერძო მაძებარი და თავგამოდებული მემარცხენე, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ს კომპარტიასთან.

ჰემეტის რომანებიდან („მალტიური შევარდენი“, „მინის გასაღები“, „გამხდარი კაცი“) მკითხველს გადაეშალა ნამდვილი ცხოვრება, მთელი თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით. აქ აღარ გვხვდება აგატა კრისტისადმი დამახასიათებელი სენტიმენტალიზმი. სამაგიეროდ, უხვადაა მუშტიკრივის, დევნისა და სროლის სცენები. ჰემეტმა გვიჩვენა დიდი ბიზნესისა და დამნაშავეთა სამყაროს კავშირი, აჩვენა კორუფციის მასშტაბები, ასე რომ სრავდა მაშინდელი ამერიკას. წარმატება მართლაც გრანდიოზული იყო. „ჰემეტმა გვიჩვენა რეალური ცხოვრება, მთელი თავისი სიმკაცრით. გამომდინარე აქედან, სკოლას, რომელსაც ჰემეტმა დაუდო საფუძველი, მკაცრი სკოლა ეწოდა“.

ჰემეტის რომანების უმრავლესობა ეკრანიზებულ იქნა ჰოლივუდის მიერ. „მალტიური შევარდენი“ კი „შავი კინოს“ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება. ფრიად საინტერესო გზა განვლეს ჰემეტის ნიგნებმა სსრკ-ში. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ლუი არაგონმა გააცნო ისინი პარიზში ჩასულ ილია ერენბურგს, რომელიც, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანდა. გადანყდა ჰემეტის თარგმნა, მაგრამ საქმეში ჩაერია თავად სტალინი. თურმე „ბელადი“ დაინტერესებულა ჰემეტის რომანებით და ასეთი შეფასება მისცა მათ:

„ეს არის სრული მაკულატურა, სროლისა და ცემა-ტყეპის ნაზავი. ასეთი ნიგნის ადგილი სანახევრეა“. ერენბურგი შეეცადა დაერწმუნებინა სტალინი, მაგრამ ამაოდ. საქმეს არც იმან უშველა, რომ ჰემეტი მემარცხენე და საბჭოთა კავშირის მეგობარი იყო. სტალინის მმართველობის მანიძილზე ჰემეტის ნიგნებსაც ტაბუ ედო. რუსულად ჰემეტი მხოლოდ 1968 წელს გამოიცა, როდესაც მწერალი უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. სრულად ჰემეტი მხოლოდ 89-

90 წლებში გამოიცა. მწერლის ზოგიერთი ნაწარმოები ქართულადაც ითარგმნა.

ჰემეტის ტრადიციები ღირსეულად განაგრძო მწერალმა რაიმონდ ჩანდლერმა (რომანები „მშვიდობით საყვარელო“, „ხანგრძლივი გამოთხოვება“ და ა.შ.). თუმცა ახალ სიმაღლეზე მკაცრი სკოლა აიყვანა რენე ბარბაზონმა, რომელიც ცნობილია ჯეიმს ჰედლი ჩეიზის ფსევდონიმით. „მაესტრო“ – ჯერ კიდევ სიცოცხლეში ასე უწოდებდნენ ჩეიზს. მისი რომანები „აბა ჩემო საყვარელო“, „ორქიდეები მის ბლენდის-მისათვის“ და ა.შ. მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი და ჩეიზს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

ჰემეტის, ჩენდლერის და განსაკუთრებით ჩეიზის გავლენით მსოფლიოში დეტექტიური ლიტერატურის ნამდვილი ბუმი იწყება. აღნიშნული ჟანრის ნიგნები ჩნდება აზიასა და აფრიკაში აქამდე რომ არ არსებობდა. იაპონიაში სარბიელზე გამოდის ნიჭიერი მწერალი რეალისტი სეიტე მაცუმოტო (1909-1989). მისმა რომანებმა „წერტილები და ხაზები“, „თვალეზიანი კედელი“ და სხვა გამოიწვია დეტექტივის ბუმი იაპონიაში. მაცუმოტოს ტრადიციები ღირსეულად განაგრძო სეიტე მორიმურამ (რომანები „ციცინათელა“, „ჩალის ქუდი“ ა.შ.), პოპულარობა ჰპოვეს ეისუეკ ნაკაძონეს ნიგნებმა („ტყვია ალში“ და ა.შ.), აგრეთვე კიტი სოსაკის რომანებმა. დეტექტივი იაპონიაში სწრაფად განვითარდა. ნიგნის მსოფლიო ბაზარზე იაპონურმა დეტექტივმა დაჩრდილა ამ ჟანრის ინგლისური თუ ამერიკული ნაწარმოებები.

მკაცრი სკოლის გავლენით დეტექტივი ახალ საფეხურზე ადის. ერთი მეორის მიყოლებით ჩნდება ნაწარმოებები, სადაც დასმულია სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემები. ასეთია ფრანგი მწერლის რაფ ვალეს რომანები: „არამზადს სიკვდილი“, „მშვიდობით, პოლიციელო“ და ა.შ. ასევე ინგლისელი მწერლის დიკ ფრენსისის რომანები, სადაც ნაჩვენებია პროფესიული სპორტის ჩრდილოვანი მხარეები. ამერიკული სასამართლოს მუშაობა ოსტატურად გვიჩვენა ერლ-სტენდი გარდნერმა თავისი რომანების ციკლში, რომლის გმირიცაა ადვოკატი პერი მეისონი. რასისტული პრობლემა დასმულია ჩეისტერ ჰეიმსის რომანებში („გაიქცევი, ზანგო, გაიქცევი“, „ჰარლემი“ და ა.შ.). სიუჟეტის სიმწვავე მხილვების სენსაციურობა, აქტუალობა, ყველაფერი ეს განაპირობებდა დეტექტივის მზარდ პოპულარობას.

სერიოზული მიმართულება

პოპულარობა, რომლითაც სარგებლობდა დეტექტივი, ბევრ დიდ მწერალს უბიძგებდა ეცადა ზედი ამ ჟანრში. გრემ გრინი, ფრიდრიხ დიურენმატი, ჯონ ბოინტონ პრისტლი, ჩარლს პერსი სნოუ, უილიამ კინგსლი ემისი (გაბრაზებული ახალგაზრდების ლიტერატურული მიმდინარეობის მამამთავარი). აი, არასრული ჩამონათვალი სახელმწიფო მწერლებისა, რომლებიც დეტექტიურ ჟანრშიც მუშაობდნენ. მნიშვნელოვანი ამაგი დეტექტივის განვითარებას დასდო ფრანგმა ჟორჟ სიმენონმა, რომელმაც შექმნა ახალი სერიოზული მიმართულება დეტექტივში.

სიმენონის რომანების გმირია კომისარი მეგრე. პირველად ის გამოჩნდა რომანში „პიტერ-ლატვიელი“ (1932 წ.), შემდეგ ამას მოჰყვა რომანები: „ყვითელი ძალი“, „ინსპექტორი კადავრი“, „მეგრე მინისტრთან“, „მეგრე მოგზაურობს“, „მეგრე ყოყმანობს“ და ა.შ. ფედერიკო ფელინი ასე ახასიათებს მეგრეზე დაწერილ რომანებს: „ეს არის სერიო-

ზული ლიტერატურა. დეტექტივი აქ მხოლოდ ფონია. მართლაც, ყველა ამ რომანში დასმულია ფილოსოფიური, ზნეობრივი, პოლიტიკური პრობლემები. მათ ნითელ ხაზად გასდევთ ქრისტიანული მორალი და ბიბლიური მცნება „არა განიკითხო“. შემთხვევითი როდია, რომ კომისარი მეგრე არავის კლავს, თუნდაც თავდაცვის მიზნით.

ჯაშუშური რომანი

პირველი, განსაკუთრებით კი მეორე, მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა დაზვერვა-კონტრდაზვერვის მუშაობის შესახებ რომანების რაოდენობა. კრიტიკოსებმა ამ მიმართულებას ჯაშუშური რომანი უწოდეს. მისი გაფურჩქვნა დაკავშირებულია მწერალ იენ ფლემინგის სახელთან. ამ უკანასკნელმა შექმნა შეუდარებელი ჯეიმს ბონდი, აგენტი 007.

იენ ლანკასტერ ფლემინგი (1908-1964) ფრიად კოლორიტული ბიოგრაფიის პატრონია. ის დაიბადა და გაიზარდა მდიდარ ოჯახში, მიიღო ელიტარული განათლება (დაამთავრა მიუნხენის და ჟენევის უნივერსიტეტები, სწავლობდა სამხედრო აკადემიაში). 30-იან წლებში მუშაობდა მოსკოვში, როგორც „მოსკოუ ნიუსის“ კორესპონდენტი. ამ დროს ფლემინგმა შეძლო შეუძღვებელი, შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა თავად სტალინს. II მსოფლიო ომის დროს ფლემინგი ინგლისის სამხედრო-საზღვაო დაზვერვის შეფის პირადი ასისტენტი. 1953 წელს მან გამოსცა პირველი რომანი „კაზინო როიალი“, საიდანაც მკითხველს პირველად მოეკვინა ჯეიმს ბონდი. წარმატება კოლოსალური იყო. ფლემინგმაც ზედინზედ გამოუშვა ჯეიმს ბონდის თავგადასავლებისადმი მიძღვნილი რომანები: „გოლდფინგერი“, „არასოდეს თქვა არასოდეს“, „რუსეთიდან სიყვარულით“, „მისი უდიდებულესობის საიდუმლო სამსახურში“ და ა.შ. (სულ 14 წიგნი). ჯეიმს ბონდი ინგლისელი ახალგაზრდობის კერპად იქცა. ამას ხელი შეუწყო ეკრანიზაციამაც, სადაც ჯეიმს ბონდის როლი შეასრულა შონ კონერიმ. ფედერიკო ფელინი წერდა: „ფლემინგმა ვერ შექმნა ლიტერატურა, მაგრამ შექმნა ტიპი. მის ჯეიმს ბონდზე მუდამ იქნება მოთხოვნილება“. მართლაც დიდი მავსტროს სიტყვები ახდა და „ბონდიანა“ ფლემინგის სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა. ერთ-ერთ უკანასკნელ ეკრანიზაციაში აგენტი 007 ტერორისტებისაგან კასპიის ნავთობსადენსაც იცავს.

ფლემინგის რომანები მსუბუქი გასართობი ხასიათისაა. ჯაშუშური რომანის სერიოზული მიმართულება შექმნეს მწერლებმა: ჯონ ლე კარემ („სმაილის ხალხი“, „პანამელი თერძი“ და ა.შ.), ლენ დეიტონმა („გლოვა ბერლინი“). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ფედერიკ ფორსაიტი, რომელიც ლიტერატურაში ჟურნალისტიკიდან მოვიდა. მისმა პირველმა რომანმა „ტურას დღე“ მსოფლიო აღიარება ჰპოვა. რომანი უნდა თარგმნილიყო რუსულად, მაგრამ ამის წინააღმდეგი წავიდა სუკის მაშინდელი შეფი იური ანდროპოვი. ფორსაიტის მეორე რომანი „ჯოჯოხეთური ალტერნატივა“ საბჭოთა სუკის ევროპაში ძირგამომთხრელ საქმიანობას მიეძღვნა. ამის გამო ფორსაიტის სახელს სსრკ-ში მრავალი წლის განმავლობაში ტაბუ ედო. რუსულად ფორსაიტი მხოლოდ 1990-94 წწ. ითარგმნა.

ფლემინგის, ლე კარეს, დეიტონისა და ფორსაიტის წყალობით ჯაშუშური რომანი პოპულარული გახდა მთელს მსოფლიოში. მათი გავლენით ბევრმა ცნობილმა მწერალმა მოსინჯა ძალა ამ ჟანრში. გრემ გრინმა გამოაქვეყნა „მიშის უწყება“ და „ადამიანური ფაქტორი“, სოლ ბელოუმ – „ჩიში“, უილიამ კინ-

გსლი ემისმა კი დანერა ჯეიმს ბონდის თავგადასავალთა გაგრძელება („ჯეიმს ბონდის დოსიე“, „პოლკოვნიკი სანი“ და ა.შ.).

დეტექტიური რომანი რუსეთში

უკვე XIX საუკუნეში რუსეთში ძალიან პოპულარული იყო ედგარ პოს, კონან დოილის თუ სხვათა თხზულებები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა რუსულ ლიტერატურაზე.

დეტექტიური ინტრიგა დამახასიათებელია ანტი-ნიჰილისტური რომანისათვის, რომელიც რუსი რევოლუციონერების მხილებას მიეძღვნა. ასეთია აგენარიუსის „მეამბოხენი“ და კრესტოვსკის „სისხლიანი პუფი“. დეტექტიური მოთხრობები გამოაქვეყნა რომან დობრიმ (ანტროპოვმა). დეტექტიური ფონი მნიშვნელოვანია ანასტასია ვერბიცკაის რომანებში, რომლებიც პოპულარობით სარგებლობდნენ 900-იან წლებში („უცნობი მეგობარი“, „უეცარი მოკითხვა“ და ა.შ.). დეტექტიური ფაბულა საფუძვლად უდევს დოსტოევსკის რომანებს: „დანაშაული და სასჯელი“, „ძმები კარამაზოვები“. აქტიურად იღვწოდა დეტექტიურ ჟანრში ანტონ ჩეხოვიც. მისი „შვედური ასანთი“ მსოფლიოს 10 საუკეთესო დეტექტივის რიცხვშია შეტანილი.

ოქტომბრის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა გამოიწვია წყვეტა რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში. ბევრი მწერალი, პოეტი თუ დრამატურგი ემიგრაციაში აღმოჩნდა. ზოგსაც ჩეკას ჯურღმულებში აღმოხდა სული (მაგალითად, ანა ახმატოვას ქმარი, ცნობილი პოეტი ნ. გუმილიოვი). კულტურული აღმშენებლობა ბოლშევიკებმა პროლეტარ მწერლებს დააკისრეს. ამან უარყოფითი გავლენა იქონია ყველაფერზე, მათ შორის დეტექტიური ჟანრის განვითარებაზე. პროლეტარი მწერლები დეტექტივს ბურჟუაზიულ ლიტერატურად თვლიდნენ, ამიტომ როდესაც მარიეტა შაგინიანმა გამოაქვეყნა პირველი საბჭოთა დეტექტივი („მისს მენდი“), რაპელებმა მისი პასუხისგებაში მიცემა მოითხოვეს. სტალინის კულტის დამკვიდრებასთან ერთად, დეტექტივი რუსეთში ფაქტიურად კვდება. ამ ჟანრში მხოლოდ ერთ-ერთი უღებელია მუშაობდნენ (ლევ შეინინი, ძმები ტურები).

დეტექტივის აღორძინება რუსეთში 60-იანი წლებიდან იწყება. ამ დროს გამოქვეყნდა ადამოვის „ჭრელთა საქმე“ და „შავი ჩრჩილი“, ნიკოლინის „მკვდარი ვეშაპი“. 60-იანი წლების შუაგულიდან ლიტერატურაში მოდიან ძმები ვაინერები, სერგეი ვისოცკი, ნიკოლოზ ლეონოვი, ანდრი კოლბერგისი. საბჭოთა ჯაშუშური რომანი შექმნეს ვასილი არდამაცკიმ („სატურნი თითქმის არ მოჩანს“) და იულიან სემიონოვმა („გაზაფხულის 17 გაელვება“).

საბჭოთა დეტექტივისათვის დამახასიათებელია მკვეთრი იდეოლოგიზაცია, საბჭოთა ჩეკისტის განდიდება, კერძო მძებარი, გასაგები მიზეზების გამო, აქ არ ფიგურირებს. აკრძალული იყო ისეთ თემებზე წერა, როგორცაა ნარკომაფია, კორუფცია. მიუხედავად ამისა, თავის საუკეთესო ნიმუშებში საბჭოთა დეტექტივმა გვიჩვენა სსრკ-ში მაფიის არსებობა. ასეთია ადამოვის „ორმედი სირთულე“, ვისოცკის „წრე“, იულიან სემიონოვის „ოგარიოვის 6“ და ა.შ.

სსრკ-ს დანგრევის შემდეგ, აკრძალვა მოიხსნა, რამაც განაპირობა დეტექტივის ახალი ბუმი. პირველობის პალმები უდავოდ უყვრიათ ფრიდრიხ ნეზნანსკისა და ედუარდ ტოპოლს. პოპულარულია ბორის აკუნინის (ნამდვილი გვარი ჩხარტიშვილი), ჩინგის აბდულაევის ნანარმოებები. საყოველთაო აღიარება ჰპოვა კონსტანტინოვის „ბანდიტურმა პეტერბურგმა“. „სენტიმენტალური მიმართულება განავითარა დ. დონცოვამ (კამენსკაიაზე დაწერილი სერია). კვლავინდებუ-

რად მწყობრშია ძველი გვარდია ნ. ლეონოვი („საზიზღარი ძალი“), ს. ვისოცკი („უძიეთ ქვერივი“), დ. კორეცკი („კნაოდა შავი კატა“), დეტექტიური ბუმი რუსეთში გრძელდება.

დეტექტიური რომანი საქართველოში

ქართული დეტექტივის ჟანრში ერთეულები იღვწოდნენ. ამათგან უნდა გამოვყოთ ორდე დგებუაძე („განთიადის დედოფალი“), იორამ ჩადუნელი („საშობაო მეჯლისი“), ავთანდილ ბუხრაშვილი („ვინ მოკლა ინსპექტორი“). თავის დროზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია შიო გვეტაძის „მონანიებამ“, ალექსანდრე იაშალაშვილის „მგლის ბილიკმა“. მიუხედავად ამისა, ამ ნაწარმოებთა დონე საკმაოდ დაბალია. ხელოვნური დიალოგები, პრიმიტიულად განვითარებული სიუჟეტი, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, – ეს ყველა მათგანის უმთავრესი მახასიათებელია. საქმეს ვერც ის შევლის, რომ ზოგჯერ ქართველი მწერლები რეალობაში მომხდარ სენსაციურ დანაშაულთა შესახებ მოგვითხრობენ (მაგ. ორდე დგებუაძის „განთიადის დედოფალი“, სადაც საუბარია სიონის ტაძრის გაძარცვის შესახებ). ყველაფერი მკითხველს მიეწოდება იმდენად მოსაწყენი ენით, იმდენად საგრძნობია სოციალისტური რეალიზმის შტამპები, რომ ეს თავისთავად საინტერესო ამბავიც კი კარგავს თავის მიმზიდველობას.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველო რეალურად აღმოჩნდა ისეთი პრობლემების წინაშე, როგორცაა რუსეთის

სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობა, ტერორიზმი, ნარკობიზნესი, აგრესიული სექტები, კორუფცია და ა.შ. თითქოს ყოველივე უნდა ასახულიყო ლიტერატურაში, მაგრამ ამოდ. ქართულმა მწერლობამ სამწუხაროდ დუმილის პოზიცია აირჩია. მოხდა ისე, რომ კინემატოგრაფმა წინ გაუსწორო მწერლობას. ქართული სერიალები „ცხელი ძალი“ და „27 დრაკონი“ ბევრად სჯობს როგორც რუსულ, ისე უცხოურ სერიალებს. მთავარი მაინც ის არის, რომ მათში ასახულია ჩვენი დღევანდელი, ქართული პოლიციის ყოველდღიური მუშაობა.

ასეთია მოკლედ დეტექტივის მიერ განვლილი გზა დაარსებიდან დღემდე.

დეტექტივის ფუნქცია მარტოოდენ გართობა როდია. თავის დროზე ჩენდლერის, ჰემეტის, ფრენსისის თუ რაფ ვალეს რომანებმა უდიდესი როლი ითამაშეს. მათ მოახდინეს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ. ასეთივე როლი იაპონიაში ითამაშეს სეიტო მაცუმოტოს რომანებმა. ევროპის საზოგადოების ანტისაბჭოური, ანტიკომუნისტური სულის დამუშავებაში თავისი წვლილი შეიტანეს ფლემინგის, ლე კარეს, ფორსაიტის, დეიტონის რომანებმა. ასეთი როლი ითამაშა დეტექტივმა ევროპაში.

ქართული ლიტერატურა ელის თავის ჰემეტს, ჩენდლერს, ჩეიზს. მოვა დრო და ჩვენც გვეყოლება ჩვენი ფლემინგი, ლე კარე, ფორსაიტი თუ მაცუმოტო. ეს დროის მოთხოვნაა, რაც ყველა ეპოქას ახასიათებდა.

რედაქციისაბან:

დეტექტივის ჟანრის ეს მომხილვა ზედაპირულიცაა და ფრაგმენტულიც, მაგრამ რამდენიმე გვერდზე უფრო სრულად და ღრმად გადავლება თვალისა დეტექტივის თავგადასავლისათვის თითქმის შეუძლებელია, ეს ექსკურსი კი თავის დანიშნულებას მაინც ასრულებს – ინფორმაციის თვალსაზრისითაც და უფრო სრულყოფილი ლიტერატურული ნარკვევის, შემდეგ სულაც მონოგრაფიული ნაშრომის დროულად შექმნისათვისაც. თავისებური ბიძგია და, სხვა რომ არაფერი, მოგინდება ქართული დეტექტური მემკვიდრეობა თუ დღეისდღის რეალობა უფრო ხელშესახებად გამოიკვეთოს.

რისი ამარანი ვართ და რას უნდა მოველოდეთ?!

ბოლოსდაბოლოს, ქართული დეტექტივის სათავეში ალექსანდრე ყაზბეგი დგას თავისი რომანით „მოძღვარი“. ამ მიგნებასა და დასაბუთებას შეგიძლიათ გაეცნოთ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ყაზბეგისა“. ამავე მკვლევარს ეკუთვნის ესეი ქართულ ლიტერატურულ დეტექტივზეც, რაც პავლე ინგოროყვას, თამაზ ნატროშვილისა და თეიმურაზ დოიაშვილის ნარკვევებზე დაყრდნობით გაიაზრებს ამ სახეობას და... გამოქვეყნებით ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ საჯაროდაა ნაკითხული ჩვენს ერთ-ერთ ლიტერატურულ თავყრილობაზე. ამასთან დაკავშირებით იხილეთ ეკა ბუჯიაშვილის დოკუმენტური ნოველა „ორი ნარკვევის და მთავარის გამო“ („თბილისი“, 2005, 6 აპრილი).

ჩამონათვალში არ გამოიტოვება პარმენ ლორის თავის დროზე დიდად გახმაურებული რომანი „ჩაი“.

აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ზურაბ სამადაშვილის რომანიც „შეშლილი სახლი“, რამდენიმე წლის წინათ ერთბაშად რომ გამოიჩინა თანამედროვე ქართული დეტექტივის უფერულ ნაკადში.

და რაც მთავარია:

ლაშა იმედაშვილის მოთხრობა „უძღვნი ქალებს, ჩემთან მწყურალებს“, გაგრძელებით რომ გამოქვეყნდა

„ჩვენი მწერლობის“ ორ ნომერში (2006, №2-3) და თავისი მხატვრული ღირებულებით ის ნიმუშია, ამ ჟანრის თვალსაჩინო ქმნილებაა წრეში რომ უნდა ვიკვლიოთ.

როსტომ ჩხეიძის დეტექტური ცდანი კიდევ ცალკე – „ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა“, „ეკლიანი და პატარა გზა“ თუ „ორშაბათიც შაბათია“, რომ აღარაფერი ითქვას ლიტერატურული დეტექტივის ჟანრში მის მიერ შექმნილი ნიმუშებზე.

სხვათა შორის, საგულისხმოა „პარიზული ჩანაწერების“ ის პასაჟიც, რომელიც მოწმობს, თუ როგორ ყოფილა დაინტერესებული გალაკტიონ ტაბიძე ამ ჟანრით და საგანგებოდ ამიტომაც ჩაუნიშნავს: ლონდონში არსებობს სისხლის სამართლის რომანისტიკის კლუბი (დეტექტიური კლუბი). კლუბის ერთი ამოცანათაგანია დეტექტიური რომანების ხარისხის ამაღლება. კლუბის ყოველწლიურ ბანკეტზე, რომელიც წელსაც შესდგა, მოწვეულ სტუმრების თანდასწრებით ფიცი დასდეს, რომ თავიანთ რომანების ჩახლართულ ადგილებში ამიერიდან აღარ მიმართონ სასიკვდილო სხივებს, საიქიოდან მოსულებს, საიდუმლო კარებს, იდუმალ ჩინელებს, ზედამნაშავეებს, შეშლილ მკვლელებს, მეცნიერებისათვის უცნობ შხამსო და სხვაო.

შაბლონს, ტრაფარეტს გადაუყლაპავს ეს ჟანრი და კლუბის თავკაცთა შეშფოთებაც ამას გამოუწვევია.

შაბლონი და პრიმიტივიზმი განუკითხავად ბატონობს იმ გამოცემებში, რომელთაც ქართული დეტექტივის სახელით გვთავაზობენ, მაგრამ უპირველესად მაინც წარმატებულ ნიმუშებს შევუწყობთ ხელი, რათა შესაფერისადაც გახმაურდეს და მკითხველმაც ირწმუნოს, რომ ქართულ დეტექტივს წინ ფართო და უგრძესი შარა უდევს.

თამარ კოტრიკაძე

ახალი გობეაჟვილის გოლოდინში ნუ დავდუმდებით!

*

**განვიხილოთ სასკოლო
სახელმძღვანელოები**

თებერვლის დასაწყისიდან „კავკასიურმა სახელმძღვანელომ“ მცირე ხნით შეწყვეტილი ტრადიცია აღადგინა და კვლავაც მასპინძლობს თავის დარბაზში მსოფლიო კულტურით დაინტერესებულ საზოგადოებას, ოღონდ ამჯერად არა ოთხშაბათობით, როგორც ეს 1997-98 წლების „ალტერნატიული აზრის“ სემინარის ტრადიციად იყო ქცეული. წლებადელი შეხვედრები სამშაბათობით მოეწყობა თვეში ხან ორჯერ, ხანაც სამჯერ. წლებადელ პროგრამას ეწოდება „კულტურის კალენდარი“ და მის ფარგლებში დაგეგმილია მრავალფეროვანი თემატიკის ლექცია-საუბრები და ახალგამოცემული წიგნების პრეზენტაცია-განხილვები. წლებადელი „კულტურის კალენდრის“ პროგრამას ფონდი „ჰორიზონტი“ აფინანსებს.

მოგიტხრობთ „კულტურის კალენდრის“ 21 მარტს შემდგარი, რიგით მესამე, შეხვედრის შესახებ. მისი მიზნი გახლდათ 2005 გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ დასტამბული თხელი წიგნი სახელწოდებით „სასკოლო წარმოდგენის“ შინაარსს სახელმძღვანელო განსაზღვრავს. განვიხილავთ სასკოლო სახელმძღვანელოებს“. წიგნის ავტორები, ლევან ბრეგაძე და ამირან გომართელი, საუბრობენ ავტორთა ჯგუფის მიერ ვახტანგ როდონაიას ხელმძღვანელობით მომზადებული მეზუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე კლასების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების აკარგაინობის შესახებ.

როგორია ჩვენი სკოლა და ჩვენი სახელმძღვანელო? როგორ მივანოდოთ ბავშვს უმნიშვნელოვანესი სასკოლო საგანი – მშობლიური ლიტერატურა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრავს მის პიროვნულ და ნაციონალურ თვითშეგნებას, აპოზინებს მას საკუთარ ადგილს სამყაროში? სწორედ ამ პრობლემებზე ფიქრი ამოძრავებდათ ამ ადამიანებს, ჯერ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში გაეხინჯათ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში საუკეთესოდ მიჩნეული და სკოლებში ყველაზე ფართოდ გამოყენებული სახელმძღვანელო, შემდეგ კი ეს წერილები ერთ წიგნშიც მოექციათ. მსგავსი რამ ჩვენში ჯერ არავის უცდია. ჩვენს ლიტერატურულ ბაზარზე გამოსული უხვი პროდუქცია, – იქნება ეს მხატვრული თუ დარგობრივი ლიტერატურა, – სამწუხაროდ,

როდ, ძალზე ხშირად ნამდვილი კრიტიკული განხილვის გარეშე რჩება, მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელოს განხილვას დღეს, განსხვავებული, ალტერნატიული ვარიანტების არსებობის პირობებში, მართლაც საყოველთაო და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან პედაგოგს თავად გაუჭირდება არჩევანის გაკეთება.

ნაირა გელაშვილმა, რომელსაც შეხვედრა მიჰყავდა, საუბრის დასაწყისში გაიხსენა XX საუკუნის 20-იანი წლების გერმანიაში რაინერ მარია რილკეს მიერ წარმოთქმული საბედისწერო სიტყვები: „თუ ჩვენი სკოლა და სახელმძღვანელო არ შეიცვალა, უთუოდ რაღაც უბედურება დაგვატყდება თავს“... იმ გლობალურ კატასტროფათა რიგი, XX საუკუნის ევროპამ რომ გადაიტანა, მართლაც დიდად იყო გამოწვეული ახალგაზრდა თაობის არასწორი აღზრდით.

შეხვედრის კონკრეტულ თემად ლ. ბრეგაძისა და ა. გომართელის წიგნი იმიტომ იქნა არჩეული, რომ ის ამ სფეროში ანალიზის პირველ სერიოზულ მცდელობას წარმოადგენს და მასში კვლევის შედეგები უკვე თვალსაჩინოადაა შეჯამებული და სადისკუსიოდ გამოზადებული. ავტორებმა წიგნის შესავალშიც და შეხვედრაზეც გაუსვეს ხაზი იმას, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და რომ მათ გამიზნული აქვთ მომავალში ყველა არსებული სახელმძღვანელოს ამგვარი განხილვა. ოღონდაც აუცილებელია, ამ განსჯაში აქტიურად ჩაებას მთელი საზოგადოება.

წიგნის თაობაზე მსჯელობა, ეს ერთგვარი განხილვის განხილვა საკუთარ თავზე აიღო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ლიტერატორმა და პედაგოგმა, მაია ჯალიაშვილმა. მან თავის მოხსენებას „ცნობილ სახელმძღვანელოთა თავისებურებანი“ უწოდა და ისევე გულდაგულ გასინჯა ლ. ბრეგაძისა და ა. გომართელის წიგნი, როგორც მათ – ვ. როდონაიას მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები.

მართლაც უცნაურია, რომ სახელმძღვანელო, რომელიც საბჭოთა შტამებისაგან განთავისუფლებულ პირველ წარმატებულ სასკოლო წიგნადაა აღიარებული, – წიგნი, როგორც ჩემს თაობას მეექვსე, მეშვიდე, მერვე კლასებში ოცნებაც კი არ შეეძლო! – ამასთანავე ისეთ ხარვეზებს იტევს, მოულოდნელი რომაა მისი ღირსებების ფონზე.

მომხსენებელმა იმთავითვე შენიშნა, რომ კრიტიკოსთა განწყობა უადრესად კეთილმოსურნეა, ისინი უყურადღებოდ არ ტოვებენ სახელმძღვანელოს არცერთ დადებით მხარეს, თუმცა ობიექტურობის შენარჩუნებასაც ახერხებენ. ღირსებათა შორის ისინი „უანობრივ მრავალფეროვნებას, თემატური რკალებისა და კითხვა-კომენტართა ბლოკების შემოტანას“ ასახელებენ; ასევე წარმატებულად მიაჩნიათ მწერალთა ბიოგრაფიების მინოდების ხერხი. თუმცა აქვე ჩნდება სერიოზული პრობლემებიც. მართალია, ლიტერატურული ტექსტები კარგადაა ადაპტირებული ასაკის, მასალის მინოდების, თემატიკის, დიდაქტიკური დანიშნულების თუ დღევანდელი ენობრივი ნორმების გათვალისწინებით, მაგრამ მაინც არ შეინიშნება ადაპტაციის ერთიანი პრინციპი. ტექსტების გადმოთქმვისას დაშვებულ შეცდომებს, – რომლებიც, სამწუხაროდ, მრავლადაა, – ემატება ტექსტის ქსოვილში გამიზნულად შეტანილი ცვლილებები, ხშირად გაუმართლებელი, ზოგჯერ კი – კუროზულიც. ზოგიერთი ძველი ფორმა ჩასწორებულია, ზოგიერთი – არა. აშკარად მიუღებელია ძველი გამოთქმების თანამედროვეთი ჩასწორება, შემდეგ კი იმ ჩასწორებულის სქოლიოში ჩამოტანა. მართლაც და, რაღა საჭირო იყო ძველის ახლით შეცვლა, თუკი ეს ახალიც განმარტებას საჭიროებს? იქნებ

ჯობდეს, ზოგიერთი ავტორის, მაგალითად, სულხან-საბას ტექსტები უცვლელი სახით მიეწოდოს მონაფეს: მისი ენა, მართალია, განსხვავდება დღევანდელი ქართულისაგან, მაგრამ ის იმდენად სისხლსავსე და ცოცხალია, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მოზარდი სათქმელს ჩასწვდება და, ამასთან, ქართული სიტყვის მშვენიერებასაც ეზიარება.

რაც შეეხება კითხვა-კომენტარებს: – საერთოდ, მონაფის კითხვა-პასუხით მიყვანა ნაწარმოების სათქმელამდე უაღრესად რთული საქმეა, – განაცხადა თავის გამოსვლაში ამირან გომართელმა და დასძინა, – ბევრად უფრო იოლია ნებისმიერი ნაწარმოების შესახებ ვრცელი კრიტიკული წერილის დანერა, ვიდრე ისეთი შეკითხვების მოფიქრება, მონაფეს ნაწარმოების გააზრებას რომ შეაძლებინებს. მე თვითონ ამას ვერ შევძლებდი. კრიტიკა მუდამ უფრო იოლია, მაგრამ ესეც ხომ უნდა ითავოს ვინმემ...

ამგვარი შეხედულების ფონზე ავტორთა მიერ სახელმძღვანელოს შეფასება ძალზე მაღალია. ცხადია, აქაც ობიექტურები რჩებიან და ზოგიერთ შეკითხვას – მეტადრე ისეთს, რომელიც ერთნიშნა პასუხს მოითხოვს, – ფუჭად მიიჩნევენ, მაგრამ რასაც მოსაწონად თვლიან, იმას აღფრთოვანებით აქებენ კიდევ.

– ერთ-ერთ შეკითხვას „კითხვა-შედეგადაც“ კი აცხადებენო, – ამბობს მომხსენებელი, – ჩემი აზრით, ის სულაც არ იხსახურებს „შედეგის“ წოდებას, მაგრამ ამ ეპითეტმა კიდევ ერთხელ დამანახა ავტორთა კეთილგანწყობა, მათი გულწრფელი სიხარული სახელმძღვანელოს ყოველი წარმატების გამო.

სულ სხვა აზრისაა ნიგნის ბოლოსიტყვაობის ავტორი თინა ჩხაიძე: მას არ მოსწონს კითხვა-კომენტართა ისეთი სიმრავლე, რომელშიც გარკვევისას მონაფეს „გულისყური ეფანტება და ტექსტის მთლიანობა ხელიდან უსხლტება... შესასწავლი ტექსტის ორი ხაზი ზემოთ წერია, შეკითხვა-კომენტარის ოცი სტრიქონი ქვემოთ... ნუთუ ასეთი სახელმძღვანელოები ვინმეს შეაყვარებს ლიტერატურას?“

ავტორთა შენიშვნების უმრავლესობა, მაია ჯალიაშვილის აზრით, იმდენად სრულყოფილად და თვალსაჩინოდაა დასაბუთებული, რომ მათ შეუძლებელია არ დაეთანხმო. ერთადერთი, რაშიც ის ბრეგაძე-გომართელის აზრს არ იზიარებს, რაც ნაკლებმნიშვნელოვნად მიაჩნია და რასაც უფრო გემოვნების სფეროს მიაკუთვნებს, – სახელმძღვანელოთა საკმაოდ მდარე მხატვრული გაფორმებაა. ეს ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან მომენტთაგანი იყო, რაშიც აუდიტორია არ დაეთანხმა მომხსენებელს: ნიგნის ვიზუალურ მხარეს რომ დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე დაასაბუთა კერძო გიმნაზია „მოდვარის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნათია ნაცვლიშვილმა: სწორედ უდიდესი გაფორმების გამო მისი მესხეთე კლასის მონაფეები როდონაიას ნიგნების გამოყენებისას საგნისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ, ხოლო მას მერე, რაც პედაგოგმა სხვა, ალტერნატიული (კერძოდ, ე. გულდამაშვილის, ნ. ლეიაშვილისა და მ. სოსელიას მიერ მომზადებული) სახელმძღვანელო შეიტანა, ბავშვებს ლიტერატურულ ტექსტებთან შეხვედრის ახალი



იმპულსი გაუჩნდათ. მიზეზი სწორედ ამ სახელმძღვანელოს ფერსავსე და პროფესიული გაფორმებაა, თუმცა ის სხვათაგან, შესაძლოა, ბევრი ნიშნით ჩამოუვარდება როდონაიას სახელმძღვანელოს.

კონკრეტულ და უდავო შენიშვნათა უმრავლესობას სახელმძღვანელოს შემდგენლები, უთუოდ, მხოლოდ მიესალმებიან. ამ ხარვეზთა მიზეზი ნიგნის ორივე ავტორმა განსაზღვრა თავის გამოსვლაში. კრიტიკოს ბრეგაძესა და გამომცემელ გომართელს არ გამოჰპარვიათ ის, რაც გასაგები მიზეზის გამო პრობლემად იქცა შემდგენელთათვის. ქართული ლიტერატურის კარგ მცოდნეთა და გამოცდილ პედაგოგთა გვერდით სახელმძღვანელოზე აუცილებლად უნდა იმუშაონ საგამომცემლო საქმეში განაფუთვამ ადამიანებმა, – თანანამკითხველმა, კორექტორმა, კრიტიკოსმა. ეს ნუსხა შეავსო ფილოლოგმა ელისო კალანდარიშვილმაც: მისი აზრით, საქმეში აუცილებელია ასაკობრივი ფსიქოლოგიის სპეციალისტთა ჩართვა.

კრიტიკის აშკარა ტოლერანტულობის მიუხედავად, აუდიტორიაში მოკრძალებულად მაინც გაიფლერა გულისტკივილი ამ იმის გამო, რომ სიცარიელის ამომვსებ ამ ძალზე მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს ჯეროვანი დაფასება მაინც არ ხვდა წილად და მისი ღირსებები მისსავე ნაკლთა ჩრდილში მოექცა. თუმცა ეს განწყობა არა ბრეგაძე-გომართელს, არამედ უფრო მათი ნიგნის ბოლოს მოთავსებული წერილის ავტორს, თინა ჩხაიძეს, ეკუთვნის. წერილის სათაურია „გოგებაშვილის მოლოდინში“. მისი ავტორი მართლაც აფასებს ნიგნში მოთავსებულ ანალიზს და თვლის, რომ ავტორები სახელმძღვანელოთა განხილვისას მეტისმეტად ლიბალურნი არიან. იგი კატეგორიულად არ ეთანხმება, თუნდაც, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების იმ მეთოდს, რასაც სახელმძღვანელო გვთავაზობს. რაც შეეხება დაფინანსების უხერხულ თემას, წერილში ვკითხულობთ: „სახელმძღვანელოთა შედგენაში მთავარი არ უნდა უყოს ფულადი დაინტერესება. ასე რომ ფაციფუცობენ გამომცემლები და ავტორ-შემდგენლები, ძირითადად, ფულის გამოა და, ვისაც არ ეზარება, ხელს ჰკიდებს ამ უძნელეს საქმეს. ლ. ბრეგაძე და ა. გომართელი შენიშნავენ, იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოთა შედგენამ შეძლებულ კაცად აქციაო. კარგად მესმის, რომ სახელმძღვანელოთა შედგენა თუ ავტორობა შესაბამისად უნდა ნაზღაურდებოდეს, მაგრამ მგონია, რომ ეს არაა მთავარი. მთავარია საქმის იმგვარი სიყვარული და იმგვარი „გონიერი გული, ლბილი“, როგორც იაკობ გოგებაშვილს ჰქონდა, რამაც „აი ია“ აპოვინა და ნიგნის ფურცლებზე სამყარო აღაღანებული ყვავილივით წარუდგინა ყმანვილს“... წერილის ავტორს არავისთვის არ სურდა პირადი შეურაცხყოფის მიყენება და, მით უმეტეს, არც კონკრეტული სახელმძღვანელოს შემდგენელთა უანგარობაში შეუტანია ეჭვი. მან მხოლოდ გულწრფელი გულისტკივილი გამოთქვა...

კონკრეტული, – ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ კორექტურული, – ხარვეზების გვერდით არსებობს, სამწუხაროდ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ხასიათის პრობლემებიც. მშობლიური ლიტერატურა თემატურად ისე უნდა შეირჩეს, რომ მისმა შესწავლამ გაუადვილოს მოზარდს თანამედროვე

სამყაროში ორიენტირება. ამ თვალსაზრისით ვ. როდონიას სახელმძღვანელოები, ვერ ამართლებს მოთხოვნებს: მათში ვერ ნახავთ თანამედროვე ცივილიზაციის ამსახველ მასალას. მართალია, ქართული ტრადიციული, „სოფლური“ ცხოვრების ისეთი ცნებები, როგორცაა რთველი, გუთანი, მარანი, არ უნდა დაიკარგოს თანამედროვე ქალაქელი ბავშვის მსოფლმხედველობიდან, მაგრამ ჩვენი შვილების თაობა, – გვსურს ეს თუ არა, – მაინც კომპიუტერის მონიტორთან და ტელეეკრანთან გაზრდილი თაობაა, სახელმძღვანელო კი ამ რეალობასთან სრულ დისონანსში შედის.

– სრულიად დაუსვებელია, სახელმძღვანელო დუმდეს იმ „ქალაქური“ გარემოს, იმ მულტიეთნიკური გარემოცვის, იმ უმძაფრესი კონფლიქტების, იმ ეკოლოგიური და მეტიც: ანთროპოლოგიური კატასტროფის შესახებ, დღეს რომ კავკასიაში და ზოგადად სამყაროშია შექმნილი. ეს ხომ სიყალბეა! შედეგად სამყაროს ხედვის გაორებასა და თანამედროვეობისაგან გაუცხოებას ვლბულობთ, – ჩაერთვება ნაირა გელაშვილი, – სწორედ ამიტომ, რომ, როდესაც ევროპელი ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას, ის ჩვენი ბავშვებით დაკარგული არ არის: ის სრულიად დამოუკიდებელია, არ უჭირს სამყაროში ორიენტირება, ადვილად ჩასწვდება პრობლემის არსსაც და მისი მოგვარების გზასაც მიაგნებს.

აუდიტორია არ დაეთანხმა მაია ჯალიაშვილსა და თინა ჩხაიძეს, რომ ლ. ბრეგაძე და ა. გომართელი ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებენ გენდერულ თემატიკას. საყოველთაო აზრით, ნაწარმოებთა კითხვისას მოსწავლე გოგონამ არ უნდა განიცადოს ისეთი ტექსტების დანაკლისი, სადაც პერსონაჟი ვაგონს ან ქალი იქნება, ქალის განცდებმა ისეთივე ასახვა უნდა ჰპოვოს სახელმძღვანელოში, როგორც მამაკაცისამ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ქალი ავტორების ტექსტებსაც.

კიდევ ერთი რთული, თემატიკასთან დაკავშირებული ქვაკუთხედი ლიტერატურულ ნაწარმოებთა პატრიოტული თემატიკა და ყმანვილამდე მისი კორექტული მიტანის პრობლემატიკაა. როგორ შევყვართ ბავშვს სამშობლო ყბადაღებული პატრიოტიზმის გარეშე, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენს გარშემო ომებით გამოწვეულ ამდენ მოუშუშებელ ქრილობას ვხედავთ? როგორ დავიცვათ ზომიერება ამ უნატიფეს სფეროში, სადაც ჩვენივე მაქსიმალიზმის გამო უკვე მრავალი მარცხი ვინვნიეთ?

გამოსავალი ერთია: კულტურის გათავისება უნდა მოხდეს სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასთან ერთად: მოზარდმა უნდა შეისისხლხორცოს ადამიანის უფლებების, ტოლერანტობის, გარემოს დაცვისა და სწორი რელიგიური მსოფლმხედველობის ცნებები. კულტურა ხომ უაღრესად ძლიერი და საშიში, იდუმალებით მოსილი ძალაა: რეალობას მოწყვეტილი, ის ბრმა ნიჭსეულ მედიდურობად და ბოლოს – სამყაროს იავარმქმნელ საწყისად იქცევა. XX საუკუ-

ნის დასაწყისის ევროპაშიც ხომ – თანამედროვეობისაგან განსხვავებით – სკოლა მომავალ თაობას მხოლოდ გოეთესა და შილერის განყენებულ იდეალებზე ზრდიდა...

ყველა განხილული პრობლემის გარდა ნაირა გელაშვილმა ხაზი გაუსვა სახელმძღვანელოთა ისეთ უმნიშვნელოვანეს ნაკლს, რომელიც, სამწუხაროდ, ხელის ერთი მოსმით ვერ ჩასწორდება. მისი აზრით:

– ნიგნს აკლია შემოქმედებითი სული, საინტერესოობა, სიმძაფრე. ნიგნმა თვითონ უნდა ნამაკითხოს თავი. შემდგენელთა ენა იმდენად ჩამოუვარდება ვაჟს, აკაკის, ილიას ენას, რომ ეს განსხვავება პირდაპირ ყურს ჭრის. ამას ეგებ სულაც ის სჯობდეს, პირდაპირ, სახელმძღვანელოს გარეშე, ვაკითხოთ მონაფეებს ლიტერატურული ნაწარმოებები?.. ვიმეორებ იმას, რაც დღეს უკვე არაერთგზის ითქვა: სახელმძღვანელოს შემდგენელთა შრომა მართლაც ფასდაუდებელია, ყამირი გატეხილია, და მაინც: ნამდვილი სახელმძღვანელო ჯერ კიდევ დასაწერია და არა მჯერა, რომ ის შეიძლება დაინეროს დიდი პოეტის თუ მწერლის მონაწილეობის გარეშე. ოღონდაც ამ შემოქმედმა მთელი თავისი დრო და ძალისხმევა ამ საქმეს უნდა შესწიროს...

„კავკასიურ სახლში“ შემდგარ შეხვედრას გამოწვევის, განგაშის იმპულსი ამოძრავებდა, ის დაიგეგმა როგორც მონოდება მთელი განათლებული საზოგადოებისადმი: თვალი ადევნონ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს და დროული რეაგირება მოახდინონ. მით უმეტეს, რომ შეხვედრის დასასრულს გამოსული ამირან გომართელის სიტყვები მართლაც საგანგაშო განწყობას გვიქმნის და საზარლად ესმინება შეხვედრის ეპიგრაფად გამოტანილ რ. მ. რილკეს სიტყვებს: მისი თქმით, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა არათუ არ ითვალისწინებს ძველ გამოცდილებას, არამედ ახალ საშინელ შეცდომებს უშვებს; ახალი, უკვე დაწერილი და საცდელად გამოშვებული სახელმძღვანელოები როდონიას ნიგნებთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯია... ამავე აზრის არიან ამ საქმეში ჩახედული თინა ჩხაიძე და ლევან ბრეგაძე: მათ მიუღებლად მიაჩნიათ ახალი სტანდარტების მოთხოვნა – დაირღვეს ლიტერატურის ქრონოლოგიური ჩამონათვალი, მონაფეს მიწოდოს ნაწარმოებთა მხოლოდ მცირე ნაწყვეტები, რის შედეგადაც ჩვენს ისედაც გზაბნეულ მოზარდს საერთოდ დაეკარგება წარმოდგენა მშობლიურ ლიტერატურაზე.

ნიგნის ავტორებს მაინც არ მიაჩნიათ თავიანთი ნაშრომი უკან მიდევნებულ ლამპრად. ლევან ბრეგაძის თქმით, მასში განზოგადებული და თავმოყრილია ბევრი რამ, რაც სპეციალისტებს სამომავლოდ გამოადგებათ. „კავკასიური სახლი“ კი თავის მხრივ მზადაა შესაძლო წვლილი შეიტანოს ამ საქმეში: ის აუდიტორიასა და ჰონორარს სთავაზობს ყველა მსურველს, ვინც კი ამა თუ იმ ქართული სახელმძღვანელოს თაობაზე მოხსენებას მოამზადებს.

ქრონიკა

13 აპრილს „კავკასიურ სახლში“ კულტურული პროგრამის ეგიდით ათინათ მაცაცაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ყვითელი ფერი ვან გოგისა და ალბერ კამიუს შემოქმედებაში“. ამ ორი ხელოვანის გარდა მოხსენებაში გაანალიზებული იყო მიხეილ ბუღგაკოვის რომანიც „ოსტატი და მარგარიტა“ და გამოითქვა დასკვნა, რომ ყვითელი ფერი აქ ყველგან სიკვდილს უკავშირდება. ათინათ მაცაცაშვილი ექსი-მარსელის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის დოქტორანტი და მოხსენება წარმოადგენდა მისი დისერტაციის ერთ ნაწილს.

ქრონიკა

20 აპრილს კინო „რუსთაველის“ მცირე დარბაზში გაიმართა ჩვენება ფილმისა „ლეონარდო“. ფილმი ჩვენი რეალობის ამსახველ საკმაოდ მკაცრ გროტესკს წარმოადგენს, რომელსაც პოეტურ ნიბლს სძენს მთავარი როლის შემსრულებლის რეზო ესაძის სევდიანი, ერთგვარი ფილოსოფიური იუმორი.

პაატა ჩხეიძე

შეხვედრა

თარგმანი, როგორც შეხვედრა ავტორისა და მთარგმნელისა. ეს არ არის მხოლოდ მეტაფორა; რეალობაც არის, რადგან სხვა შეხვედრა მწერლისა და მკითხველისა და სულ სხვა შეხვედრა ორიგინალური თხზულების ავტორისა, ანუ მწერლისა და მთარგმნელისა, ვინც აგრეთვე მწერალი უნდა იყოს.

ასეთი შეხვედრის ლიტერატურული მნიშვნელობა განისაზღვრება ორი პირობით:

1. ორიგინალური თხზულების ავტორი კარგი მწერალია და თვით თხზულება მაღალი დონის ლიტერატურული ქმნილებაა.

2. მთარგმნელი კარგი მწერალია და მის მიერ თარგმნილი თხზულება მაღალი დონის ლიტერატურული ქმნილებაა, ახალ ენაზე.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ენების ცოდნასა და მთარგმნელის თეზაურუსზე. მხოლოდ ამის შემდეგ ვეღვირებით კარგ თარგმანს.

თარგმნა შეხვედრაა – თარგმანი შეხვედრის შედეგი;

კარგი თარგმანი უკვე კულტურათა დიალოგია, გულახდილი დიალოგია.

ეს ყველაფერი მრავალგზის ნათქვამი და უფრო ბევრგზის გამოვრებულია, მაგრამ უამისოდ, ყველა თეორია ფუჭია და ყველანაირი მსჯელობა უქმი.

„ვენერა და ადონისის“ ქართული თარგმანი

უილიამ შექსპირის „ვენერა და ადონისი“ ქართულად მედეა ზაალიშვილმა თარგმნა. მედეა ზაალიშვილი არ არის ნაყოფიერი მთარგმნელი, ან მისი თარგმანები ჯერ კიდევ გამოცემულს ელის, რადგან ქართველი მკითხველი მის მიერ თარგმნილს მხოლოდ შელისა და იეიტისს ლექსებსა და უილიამ ფოლკნერის რომანს, „სული რომ ამომდიოდა“, იცნობს; მაგრამ ქართველი მკითხველი იცნობს მედეა ზაალიშვილის მიერ თარგმნილ უილიამ შექსპირის „ტიტუს ანდრონიკუსსაც“; ამ თარგმანს არა მარტო მთარგმნელის პოეტური ნიჭი და პროფესიონალიზმი გამოარჩევს, არამედ განსაკუთრებული ერთგულება ორიგინალის ტექსტისადმი, რაც ქართულ მთარგმნელობით ისტორიაში არცთუ ისე ხშირი მოვლენაა.

„ვენერა და ადონისის“ განმსაზღვრელი მოტივი ვნება და მიზნის მიუღწევლობა, სურვილის დაუკმაყოფილებლობაა. ვნებას, სურვილს, სქესობრივ ლტოლვას შექსპირი მოძრაობის, მოქმედების და დევნის აღწერით გადმოსცემს. მოძრაობა იწყება პირველი სტრიქონებიდანვე და ადონისის სიკვდილამდე გრძელდება. სოველი პოეტური ხერხი დევნას ასახავს; ბუნების აღწერისა და იმაჟისტური დეტალებისათვის შექსპირს, როგორც ჩანს, არ ეცალა. მოძრაობა, ქმედება, დევნა ერთმანეთს თანაბრად მიდევნებული სიმილებით არის გადმოცემული.

Even as the sun with purple-colored face
Had ta'en last leave of the weeping morn,

Rose-cheeked Adonis hied him to the chase;
Hunting he loved, but love he laughed to scorn
Sick-thoughted venus makes amain unto him,
and like a bold-faced suitor 'gins to woo him.

საწყისი სექსტეტი იმ ემოციური აქცენტებითაა დატვირთული, რაც მთელი პოემის შემდგომ განვითარებაზე მიგვანიშნებს. მიტოვებისა და დადევნების სურათებით გადმოცემული ემოციური აქცენტები; მთელი პლანეტა, ადამიანი, ღვთაება, ყველაფერი დევნისა და ლტოლვის რიტმს ემორჩილება; მზეც, დილას რომ გადახედავს უკანასკნელად, ადონისიც, სანადიროდ რომ ეშურება და ვენერაც, ადონისს რომ დაედევნება. სწორედ ეს ქმედებანი, ქებნა, დევნა, ლტოლვაა გადმოცემული სიმილებით; შექსპირი დროს არ კარგავს მითითური სამყაროს დასახატად ან გმირების გასაცნობად, მის გმირებს მოქმედებისას, დევნისას ვეცნობით.

ამ სტროფის ან მთელი პოემის გასაგებად შინაარსის გაცნობა საკმარისი არ იქნებოდა, კონცეპტში ჩასანვდომად; ტექსტის განსამარტავად თუ სათარგმნელად საჭიროა იმ პოეტური თუ სტილისტური ხერხების მიბაძვა, ან გამოყენება, რითაც ავტორმა შესაბამისი განწყობილება აღძრა. ქართული თარგმანის ინგლისურთან შედარებისას ვხედავთ, რომ მთარგმნელმა ზოგი რამ გამოტოვა ორიგინალის შინაარსიდან, ვთქვათ, ის, რომ ადონისს ნადირობა უყვარდა და ათვალწუნებით უყურებდა ტრფობას. შინაარსის კლება, ინფორმაციის დაკარგვა, რა თქმა უნდა, აზარალებს თარგმანს, მაგრამ ანაზღაურება კონცეპტის გადმოცემით შეიძლება და იმის შენარჩუნებით, რაც კონცეპტს განსაზღვრავს; ამ შემთხვევაში განმსაზღვრელები სიმილებია, რაც, რამდენადაც შესაძლებელია თანამიმდევრულადაა გადმოცემული ქართულად:

sun... purple-colored – სისხლისფერ მზემ

weeping morn – დილას მოტირალს

bold-faced suitor – აბეზარი მომჩივანი

roze-cheeked Adonis – ვარდისფერლოყება ადონისი – ყრმა ადონისითაა შეცვლილი, ხოლო ვენერას ეპითეტი sick-thoughted (სნეულფიქრიანი) თარგმანს აკლია.

თარგმანს აგრეთვე აკლია ოქსიმორონული რიტორიკა მეოთხე სტრიქონისა:

Hunting he loved, but love he laughed to scorn.

ხასიათების ამგვარი წინააღმდეგობრიობა პოემაში ხშირად გვხვდება, რაც ამაფრებს განცდას დაუკმაყოფილებლობისა და მიუღწევლობისა, ვენერას მიერ ეროტიკული დევნისა და ადონისის უარისა და მომავლისათვის გადადების შედეგად რომ წარმოიშობა.

ამრიგად, პოემის დასაწყისიდანვე ცხადი ხდება, რომ წარმოების მხატვრული ბრწყინვალება დამოკიდებულია არა შექსპირისათვის ჩვეული მეტაფორების ყოვლისმომცველ მოძრაობაზე, არამედ სიმილებისა და მეტონიმთა თანამიმდევრულ ცვალებადობაზე.

ქართული თარგმანი ამას შეძლებისდაგვარად იმეორებს:

როცა სისხლისფერ მზემ გაფანტა აისის ნისლი,
დილას მოტირალს მოაფინა სხივი ნათელი
ნადირს მწვერებით დაედევნა ყრმა ადონისი
და დაივინა ამაქვეყნად სხვა ყველაფერი,
წამოენია გზად ქალღმერთი ვენერა მყისვე
ვით აბეზარი მომჩივანი ფხვდაფხვ მისდევს.

ქართულ თარგმანში გვხვდება სერიოზული გადახვევა ორიგინალის შინაარსიდან; დედანშია: **ad ta'en last leave of the weeping morn** (მზემ უკანასკნელად გადახედა და მიატოვა მტირალი დილა), ხოლო თარგმანში კი: „დილას მოტირალს მოაფინა სხივი ნათელი“, რასაც შეუძლია კონცეპტუალური და განწყობილებრივი რღვევა გამოიწვიოს, მეოთხე სტრიქონის დაკარგვასთან ერთად, მაგრამ თარგმანის მთლიანობაში გაცნობა ამ აზრზე ხელს აგვადებინებს.

„ვენერა და ადონისში“ გამოყენებული შექსპირული სექსტეტის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ის გახლავთ, რომ სტროფის ბოლო ორი სტრიქონი ან ავითარებს და ან უპირისპირდება სტროფში განვითარებულ აზრს. ქართულ გამოცემაში, სქემატურად, ვერ ვხედავთ სექსტეტის ორი დამათავრებელი სტრიქონის გამოყოფას, მაგრამ ორიგინალისეული დატვირთვა ყველგან შენარჩუნებულია. ვნახოთ XI, XII, XIII, XIV სტროფების ბოლო სტრიქონების თარგმანი, აქ ყველგან ბოლოვდება აზრი და აქვია სტროფების ემოციური აქცენტების გასაღებიც:

**Wishing her cheeks were garent full of flowers,
So they were dew'd with such distilling showers.**
ნატრობს, ბაღნარად გადაექცნენ ღანვები ნეტავ,
რომ დაეპკუროს ვაჟის სუნთქვა ზეციურ წვეთად.

**Rain added to a river that is rank,
Perforce will force it overflow the Bank.**
იგი ჰგავს წვიმას ღრუბლებიდან გადმომსკდარს ღვარად,
მოჰგავს მდინარეს ადიდებულს, ნაპირს რომ ფარავს.

**Being red, she loves best; and being white,
Her best is better'd with amore delight.**
ვენერას ალგზნებს ადონისის ღანვების ცეცხლი
და ვნება იპყრობს, როცა ამ ცეცხლს სიფითრე შეცვლის.

**Which long have rain'd making her cheeks all wet;
And one sweet kiss shall pay this countless debt.**
ცრემლის საფასურს, მის ღანვებს რომ ნაკადად დასდის,
გამოისყიდის ერთი კოცნა მხურვალე ბაგის.

XII, XIII სტროფების დამაბოლოებელ ორსტრიქონებში ნაჩვენებია, რომ ვენერა ვერ შეძლებს ვნების დაკმაყოფილებას, ხოლო XI, XIV სტროფებში ვხედავთ ვნების წარმოსახვით დაკმაყოფილებას. საგულისხმოა, რომ ვითარების დრამატიზაციის ეს ხერხი ქართულ თარგმანში შეძლებისდაგვარად გადმოვიდა.

ვენერას ვნება დაუკმაყოფილებელია და სწორედ ამიტომ მისი მეტყველება ასეთი მგზნებარე, ასეთი მომაჯადოებელი და დამაჯერებელი. ამგვარი მგზნებარეობა, რა თქმა უნდა, ძნელი სათარგმნელია, მაგრამ მაინც ხერხდება.

ვნახოთ 241 – 252 სტრიქონები. აქ გადმოცემულია თუ როგორ გაელიმება ადონისს დამცინავად და როგორ დააჩნდება ლოყებზე ნაჩვრეტები:

**At this Adonis smiles, as in disdain
That in each cheek appears a pretty dimple.**

ვენერას დაჟინება პოემაში ბევრგან არის არაქალური, მაგრამ აქ მეტისმეტად მამაკაცურია მისი ვნება:

**These lovely caves, these round enchanting pits,
Open'd their mouths to swallow Venus liking,**

ადონისის ლოყის ნაჩვრეტები ჯერ სიყვარულის მიერ შექმნილი ღრმულებია: **ove made these hollows**, შემდეგ მისივე დასამარხი საფლავი: **tomb so simple**, შემდეგ საყვარელი გამოქვაბულებია **lovely caves**, ვენერას ჩასაყლაპად პირი რომ დაუღიათ. როგორც უკვე აღვნიშნე, აშკარად მამრული ეროტიკაა, გადმოცემული მეტონიმითა მონაცვლეობით, რაც ისევე უეცრად დაცხრება, როგორც აღიგზნო, და კვლავ დაშორება, უარყოფა, იმედგაცრუება დაისადგურებს:

**Poor queen of love, in thine own low forlorn,
To love a cheek that smiles at thee in scorn!**

ამ სტრიქონებში თავმოყრილი ხატები: ლოყის ნაჩვრეტი, საფლავი, გამოქვაბული, ორმო, პირი და კვლავ ლოყა, აღწერს მოუსვენრობას, ვნების გაჩენას, ფლობის სურვილს, რაც მუდამ მარცხით მთავრდება, ვნება არ ცხრება, მაგრამ ყოველი ცდა წყლის ნაყვია. ქართულ თარგმანში ეს განწყობილება მიღწეულია:

დაცინვით უმზერს ადონისი და ელიმება,
ორი ნაჩვრეტი გაუჩნდება ტუჩებთან ახლოს,
ეს სიყვარულის სამარეა, იმის იმედად,
რომ თუ სიკვდილი უწერია, იქ დაიმარხოს:
სადაც ცოცხლობდა სიყვარული დაე იქ დარჩეს
და სხვაგან წასვლას, სამუდამოდ იქ ყოფნას არჩევს.

ამ მომხიბლავმა ნაჩვრეტებმა დააღეს ხახა,
და ჰა, ქალღმერთის სიყვარული მათში ინთქმება,
ისედაც შმაგი, ვით გაუძლებს ამ საფრთხეს ახლა,
ერთხელ მოკლულის ისევ მოკვლა როგორ იქნება!
უარყოფილი, მარტოდ დარჩა ტრფობის ქალღმერთი,
სატრფოს დაცინვა გულში მოხვდა სასონარკვეთილს.

ქართულ თარგმანშიც ყველაფერი ლოყიდან იწყება, ისაა „სიყვარულის სამარე“, „მომხიბლავი ნაჩვრეტები“ (ალბათ ქვაბულები სჯობდა), ქალღმერთის ამ ნაჩვრეტებში დანთქმაც აქვია, მაგრამ ვერ ვხედავთ ისევე დამცინავ ლოყასთან (**cheek that smiles at thee in scorn**) დაბრუნებას; ამრიგად, ქართული თარგმანი მაღალი დონისაა, მაგრამ მთარგმნელი ყველაფრის შენარჩუნებასა და გადმოტანას ვერ ახერხებს; ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქართული თარგმანი ამალღებულია და ნაკლებად ეროტიული. ამის დასტურია თუნდაც 417-418 სტრიქონები, სადაც აშკარა მინიშნებაა ფალოსზე:

**If springing things be any jot diminish'd,
They wither in their prime, prove nothing worth:**

თარგმანში ნასახიც არ არის ამგვარი ეროტიკისა:

უმალ დაჭკნება, თუკი ხელი შეახე მკაცრი
და არ აცალე, რომ ყვავილი გახსნას ბოლომდის.

თანამედროვე შექსპირთმცოდნეობაში ხშირად შენიშნავენ, ალბათ პოსტმოდერნის გავლენით, რომ პოემაში ვენერა კაცია და ადონისი ქალი, ხშირად უკიდურესობამდე მიდიან და ნანარმოებში ჰომოსექსუალურ ლტოლვას ხედავენ, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ნანარმოებში ძალზე მტკივნეულად იგრძნობა კაცის, მამრის არყოფნა. ამიტომ ავტორი ხან ტიტანის სახელს ახსენებს და ხან მარსისა; მაგრამ ამ დანაკლისის მიუხედავად ვენერას და ადონისის დევნა-ტროფობა ბრძოლასაა შედარებული. და, აი, თითქოს გაიმარჯვა ვენერამ, მიზანს მიაღწია, ვაჟმა კოცნის ნება დართო, მაგრამ რაღაც მაინც ვერ არის რიგზე, შექსპირი ამ ვნებიან კოცნას ჯერ ირონიულ ელფერს ანიჭებს (*Their lips together glu'd*) და შემდეგ კი დამპყრობლურ ბრძოლას აღარებს:



პროფესიონალ, პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ქართველ მთარგმნელთა შორის მედეა ზაალიშვილი გამოირჩევა წესრიგისა და სიზუსტის სიყვარულით. იგი ყოველთვის ცდილობს უერთგულოს ორიგინალის ავტორს და შეძლებისდაგვარად დაიცვას დაწერილი თუ დაუნერეული წესები თარგმანისა. მის თარგმანთა შესწავლისას ვერც მოულოდნელ ორიგინალობას ნაანუდები და ვერც დაუდევრობასა თუ ტექსტის ჩაუნვდომლობას დასწამებ. შეიძლება ითქვას, რომ შექსპირის მთარგმნელთაგან იგი ყველაზე მეტადაა წყარო ტექსტის ერთგული ან წყაროელი მთარგმნელი. მაგრამ თვით ასეთი დედნის ერთგული მთარგმნელიც კი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის ერთგული რჩება და მის გზას აგრძელებს. უკვე განვიხილეთ ეროტიკული სცენის შერბილების ერთი მაგალითი; მეორეგან (სტრ. 364) მთარგმნელი ქართული ყოფისათვის დამახასიათებელ სურათს ხატავს:

**Her lips are conquerors, his lips obey,
Paying what ransom the insulter willeth:**

So white a friend engirts so white a foe:

ქართულ თარგმანში ირონიის შემცველი ფრაზა გამჭრალია, სამაგიეროდ, ბრძოლის განწყობილებაა შენარჩუნებული:

თეთრი მოყვარე ჩახვევია თეთრ მტერს ვით ვაზი:

**ვით უძლურ მონას, რომ მორჩილებს მბრძანებლის
ნებას,
ხარკს ახდევინებს ადონისის ტყვედ ქვეულ ტუჩებს.**

ვაზის, როგორც მოალერსე მიჯნურის, ხატი შექსპირისათვის არც დამახასიათებელია და არც უნდა იყოს ბუნებრივი ინგლისელი პოეტისათვის, ვინც ვაზსა და ყურძენს იცნობს როგორც ეგზოტიკურ მცენარეს. ვაზის შემოხვევის სურათი ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთაც შექსპირი არც იცნობდა და არც გამოედევნებოდა, რომც სცნობოდა, იგი ინგლისელი იყო და ინგლისზე წერდა, ევროპულს მხოლოდ სიუჟეტებსა და სახელებს იყენებდა.

პოემაში გაბატონებული დევნის, დაუკმაყოფილებელი ლტოლვისა და მიუღწევლობის განცდა, გაძლიერებულია მოულოდნელად გამოჩენილი ფაშატის ეპიზოდში, როცა ადონისის ცხენი ალვირს განყვეტს და ფაშატს დაედევნება; აქამდე თვითონ დევნილი ადონისი მდევრად გადაიქცევა, ის, რაც თვითონ უარჰყო, მისმა ბედაურმა მოინდომა და მთელი გზებით მიეცა ამ განცდას. ამ მონაკვეთში ცოტა ხნით შეჩერდება დევნის აღწერა და რამდენიმე ექვსსტრიქონედი ცხენს ეძღვნება; შექსპირი აღგზნებულ, ფაშატის მდევნელ აჯილდას გვიხატავს, თანამიმდევრული ეპითეტებითა და სიმილებით:

„ჩახვევია... ვით ვაზი“ მთლიანად მთარგმნელის ან შეგნებული და ან ბუნებრივ-სპონტანური ასოციაციაა. ეს გახლავთ გაქართულების კლასიკური მაგალითი, რაც უცხო თხზულებას ახალ გარემოში შემოსვლას, ახალ მკითხველთან შეხვედრას უადვილებს.

**His ears up-prick'd: his braided hanging mane
Upon his compass'd crest now stand on end;
His nostrils drink the air, and forth again,
As from a furnace, vapours doth he send:
His eye, which scornfully glisters like fire,
Shows his hot courage, and his high desire.**

„ვენერა და ადონისის“ ქართული თარგმანი, მთლიანად, გაქართულებს ზომიერი ნიმუშია, სადაც მთარგმნელის მთავარი ამოცანაა ორიგინალის ეროტიკული განწყობილების შერბილება და, ასე ვთქვათ, ვნებიან, მაგრამ თავაზიან ტროფობაში გადაყვანა.

ქართული თარგმანიც თანამიმდევრულად იმეორებს ორიგინალის მხატვრულ ხერხებს:

ადონისის მიერ ცხენის დევნას კვლავ ვენერას მიერ ადონისის დევნა ენაცვლება

**ყურებს ცქვეტს, ღელავს და დანწული ფაფარი თხელი
წამოეშლება, ველარ მალავს იდუმალ წადილს,
ნესტოებს ბერავს, თითქოს ორთქლი სდიოდეს ცხელი,
ან ოხშივარი, გახურებულ ღუმელს რომ ასდის.
აგზნებულ თვალებს აბრიალებს, ნაპერწკალს
აფრქვევს,
და ამით უმალ მიახვედრებს ფაშატს თვის სათქმელს.**

**Now quick desire hath caught the yielding prey
And glutton like she feeds, yet never filleth**

და ბოლოს კოცნით თავდება 545 სტრიქონში; ეს ერთ-ერთი კულმინაციური მომენტია, რამაც შეიძლება პოემის განწყობილება შეცვალოს, ვნება მეტისმეტად იზრდება, კოცნა არა თუ აცხრობს, არამედ ააბრიალებს სურვილს და ვენერა გაუმადლარ არსებად იქცევა:

ქართულ თარგმანში „გაუმადლობა“ „მტაცებლობით“ არის შეცვლილი, რაც უფრო დაუოკებელი გზნების მაჩვენებელია, ვიდრე გაუმადლარი, დაუკმაყოფილებელი ეროტიკული მადისა:

ქალღმერთი ისევ აიტაცა უგონო ვნებამ,
ვით მტაცებელი თავის ნადავლს დააცხრა უცებ, ...

ვენების ამგვარი გამძაფრება და იმედგაცრუების აუტანელი განცდა მწვერვალს აღწევს პოემის შუაგულში და ცხადი ხდება ვენერასთვის თუ არა მკითხველისთვის მაინც, რომ:

**All is imaginary she doth prove,
He will not manage her, although he mount her;**

ქართული თარგმანი მხოლოდ ზოგადი კონცეპტით მიჰყვება ორიგინალის გაშიშვლებულ ეროტიულ სურათს:

**მაგრამ ნიავეარს თან მიჰყვება ოცნების მტვერი,
და გაკერპებულ ტყვის მოსყიდვას ამაოდ ცდილობს.**

ვენერა ევედრება ადონისს, მე დამიჯერე და არა ცინტიას (არტემიდე) და მის ქვეშევრდომ გარეულ ტახსო, მაგრამ ქალღმერთს ბედისწერის შეცვლა არ შეუძლია და უკვე იწყება ტრაგიკული სცენა ადონისის სიკვდილისა და ყვავილის მონყვეტისა.

ეს ხატი ადრევე, 81 სტრიქონშია ნაწინასწარმეტყველები, სადაც ადონისი უკვე თითქოს ყვავილია ან რაღაც მშვენიერი საგანი, რისგან დაშორებაც ვენერას არა სურს:

**And by her fair immortal hand she swears,
From his soft bosom never to remove.
და თავის ნატიფ, უკვდავ ხელით ფიცსა დებს მარადს,
რომ ადონისის მკერდზე ჰპოვოს ნავსაყუდელი.**

ქართულ თარგმანში ვენერა ყვავილს ედარება, ადონისის მკერდზე დასვენებულს და ეს ხატი ეხმაურება ბოლო ხატს პოემისა, როცა ვენერა მონყვეტილ ყვავილს თავისი მკერდის hollow cradle-ში ათავსებს:

**Lo! In this hollow cradle take thy rest
My throbbing heart shall rock thee day and night.**

Hollow cradle ორიგინალში ცარიელ აკვანსაც გულისხმობს და მკერდის ჩალრმავებასაც, სადაც ყვავილი მოათავსა ვენერამ; ქართულ თარგმანში ეს მეტაფორა გამქრალია, მის ნაცვლად შემოტანილია დარწმუნებულ აკვანთან მჯდომი ძიძის სურათი:

**იძინე მშვიდად, მეც ვიჯდები მუდამ შენს გვერდით,
როგორც აკვანთან ძიძა რომ ზის ღამით და დღისით.**

მაგრამ ხატების დაკარგვა არ არის დამახასიათებელი ქართული თარგმანისათვის; ვთქვათ, მე-10 სტრიქონი, სადაც ვენერა შედარებულია empty eagle – ს, ქართულ თარგმანში ადეკვატური ხატითაა შეცვლილი – „არნივი დამშეული“, და ასეა უმრავლეს შემთხვევებში. მედეა ზაალიშვილი აქაც და სხვაგანაც ძველ ქართულ ტრადიციას მისდევს სკაბრეზული ადგილთა შერბილებსა.

დასასრულისათვის უნდა ითქვას, რომ მედეა ზაალიშვილის მიერ მალალ პროფესიულ დონეზე თარგმნილი „ვენერა და ადონისი“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული შექსპირიანასათვის.

ტრისტან მახაური

ვის უგალობს ღობეზა შემოფხვარი ჩიტი

როგორ იზრდებიან ჩვენი პატარები? როგორ გარემოში უხდებათ მათ ყოფნა და რა სულიერ საზრდოს ვაწვდით იმისათვის, რომ ჭეშმარიტი ცხოვრების გზას არ ასცდნენ და ზნეობრივ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ? დიდი ხანია, ეს კითხვები აწუხებს ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ კითხვები კითხვებად რჩება, რადგან „მასკულტურის“ (უფრო კი უკულტურობის!) არნახული მოძალეა, არაფრისმომცემი ტელესერიალები, ე.წ. პორნოფილმები, ქუჩის ბნელი ატმოსფერო და ღამის მეტყველების ნორმად დამკვიდრებული ჟარგონი უარყოფით გავლენას ახდენს ნორჩების ცნობიერებაზე.


ჩვენი წინაპრები ბავშვის აღზრდას ადრეული ასაკიდანვე დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. მათ ახსოვდათ ანდაზა: „წელი სანამ ნედლია, მანამ მოგრიხე, თორემ გაიზრდება და აღარ მოიგრიხებაო“. და ისინი ბავშვის აღზრდას უხეში ძალის გამოყენებით კი არ ცდილობდნენ, არამედ უაღრესად გონივრული მეთოდებით. „ძუძუთა ბავშვი როგორც კი მოიჩიტებოდა, – ამბობს გიგი ხორნაული, – ბიჭს ფარ-ხმალს დაუნყობდნენ გვერდით, გოგონას – ტარ-ფარტენას, საქსოვს. მათ ასეთ ასაკში არც იცოდნენ, რა იყო ხმალი ან ფარტენა, მაგრამ თვალს აჩვევდნენ, მეხსიერებაში ებეჭდებოდათ. შვიდი წლის ყმანვილი კი ხევსურები ხანჯალს შემოარტყამდნენ წელზე და იმ დღიდან ის კაცად ითვლებოდა. საოჯახო საქმიანობაში მასაც ეკითხებოდნენ აზრს. მამის შინ არ ყოფნისას, ოჯახში ის იყო უფროსი, კაცი, სტუმარს ის უნდა დახვედროდა, ქალებიც საკაცო საქმეს მას ეკითხებოდნენ. მის ნარჩევს „იზიარებდნენ“, „წვრთნიდნენ“ (წინასიტყვაობა კრებულისა „ჩიტოგვრით“).

ბავშვის აღზრდა-განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზეპირსიტყვიერების შესწავლას. საბავშვო ფოლკლორი დიდების მიერ პატარებისთვის საგანგებოდ შექმნილი ზეპირი შემოქმედებაა, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ამ ხალხური საუნჯის ზოგიერთი ჟანრის შექმნაში მოზარდების წვლილიც ურევია.

ფოლკლორის აღმზრდელობითი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ქართველ თავადებს, რომლებიც საკუთარ შვილებს გლეხის ოჯახში აძიძავებდნენ. საკმარისია გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ნათქვამი: „თუ კი რამ დარჩა ჩემში

კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“ („ჩემი თავგადასავალი“).

ფოლკლორული, ტრადიციული იერი თითქმის აღარ შემორჩა ჩვენს საზოგადოებრივსა და სოციალურ ყოფას, მაგრამ განა ამისთვის დასავინწყებია ის მაღალზნეობრივი იდეალები, რითაც ჩვენი წინაპრები ცოცხლობდნენ და საზრდოობდნენ? ხმალ-ხანჯლისა და ურმის დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, ადამიანი კი კვლავ ადამიანად რჩება. მის არსებაში ერთმანეთს ისევ ებრძვიან ბოროტი და კეთილი სანწყისები. ამიტომაც საჭირო წარსულში დამკვიდრებული სულიერი ღირებულებების გადარჩენა. ეს ღირებულებები ყველაზე მკვეთრად ფოლკლორულ შემოქმედებაშია გამოვლენილი.



ქართული საბავშვო ფოლკლორის გამოცემებით დიდად არ ვართ განებივრებულნი. საბჭოთა პერიოდს თუ არ ჩავთვლით, ამ უკანასკნელი თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში ორადორი წიგნი დაისტამბა: 1991 წელს გიგი ხორნაშულმა შეადგინა და გამოსცა უმცროსკლასელთათვის განკუთვნილი ხალხური ლექსების კრებული „ჩიტო-გვრიტო“. ახლახან კი საერთაშორისო ასოციაციის – „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ – დაფინანსებითა და ხელშეწყობით პატარა მკითხველს მიეწოდა ახალი კრებული – „ჩიტი ღობეზე შემოჯდა“. ორივე კრებულის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის თენგიზ მირზაშვილს. ახალი კრებულის შემდგენელია მანანა ზარიძე, რედაქტორი – ეთერ თათარაიძე.

ქართული საბავშვო ფოლკლორი მდიდარი და მრავალფეროვანია. „ჩვენ ამ საგანძურიდან საბავშვო ლექსების მცირე ნაწილი ამოვკრიბეთ, – ვკითხულობთ წინათქმამში, – ... ეს ლექსები ჩვენს პატარებს თავიანთ წინაპრებთან უფრო დაახლოვებს, ფანტაზიის უნარს გაუღვივებს, შრომის, ბუნების, მამულის, ვაჟკაცობის სიყვარულს ასწავლის და, რაც მთავარია – დასამახსოვრებლადაც სახალისო და ადვილია“.

ხსენებული კრებულის პრეზენტაცია უკვე გაიმართა ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში, საქველმოქმედო ორგანიზაციებმა დიდი რაოდენობით შეიძინეს და ბავშვთა სახლებს, სკოლებს უსასყიდლოდ გადასცეს კრებულის ეგზემპლარები. ეს კი, დამერწმუნებით, დიდი და სამახსოვრო საჩუქარია მოზარდებისთვის.

კრებულში დაბეჭდილია ქართული საბავშვო ფოლკლორის საყოველთაოდ ცნობილი ნიმუშები, მაგრამ რადგანაც იგი პოპულარული გამოცემაა, ტექსტები ჟანრობრივ-თემატური პრინციპით არაა დაჯგუფებული. ეს გასაგებიცაა და გამომცემელთა მიმართ სადავო არაფერი ვკაქვს.

გამოვთქვამ რამდენიმე შენიშვნას, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი იყო წინამდებარე კრებულის გამოცემისას. ესაა სარედაქციო ხასიათის ლაფსუსები, მაგალითად, მე-8 და 22-ე გვერდებზე ერთი და იგივე ლექსია დაბეჭდილი სხვადასხვა სათაურით: „ორმოში ფეტვი ჩაყვარე“ და „ერთი თავი შემეჩვია“. რედაქტორ-გამომცემლებს ეს ლაფსუსი უნდა შეემჩნიათ და დაბეჭდვამდე გაესწორებინათ.

88-ე და 99-ე გვერდებზე დაბეჭდილ ორ სხვადასხვა ტექსტს ერთი სათაური აქვს. ეს ტექსტებია: „ვაჟკაცს რას გამოადგება“ და „ვაჟკაცსა – გული რკინისა“. ფოლკლორში ზერეღედ ჩახედული კაციც კი ადვილად შეამჩნევს, რომ ისინი სხვადასხვა საგმირო აფორიზმებია და მათი ერთი და იგივე სათაურით დაბეჭდვა გაუმართლებელია.

კრებულში შეცდომითაა განმარტებული სიტყვებიც.

1. „ტაბიკი – ურმის წინა ნაწილი, სადაც ხდება ხარების შებმა“ (გვ. 105). განსამარტავი სიტყვა ნახსენებია ლექსში „სახსნისმა თქვა“:

ჩაგვიყრიან შინდის ტაბიკს, არ გასწიო, არ იქნება...

ტაბიკი არის არა ურმის წინა ნაწილი, არამედ უღლის წინა ნაწილი. უღელში წყვილ-წყვილად ჩაუყრიან თავკომბალა, წვერებში ოდნავ წაწვეტებულ ჯოხებს. ესენია ტაბიკები. ტაბიკებზე შემოახვევენ წვრილი თოკის ნაჭერს ანუ აპეურს, რათა ხარმა თავი არ დაიძვრინოს უღლიდან.

2. არასწორადაა განმარტებული „ფურბერნი“. ეს შეცდომა გადმოსულია ქსენია სიხარულიძისა და ფიქრია ზანდუკელის მიერ 1972 წელს გამოცემული საბავშვო ფოლკლორის კრებიდან. იქ წერია: „ფურბერნი – უშობელი“ (გვ. 177). ახალი კრებულის გამომცემლებს უნდა გაეთვალისწინებინათ აღნიშნული გარემოება და აღარ დაეშვათ შეცდომა. უშობელი არის დეკეული, რომელსაც ჯერ არ უშვია, ჯერ არ მოუგია ხბო. ბერნი კი შეიძლება იყო ძროხა, რომელიც გაბერნდა – მკვდარი ხბო დაადგო, ან აღარ გაიმაკა, არ განაყოფიერდა.

3. ლექსში „ტოროლას მაინც არ მოვკლავ“ განმარტებულია მეხრე და არა ღამის მეხრე. მათ შორის კი დიდი განსხვავებაა. მეხრეა ხვნის პროცესში ხარების გამძლოლი ან მლაღავი (მრეკავი), ღამის მეხრე კი ღამით ხარების მოვებელი.

4. არასწორადაა განმარტებული სიტყვა: „ალა“. აადგა ალასა – ყირამალა გადაკოტრიალდა“. ალაზე დგომა ნიშნავს უკანა ფეხებზე დგომას, დაყუნტება ან რაიმე საგნის აყუდება სიმაღლეზე. ასეა ახსნილი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და გიგი ხორნაშულის მიერ შედგენილ კრებულშიც.

5. „ძნა – მომკილი თივის კონა“ (გვ. 29). თივას არსად არ მკიან, თივას თიბავენ, მკიან ყანას. მაშასადამე, ძნა არის მომკილი ყანის, ხორბლის, ქერის, ჭვავის ღეროების კონა. ძნა ჰქვია აგრეთვე ამ კონებისაგან აგებულ ზვინს.

ეს შენიშვნები კეთილი სურვილებითაა გამოთქმული. თუ ბავშვს თავიდანვე მცდარად შევასწავლით რომელიმე საგანს (მიუხედავად იმისა, ხმარებიდან გამოსულია იგი თუ არა) ან სიტყვას, შემდეგში გაჭირდება ამ შეცდომის გამოსწორება. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საფუძვლიანი ცოდნა გარემომცველი სინამდვილის შესახებ.

წინამდებარე კრებულის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა ჩვენი მომავალი თაობისათვის. აქ გამოთქმული შენიშვნები მის მნიშვნელობას სრულიად არ ამცირებს, პირიქით: უკეთესი გამოცემის სურვილითაა ნაკარნახევი.

თამუნა გურგენიძე მინიატურები

მთვარე გღია ჭაში და ვიღაცას უცდის

მთვარე ცაზე არაა, მაგრამ ჭაში განოლილიყო. სიბნელე, როგორც მოხუცის ბუნდოვანი თვალები და ქუჩები, მანქანის ფარებით განათებულიყო. ხალხი ვერც იმას ამჩნევდა, რომ მთვარე ცაზე არ იყო, ზოგმა ისიც გაიფიქრა „მთვარე, სულ ცაზე ხომ ვერ იქნება“.

კახეთის ერთ-ერთ სოფელში სახლი იდგა, აფთიაქარს მოგაგონებდათ. სახლში გოგონა ცხოვრობდა, რომელსაც ყოველ საღამოს ჭასთან, წყლის მოსატანად აგზავნიდნენ. ეს მისი სამორიგო დრო იყო. ამის შემყურე მთვარემ, იცით რა ქნა? ჩამოწყდა, ჭაში ჩავარდა და ჩაიბუტბუტა – ამ პატარას ჭას მაინც გაუვნათებო. მაგრამ ჭასთან მისულმა ვერც კი შეამჩნია დიდი კეთილი მთვარე, რომელიც მას უცდიდა. მთვარე მუნჯი იყო და ვერაფერი უთხრა. ნითელკაბიანმა გოგომ მთვარე ვერ დაინახა და ვერც დაინახავდა – იგი ხომ ბრმა იყო...

ოდესღაც ნითელი ხარები მწვანედ იქცევიან

– აუ, წერილები კარგა ხანია არავისთვის არ გამიგზავნიან. თუმცა არავინ არ მყავს ვის გაუფგზავნო. ციხიდან ორი თვის წინ გამოვიდა. დეპრესია ჰქონდა და პატარა ოთახი-

„გამარჯობათ, მე ვარ თამუნა გურგენიძე, 15 წლის, ვსწავლობ 10-ე კლასში. გიგზავნით ჩემს მოთხრობებს. ძალიან მინდა გამოქვეყნდეს თქვენს ჟურნალში, იმედი მაქვს მოგეწონებათ. წინასწარ გიხდით მადლობას“.

წაკითხე და გამეღიმა. თუმცა ამბიციაზე მეტად ამ ერთი ციცქნა ბიოგრაფიაში იყო რაღაც ძალიან გულღია და იმედიანი, პირდაპირ, ყოველგვარი მიკობ-მოკიბვის გარეშე საქმიანად რომ შემოგვთავაზა თანამშრომლობა.

რა თქმა უნდა, ეს არ არის მოთხრობები კლასიკური გაგებით. მეტიც, ეს არც ნოველები და მინიატურებია, ლიტმცოდნეობის ჟანრული პარამეტრებით თუ მივუდგებით.

არცთუ იშვიათად პოეზიაში გვხვდება სტრიქონები, რომლის შინაარსის გასაგებად განუელი გარჯა გულუბრყვილობაა. რადგან ამ „დაშიფრული“ სიტყვების რწევას ხშირ შემთხვევაში მუსიკის, ფერის, სურნელისა თუ სხვა შეგრძნებათა ერთობლიობის ტალღა წარმოშობს. მკითხველის ფანტაზია (თუ გუმანი?) ისევე დაუძაბავად უნდა ენდოს და მიჰყვეს დინებას, როგორც ტალღებზე გულაღმა განოლილი მოცურავე ისვენებს ხოლმე ზღვაში.

თამუნა გურგენიძის პროზა ტექსტისა და სათაურის ამ მატყყურა „შეუსაბამობებითაა“ სავსე. სწორედ მხატვრული აზროვნების ლოგიკა ამართლებს მის თხრობაში ნებისმიერ პარადოქსს. სწორედ ეს ლოგიკა გარწმუნებს, რომ გაბრაზებული ხეები გაბრაზებული კაცებით გარბიან სამშობლოდან და „ოდესღაც ნითელი ხარები მწვანედ იქცევიან“...

დან სახლი რომ ჰქვია ცხვირს არ ჰყოფდა. ბინდდებოდა. რუსთაველზე წავიდა, ალბათ გავლა უნდოდა. ერეოდა ხალხს მარტოსული ადამიანი. ქაშვეთიდან ყვითელი სათლები ეკლესიაში უხმობდა. თმა აბურძგნული სრულიად შემთხვევით ტაძარში შევიდა და კედელს მიეყრდნო. მღვდლის წირვას უსმენდა, რომელიც მტრედვით ღუღუნებდა.



გვერდზე კაცი ედგა, ანთებული სათელი მიანოდა და უთხრა პირჯვარი გადაინერეო. მერე საგალობლის ხმა გაისმა. ხმა იყო ისეთი წყლის თბილ წვეთს მოგაგონებდათ, რომელიც ყინულივით გულს გაგითბობს, გაგიღობს და თვალებიდან მარილიანი ცრემლები წაგსკდება. ცოტა ხანში წირვა დამთავრდა. ისიც ეკლესიის ეზოში ჩამოჯდა, მერე სწორედ ის კაცი მივიდა, რომელმაც სათელი მიანოდა. – ძმაო, კაცურად რა... მითხარით, დამელაპარაკეთ. მგონი რაღაც განუხებთ იქნებ დაგეხმარო. დიდი ხანი არ უსაუბრიათ. მაგრამ ბოლოს კაცმა ესე უთხრა: – ხვალ დამირეკეთ. ჩემ ნომერს მოგცემთ და რითიც შევძლებ დაგეხმარებით.

მეორე დღეს მართლაც შეხვდნენ. ახალგაცნობილთან ერთად შენობაში შევიდა და სამსახურშიც აიყვანეს.

– ოთხშაბათს რეპეტიციაზე მობრძანდით. მინდა შეგამონმო უთხრა ლოყებანითლებულმა მსუქანმა კაცმა.

ორი კვირის შემდეგ. ცირკი წარმოგიდგენთ: ჯამბაზებს, ლომებს, განვრთნილ ძაღლებსა და კატებს, მობრძანდით. ამის შემდეგ კვირაში ორჯერ, ხან დღეში სამჯერაც ნითელ ცხვირა ჯამბაზად იქცეოდა ხოლმე. ერთხელაც დაღლილი ტროლეიბუსში ავიდა. მის უკან ორი გოგო იდგა. – იცი მაგრად არ მიყვარს ეს ცირკი. – მე კიდევ მასხარები მეცოდებიან. მივბრუნდი და ვუთხარი. მე ჯამბაზი

თხრობის ამ ციდა ტერიტორიაზე მუღმივად ორი მნათობის – მზისა და მთვარის – განათების ქვეშ რომ იმყოფება, ავტორი ახერხებს მიმდინარე ცხოვრების დრამატურგიაში ხედვის კუთხე ისე შეცვალოს, როგორც გული უკარნახებს. მისი გული კი ყოველთვის ჭეშმარიტზე ჩერდება, ანუ იმაზე, რაც ჩვენს ამქვეყნიურ არსებობას აზრსა და ღირებულებას ანიჭებს.

ყველაზე ძლიერად და სრულყოფილად ეს თამუნა გურგენიძის მიერ დაწერილ „შობა“-ში გამოიხატა. ანუ იმ დროში, როცა „მარიამის მშობიარობის თბილმა საღამომ, 21-ე საუკუნის პარალელური სამყაროს 7 იანვრის დრო გადაკვეთა...“ როცა „დაიბადა ბიჭი, სახელად იესო, რომლის ძლიერმა დადებითმა ენერგეტიკულმა ტალღამ წამიერად გააჩერა სამყარო და შექმნა 21-ე საუკუნის უგრძობო ეპოქაში გრძნობები, სულები და დროს შეგრძნება. გაჩნდა დადებითი და უარყოფითი ძალები, რაც ამოძრავებს ქვეყნიერებასა და სულიერ სამყაროს. შობის საღამო თბილი და მშვიდი, როდესაც ღამე იები ფეთქავენ“.

როცა 15 წლის გოგო ღვთის მიერ ჩაფიქრებულ ამ უბრწყინვალეს სასწაულს ასე განიცდის და წერს, იგი, ცხადია, უნდა დაბეჭდო და, როგორც იმედის პური, ისე უნდა გაუყო უიმედობით დაბნეულ მკითხველს.

კეთილი ყოფილიყოს „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე თამუნა გურგენიძის დებიუტი.

მაკა ჯონსაძე

ვარ. ამ ქვეყნად ერთ-ერთი ბედნიერი ადამიანი. მითხარით თუ შეგიძლიათ – განა არსებობს ბავშვის სიცილზე უკეთესი ხმა ამ ქვეყნად?!

ტროლიბუსი გაჩერდა და ისიც ჩავიდა.

შემოდგომის მატარებელი გადის

შემოდგომა იყო ჩემს სულში. ალბათ იმიტომ ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარდა ჩემი ცხოვრებიდან უნდა წასულიყო. შემოდგომის ბოლო ყვითელი ფოთოლივით. მივეყუდე მატარებლის სადგურის კედელს და ვუყურებდი წითელ-ყვითელ ფოთლებში ჩაძირულ მწვანე, ჭაობისფერ მატარებელს, რომელმაც ელვისებური სისწრაფით გაიქროლა და ცაში აფანტა ფოთლები. დარჩა სიცარიელე, გატეხილი ფანჯარასავით და მეც წელი სვლით დავტოვე სადგური, იმის იმედით, რომ კიდევ ჩამოდგებოდა ჩემი მატარებელი.

უპატრონო გავშვივით

- იცი ჩანჩქერები სად იყინებიან?
- არა, აბა მე რავიცი.

ჩანჩქერები და მდინარეები ჩვენგან არც ისე შორს იყინებიან. იქ ძალიან ცივა და მიტოვებულ სოფელში სახლები ქეციან ძაღლებს დამსგავსებია. აღარ ისმის ბავშვის ფეხების ბაკუნის ხმა, – აი ისეთი, ხომ იცი პირველად, რომ აიღავს ფეხს და გულიანი კისკისისი. ბევრი არაფრად, რომ არ თვლის. სოფელს კარგა ხანი შავი სიხარულით აბრჭყვიალებული თვალებიც არ უნახავს, რომლებიც მხოლოდ მაშინ აბდღვიალდება პაპა შვილიშვილს ხეზე გამოზმულ პირველ მწიფე ალუბლებს ყურებზე, რომ ჩამოჰკიდებს. მერე შენც იზრდები. გადადიხარ ქალაქში და ბავშობის პირველი დღეები მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში თუ მოგაგონდება ან მოგენატრება, როგორც სოფელს ენატრება შენთან ერთად გატარებული ბავშობა. დარწმუნებული ვარ იმაშიც, როდესაც შენი ბავშობის მინაზე დაბრუნებას გადაწყვეტ შენსავით ჭალარათმიანი სოფელი ალუბლის საყურეებზე მოგიყვება, პაპამ პირველად, რომ ჩამოგკიდა ყურზე. გადის დრო და ისევ ისე გულიანად იცინიან ბავშვები, როგორც ასი ან ორასი წლის წინათ. ოღონთ იმ განწირულ სოფელში არა... სადაც ჩანჩქერები და აბობოქრებული მდინარეები ხმამაღლა გვეძახდნენ, ბოლოს კი გაიყინენ.

- მიდი გიო რა... გადაბრუნდი და დაიძინე. ზღაპარი დამთავრდა.
- იცი შენ სად არის ის სოფელი?
- ეგეთი სოფლები ბევრია.
- მოდი ვიპოვოთ რა...

შობა

21-ე საუკუნის პარალელური სამყარო 2006 წელი, სადაც არ არის ეკლესიები, წმინდანები და დაკარგულია და დაკარგულია გრძნობები. სამყაროში ქაოსია, უსიამოვნო ბგერები, რომლებიც რკინისგან გამონვეულ ხმაურს მოგა-

გონებენ. არის სამსახურები, ქალაქის და რკინის ბევრი ფული და არიან პრეზიდენტები. სამყაროში უამრავი დაქსაქსული გზაა. ისინი ლაბირინთებს წააგავენ, რომელთაც ერთი და იგივე ნერტილში მიყვავართ. ლაბირინთში მოხვედრისას ადამიანები გრძნობენ სულიერ დაღლას და ვერ პოულობენ თავიანთ დაკარგულ სულებს. ქუჩაში, რომ გახვალ, ხალხი ერთნაირად ლაპარაკობს, აცვიათ და მათთვის ყველაფერი ზედაპირულია. ამ სამყაროში არ არის უარყოფითი და დადებითი ძალები. ხალხს შეუძლია მხოლოდ მატერიალური სამყაროს, დიდი ხმაურისა და ძლიერი პრეპარატების საშუალებით მიიღონ განცდა.

2006 წლის 7 იანვარი, ჩვეულებრივი საღამო, როდესაც ხალხი სამსახურების შემდეგ იკრიბება მძიმე როკის კონცერტზე. უსულო რკინის ინსტრუმენტებისგან გამონვეული ხმაური, თვალისმომჭრელი სინათლეები და ხალხისთვის შექმნილი ხელოვნური გრძნობები. კონცერტი, სადაც სრულიად გეთიშება გონება და ხდები უჯრედებისგან შეკონინებული არსება.

7 იანვარი ჩვენთ წელთ აღრიცხვამდე. ერთ მყუდრო ქალაქში, მყუდრო ადგილას, გრძელწინწავიანი ებრაელი ქალი ბაგაში, თივაზე მიწოლილიყო. ამ ნაზ არსებას სამყაროს გადამრჩენელი უნდა ეშვა. მას გვერდით ჰყავდა მეუღლე, რომელიც თბილი თვალებით უმზერდა ცოლს. მარიამის მშობიარობის თბილმა საღამომ, 21-ე საუკუნის პარალელური სამყაროს 7 იანვრის დრო გადაკვეთა. დაიბადა ბიჭი, სახელად იესო, რომლის ძლიერმა დადებითმა ენერგეტიკულმა ტალღამ წამიერად გააჩერა სამყარო და შექმნა 21-ე საუკუნის უგრძნობ ეპოქაში გრძნობები, სულები და დროის შეგრძნება. გაჩნდა დადებითი და უარყოფითი ძალები, რაც ამოძრავებს ქვეყნიერებასა და სულიერ სამყაროს. შობის საღამო თბილი და მშვიდი, როდესაც ღამე იები ფეთქენ.

ალუბლის ქუჩაზე ალუბლები ყვავიან

ალუბლის ქუჩაზე ძალიან ცხელა. წითელი აფურის სახლები ჩამომწკრივებულიყვნენ და ერთმანეთს უღიმოდნენ. ქალები ქუჩაზე ლაყლაყა წითელი სალამანდრებით დანკაპუნობდნენ. ხოლო ცხელი უთოები ბიჭებს ალუბლისფერ შარვლებს უუთოვებდნენ. მხოლოდ ამ ძველ ალუბლის ქუჩაზე არ იდგნენ შეყვარებული ალუბლის ხეები.

როცა გელურები თბილ ქვეყნაში გაგვიფრინდებიან

ბელურები გაგვიფრინდებიან, როდესაც გაჩნდებიან ბელურისნაირი ჩიტები, რომლებსაც ბელურებს დავარქმევთ. ისინი იქნებიან სიხარულით აღსავსე, ექნებათ მოოქროსფერი ბუმბული, არ იქნებიან სულ ჩვენთან და ბელურისნაირ ამინდში გვასწავლიან ფრენას.

ნარმოიღვინე, რომ მე შენ ვარ

დღე იყო ისეთი, განურთულ სარეცხს მოგაგონებდათ. მე ვიყავი დღე, რომელსაც დამთავრება არ უნდოდა და არც ის უნდოდა, რომ ხალხს დავინყებოდა ეს დღე, რომელიც მე ვიყავი.

– იცით რა ვქენი? – ავდექი და ხალხი მთის მწვერვალზე დავაყენე, და თვალუწვდენელი სიმაღლიდან თითქულის, თავიანთი განვლილი გზა დავანახე, რომელიც მათ შეუკეთებელი ურმით განვლეს

**ედემის ბაღში
დადის ვიღაც**

ედემის ბაღში, სადაც მზე დასავლეთიდან ამოდის და აღმოსავლეთში ჩადის, ყველაფერი მიუწვდომელი მისანვლოში ხდება. ედემის ბაღში მოხვედრა ყველა ჩვენგანის სულს შეუძლია, ოღონდ ორი წუთით. ამ ბედნიერების შესაგრძობად მხოლოდ ორი წუთია საჭირო. ბაღში მოხვედრისას არ გეზადება შეკითხვები, აქ მხოლოდ ვიღაცას ეძებ, დიდი ხნის წინ დაკარგულს და როდესაც იგი თუ მისი ლანდი უნდა გამოჩნდეს, ეს ორი წუთი გადის და შენ რჩები უსაზღვრო გაუგებარ სამყაროში მარტო.

ხე ადგა და ნავიდა

ხე სიცოცხლით სავსე, უფულო და გაბრაზებული, ერთხელაც ადგა და ნავიდა საქართველოდან შორს.

**ჩვენ ყველანი
მეგობრები ვართ თუ...**

მთელი ოჯახი სასტუმრო ოთახში შეგყუყულებიყავით. მაგიდასთან, მკვეთრი განათების წინ სელინჯერს ვკითხულობდი. დედა ჩემ და-ძმას ამბავს უყვებოდა. – აქ, ჩვენთან აფთიაქი რომ არის, ხომ იცით. მალაზიაში წითურთმიანი ქალი მუშაობს. უკვე შვიდი, რვა წელიწადია იქ ზის. რომ შეხვალ ძალზედ მოკრძალებით გკითხავს რა გსურთ? გულისყურით მოგისმენთ და მართლაც კარგად აგირჩევთ სასურველ ნამალსა თუ ნივთს. ზის ხოლმე, დიდი ფანჯრის გვედით. პატარა ბლოკნოტში ყოველთვის რაღაცას წერს. ხან მხიარულია, ხან კი ძალზედ სევდიანი. მაგრამ, როდესაც აფთიაქში შეხვალ ღიმილით გიპასუხებთ. მოკლედ დედამ ასე გვიამბო.

შევედი მალაზიაში „შამპუნი“ უნდა მეყიდაო. ვიდექი ერთი ათი წუთი და ვუსმენდი რა მოწყენილი უყვებოდა თავის ამბავს ტელეფონში: – იცი ვერ ნავედი. – ძალიან მინდოდა. იცი, როგორ მიხაროდა. დღეებს ვითვლიდი, სანამ მათ ვნახავდი.

როგორც მივხვდი კლასის ბანკეტი უნდა ყოფილიყო. – მაგრამ არ ნავედი. – იცი, ორი დღის წინ ჩემმა კლასელმა დამირეკა. ძალიან გამიხარდა, ყველაფერზე ვილაპარაკეთ. ისიც მითხრა, – ხომ მოდიხარო, მე ვუპასუხე – როგორ არა. ხოდა ისიც დააყოლა – რას იცვამო? მე შევჩერდი და პატარა პაუზის შემდეგ ვუპასუხე – რაც მაქვს იმას ჩავიცმევთქო. წინომ განცვიფრებული ხმით მითხრა – შენ რაც გაქვს იმით უნდა ნამოხვიდეო? მე კიდევ ხვალ, კაბა, ფეხსაცმელი და ჩანთა უნდა ვიყიდოო. დავემშვიდობეთ. და მერე აღარ ნავედი ბანკეტზე. ისე შემრცხვა. მე ისევ ის გაცრეცილი ლურჯი კაბა უნდა გამომელო, დამებერტყა, გამეუთოვებინა

და ჩამეცვა. მე კიდევ ეს არ გავაკეთე. – ისე კი ძალიან მინდოდა.

დედაჩემი მალაზიიდან გულდანყვეტილი გამოვიდა. „შამპუნი“ მაინც არ იყიდა, ალბათ გუნება გაუფუჭდა.

**ბელურების გალოზა ქარში,
რომელიც ჩვენ არ გვიხმის**

მავთულზე ჩამომჯდარ ბელურებს ქარი ფრთებს უჩრჩავდა. როცა ქარი დაუბერავდა, იბუზებოდნენ, მერე კი სწორდებოდნენ. ვუყურებდი ესე კარგახანი, სითბოში მყოფი ადამიანი ბელურა. ვუცქერდი მათ, ფანჯრის იქით მყოფ ფრთიან არსებებს. მაგრამ ვიცოდი თუ რასაც ეტყოდნენ ადამიანს.

– „ხედავთ სინათლეა, მაგრამ სინათლეშიც არის გვირაბი და გვირაბის იქით სინათლეა“.

ყავა გადმომივიდა. გაზქურის წმენდას შევეუდექი. საღამოს კიდევ გამახსენდა ბელურები, რომლებიც გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს მაგონებდნენ.

**პაპალა, რომელიც
ჩელოზაში მარტოა**

როცა მზე მთებში, ხანდახან კი ზღვაშიც ვარდება ხოლმე და რჩება გზაბნეული ჩიტების ჭყვივილის ხმა, კიდევ მინდება, ხუთი წუთის შემდეგ ვნახო მზის ჩასვლა. და ვატრიალო მხატვრული ფილმივით, სანამ არ მომბეზრდება. ამ დროს რეალობას მოწყვეტილი ადამიანი ფეხაკრეფით მიიჩქარის მეგობართან.

- აკი ჩხუბიაო?
- ხო იცი სხვანაირად ვერ გამოგიყვანდი.

თეთრი ღღე

ღღე ჭალარა კაცს ჰგავდა. თეთრი იყო, ძალიან თეთრი. ბაზარში შევედი. იმის იმედით, რომ ფერადი სამყარო მეხილა. იქ ხომ იცით, რაც ხდება. ყველანაირი ფერად-ფერადი „ბარახლო“ აქვთ გამოტანილი. გულს უხარია ხოლმე და იმიტომ დავდივარ. პატარა ბავშვების ფეხსაცმელების, პლასმასის სათამაშოებისა და ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა თმის-სამაგრების დათვალიერება მიყვარს.

როცა ბარახლოთა სამყაროში შევაბიჯე, იქაც ყველაფერი გათეთრებული დამხვდა. ზამთრის საზამთროები გამოეტანათ. კომბოსტოს გორების უკან მოღრეცილქუდიანი გამყიდველები მოჩანდნენ. ხალხი ირეოდა, როგორც ყოველთვის. მე კი მოთეთრო მოცისფერო ცას ვუყურებდი, მთის ტონში რომ გადადიოდა. ვიდექი თეთრი გორის გვერდით. მოხუცი კუზიანი ქალი შეენიშნე. დაჭმუჭნულ ხელისგულში სამოცდახუთი თეთრი ეჭირა და დაბლა იცქირებოდა. ერთი მოცუცქნული ყუთი იდგა და კაკლის ხელა დაჭიანჭული ვაშლები ეყარა. მერე კიდევ შევხედე მას. ამაყი იყო და შევაჭრება არ უნდოდა. მერე ბოლოს კუჭიც ასტკივდა და ტვინიც. ხუთი ვაშლი ოცდახუთ თეთრად იყიდა. ჩანჩალ-ჩანჩალით ნავიდა, ერთი ვაშლი ამოიღო და ძლივს ჩაკმიწა. ცოტა ხანში მეც გაუფუდექი ჩემს გზას გახარებული. იმიტომ, რომ თეთრ სამყაროში ნითელი ვაშლები მოხუცმა მაპოვნინა.

ეკა ბუჯიაშვილი

ქართული გზებით მსოფლიოსაკენ

ყველაფერი ჰობით დაიწყო.

სწორედ ასე ამბობს ტურისტული კომპანიის „ინტერკონტინენტალის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნინო მახვილაძე. მოგზაურობაზე შეყვარებულს უფიქრია, რომ კარგი იქნებოდა თუკი ამ სიაზონებზე სხვებსაც მიანიჭებდა. სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს მეგობრები შემოუკრებია და პირველი ჯგუფური სამოგზაურო ტურნეც მათთან ერთად დაუგეგმავს. პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. თურმე პირველი ნაბიჯი იყო ბიზნესისაკენ. ასე დაიწყო საქმე, რომლის გამოც პროფესია მიატოვა და მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელმა მთელი ძალისხმევა ახალი პროექტისაკენ მიმართა. ამ დღეებში კი, უკვე სახელმწიფო ტურისტული კომპანია „ინტერკონტინენტალი“ რესტორან „თუსაიდიში“ თხუთმეტი წლის იუბილეს ზეიმობდა. მსოფლიოს წამყვანი ტურისტული ფირმების პარტნიორი მიღწეულ წარმატებებს ამ დღეს სტუმრებთან ერთად ითვლიდა.

– ჩვენი მიზანია კონკურენტუნარიანი სერვისის უზრუნველყოფა და მომხმარებლისათვის ჩვენი ბაზრისათვის მისაღები ფასების მიწოდება, – ამბობს ქალბატონი ნინო.

– როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი კომპანიის წარმატების საფუძველი?

– ალბათ კეთილსინდისიერება, როგორც კლიენტთან, ასევე პარტნიორ კომპანიებთან მიმართებაში.

– ტურიზმი შედარებით ახალი ბიზნესია საქართველოში. უთუოდ პრობლემაც ბევრი არსებობს...

– პრობლემები ძირითადად საკონსულტაციო გვაქვს. დღეს საქართველოს მოქალაქისათვის ვიზის მიღება სხვა ქვეყანაში გასასვლელად ძალზე რთულია. თუმცა, ჩვენ საკუთარ ვალდებულებებს პირნათლად ვასრულებთ. ამით საკონსულტაციის ნდობაც მოვიპოვეთ და ჩვენი ტურისტებისათვის ეს პროცესი შედარებით გამარტივებულია.

– თქვენ საინტერესო გეგმებიც ახსენეთ...

– ნელს დავინყეთ მუშაობა შიდა ტურიზმზე. ვფიქრობთ საინტერესო პროექტი იქნება. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში გაიზარდა უცხოელთა ინტერესი საქართველოს მიმართ და მათი შემოსავლის გამოც გვიკავშირდებიან. მაღე ალბათ ამ მიმართულებითაც დავინყებთ მუშაობას. გვინდა მოგზაურობის სიამოვნება ყველამ განიცადოს. ეს ხომ ახალი ცოდნაა, ახალი სამყაროს აღმოჩენაა, ახლებური განცდებია... ასე მნიშვნელოვანი და საჭირო თითოეული ჩვენგანისათვის...

პარიზის ერთ მყუდრო კაფეში იჯდა.

ალბათ ფინჯან ყავასაც წრუპავდა.

გარეთ ჩვეული ხმაურით სუნთქავდა XX საუკუნის ევროპა.

შიგნით თამბაქოს კვამლითა და ყავის სურნელით გაჯერებული, რალაცნაირად მისტიკურ სამყაროსთან განმარტოებულ იყო მწერალი.

მოგვიანებით ჰემინგუეის ეს მოთხრობები პარიზულ ციკლში გაერთიანდება.

ევროპული შთაბეჭდილებები კი გამორჩეულ კვალს დააჩნევს მის შემოქმედებას...

ჰემინგუეი რალამ გამახსენა?

ან ეს წარმოსახვითი სურათიც, ნეტავ, რატომ წამოსძალებია გონებას?

ამაზე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი:



ნინო მახვილაძე

უკრავს „რაით საიდ ჯაზბენდი“.

იკრიბებიან იუბილეს სტუმრები. მე კი სწორედ მათთან გასაუბრებას ვცდილობ.

რობერტ უზნაძე. ბრიტანული ავიახაზები. გაყიდვების მენეჯერის მოადგილე:

„ინტერკონტინენტალი რამდენიმე წლის წინათ აღმოვაჩინე. ვფიქრობ, ამ კომპანიამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, რაც უთუოდ სწორი მარკეტინგული მიდგომის შედეგია. ეს ბაზარი საქართველოში შედარებით ახალია და ამ სფეროში არსებული პრობლემების გამო არათუ დამკვიდრება, გზის გაკვალვაც ძნელია. „ინტერკონტინენტალი“ კი ეს შეძლო, რადგან აქ პროფესიონალები მუშაობენ. ისინი კარგად ართმევენ თავს ყველა სიახლეს ტურიზმის სფეროში, რაც კარგ მენეჯმენტზეც მიგვანიშნებს.“

თამარ ვარდიანი, ავსტრიის ავიახაზები. ასისტენტი გაყიდვების დარგში:

„დიდი ხანია „ინტერკონტინენტალთან“ ვთანამშრომლობ. ეს ურთიერთობა ჩვენთვის, საქმესთან ერთად, პატივიც არის და ბიზნესინტერესიც, რადგან საქმე პროფესიონალებთან გვაქვს. ჩვენი ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ეს კომპანია საიმედო პარტნიორია და კონტაქტების გაღრმავებასაც ვგეგმავთ.“

ჯაზურ კომპოზიციებს ასრულებს თათია ხაბურძანია.

ამ რითმებს აჰყვება მოცეკვავე კახა ხოშტარია.

სალამოს ლათინური ცეკვებით შეუერთდება მაესტრო მორისი.

ქალბატონი ნინო მაღლობას გადაუხდის პარტნიორ კომპანიებს: ავსტრიისა და ბრიტანეთის ავიახაზებს; კომპანიას „იუჯიტიის“; ევროპის ქვეყნების საკონსულტაციო საქართველოში; საერთაშორისო ორგანიზაციის „ამადუესის“ წარმომადგენლობას ჩვენს ქვეყანაში; სადაზღვაო კომპანიას „ბი-სი-აის“; ტურიზმის დეპარტამენტს...

სალამოს წამყვანი ნიკა ლომიძე კი „ინტერკონტინენტალის“ ერთგულ კლიენტებს გადასცემს კომპანიის პრიზებს – თხუთმეტპროცენტის ფასდაკლების ბარათებს. მათ შორის ყველაზე გამორჩეული ქეთი თოდუა კი იტალიის საგზურით დაჯილდოვდება.

მე კი ახლა ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გივი ყუფარაძეს ვესაუბრები:

– „ინტერკონტინენტალი“ საკმაოდ წარმატებული კომპანიაა, ჩვენს კავშირებს მასთან, ისევე, როგორც სხვა ტურისტულ ფირმებთან, ერთი საფუძველი აქვს – სახელმწიფოც და კერძო სექტორიც საერთო ძალისხმევით ვცდილობთ ტურიზ-

მის განვითარებას საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ გაყვანის ტურიზმი სახელმწიფო პრიორიტეტი არ არის, მაინც მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ამ მიმართულებით წარმატება ქვეყანაში შეძლებული ფენის გაჩენაზე მიუთითებს.

– ამ ბოლო ხანს ტურიზმზე საუბრობენ როგორც მნიშვნელოვან სახელმწიფო პოლიტიკაზეც...

– ამ ეტაპზე ძირითადი აქცენტი შემოყვანის ტურიზმზეა გადატანილი, ამიტომ გამარტივებულია საკანონმდებლო ბაზა – ცალმხრივად გაუქმებულია ვიზები ევროკავშირთან, ქვეყანაში შემოსვლა აღარ იბეგრება დღე-თი... არსებობს ლუქსემბურგის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს უფლება-ვალდებულებების განსაზღვრას ტურისტსა და ტურისტულ კომპანიას შორის. ეს კანონი ერთი მოსმენით მიღებულია, გარკვეული ცვლილებები მომხმარებლის უფლებების შესახებ კანონშიც შევიტანეთ. შესაძლოა კორექტივები ტურიზმის შესახებ კანონშიც დაგვჭირდეს. ეს აუცილებელია, რათა როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე დაცული იყოს. ამ ვალდებულებებს კარგად ართმევს თავს „ინტერკონტინენტალი“, სხვაგვარად ის ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა.

საიუბილეო საღამო აზარტში შედის. დარბაზი ივსება მუსიკის რიტმებით.

ამ კედლებს მიღმა XXI საუკუნის სამყარო სუნთქავს. ვსვამთ ქართული ველების სადღეგრძელოს... და, აი, სწორედ მაშინ მასხენდება ჰემინგუეი (... და არა მარტო!).

ის პარიზის ერთ-ერთ კაფეში წერდა თავის რამდენიმე მოთხრობას.

ლევ ტოლსტოი კავკასიური მოგზაურობებიდან და „კავკასიური მოთხრობების“ დაწერიდან 42 წლის შემდეგ კვლავ მიუბრუნდება ამ წარუშლელ შთაბეჭდილებებს. ასე შეიქმნება მისი „ჰაჯი მურატი“.

მოგზაურობები იქცა შთაგონების წყაროდ ალექსანდრე დიუმასათვის.

კონსტანტინე გამსახურდია ევროპის დიდ ქალაქებში გაშლიდა „დიონისოს ლიმოლის“ სიუჟეტს – ცდილობდა ასე დაეკავშირებინა ევროპა საქართველოსთან, ქართველის თვალთ დაენახა თანამედროვე დასავლეთი...

რომელი ერთი გავიხსენოთ...

... და სწორედ მაშინ, როცა ქართული ველების სადღეგრძელოს ვსვამდით, ვფიქრობდით იმ დაღმინებულ საქართველოზეც, რომლის ყველა მოქალაქეს შეეძლება ნახოს სამშობლოს მიღმა არსებული სამყარო...

იუბილარსაც ასეთ საქართველოს ვუსურვებთ...

ვინ იცის, რამდენი მთვლემარე მუზა გაიღვიძებდა...

გამოცხადება

გიორგი გამსახურდია

განსვენებული ფიქრი

მაია სარიშვილის რადიოპიესა „ჭიამაიების ოჯახი“, რომელიც გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ წლებიდან მე-2 ნომერში უკვე დაიდგა საქართველოს რადიოში. პრემიერის დღე 15 აპრილი. რეჟისორი ზურაბ კანდელაკი, ხმის რეჟისორი გიორგი ცაგარეიშვილი. მონაწილეობენ მსახიობები: გიზო სიხარულიძე, ზაზა ლუბანიძე, ნიკა წერეთლიანი, ლილი ხურიანი, ნანა ხურიანი, სანდრო ჯანგირაშვილი და დათო ველიჯანაშვილი.

რაც უფრო ნაყოფიერია პატიოსნების ხეზე ამოსული ტოტი, მით მეტად ხვდება საბერტყი ფოხი, მით მეტად იღვინება. იღვინება და გაისად უფრო ნორჩი და თამამი ტოტი ამოდის მის ალაგას, მერე ისიც მძლავრდება და ერთიორად ნაყოფიერი ხდება ხოლმე წინამორბედზე. უნაყოფო ტოტი კი არის თავისთვის, არც არავინ დაბერტყავს და არც არავის დასჭირდება. ბოლოს მობერდება კაცსაც უფუნქციო, გამხმარი ტოტის ცქერა და შეშად იხმარს. ეგაა და ეგ, მისი ნვაცა და ცხოვნებაც. აკაკი ბაქრაძისეული განაჩენიც ხომ მიძიმეა პასიური პატიოსნებისთვის, რიგ შემთხვევაში ბოროტების სამსახურშიც ჩადგება ხოლმე გაუცნობიერებლად. ნაყოფიერება

კი მხოლოდ აქტიური პატიოსნების თვისებაა, ხშირად მოხვდება საბერტყი ფოხი ასეთ ტოტს მიტომ. მეტი ნაყოფი მეტ მსხვერვეს ნიშნავს. იქნებ ცხოვრებაც საბერტყი ფოხია, მკაცრი და უღმობელი, თუმცა არის ამ მოქმევაში კანონზომიერებაც, გარდუვალობა მსხვერპლშენივრისა. და წამოიძახებს ლამაზიჩელიც შორს, ესპანეთში: „მადლიერებაც მკვდარია, თუ იგი მხოლოდ სურვილად რჩება, როგორც მკვდარია სარწმუნოება თვინიერ საქმისა“.

მაია სარიშვილის პიესაში „ჭიამაიების ოჯახი“, აფორიამა ქებული მოხუცი ალექსანდრე შუალამისას გადის სახლიდან. გათოვდაო, ტაქსის მძღოლმა, მაგრამ ვერ ხედავს თოვლს ფიზიკოსი, თხლად აცვია და ვერ გრძნობს სიცივეს, რადგან მთავარი მისთვის მოვალეობაა, რომელიც არასოდეს დავიწყნია. ახლა მოქმედებაა საჭირო, გოგონა ითხოვს შველას. უნდა იჩქაროს ალექსანდრემ და რას დაეძებს უკოსტუმობას, ანდა ფანტელებს?.. ვინ იცის, იქნებ ბოლო დროის უმნიშვნელოვანესი დღეც კი დგას მის ცხოვრებაში? როგორ გაუჭირდებოდა სხვა შემთხვევაში გრძელცხვირა და ბევრბეჭდიანი გამყიდველებისთვის ორი ლარის თხოვნა, მხოლოდ დღეს არა, ახლა არ არის ამაზე ფიქრის დრო.

ბევრი უშრომია ალექსანდრეს, წიგნებიც უწერია და ან უკვე, როცა ველარაფერს აკეთებს, მიცვალებულებს აგონებს საკუთარი წიგნები. სზარავს ნაღვანის უფუნქციობა ავტორს. ისე, მკითხველსაც როგორ დაწყდება ხოლმე გული მწერლის მაგიერ, უეცრად ხელში ჩაგარდნილ წიგნში, ერთიმეორეზე მიწებებულ ფურცლებს რომ ნახავს. გამომცემელი იუნწყება, რომ ათ წელზე მეტია ეს წიგნი გამოსულა, მაგრამ არავის უფიქრია ფურცელთა განცალკევება, რადგან ჯერ არავინ მისულა ამ გვერდებამდე... ავტორს კი რამდენი უწვალა, უთენებია, რისთვის?

ზის ფიზიკოსი ტაქსში და იცის, ქვეყნად უმთავრესი ფორმულა – ადამიანი ადამიანისთვის რომ არის. რა თქმა უნდა, მძღოლისა და გამყიდველთა თვალში, უსუსური და დაბნეული

ჩანს მოხუცი და სასაცილოდაც გამოიყურება, მაგრამ თუკი საქმე დროით გამოიცდება, ხოლო დროის გამოცდას მხოლოდ ძლიერი უძლებენ, მაშინ მისი გარჯა ძლიერი პიროვნების ქმედებაა და არა უსუსურისა. პიესაში, სწორედ ზნეკეთილი ფიზიკოსის მართალი და უმანკო ხედვაა მთავარი ქარგა. ის არ იკარგება და საბოლოოდ პატარა ბავშვებში განსხეულდება. ბავშვებიც თითქოს ამ თვალთ შეხედავენ ჭიამაიებს, ალექსანდრეს სათვალე გაუდიდებს თვალსანიერს და კაცმა არ იცის ვისი მემკვიდრენი უფრო არიან, ბიოლოგიური მამის თუ მოხუცი ფიზიკოსის. აქ მონათესავე, უმანკო სულთა კავშირი ჩანს და თუ გნებავთ, იდეათა პარალელიზმიც.

უნდა ითქვას, რომ პიესაში არსებული პერსონაჟები, ძალზედ ბუნებრივნი ჩანან. გამყიდველთა საუბარი და გრძელცხვირის ამომთქნარება, ტაქსის მძღოლის მიერ ბედის უკუღმართობის ჯადოზე გადაბრალება, იმდენად დამაჯრებელია, რომ ვფიქრობ, თითო ასეთ პიროვნებას ყოველი მკითხველი გაიხსენებს საკუთარი ცხოვრებიდან. მათი ხასიათი ზედმინევიანით ზუსტად არის ნაპოვნი. გაცივებულა ურთიერთობა იმგვარად, როგორც ცივიც არის გარემო. ჩაურევლობა უშველებელი ფანტელივით ეცემა გულანთებული კაცის თავზე.

ერთი ტკივილიც ახლავს მოხუცის ყოფას, შვილი არ მიუცია გამჩენს. პირი შეუკრავთ მას და მეუღლეს, აღარასოდეს შეხებოდნენ ამ თემას. უცხო გოგონა შეხვედრია ალექსანდრეს ავტობუსში და ჩაუხატავს ტელეფონების ბლოკნოტში მეუღლე, ის გოგო და საკუთარი თავი. სურათისთვის „ჩვენ“ დაურქმევია და დაუხურავს ბლოკნოტი ოცნებაში წასულს.

ის გოგო კვდება ახლა. მამაშვილურად შეიცხადებს ალექსანდრე: „რა უნდოდა შუალამისას ქუჩაში? რა დაელენა

ნეტა? სახე? ნეკები? მკლავები?..“ ვერცხლის ციყვი ახსენდება გოგონას პალტოს საყელოზე შეხნეული. იქნებ დამცინავადაც უყურებდა ავტობუსში მჯდარი ქალიშვილი ფიზიკოსს? მაგრამ მოხუცისათვის ირონია, თუ აგდებული სიტყვა, უმნიშვნელო რამ არის და ესეც მის დიდბუნებოვნებაზე მეტყველებს. ალბათ, თოვლში ნაპოვნ ვერცხლის ციყვს თავის დას დაუბნევს ბალიშზე იმ მთვრალი ბიჭებიდან ყველაზე კარგი ბიჭი. სათვალეც გაახსენდება, ტაქსში რომ დარჩა. „მაგრამ არა უშავს, მიუტანს მძლოლი შვილებს და გაერთობიან ბავშვები“.

ასე ფიქრობს ბოლოს ალექსანდრე. თურმე აღსასრული მოსულა. სიცივეს აუტანია, თავად გადასარჩენი შექმნილა. ვეღარ უშველეს... გოგო კი უკეთ გამხდარა...

„როცა ადამიანი კვდება, მისი ნილი ფიქრიცა კვდება, რამდენი ფიქრი განისვენებს ახალ დედამინის გულმკერდში უხმოდ და უსიტყვოდ“. გული წყდებოდა ვაჟა-ფშაველას ადამიანის დამარხულ ფიქრზედ, ნისლსაც რომ მთების ფიქრად ხედავდა. წავიდა ალექსანდრე და მისი ნილი ფიქრიც წაიღო, ტკივილიც თან გაიყოლა.

იქნებ ხის ტოტი დაღწილია? მაგრამ ჩამოვარდნილა ნაყოფიც, დაწრეტილა თოვლიც. დგას პატიოსნების ხე და ახალ გაზაფხულს ელოდება, ახალ ამოფრქვევას და აკვირტებას.

მერე კი, იქვე, ეზო აბიბინდება. პატარები სათვალის შუშიდან დიდად დაინახავენ ჭიამაიების ოჯახს. სადღაც მიდიან დედა, მამა და შვილი, ალტაცებით შესძახებენ. სულ პატარა ჭიამაიას დედაც ნაპოვნი ჰყავს და მამაც. ამიტომ, აღარ შეპირდებიან მას შუშამომარჯვებულნი არავის პოვნას, მაგრამ ერთი კი ნამდვილად უნდა ანიშნოს ჭიამაიამ ბავშვებს, რადგან მხოლოდ მან უწყის, როგორი ამინდი იქნება ხვალ.

ქრონიკა

პულიცარის პრემია

ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე პრესტიჟული ჯილდო ლიტერატურაში 17 აპრილი, 2006

პროზა – **ჯერალდინ ბრუკსის „მარჩი“**; რომანის მთავარი გმირია ჯონ მარჩი; ეს პერსონაჟი ლუიზა მეი ოლკოტის წიგნიდანაა, „პატარა ქალი“, მაგრამ რომანში არ ჩანს, იხსენიება როგორც პერსონაჟის მამა. ბრუკსის რომანში, მარჩი, იდეალისტი სამხედრო კაპელანია და თავისი თანამებრძოლი, იუნიონისტი ჯარისკაცების ბარბაროსობასა და რასიზმს იწვევს, სამოქალაქო ომის დროს. წიგნის დასაწერად ბრუკსმა ოლკოტის მამის, ბრენსონ ოლკოტის, რაღაც უოლდო ემერსონისა და ჰენრი დევიდ ტოროს მეგობრის, დლიურები და წერილები შეისწავლა. წიგნის დაწერის იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც 1990-იან წლებში ვირჯინიის შტატში, სოფლად დასახლდა და პირისპირ შეეჩეხა სამოქალაქო ომის ისტორიასა და მოგონებებს.

დოკუმენტური პროზა – **ქეროლან ელკინსის „იმპერიული გამონათვალა: უცნობი ისტორია ბრიტანული გულაგისა კენიაში“**. ელკინსი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. იგი ათი წლის მანძილზე სწავლობდა ათასობით კენიელის ნამებისა და მკვლელობის ისტორიას, 1950 წელს, ბრიტანეთის მთავრობის მიერ მოწყობილ ბანაკებში. იგი ათასობით ადამიანს შეხვდა და მიაკვლია მანამდე უცნობ დოკუმენტებს, თუ მაუ მალს ამბოხების ჩასახშობად როგორ დააპატიმრეს მთელი კიკუიუს ტომი, ყველაზე მრავალრიცხოვანი, კენიაში არსებულ ეთნიკურ უმცირესობათაგან და როგორ სცემდნენ და აწამებდნენ მათ.

ბიოგრაფიული პროზა – **„ამერიკელი პრომეთეოსი: ჯ. რობერტ ოპენჰაიმერის ტრიუმფი და ტრაგედია“**, ავტორები: კეი

ბერდი და მარტინ ჯ. შერვინი. ამერიკელი ფიზიკოსის, ატომური ბომბის მამის, ოპენჰაიმერის, ბიოგრაფიის დასაწერად, ავტორებმა, 25 წლის მანძილზე, გამოიკვლიეს ათასობით წერილი, გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩანაწერები და ესაუბრნენ ოპენჰაიმერის ასობით მეგობარს, ნათესავსა და კოლეგას.

ისტორია – **დევიდ მ. ოშინსკის „პოლიო: ამერიკული ამბავი“**. ოშინსკი ტენესის უნივერსიტეტის პროფესორია. მან უამრავი ხელნაწერის შესწავლის შედეგად, გააცოცხლა 1940-50 წლების ისტორია, პოლიომიელიტის გავრცელების ამერიკაში. წიგნი ნაწვენებია ვაქცინების შექმნის პერიპეტიები და პოლიომიელიტის გავრცელების ამბები დედამინის განცალკევებულ ადგილებში. მიუხედავად ფართოდ გავრცელებული შიშისა, ოშინსკი ასაბუთებს, რომ პოლიო არ არის ყველგან მოდებული და მის მიერ მიყენებული ზარალი, განსაკუთრებით ამერიკის გარეუბნებისათვის, დიდად გაზვიადებულია.

პოეზია – **კლაუდია ემერსონის „ყოფილი ცოლი“**. ამ კრებულის მთავარი თემა ქალის უიღბლო ქორწინების, განქორწინების და ხელმეორედ გათხოვების შედეგად აღძრული განცდებია; იგი მეორე ცოლია კაცისა, ვისაც პირველი ცოლი კიბოთი დაეღუპა. „სამი წელია ამ სახლში ცხოვრობ / ისეთივეა, როგორც მის სიკვდილამდე; შენი საქორწინო / სურათი ბუხრის თავზე დევს, მისი ტანსაცმელი ჰკიდია / კარადაში, მისი თმა ჯერ კიდევ შერჩენია სავარცხელს.“

იუკიო მისიმა

პატრიოტიზმი

1936 წლის ოცდარვა თებერვალს, ცნობილი მოვლენებიდან მესამე დღეს გვარდიის სატრანსპორტო ბატალიონის პორუჩიკმა სინძი ტაკეიამამ, შეძრულმა ცნობით, რომ მისი უახლოესი მეგობრები შეთქმულთა შორის აღმოჩნდნენ და თვითონ აჯანყების ჩახშობა მოუწევდა, თავისი სახლის ერთ-ერთ ოთახში ხმლით ჰარაკირი გაიკეთა; მისმა მეუღლემ რეიკომ საყვარელი ქმრის მაგალითს მიჰბაძა და მანაც თავი მოიკლა. პორუჩიკის გამოსამშვიდობებელ ბარათში ერთადერთი ფრაზა ეწერა: „გაუმარჯოს იმპერატორის არმიას!“ ცოლმაც დატოვა წერილი, სადაც მშობლებისგან პატიებას ითხოვდა იმის გამო, რომ მათზე ადრე ეთხოვებოდა სიცოცხლეს, და ამთავრებდა სიტყვებით: „ის დღე დადგა, რომლისთვისაც მზად უნდა იყოს ოფიცრის ცოლი“. მამაცი წყვილის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები ისეთი იყო, რომ ყველაზე ქვის გულსაც კი შეძრავდა. პორუჩიკს ოცდათერთმეტი წელი შეუსრულდა, რეიკოს – ოცდასამი. მათი ქორწილიდან ნახევარი წელიც არ გასულიყო.

ისინი, ვინც მათ ქორწინებას ესწრებოდა ან მათ საქორწინო ფოტოსურათს უყურებდა, აღფრთოვანებულნი რჩებოდნენ ახალგაზრდა წყვილის სილამაზით. მას შემდეგ, რაც ცოლ-ქმარმა თავი მოიკლა, ისინი, ვინც მათ ფოტოსურათს დახედავდა, ღრმად ამოიხრებდნენ და აღნიშნავდნენ, ერთი შეხედვით იდეალურ კავშირს ყოველთვის უბედურება მოაქვსო. სურათის შემხედვარეს კი გეჩვენებოდა, რომ ახალგაზრდები ნათელი თვალებით საკუთარ მალე სიკვდილს ხედავდნენ.

ახალდაქორწინებულები დასახლდნენ სახლში, რომელსაც პატარა ბალი ეკრა. ვინაიდან სამშობლოს მძიმე დღეები ედგა, საქორწინო მოგზაურობაზე უარი თქვეს. პირველი ღამეც ახალ სახლში გაატარეს. ვიდრე საწოლში ჩანვებოდნენ, პორუჩიკმა მუხლებზე გაშიშვლებული ხმალი დაიდო და რეიკოს წინაშე მოკლე სიტყვა წარმოთქვა. ოფიცრის ცოლი, უთხრა მან, ყოველთვის მზად უნდა იყოს, ქმარი დამელუპებო. შეიძლება ეს ზეგ მოხდეს. „ხომ არ შედრკები, როცა საბედისწერო დღე დადგება?“ ჰკითხა. რეიკო წამოდგა, გამოალო კარადის უჯრა, საიდანაც თავისი მზითვიდან ყველაზე ძვირფასი ნივთი, ხანჯალი ამოიღო, რომელიც დედამ აჩუქა. როგორც ქმარმა, რეიკომაც მდუმარედ დაიდო გაშიშვლებული ხანჯალი მუხლებზე. ცოლ-ქმარს შორის უსიტყვო ხელშეკრულება დაიდო.

ქორწინებიდან რამდენიმე თვეში რეიკოს სილამაზე უფრო გაბრწყინდა. ორივე ახალგაზრდა გახლდათ და მათი ვნება არა ცხრებოდა. არამარტო ღამით ტკბებოდნენ სიყვარულით – ხშირად, სამსახურიდან დაბრუნებული პორუჩიკი დამტვერილი მუნდირის გახდასაც ვერ ასწრებდა, ისე უნდოდა ახალგაზრდა ცოლს ჩახუტებოდა. რეიკოც არანაკლები ვნებით პასუხობდა. ქორწინების პირველსავე თვეს შეიგრძნო განუსაზღვრელი ნეტარება

და, ეს რომ იცოდა, პორუჩიკის სისარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რეიკოს მშვენიერი, თეთრი სხეული, მისი მკვრივი, ხელშეუხებელი მკერდი, სიყვარულს ერთხელ მინდობილი, გრძნობის ცეცხლით აინთო. ახალგაზრდები ერთმანეთს საშიში სერიოზულობით ეფერებოდნენ, რომელიც ნეტარების უმაღლეს მწვერვალზეც არა ტოვებდათ.

საქმით გადატვირთული, დასვენების მოკლე წუთების დროს, პორუჩიკი ცოლზე ფიქრობდა; შინ მარტო დარჩენილ რეიკოს თვალწინ საყვარელი ადამიანის სახე ედგა. რეიკო უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი ბედნიერება სიზმარი არ იყო. არც ის ეჩვენებოდა უცნაურად, რომ სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ უცხო მამაკაცი ის მზე გახდა, რომელმაც მისი სამყარო გაანათა.

ცოლ-ქმრის ურთიერთობა ღრმა, ზნეობრივ საფუძველს ეყრდნობოდა – იმპერატორის დანებებული კანონით „ქმარი და ცოლი სრულ ჰარმონიაში უნდა ცხოვრობდნენ“. მცირე უთანხმოებაც არასოდეს მოსვლიათ.

პორუჩიკის სახლი ბეჭდის მცველი-მინისტრის საიტოს* სოფლის მახლობლად იდგა, მაგრამ 26 თებერვლის დილას ცოლ-ქმარს სროლის ხმა არ გაუგიათ. ტრაგიკული ეპიზოდი სულ რაღაც ათი წუთი გაგრძელდა და პორუჩიკი სროლამ კი არა, განგაშის ხმამ გააღვიძა. ოფიცერი სასწრაფოდ წამოხტა საწოლიდან, მდუმარედ ჩაიცვა ფორმა, ხელი დასტაცა ხმალს, რომელიც ცოლმა მიანწოდა და ჩაბნელებულ ქუჩაში გავარდა. 28 რიცხვის საღამომდე რეიკოს ის აღარ უნახავს. მხოლოდ რადიოდან შეიტყო მომხდარის შესახებ, ორი დღე სრულ მარტოობაში გაატარა.

ქმრის სახეზე სიკვდილის გადაწყვეტილება ამოიკითხა. თუ იგი ცოცხალი არ დაბრუნდებოდა, რეიკო მზად იყო გაჰყოლოდა. მან აუჩქარებლად დაიწყო თავისი ნივთების მონესრიგება. გამოსასვლელი კიბონები თავისი სკოლის მეგობრებისთვის გადადო საჩუქრად, გაახვია და თითოეულს სახელი და მისამართიც დაანწერა. ქმარი ასწავლიდა, ხვალისდელ დღეზე არ იფიქროო, და ამიტომ დღიურს არ წერდა და ამით ის სიამოვნება მოაკლდა, უკანასკნელი თვეების ბედნიერი მოგონებები გადაეკითხა და ფურცელ-ფურცელ დაენვა. რადიომიმლების გვერდით რეიკოს პატარა კოლექცია ენყო: ფაიფურის ძაღლი, კურდღელი, თხუნელა, დათვი, მელა და ლარნაკი. ახალგაზრდა ქალმა გაიფიქრა, რომ ეს ნივთები სამახსოვრო სუვენირებად არ გამოდგებოდა. იმის თხოვნაც უხერხული იქნებოდა, კუბოში ჩაეტანებინათ. რეიკოს მოეჩვენა, ფაიფურის ცხოველების სახეები საბრალოდ იმანჭებინაო.

თხუნელა აიღო, მაგრამ ფიქრით თავისი ბავშვური გატაცებიდან შორს იყო; მზერით დიადი არსის თვალისმომჭრელ ნათებას ხედავდა, რომლის განსახიერებაც მი-



* მაკოტო საიტო (1858-1936) – ყოფილი პრემიერ-მინისტრი, შეთქმულებმა აჯანყების პირველსავე დღეს მოკლეს.

სი ქმარი იყო. მზად გახლდათ სიკვდილის შესახვედრად, მაგრამ ჯერ კიდევ ჰქონდა რამდენიმე საათი, იგი ივსებოდა მწველი ვნებით, ბედნიერების მოუთმენელი შეგრძნებით... სიკვდილი, რომელიც სულ აქვე დაფრინავდა, რეიკოს არ აშინებდა. მას მტკიცედ სწამდა: ყველაფერი ის, რასაც ფიქრობს და გრძნობს, აახლოებს იმ ნეტარებასთან, რომელსაც „სიკვდილი“ ჰქვია.

ახალი ამბებიდან რეიკომ შეიტყო, რომ შეთქმულთა შორის მისი ქმრის საუკეთესო მეგობრებიც ერივნენ. ამ ცნობამ უკანასკნელი ეჭვიც გააქარწყლა. რეიკო მოუთმენლად ელოდა იმპერატორის რესკრიპტს, რადგან ხედავდა, რომ ამბობს, რომელსაც ადრე „ნაციონალური აღორძინების მოძრაობას“ უწოდებდნენ, ნელ-ნელა სამარცხვინო დალი „აჯანყება“ მიენება. ქალაქი ყოველ წუთს სამხედრო მოქმედებას ელოდა.

ოცდარვა თებერვლის საღამოს შეშინებულ რეიკოს კარზე კაკუნნი მოესმა. აკანკალებული ხელებით გახსნა კლიტი. შინელითა და ტალახიანი ჩექმებით შემოაბიჯა ქმარმა შინ და კარი გასაღებით ჩაკეტა. რეიკომ ამ შესტის მნიშვნელობა თავიდან ვერც გაიგო.

წვერმოშვებული ქმრის სახე რეიკოს უცხოდ მოეჩვენა. ლოყები ჩავარდნილი და გაშავებული ჰქონდა. ჩვეულებრივ, სამსახურიდან კარგ გუნებაზე დაბრუნებული, ჯერ ფორმას გამოიცვლიდა და დაუყოვნებლივ ვახშამს ითხოვდა. დღეს პორუჩიკი მაგიდას ფორმით მიუჯდა და თავი ჩაქინდრა.

ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ კი წარმოთქვა:

– არაფერი არ ვიცოდი. მათ არ მითხრეს. ალბათ იმიტომ, რომ ახლახანს დავქორწინდი. იქ კანო, ხომა და იამაგუტი არიან...

რეიკომ ცხადად დაინახა ახალგაზრდა ოფიცრების, მისი ქმრის მეგობართა სახეები, რომლებიც მათ სახლში ასე ხშირად იმყოფებოდნენ.

– ხვალ უმაღლეს რესკრიპტს გამოაცხადებენ. მათ აჯანყებულებად ცნობენ. ვალდებული ვიქნები მათთან საბრძოლველად ჩემი ჯარისკაცები გამოვიყვანო... ამის ჩადენა არ შემიძლია, არ შემიძლია... დაცვიდან მომხსნეს, – განაგრძო პაუზის შემდეგ, – და ნება დამრთეს დღევანდელი დღე შინ გამეტარებინა. ხვალ დილით, ალბათ, შეტევა მომიწევს. რეიკო, ეს ჩემს ძალებს აღემატება.

რეიკო მოპირდაპირე მხარეს იჯდა და თვალები არ აუწვია. შესანიშნავად ესმოდა, რომ ქმარი სიკვდილის გადაწყვეტილებას ამცნობდა. გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. ხმას საოცარი ძალა ჰქონდა, იმიტომ, რომ ყოველი სიტყვის შემდეგ სიკვდილი იდგა.

მისაღებ ოთახში ჩამომდგარი სიჩუმე სუფთა და გამჭვირვალე იყო, როგორც მთის ნაკადული. ორდღიანი წამების შემდეგ ახალგაზრდა და მშვენიერი ცოლის წინ მჯდარმა პორუჩიკმა იგრძნო, რომ სულიერად დამშვიდდა. იცოდა, რომ არაფრის ახსნა საჭირო აღარ იყო, რეიკოს ყველაფერი ესმოდა.

– აი... – პორუჩიკმა თავი ასწია. რეიკოს თვალებში შეხედა – ღამე ჰარაკირის გავიკეთებ.

რეიკოს თვალებში ისეთი დაძაბულობა ჩაგუბებულიყო, გეგონებოდა, ეს გამოხედვა ზარებს დარეკავსო.

– მე მზად ვარ, – უცებ არ უპასუხა, – ნება მომეცი გამოგყვე.

პორუჩიკმა იგრძნო, რომ ამ გამოხედვის ძალა თითქმის თრგუნავდა. სიტყვები თავისით მოსწყდა ბაგეს:

– კარგი. გამოდის, ერთად. მაგრამ მინდა, რომ ნახო, როგორ მოვკვდები. თანახმა ხარ?

თვითონაც ვერ გაიგო, ასე მარტივად, ასე ზერელედ როგორ დართო ნება ამ საშინელ ნაბიჯზე. მაგრამ როცა სათქმელი ითქვა, ორივეს გული ბედნიერების მხურვალე ტალღამ დაფარა. რეიკოს გული აუწყა ქმრის უპირობო ნდობამ. იცოდა, თუ რა მნიშვნელოვანი იყო პორუჩიკისათვის სიკვდილის რიტუალის უზადობა. ჰარაკირის აუცილებლად უნდა ჰყავდეს მონმე და ის, რომ ამ როლისათვის იგი აარჩია, უაღრეს პატივისცემას მეტყველებდა. და უფრო დიდი ნდობის გამოხატვა იყო ის, რომ პორუჩიკი არ აიძულებდა პირველი მომკვდარიყო, და ამით ისპობდა იმის შესაძლებლობას, შეემონებინა შეასრულა ცოლმა პირობა თუ არა. ჩვეულებრივი ეჭვიანი ქმარი რომ ყოფილიყო, რეიკო მასზე ადრე მოკვდებოდა. ასე ხდება ორმაგი თვითმკვლელობებისას.

პორუჩიკის აზრით, რეიკოს გადაწყვეტილება, ქორწინების პირველ ღამეს დადებული ფიცის დამამტკიცებელი, მისი აღზრდის შედეგი იყო. ეს აზრი მას სიამაყით ავსებდა, მაგრამ ეს თავშიც არ მოსდიოდა, რომ სიკვდილის გადაწყვეტილება ცოლმა მისადმი სიყვარულის გამო მიიღო.

სიხარული, რომელმაც ორივე მოიცვა, იმდენად დიდი გახლდათ, რომ ცოლ-ქმრის სახე ღიმილმა გაანათა. რეიკოს ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს კიდევ ერთი საქორწინო ღამე ელოდა წინ. არც ტკივილი და არც სიკვდილი არ იყო – მხოლოდ თავისუფალი და უსაზღვრო სიცრუე.

პორუჩიკი საბანაოდ გაემზადა. რეიკომ გამოალო კარადა და ქმარს სთხოვა, შიგ შეიხედეო. პორუჩიკი მიუახლოვდა და მდუმარედ წაიკითხა შეფუთულ კიმონოებზე წარწერილი რეიკოს მეგობართა მისამართები. რეიკოს გადაწყვეტილების კიდევ ერთმა დამამტკიცებელმა ფაქტმა გული სინანულის ნაცვლად უფრო მეტი სინაზით აუვსო. პორუჩიკმა ცოლს აკოცა. ამ შეხებაში იყო ცხოვრების მთელი შეგრძნება. კოცნა საოცრად სუფთა გახლდათ – მალე ხომ ყველაფერი დამთავრდებოდა. წამები ძალას იკრეფდნენ, სხეულის ყოველი უჯრედი იღვიძებდა.

– ჯერ აბაზანა, მერე საკე, მერე კი... სანოლი, – ყურში ჩასჩურჩულა პორუჩიკმა. რეიკომ თავი დაუქნია.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ჩვეულებრივ დღეს. და მაინც, პორუჩიკი დროდადრო მკერდში ღრმად უცნაურ თრთოლვას გრძნობდა. ეს წამიერი იყო და უცებ ქრებოდა. მიუხედავად სიკვდილის მოლოდინისა, მთელი მისი არსება სასიხარულო მოლოდინით ავსებულყო. პორუჩიკს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის სიხარული, რომლითაც სიკვდილის გადაწყვეტილება მიიღეს, ალალი გახლდათ. იმ წამში, თუმცა ისინი ამის შესახებ არც ფიქრობდნენ, მათი ყველასაგან დაფარული ბედნიერება უმაღლესი სამართლიანობის, ღვთიური ნებისა და შეუვალი ზნეობის საიმედო საფარველქვეშ იმყოფებოდა. ერთმანეთის თვალებში ორმაგი თვითმკვლელობის გადაწყვეტილება რომ წაიკითხეს, ორივემ შეიგრძნო ჭეშმარიტების და სილამაზის ძლიერი ჯავშანი.

აბაზანიდან გამოსულმა პორუჩიკმა საკე დალია და სასმისი რეიკოსაც გაუვსო. რეიკოს აქამდე საკე არ გაესინჯა და ფრთხილად მოსვა.

– მოდი ჩემთან, – დაუძახა პორუჩიკმა.

რეიკო მიუახლოვდა ქმარს და მაგრად ჩაეხუტა. მის მკერდში სიხარული და დარდი აირია, ადუღდა. პორუჩიკმა თვალებში ჩახედა. ქალის უკანასკნელი სახე, ადამიანის უკანასკნელი სახე, რომლის ნახვაც უნერია. უცებ შენიშნა, რომ ცოლის დახუჭული თვალებიდან ცრემლები გადმოედინება.

„ნამოდი საწოლ ოთახში“, – შესთავაზა პორუჩიკმა. რას ელის იგი – სიკვდილს თუ გიჟურ ტკბობას? ერთი მოლოდინი მეორეს ერწყმოდა და ისე ჩანდა, თითქოს მისი ყველაზე დიდი სურვილი სიკვდილი იყო. რაც უნდა ყოფილიყო, პორუჩიკს არასოდეს უგრძვნია ასეთი ყოვლისმომცველი თავისუფლება. სახლის კედლები ქუჩიდან შემოსულ ხმებს ირეკლავდა. სახლის მიღმა იყო უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც პორუჩიკმა გული უძღვნა. მისთვის სიცოცხლეც გაიღო. მაგრამ შეამჩნევს სამშობლო იმ ადამიანის დაღუპვას, რომელმაც იდეას შესწირა თავი? დაე ნუ შეამჩნევს! პორუჩიკის საომარი ველი დიდებით არ შეიმოსება, ის ბრძოლაში ვერ ისახელებს თავს, მაგრამ მისი სულის ფრონტის ხაზი სწორედ აქ გადის.

რეიკოს შეხედა. მას უნდოდა ყოველი წამით დამტკბარიყო. და წამები ცისარტყელას ფერებით აკიაფდა.

თვითონაც ვერ გაიგეს, როგორ აღმოჩნდნენ შიშვლები.

მათი სულები, სხეულები და აზრები იმით ავსებულნი იყვნენ, რომ ეს უკანასკნელადაა. მათ კანზე თითქოს უხილავმა ფუნჯმა დაწერა „უკანასკნელად“.

ჯერ კიდევ უცნობმა სასიკვდილო ტანჯვამ გრძნობა გაუმძაფრათ, შეხება წვადათ. მომავალი აგონია ტკბობას დღემდე გამოუცნობ დახვეწილობასა და სისუფთავეს ანიჭებდა.

– მაჩვენე შენი სხეული. უკანასკნელად მინდა დაეტკებ, – ჩაიჩურჩულა პორუჩიკმა.

რეიკოს თვალები დაეხუჭა და გაუძნრევლად იწვა. პორუჩიკმა ეგოისტური თვითკმაყოფილებით გაიფიქრა, რადგან პირველი მოვკვდები, ამ სილამაზის დაღუპვას ვერ ვიხილავო.

აუჩქარებლად იბეჭდავდა მესხიერებაში ულამაზეს სურათს.

რეიკომ აკანკალებული ხმით წამოიძახა:

– მეც მინდა... უკანასკნელად...

ქმარს პირველად მიმართავდა აშკარა თხოვნით; თითქოს აქამდე დაფარულმა გარეთ ამოხეთქა. პორუჩიკი ზურგზე გადაწვა. განითლებული სახით ნაზად მიიხუტა მკერდზე ქმრის თავი. ჩააშტერდა ამ მამაც სახეს, მის მკვრივ, დაკუნთულ სხეულს. რეიკომ წარმოიდგინა, მალე ეს სხეული როგორ დაისერებოდა და ცრემლიანი თვალებით ქმრის მუცლის კოცნა დაიწყო.

მუცელზე ცრემლების წვეთა რომ იგრძნო, პორუჩიკს ახალი ძალით შეემატა სიმამაცე და ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, ნებისმიერ ტანჯვას გაუძლებო.

ზედმეცხი იმის თქმა, თუ რა ნეტარებას განიცდიდნენ ამგვარი დამშვიდობებით. ვნების ერთი ტალღა მეორეს ცვლიდა, დაღლას ვერ გრძნობდნენ და ახალ-ახალი მწვერვალებისაკენ მიისწრაფოდნენ.

როდესაც პორუჩიკი რეიკოს სხეულს მოსწყდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ვნება დაუცხრა. იგი შეაჩერა შიშმა, რომ ჰარაკირისათვის საჭირო ძალებს დახარჯავდა. და კიდევ არ უნდოდა, მათი სიცოცხლის უკანასკნელი შესანიშნავი წამები მოყირჭებით გაფერმკრთალებულიყო.

ცოლ-ქმარი გაუძნრევლად იწვა და ტკბებოდნენ ყოველი გადატანილი წამით, ყოველი გადატანილი კოცნით, სხეულის შეხებით, ბედნიერების გრძნობით. მაგრამ ჭერიდან სიკვდილის სახე უმზერდათ. ტკბობა დამთავრდა და მათთან აღარასოდეს დაბრუნდება. ორივემ გაიფიქრა: ხანგრძლივადაც რომ გვეცოცხლა, ასეთ ექსტაზს ვერასოდეს ვიგრძნობდითო.

სიკვდილის მოახლოება ყოველ წამს იგრძნობოდა. დროც აღარ რჩებოდა. უნდა მოეკრიბათ მთელი სიმამაცე და სიკვდილისაკენ თვითონ გადაედგათ ნაბიჯი.

– აბა, დროა მოვემზადოთ, – დაარღვია სიჩუმე პორუჩიკმა. სიტყვები გადამჭრელი იყო, მაგრამ რეიკოს არასოდეს გაუგია მის სიტყვებში ასეთი სინაზე და სირბილე. ადგნენ. წინ ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი.

სახლი ისე დალაგებულიყო, თითქოს ოჯახი საპატიო სტუმარს ელოდა.

– აქ რამდენჯერ დაგვიღვივია, – ამოიოხრა პორუჩიკმა, – კანოსთან, ხომასთან, ნოგუტისთან ერთად...

– ჰო, უყვარდათ ქეიფი.

– არა უშავს, მალე შევხვდებით. წარმოგიდგენია, როგორ დამცინებენ შენს დანახვაზე.

ვიდრე პირველ სართულზე ჩავიდოდნენ, პორუჩიკმა ნათელ ოთახს თვალი მოავლო. თვალწინ დაუდგა ახალ-



მხატვარი ნინო ზაალიშვილი

გაზრდა ოფიცრების სახეები, შექეფიანებულთა ხმაურ-რიანი ლაპარაკი, გულუბრყვილო ტრახახი. იმ მხიარული ნვეულეებისას ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მუცელს გაიფატრავდნენ.

რეიკომ მაგიდაზე ფურცლები დაანყო სიკვდილის წინ წერილის დასაწერად.

უკვე იცოდა, რასაც დაწერდა. რეიკომ დაინახა, როგორ შემოვიდა პორუჩიკი, მუნდირი შიშველ სხეულზე შემოეცვა. ჩუმად დაჯდა და აიღო ფუნჯი, თან სუფთა ფურცელს გახედა. რეიკო გავიდა თეთრი კიმიონოს ჩასაცემლად. როდესაც დაბრუნდა, პორუჩიკის გამოსამშვიდობებელი წერილი უკვე დაწერილი იყო.

„გაუმარჯოს იმპერატორის არმიას! პორუჩიკი სინძი ტაკეიამა!“

რეიკომაც დაინყო წერა. პორუჩიკი თვალს ადევნებდა, როგორ გამოჰყავდა იეროგლიფები ქალს. შემდეგ ხმალი შემოირტყა, რეიკომ ქამარში ხანჯალი გაირჭო და ხელებში სიკვდილისწინა წერილებით ჩუმი ლოცვა დაიწყო.

პირველ სართულზე სინათლე ჩააქრეს და მეორე სართლისაკენ გაემართნენ. შუა კიბეზე პორუჩიკი მობრუნდა და რეიკოს სილამაზემ კიდევ ერთხელ გააოცა.

წერილები ერთმანეთს მიუწყეს გვერდით. პორუჩიკს უნდოდა კედლიდან კაკეიკუს (ქალაღდის ან აბრეშუმის გრძელ ზოლზე გაკეთებული კალიგრაფიული წარწერა) ჩამოეხსნა, მაგრამ გადაიფიქრა: მასზე გამოსახული იყო დიდებული სიტყვა „ერთგულება“.

პორუჩიკი იატაკზე დაჯდა, ზურგიტ კედლისაკენ, და მუხლებზე ხმალი დაიდო. რეიკო მეზობელ ტატამზე მოთავსდა; ცოლ-ქმარი ერთმანეთს თვალეში უმზერდნენ. ქმრის მუხლებზე მოთავსებულ ხმალს რომ შეხედა, რეიკომ პირველი ღამე გაიხსენა და აუტანელი სევდა იგრძნო. პორუჩიკმა მოგუდული ხმით უთხრა:

– სეკუნდანიტი არა მყავს, ამიტომ ღრმა ჭრილობას მივიყენებ. ალბათ, სასიამოვნო სანახაობა არ იქნება, მაგრამ არ შეგეშინდეს. გვერდიდან ნებისმიერი სიკვდილი საშინელი სანახავია. ამან გამბედაობა არ დაგაკარგინოს. კარგი?

– კარგი, – დაბლა დახარა თავი რეიკომ.

ცოლის მშვენიერი სხეულის დანახვაზე, რომელიც თეთრ სამოსში გამოწყობილიყო, პორუჩიკმა იგრძნო, რომ უცნაურმა აგზნებამ მოიცვა. ახლა ის ქმარს ახლად დაინახავს, სამხედრო ვალის შესრულების დროს. ვინაიდან ასეთი სიკვდილი არანაკლებ საპატიოა, ვიდრე ბრძოლის ველზე. იგი უჩვენებს ცოლს, როგორ იმოქმედებდა ბრძოლის დროს. აი, ნამდვილი ბედნიერება. ცოლის წინ სიკვდილი იგივეა, რაც სუფთა ბრიზის სურნელის შესუნთქვა. ბედი სწყალობს, ისეთი უპირატესობა აქვს, როგორიც არავის ღირსებია. თეთრი, პატარძლის მსგავსი უძრავი ფიგურა პორუჩიკისთვის ყოველივე იმის განსახიერება გახლდათ, რისთვისაც ცხოვრობდა: იმპერატორისათვის, სამშობლოსათვის, საბრძოლო დროშისათვის. ყველა ეს წმინდა სიმბოლო ცოლის ნათელი გამოხედვიდან უმზერდა.

რეიკო, ვინც ქმრის სიკვდილისთვის მზადებას ადევნებდა თვალს, ფიქრობდა, მსოფლიოში ამაზე მშვენიერი სანახაობა არ არსებობს.

– მორჩა, დროა, – ნამოიძახა პორუჩიკმა.

რეიკომ მდაბლად დაუკრა თავი. სადღაც გაქრა მთელი ძალები – ვერაფრისდევით შეძლო გამართვა. ტირილი არ შეიძლება, სახეზე კოსმეტიკა აქვს. მაგრამ ცრემლები თავისით მოედინებოდნენ.

როდესაც გასწორდა, დაინახა, რომ ქმარი ხმალს თეთრ ნაჭერს ახვევდა და შიშვლად ოც სანტიმეტრამდე რკინას ტოვებდა. საქმეს რომ მორჩა, ხმალი იატაკზე დადო და მუნდირი გაიხსნა. ცოლს აღარ უყურებდა. პორუჩიკი დააშტერდა თავის შიშველ მუცელს. შემდეგ ცოლს შეხედა ქორისებური გამოხედვით. ხმლის წვერი მუცლისაკენ მიიშვირა. იმის მიხედვით, თუ როგორ დაეჭიმა კუნთები, მიხვდებოდი, რომ მთელი ძალა მოიკრიბა. უნდოდა ხმალი მუცლის მარცხენა მხარეს, რაც შეიძლება ღრმად შეესო. ყვირილმა გააპო ოთახში გამეფებული სიჩუმე.

თუმცა პორუჩიკმა თვითონ მიიყენა ჭრილობა, მოეჩვენა, რომ ვიღაც სხვამ გაუპო სხეული სქელი რკინის ნაჭრით. თვალთ დაუბნელდა და რამდენიმე წუთით დაავიწყდა კიდევ, თუ რა ხდებოდა. რკინა პორუჩიკის მუცელში ქსოვილამდე შევიდა, მუშტი კი, რომელიც ხმალს შუაში იჭერდა, მუცელს მიეზვირა.

ცნობიერება დაუბრუნდა. მუცელი გაიფატრა, ეს ნამდვილად ასეა. სუნთქვა უჭირდა, სადღაც შორს – შეუძლებელია ეს მისი სხეული იყოს – საშინელი ტკივილი გაჩნდა. საშინელი სიჩქარით უახლოვდებოდა ტკივილი. პორუჩიკმა ყვირილი ტუჩის მოკვებით ჩაახშო.

„აი, როგორია ჰარაკირი, – გაიფიქრა მან, – თითქოს თავზე ცის თალი დაგემხო, თითქოს მთელი სამყარო შეზანზარდა და ამოტრიალდა“. საკუთარი ნება და სიმამაცე, რომელიც სხეულში ხმლის შესვლამდე ურყევი ეჩვენებოდა, წვრილ, რკინის ძაფად გაიჭიმა, და იმ აზრმა, რომ ამ ძაფზე უნდა მოჭიდებულიყო, სული ნალველით აუვსო. „საოცარია, ამ ტანჯვის მიუხედავად ნათლად ვხედავ, რომ სამყარო ისევ არსებობს,“ – გაიფიქრა მან.

იმ წუთიდან, რაც პორუჩიკმა მუცელი გაიფატრა და სახე გაიფრმკრთალა, რეიკო ებრძოდა სურვილს ქმართან მისულიყო. ეს არ შეიძლება. უნდა იჯდეს და უყუროს. იგი – მონშეა, ასე უბრძანა ქმარმა. რეიკომ არ იცოდა, საყვარელ ადამიანს რით დახმარებოდა.

ტკივილი უფრო მატულობდა, ძალას იკრებდა. პორუჩიკი სხვა სამყაროს არსებად იქცა, მისი ყოფის მთელი არსი ტანჯვაში შენივთდა და რეიკოს მოეჩვენა, რომ ქმარი ტკივილის გალიაში გამოკეტილ ტყვედ იქცა და ხელით უკვე ვეღარ შეხებოდა. თვითონ ხომ ტკივილს ვერ გრძნობდა. მისი დარდი ხომ ფიზიკური ტანჯვა არაა. რეიკოს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს მასა და ქმარს შორის ვიღაცამ მინის კედელი აღმართა.

ქორწილის დღიდან რეიკოს ცხოვრების არსი ქმარი გახლდათ, ყოველი მისი ამოსუნთქვა რეიკოს ამოსუნთქვა იყო, ახლა კი ის ცალკე არსებობდა, თავისი ტანჯვის ტყვეობაში და რეიკოს, დარდით შეპყრობილს, ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა.

პორუჩიკი შეეცადა მუცელი განივად გადაეჭრა, მაგრამ ხმალი შიგნეულობას წამოედო, რომლებიც რბილი სიჯიუტით არ აძლევდნენ მოძრაობის საშუალებას. მიხვდა, რომ ხმალი ორივე ხელით უნდა ჩაებლუჯა და ისე შეესო ორგანიზმში უფრო ღრმად. ასეც მოიქცა. ხმლის პი-

რი უფრო მძიმედ შედიოდა, ვიდრე მოელოდა, მოუხდა მარჯვენა ხელის მტკენისათვის უფრო მეტი ძალა დაეტანებინა. ხმალი ათი სანტიმეტრით გადაადგილდა.

ტკივილი ნიაღვარივით დაატყდა, უფრო და უფრო გაფართოვდა; ეჩვენებოდა, რომ მუცელი უზარმაზარი ზარით გუგუნებდა, არა, ათასი ზარით, რომელიც პორუჩიკის არსებას პულსის ყოველ დარტყმაზე, ყოველ ამოსუნთქვაზე ხლენდა. კენესის შეჩერება შეუძლებელი იყო. მაგრამ პორუჩიკმა უცებ დაინახა, რომ ხმალი შუამდე შესულიყო მუცელში და სიმაძაცის ახალი ტალღა იგრძნო.

სისხლი ღვარად მოდიოდა. იატაკი განითლდა. პორუჩიკმა გულისრევა იგრძნო. სპაზმებისგან ტკივილი უფრო გაუსაძლისი გახდა. ჭრილობის კიდეები გაიშალა და იქიდან შიგნული გადმოცვივდა, თითქოს მუცელსაც გული ერევაო. ნაწლავებს თავიანთი პატრონის ტანჯვა არ ადარდებდათ, ჯანმრთელები, ბრწყინვალენი, მხიარულად გადმოსრიალდნენ. პორუჩიკს თავი ჩამოუვარდა, თვალები დახუჭა.

გარშემო ყველაფერი სისხლიანი იყო. პორუჩიკი წითელ გუბეში იწვა; სხეული მოემჩვარა, იატაკს ხელით ეყრდნობოდა. ხმალი, შიგნეულობასთან ერთად მუცლიდან გამოსული, უსიცოცხლო ხელში გაქვავებულიყო.

უცებ ოფიცერი გაიმართა. ნების ეს წარმოდგენელი დაძაბვა რას უნდა შევადაროთ? მკვეთრი მოძრაობის გამო თავი კედელს მიენარცხა. რეიკომ, ვინც გაშეშებული უყურებდა მისი ფეხებისაკენ წამოსულ სისხლის ნაკადს, თავი ასწია.

მის მიერ დანახული ნიღაბი ცოცხალი ადამიანის სახეს არა ჰგავდა. პორუჩიკის მარჯვენა ხელმა ძლივს ასწია მძიმე ხმალი. მოძრაობა შენელებული იყო, ისეთი, როგორც დასაქოქ თოჯინას აქვს. პორუჩიკი ცდილობდა ბასრი რკინის წვერი ყელისაკენ მიემართა. რეიკო დაძაბული უყურებდა ქმრის უკანასკნელ, ყველაზე რთულად შესასრულებელ საქციელს. ერთმანეთის მიყოლებით ყელში დამინებული სლიპინა რკინა მიზანს ვერ აღწევდა. პორუჩიკი ძალას კარგავდა.

რეიკოს მეტის ატანა აღარ შეეძლო. უნდოდა ქმარს დახმარებოდა, მაგრამ ძალა გამოცლოდა. სისხლიან გუბეში ოთხით გახობდა. თეთრი კიმიონი ალისფრად შეეღება. ქმრის ზურგს მიეყრდნო და მუნდირი გადაუღელა ყელთან. მარტო ამით შეეძლო დახმარებოდა. როგორც იქნა აკანკალებული ხმლის წვერი გაშიშვლებულ ყელში შევიდა. რეიკოს მოეჩვენა, ქმარს მე ვუბიძგეო, მაგრამ არა – პორუჩიკი უკანასკნელი ღონის მოკრებით დაეცა ხმლის წვერს, რომელმაც გაკვეთა ყელი და კეფასთან გამოვიდა. სისხლის შადრევანმა იფეთქა და პორუჩიკი გაქვავდა.

რეიკო ნელა დაეშვა კიბეზე. მეორე სართულზე სამარისებრი სიჩუმე გამეფდა.

რეიკომ სინათლე აანთო. პატარა ოთახში სარკის წინ გაჩერდა. კიმიონი სისხლით მოსვროდა. დიდხანს იდებდა კოსმეტიკას. გრიმი საყვარელი ადამიანისათვის კი არ იყო განსაზღვრული, არამედ სამყაროსათვის, რომელსაც მალე დატოვებდა. ფუნჯის მოძრაობაში რაღაც იყო დიდებული. როდესაც რეიკო ადგა, სარკის წინ ტატამზე სისხლიანი ნაკვალევი დარჩა, მაგრამ რეიკოს არც შეუხედავს.

შემდეგ ახალგაზრდა ქალი შემოსასვლელში გაჩერდა. საღამოს პორუჩიკმა შემოსასვლელი კარი გასაღებით ჩაკე-

ტა. ცოტა ხანი რეიკო დილემამ ჩააფიქრა. გაალოს თუ დატოვოს დაკეტილი? თუ სახლი ჩაკეტილი იქნება, მეზობლები ახალგაზრდა წყვილის სიკვდილს მალე ვერ გაიგებენ. არ უნდოდა მათი გახრწნილი სხეულები აღმოეჩინათ. ალბათ სჯობს გაალოს... რეიკომ გასაღები გადაატრიალა და კარი ოდნავ შეაღო. შემოსასვლელში ცივი ქარი შემოიჭრა. ღამის ქურჩა უკაცრიელი იყო, ხის კენწეროებზე, რომლითაც შემორტყმული იყო სახლი, ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

რეიკო ისევ ზევით ავიდა. კიბე ნახევრამდეც არ აეწვლო, მკვეთრი სუნი იგრძნო. პორუჩიკი სისხლის გუბეში იწვა. რეიკომ მშვიდად გადაჭრა სისხლით მორწყული ოთახი. მკვდარ ქმარს გვერდით დაუჯდა, დაიხარა და სახეში ჩახედა. პორუჩიკის ფართოდ გახედილი თვალები ერთ წერტილს მიშტერებოდა. რეიკომ უსიცოცხლო თავი წამოწია, სახელოთი გასისხლიანებული სახე გაუნმინდა და ქმრის ტუჩებს გამოსამშვიდობებელი კოცნით დაეკონა. შემდეგ ქამრიდან ხანჯალი ამოიღო, ერთ შეეხო ხანჯლის პირს. რკინას ოდნავ ტკბილი გემო ჰქონდა.

ახალგაზრდა ქალი წამითაც არ შეყოვნებულა. მან გაიფიქრა, რომ ტანჯვა, რომელიც მის ქმარს ამორებდა, მალე მისი გახდებოდა, რომ საყვარელ ადამიანთან შეერთების წამი ახლოსაა და მისი გული სიხარულით იყო სავსე. პორუჩიკის ტანჯვით შეცვლილ სახეში ის ხედავდა რაღაც ამოუცნობელს და იდუმალს. ახლა ამ გამოცანას ამოხსნის. რეიკოს მოეჩვენა, რომ მხოლოდ ახლა შეიგრძნო დიდი არსის ტკბილი სიმწარე, რომლისაც ასე სჯეროდა მის ქმარს. თუ მანამდე ამ იდუმალი ცოდნის გემო მხოლოდ პორუჩიკისაგან იცოდა, ახლა თვითონაც შეიცნობს.

რეიკომ ხანჯალი ყელზე მიიბჯინა და დაანვა. ჭრილობა პატარა იყო. ხელები აუკანკალდა. მკვეთრად გასწია ხანჯალი გვერდზე. პირში შიგნიდან რაღაც ცხელმა იფეთქა, თვალწინ ყველაფერი წითლად შეიღება – ჭრილობიდან სისხლის შადრევანმა გადმოხეთქა. რეიკომ მთელი ძალა მოიკრიბა და ხანჯალი ყელში ტარამდე ჩაისო.

თარგმნა
ნუცა თოფჩიშვილი

გ რ ძ ე ლ დ ე ჯ ა ს ე ლ მ ო ნ ე რ ა

ბალაკტიონ ტაბიძის

საარტიკო გამოყენების

25 ნიგნსა და რჩეულზე

(1 ნიგნი – 15 ლარი, რჩეული – 20 ლარი)

გიორგი ლეონიძის სახელობის

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო

მუზეუმში

გ. ჭანტუიას №8, ტელ. 93-20-45, 93-28-90

11⁰⁰-დან 17⁰⁰ საათამდე

* * *

ვახტანგ ჭელიძე იმით გამოარჩევდა თედო ბექიშვილს: პოეტური სახე აქვსო.

ესეც ითამაშებდა თავის როლს, რომ არჩევანი მასზე შეეჩერებინა, როდესაც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში კრიტიკის განყოფილების გამგის ადგილი გათავისუფლებოდა.

პოეტური სახე.

განა რამდენ პოეტს ამოვიცნობთ გარეგნობით, რომ არაფერი გვსმენოდეს მის შემოქმედებაზე?

თავისთავად საგულისხმო თემაცაა მკვლევარისთვისაც და ფოტოხელოვანისთვისაც.

მასალა არ იქნება მაინცდამაინც უხვი, მაგრამ მითუფრო ჩაგვებეჭდება მეხსიერებაში პოეტურ სახეთა მცირე გალერეა.

ოლონდ ამჯერად:

ანდროპოვი მოვლენია საბჭოთა სახელმწიფოს მკაცრ ხელისუფლად და ყველას, დიდიანპატარიანად, შენობებში შერეკავდა – არ დაგინახოთ ქუჩაში გამოსულები სწავ-



ლისა და მუშაობის საათებშიო. სულ სწავლისა და მუშაობის დარდი ჰქონდა!..

მილიცია – გადაცემული თუ გადაუცემელი – მოსდებოდა ქუჩებს და ვაი მისი ბრალი, ვისაც გადააწყდებოდნენ.

და, აი, თედო მიაბიჯებს ქუჩაში ფიქრებში გართული, აუჩქარებლად და ვილაცის სუსხიანი ხმა გამოარკვევს:

– გარეთ რატომ ხართ, ამხანაგო, რატომ არ მუშაობთ?.. თქვენი საბუთები!

– ვმუშაობ, როგორ არა, – და მილიციელთა რკალში მოქცეული ხელს ჯიბისაკენ წაიღებს პირადობის მონმობის ამოსაღებად.

– მასხრადაც გვიგდებთ? – ახლა სხვა წამოიქორჩება, – გასწავლით ჭკუას, რას

მუშაობთ, ერთი გვითხარით.

– ლექს ვწერ.

– ლექსს თუ წერთ, მაშინ... არა, მაშინ...

და ჩამოეხსნებიან. დამადასტურებელ წიგნაკაც ალარ მოთხოვენ.

სახე უდასტურებდათ ისედაც – პოეტის სახე.

* * *

გიორგი ლობჯანიძე საზოგადოებრივი ტელევიზიის დილის გადაცემაშია მიწვეული – „ადრე“.

სიუჟეტს ნეკა სებისკვერაძე უძღვება – მომღერალი და ტელენამყვანი. და სტუმარს რომ წარუდგენს მაყურებელს, საზეიმოდ ამცნობს იმასაც, რომ გიორგიმ პირველად თარგმნა ქართულად ყურანი.

სტუმრის ადგილას სხვა ძალიანაც შეიფერებდა და თვითონაც რამდენჯერმე გაიმეორებდა, რომ: სწორედაც პირველად... მან პირველად... პირველად და პირველად...

ეს კი უხერხულად შეიმშუშნება და მორიდებით შეახსენებს ყველას:

– ყურანი ერთი საუკუნის წინათ უკვე ითარგმნა ქართულად, მართალია ფრანგული ენიდან და არა არაბულიდან, მაგრამ ეს თარგმანი არსებობს და თავის დროზე დიდი როლიც შეასრულა. თარგმნა პეტრე მირიანაშვილმა, „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორმა, საერთოდ კი ამ წამოწყების თაოსანი იყო ილია ჭავჭავაძე.

– საუკუნის წინათ ანუ მეოცე საუკუნეში, არა? – ჩართავს ტელენამყვანი.

– დიახ, მეოცეში.



მეგობრული შარყი ზაალ სულაკაურისა

– და ოცდამეერთეში თქვენ გარდა კიდევ თარგმნა სხვამ?

– არა, არავინ.

– ესე იგი, ამ საუკუნეში თქვენ პირველმა თარგმნეთ.

– ასე გამოდის.

– დიახ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენ უსმენთ გიორგი ლობჯანიძეს, ვინც ოცდამეერთე საუკუნეში პირველმა თარგმნა ყურანი ქართულად.

საუბარი ყურანიდან ირანული ლირიკის თარგმნაზე გადაინაცვლებს – კლასიკური

თუ თანამედროვე პოეტური ნიმუშებისა, და სტუმარი მაყურებელს ამცნობს, რომ ამ მხრივ ჩვენში დიდი ტრადიცია არსებობს და თვალსაჩინო მიღწევებითაც დამშვენებულია და სულაც არ უფრთხის აღიარებულ სახელთა ჩამოთვლას იმის მომიზეზებით, ვაითუ ვინმე გამომჩრქეს და უნებურად ვაწყენინოო.

– ეს საერთოდ, მაგრამ ამ საუკუნეში? – დაინტერესდება ტელენამყვანი.

– ამ საუკუნეში...

ბოლოსდაბოლოს, ამ საუკუნეში თუ არა, ამ წელს თუ არა, ამ თვეში თუ არა, ამ კვირას მაინც არ აღმოჩნდება სტუმარი ირანული ლირიკის პირველი მთარგმნელი?

* * *



მხატვარი
ქეთევან მაღალაშვილი

ნატო ვაჩნაძე ქმრის გარდაცვალების შემდეგ პირველად გამოჩნდება საზოგადოებაში.

ხელოვანი სვეტიცხოვლის ეზოში შეკრებილან, გუნდ-გუნდად დამდგარან და ყველაზე მეტი ადამიანი აღიარებულ კინოსახიობს ეხვევა გარს.

სერგო კლდიაშვილიც იმათშია, ისიც შესციცინებს ნატო ვაჩნაძეს, ისიც დითირამბებად იფრქვევა.

კარლო კალაძე ირონიული მზერით გახედავს.

დრო გადის.

სერგო კლდიაშვილს სხვა აღარაფერი ახსოვს. ნატო იქით გადაინაცვლებს, ესეც იქით გაჰყვება, აქეთ გადმოინაცვლებს – აქეთ გამოედევნება.

და კარლო:

– ისე ხომ არ არის, უბატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო?

* * *

კონსტანტინე გამსახურდიასათვის რომ გეკითხათ: ახალგაზრდა მწერლებიდან ვის გამოარჩევთ, – რევაზ ჯაფარიძეს დაასახელებდა. მწერალთა ყრილობაზე გამოსვლის დროსაც საგანგებოდ მოიხსენიებდა და მოგვიანებით ამ მიკერძოებას სოსო სიგუა პირადი ურთიერთობით ახსნის.

რევაზ ჯაფარიძე დიდად ამაყობდა ასეთი ყურადღებით და თავი კონსტანტინე გამსახურდიას შემცველად მიიჩნდა. ამიტომაც იყო, მწერალთა სასახლის დარბაზში, რომლის გვერდით კონსტანტინე გამსახურდიას ამოჩემებულ სკამზეც რომ ჩამოჯდებოდა და დაგვიანებით შესული „მთვარის მოტაცების“ ავტორი გამოჩნდებოდა თუ არა, მაშინვე წამოხტებოდა.

კონსტანტინე რომ გარდაიცვლებოდა, მაშინაც ვერავინ გაბედავდა იმ სკამზე დაჯდომას, თავისებურ რელიკვიად მიიჩნევდნენ, რომელიც ხელშეუხებლად უნდა მდგარიყო. რევაზ ჯაფარიძე არავის გაუწევდა ანგარიშს და თამამად ჩამოჯდებოდა. ხალხი ახმაურდებოდა, ის კი ისეთი გაცოცხლებული სახით მიმოიხედავდა ირგვლივ, ვითომ ვერ მიხვდარიყოს, მღელვარება რას გამოიწვია.

მერე და მერე უფრო შებედავდა:

– ბოლოსდაბოლოს, რითი ვარ ნაკლები... არა, მეტს არ ვამბობ, მაგრამ ნაკლებიც რითი ვარ: ოცი ტომი თუ დაწერა, მეც ოცი ტომი დავწერე, ოთხნიგნიანი რომანი თუ აქვს დავით აღმაშენებელზე, მეც ოთხნიგნიანი რომანი მაქვს სოლომონ მეორეზე.

განსხვავებას სულ ვეღარ ხედავდა.

ეს ცოტა ვრცელ ექსპოზიციად ჩამითვალეთ.

კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის გამოცემა რომ დაიწყება და „დიონისოს ლიმილიც“ გამოჩნდება, ფორმით არცთუ დიდი მომეჩვენება. ადრინდელი გამოცემის მიხედვით უფრო მოზრდილი მახსოვდა, იქ უფრო დიდი შრიფტი შეერჩიათ და ამიტომაც მეგონა ორმოცფორმიანი, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ოცი ფორმა თუ იყო, მეტი არა.

ეს გაკვირვება გამოეხატე, სხვა კი არაფერი:

- რამხელა მეგონა და თურმე ჩემი რომანისხელა პავლე ინგოროყვაზე.
- არ გინდა, – მეტყვის მამაჩემი, – შენც რეზო ჯაფარიძესავით არ დაგემართოს.
- არა, არა, მე მხოლოდ ფორმის მხრივ...
- იმანაც ფორმით დაიწყო.

... არა, იმ სკამს ვერავინ ვერ უნდა ეკარებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ჰქონდა ამოჩემებული.

რელიკვია სხვა კი არაფერს ჰქვია.



70



მეგობრული შარუები
გიგლა ფირცხალავასი

სუიციდი

„სუიციდი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თვით-მკვლელობას.

1968 წელს საბჭოთა ტანკები კალიასავით რომ მოეფინენ „ზღაგატა პრაპას“ ქუჩებსა და მოედნებს, არავინ ეგებებოდათ ღიმილითა და ყვავილებით, განსხვავებით 1945 წლისგან, ვინაიდან ამჯერად ოკუპანტები იყვნენ და არა – ნაცისტური ულლიდან ჩეხოსლოვაკიის გამოხსნის მჭედელნი. სწორედ იმხანად ერთმა სტუდენტმა ბენზინი გადაისხა ტანზე, ასანთს გაჰკრა და კოცონად აბრიალდა. ტანჯვით განშორდა წუთისოფელს. ეს იყო მგზნებარე პროტესტი, გამომხატველი მთელი ხალხის სულისკვეთებისა.

რეაქცია ამ ამბავზე, რასაკვირველია, ერთგვაროვანი არ იქნებოდა. ერთნი უწონებდნენ საქციელს, გამირობად მიაჩნდათ, სხვები ძრახავდნენ, გმობდნენ და, რაც საგულისხმოა, ჭკუიდან შერყევას მიაწინდნენ ამ თავგანწირული აქტის ჩადენას. გიჟი ყოფილაო, ისმოდა ჩვენს დაწესებულებებსა თუ ტროლეიბუსებში. რაო, თავისი სამშობლოს დამცირება სხვებზე მეტად განიცადაო? რაო, სხვებზე დიდი პატრიოტი იყო თუ სხვებზე კეთილშობილი სულის პატრონიო? ფიზიკური თვალთ ჩხრეკდნენ იმ პრალელი სტუდენტის საქციელს. ყოველ ტრაგიკულ მოვლენას, ალბათ, უნდა დაჰყვებოდეს კომიკური ორეული, როგორც ადამიანს – თავისი ჩრდილი.

რომელიღაც აფრიკულ ტომში ადამიანური ღირსების დაცვის ამგვარი ფორმაა მიღებული: თუკი კაცს მძიმე შეურაცხყოფა მიაყენეს, იგი მაღალ ხეზე აცოცდება, თავის გულისწყრომას საჯაროდ გადმოაფრქვევს და... თავით ძირს გადმოეშვება!

როგორც მკაცრი სტატისტიკა გვაუწყებს, ფსიქიკური სნეულებით გამოწვეული თვითმკვლელობა არ აღემატება აღრიცხულ შემთხვევათა ოცდაათ პროცენტს. მამასადაამე, თუკი ვენდობით მედიცინას, არასწორია და უხერხული – ყოველი თვითმკვლელობის გამოცხადება ჭკუიდან შემოიღი ადამიანის ქმედებად.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადამიანს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს, უპირველეს ყოვლისა, გამოუვალი მდგომარეობა. სასონარკვეთილი ველარ ქმნის თავის მომავალს. მის თვალწინ აღიმართება ყრუ კედელი, რომელიც უნდა გადალახოს ანდა რამენაირად გვერდი აუაროს. ემოციურად მერყევა, ცვალებადი გუნების პიროვნება უფრო ადვილად შეიძლება დადგეს სახიფათო ზღვართან, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის პატრონებიც ტყდებიან ხოლმე. თვითმკვლელობა სწორედ მათთვის წარმოადგენს მომწიფებულსა და გულდასმით მომზადებულ იდეას, მშვიდად და გულცივად მოფიქრებული განზრახვის განხორციელებას.

ვინ მოთვლის, რამდენი მხატვრული ნაწარმოები შექმნილა სუიციდის თემაზე. ბუნებრივად არის, ვინაიდან ეს უღვთო აქტი, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს შეადგენს და ადამიანურ შეცოდებათა შორის ყველაზე მეტად გამოირჩევა თავისი იდუმალეობითა და გაუგებრობით.

შეუძლებელია, უწინარეს ყოვლისა, არ გაგახსენდეს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „ტრაგედია უგმიროდ“ (1922), დანერგილი უადრესი ექსპრესიითა და გენიალური უბრალოებით.

მშვიერი კაცი და მისი მშვიერი შვილები. მეზობელი ნახევარ ჯამ მჭადს ასესხებს. გახარებულ ბავშვებს მოაქვთ

ფიჩხი, ანთებენ ცეცხლს. მამამ მოზილა ცომი და გავარვარებულ კეცებს დააკრა. მერე მეზობელთან გზავნის შვილებს, ოხრახუში მოიტანეთო.

ამასობაში მჭადის სუნი ეცემა. კეციდან აიღებს და გემოს გაუსინჯავს. ერთ ლუკმას მეორე მოჰყვება, მეორეს – მესამე. ბავშვები შემოცვივდებიან და სთხოვენ, ჩვენც გვაჭამეო. „გადით, თქვე გასანყვეტლებო!“ – ამ ერთი ფრაზით სულისშემძვრელი კოშმარი იხატება. ამაოდ ეკედრებიან ლუკმას. მამა ერთი ხელით მჭადს შეექცევა, მეორე ხელით კი მოშობულ შვილებს იგერიებს. მერე გადის სახლიდან. კუჭი ცოტათი ავსებულა. აუტანელი გრძობა შიმშილისა აღარ აწუხებს. უეცრად გონება გაუნათდება. „ღმერთო, რა მომივიდა?... სირცხვილი, სირცხვილი! ხალხს რაღა უთხარა?! ეს რა ვქენი, ეს რა ვქენი! დედა ხომ არ იხამდა!“

ბავშვებს ჩასძინებიათ. უმცროსს ეღვიძება.
– მამა! – წყნარად ეუბნება.
– რა, შვილო? – ნახად პასუხობს (რამ დააწერინა ეს „ნახად“, მოფიქრება არ უნდოდა?!)
– მთლად შეჭამე?

მართლაც რომ შემადრწუნებელი ტექსტია. რომელი ოიდიპოსისა თუ ოტელოს ტრაგედია შეეძრება ამას?!

ცოტა იქნებ დაგრჩა, მომეცი, მუცელი მტკივაო, – ეუბნება შვილი. მამას ზღუქუნის წასკდება, წამოიჭრება, ეზოს გადაირბენს და მეზობლის ვენახში ხეზე ჩამოიხრჩობს თავს.

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში ასახული თვითმკვლელობა ყველაზე მარტივია და იოლად გასაგები. უკიდურესი სიღუბნით, როცა ადამიანი ვერ იკმაყოფილებს ელემენტარულ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, როცა მას აღარ გააჩნია პური ჩვენი არსობისა და, რაც მთავარია, მოშობილი შვილები სწორედ მისგან ელოდებიან შევლას – ესეც საკმარისი იქნებოდა პათიოსანი და სულიერად დაძაბუნებული კაცისათვის, რომ თავი მოეკლათ.

მაგრამ მწერალი კიდევ უფრო ამძაფრებს ვითარებას. აქ იმ კაცის ტრაგედია კი აღარ არის, რომელიც გამოსავალს ვერ პოულობს ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ჩიხიდან, არამედ – გამოსყიდვა უმძიმესი დანაშაულისა. კაცი ღვიძლ შვილებს აღარ უწილადებს ლუკმას და თავისი კუჭის კივილიდა ახსოვს. ამაზე საზარელი რაღა უნდა წარმოიდგინო! კაცი თავზარდაცემულია თავისი უნებლიე დანაშაულით. თვითონვე ასამართლებს საკუთარ თავს და გამოაქვს ულმობელი განაჩენი – სიკვდილი!

... თუ როგორ აწვალდება ყოფნა-არყოფნის მარად მტკივნეული საკითხი უილიამ შექსპირს, ჰამლეტის სახელგანთქმული მონოლოგის გარდა ამას თვალნათლივ მეტყველებს მისი დიდებული 66-ე სონეტიც: „და ვუხმობ სიკვდილს, ველარ ვუძღვებ ამდენ ვაებას, გული გიკვდება, როცა ხედავ ლატაკთა ჯახირს, არარაობას – განცხრომაში ნებევრად ჩაფლულს, უწმინდეს რწმენას – ვაცრუებულს ფიცის გატყებით. ყალბი ღირსება სამარცხვინოდ აღზევებულა, უბინოება ქალწულისა ტლანქად შერყვნილა, სრულყოფისათვის ყველა გზები გადაულობავთ და ხედავ, ძალა უძღუერებას ტყვედ ჩაუგდია. ხელისუფლებამ ხელოვნების ხმები ჩაახშო, უგუნურება მცოდნის ნიღბით ნიჭს ფეხქვეშ ქელავს და გულმართლობაც მოუნათლავთ გულუბრყვილობად, ხოლო სიკეთე ბოროტებას ემსახურება... თავს მოვიკლავდი ამ სიბილნით გადაქანცული, მაგრამ ეულად ვით დაგტოვო ამ ქვეყანაზე?!“

პანია შედეგრიდან –
პანსტსელერამდე

მარიო პიუზოს პირველი რომანი „ბნელი არენა“ კრიტიკამ დადებითად შეაფასა და ახალბედა მწერალს კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა.

მოუწონეს მეორე რომანიც, „ბედნიერი ყარიბი“ რომ ერქვა. „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფურცლებზე მას უწოდეს „პანია შედეგრი“, მაგრამ როცა მწერალმა ავანსი ითხოვა გამოცემლობაში (ალბათ „დიდი შედეგრის“ შესაქმნელად), ცივი უარი სტიკიცეს.

პიუზო წერს: „მთელი სიცოცხლე ვეთაყვანებოდი ხელოვნებას. არც ღმერთი მწამდა, არც სიყვარული. არც კაცისა მჯეროდა, არც ქალის, არც საზოგადოებას ვეტრფოდი და არც ფილოსოფიას. მთელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე მწამდა მარტოოდენ ხელოვნება. სწორედ ეს მანუგეშებდა ხოლმე, მაგრამ ისიც მშვენივრად ვიცოდი, თუკი ჩემი მომდევნო რომანი ჩავარდებოდა, ვერაფრის დანერას ველარ შევძლებდი, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ წნეხსაც ველარ გავუძლებდი. არასოდეს შემპარვია ეჭვი იმაში, რომ შემეძლო დამენერა ბესტსელერი, თუკი მოვიწადინებდი. და აი, ჩემი თანამოკალმენი, ჩემი შინაურები და ჩემი კრედიტორებიც ერთხმად მარწმუნებდნენ, რომ უკვე დროა – სიტყვას უნდა მოჰყვეს საქმე. ან ახლა ანდა აღარასოდეს!“

პიუზოს სიტყვით, ყოველ იტალიურ საგვარეულოს ჰყავს თავისი „ჩუჩო“ (ქართულად – ჩოჩო) ანუ კლანის ის წევრი, რომელიც დამოუკიდებლად ვერ ირჩენს თავს. ამიტომაც ნათესავები ეხმარებიან და ლუკმა პურს არავინ აყვედრის. ამგვარ „ჩუჩოდ“ მიიჩნევენ პიუზოს და ერთხელაც საჯაროდ გამოაცხადა, ესოდენ ულაზათო ტიტულს სამუდამოდ ვეთხოვებიო...

დაჯდა და დაწერა „ნათლია“.

პიუზოს ახალი რომანი წელიწადნახევარი ბრწყინავდა „ნიუ-იორკ ტაიმის“ ბესტსელერთა ნუსხაში, აქედან – ექვსი თვე ფეხმოუცვლელად ეჭირა პირველი ადგილი. ასეთივე დიდი წარმატება მოიპოვა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და მრავალ სხვა ქვეყანაში. „ნათლია“ თარგმნეს ოცამდე ენაზე. ეკრანიზაციის შემდეგ გაიყიდა 11 მილიონი ეგზემპლარ! ბესტსელერმა სახელთან ერთად პიუზოს გვარიანი შემოსავალიც მოუხვეჭა.

„ჩოჩო“ გადაიქცა მილიონერად.

შეერთებულ შტატებში გავრცელებული მითქმა-მოთქმის თანახმად, მაფიის თავკაცებმა პიუზოს გადაუხადეს მილიონი

ნი დოლარი, რათა მათად საქებრად დაეწერა „ნათლია“. ლიტერატურულ წრეებში იმასაც კი ამტკიცებდნენ, თითქოსდა პიუზო ყოფილი

განგსტერი იყო. აბა, ასეთ ბრწყინვალე რომანს სხვისი ნაამბობით როგორ დანერდაო?!

მწერალი ამბობს, ამ ქათინაურით ძალიან ვამაყობო.

იგი გვაუწყებს, ჩემს სიცოცხლეში ერთ ცოცხალ განგსტერსაც კი არ გადავყრივარო. ჩემი ბესტსელერი ჟურნალ-გაზეთებში წაკითხულისა და ყურმოკრული ამბების საფუძველზე შევქმენიო.

როდესაც „ნათლიამ“ მთელი მსოფლიო ალაპარაკა, მარიო პიუზომ, ბოლოს და ბოლოს, პირადად გაიცნო თავისი რომანის პერსონაჟთა პროტოტიპები. ისინი ხოტბას ასხამდნენ მწერალს და არა სჯეროდათ, რომ იგი ახლოსაც არ გაჰკარებია მაფიას.

რა იყო პიუზოს კოლოსალური წარმატების მიზეზი?

მკითხველს ახარებდა, რომ ნათლია დონ ვიტო კორლეონეს წყალობით, სამართალი იმარჯვებდა უსამართლობაზე, მოლატეს სჯიდნენ ლალატის გამო, მოძალადეს – ძალადობის გამო, და იმ მიკროსამყაროში, რომელიც შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შექმნა სიცილიელმა იმიგრანტმა, მისი ერთგული პირნი თავს გრძობდნენ სრულფასოვან ადამიანებად.

როდესაც ჰოლივუდში გადაწყდა პიუზოს რომანის ეკრანიზაცია, რამდენიმე ცნობილმა კინორეჟისორმა იუარა ამ ფილმის გადაღება. ისინი ამბობდნენ, „ნათლია“ შეურაცხყოფს ჩვენს სოციალურ სინდისს იმით, რომ ორგანიზებულ დანაშაულსა და დამნაშავეებს განადიდებსო.

ფილმის გადაღებას დათანხმდა გამოცდილი სცენარისტი, ოცდათორმეტი წლის ფრენსის ფორდ კოპოლა. მისი სარეჟისორო დებიუტი „ფრიაღზე“ შეფასდა.

მთავარი როლის შესრულება მიანდეს მარლონ ბრანდოს.

კინოკომპანია „პარამაუნტი“ აცხადებდა, ასეთი შემოსავლიანი ფილმი კინოს ისტორიას არ ახსოვსო.

გადაწყვიტეს, გაეგრძელებინათ „ნათლია“. ახალი ფილმის სცენარი ისევ პიუზოს უნდა დაეწერა.

სახელგანთქმული ბესტსელერის ავტორი გულახდილად აღიარებდა: არას იზამ, მე საბოლოოდ შევეგუე იმ აზრს, რომ აღარა ვარ მწერალი. მე გადავიქეცი უმცროს კომპანიონად უზარმაზარი ფირმისა, რომელსაც ჰქვია ნათლია“.

ქრონიკა

სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა აფხაზეთის ომში მონაშებრივად აღსრულებული მღვდელმონაზონ ანდრია-სადმი (ყურაშვილი) მიძღვნილი მოგონებების წიგნის – „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევებს სოფელსა“ პრეზენტაცია.

წარდგინებას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დაუშვილი), ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსი ისაია (ჭანტურიას), ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია), სამტრედიისა და სიონის მთავარეპისკოპოსი საბა (გიგინეია), ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პრორექტორი დეკანოზი გიორგი ზვიანდაძე და სასულიერო პირები. ასევე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ალასანი და ამავე საბჭოს წევრები, მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

სალამო მიჰყავდა მწერალ მაკა ჯოხაძეს, რომელმაც ამავე დროს ჩვეული პროფესიულობით ისაუბრა წიგნზე და ბოლო ორ

ათწლეულში აქტიურად დაწყებული საქართველოს ხელახალი ქრისტიანიზაციის უმნიშვნელოვანეს ტენდენციასზე.

მსახიობმა მურმან ჯინორიამ რამდენიმე მოგონება ნაიკითხა ახალი წიგნიდან, ნაჩვენები იქნა ერთადერთი შემორჩენილი კადრი, რომელზეც მამა ანდრია ასახული.

სალამოს მსვლელობისას დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, აფხაზეთის კულტურის ყოფილმა მინისტრმა სვეტლანა ქეცბამ, პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა, დრამატურგმა ლამა თაბუკაშვილმა, აფხაზეთის ომის მონაწილემ გენერალმა გიორგი ყარყარაშვილმა, მწერალმა გურამ ოდიშარიაძემ...

დასასრულ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კიდევ ერთხელ გაიხსენა მამა ანდრიას ღვაწლი და მასთან ერთად დაღუპული იური ანუა. შთამბეჭდავი იყო მისი იმედიანი სურვილი, რომ სულ მალე საზოგადოებას მიელო კიდევ ერთი ახალი წიგნი, რომელიც ამ ორი ადამიანის სულიერი ღვაწლისა და თავდადების შესახებ მოგვითხრობდა.